644
1963/4.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

II

ᲗᲑᲘᲡᲘ 1963

მღელვარე დღეებში. მხატვარი **ვლადიმერ ტოროტაძე**

გარეკანის პირველ გვერდზე—ვ. ი. ლენინი. მოქანდაკე ვალერიან თოფურიძე

644
1.963/4

ცისკარი

შინაარსი

ჯანსულ ჩარკვიანი — კომუნისტურო პარტიავ ჩვენო! ლექსი 3

ოთარ ჭილაძე — შესავალი. პოემა 6

შალვა ამისულაშვილი — ლექსები სვანეთზე 12

ილია ხოშტარია — მირზა გელოვანს. ლექსი 19

კალე გოგოხიძე — ჰქუხს საათნავა. ლექსი 20

ნოდარ წულეისკირი — თეთრი მთა. ამბავი 21

ვანო ურჯუმელაშვილი — მძახლები. მოთხრობა 40

გიორგი ქავთარაძე — ჯარისკაცის ჩანაწერები. დასასრული 56

ოდრე დგებუაძე — ჩაძირული თოლია. სათავგადასავლო რომანი. დასასრული 62

რამონ დე ვალე ინკლანი — ძვირად დაუჯდა. მოთხრობა. ესპანურიდან თარგმნა ელზა ახვლედიანმა 80

11

ნოემბერი

1963

გამომცემლობა
„ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს ალკკ ც. კ-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრიეში — მოლდავური ეპოსი. თარგმნა რევაზ მარგიანმა 82

ლონგე — დაფნისი და ქლოე. დასასრული. ფრანგულიდან თარგმნა იროდიონ ქავჟარაძემ 92

აკაკი გეწაძე — ლექსები 114

საკაგიო დაფაზე

ვალერიან ჩეკურიშვილი — სტუდენტები. ნარკვევი 117

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

მიხეილ ზავერინი — ეპოსისა და ლირიკის პრობლემისათვის 127

აკაკი ბაჭრაძე — მივხედოთ ქართულ ესტრადას 141

წიგნების მიმოხილვა

ნოდარ ნათაძე—„ბჰაგავატგიტა“ ქართულად 147

კარლო კოტბერიძე — „საყოველთაო სიმღერა“ 149

ჭადრაკის კუთხე

გივი გამრეკელი — კორიფეთა გალერეა 152

ყოველი მხრიდან

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფახჯიკიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭანიძე, ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

ჟურნალი გააფორმა მხატვარმა ზურაბ გოგოლაძემ

ჯანსუღ ჩარკვიანი

კომუნისტურო
პარტიავ ჩვენო!

შენ გეფიცებით მშობელ მიწას,
დიდო პარტიავ,
თვალით ვატაროთ
ფერი შენი მაღალი და
მართალი დროშის,
შენ გეფიცებით მშობელ მიწას,
დიდო პარტიავ,
რომ შენი დროშის ფერი სისხლით
ვიცავთ მომავალს.
ოკეანე ხარ და მიწა ხარ უუმდიდრესი,
ვინც შენს ფსკერსა და
შენს წიაღს ჩასწვდა —
გათენებული აზროვნების მარგალიტებით,
დღეს ცოცხლობს ქვეყნად
სიყვარულით და განთიადით.
მამა ხარ ჩვენი,
ანთებული გული ხარ ჩვენი,
დედა ხარ,
ძმა ხარ
და ჩვენი სისხლის
ყოველი წვეთის მოძრაობაც
შენა ხარ, ვიცით.
ჩვენს აზროვნებას
ეფინება სინათლე შენი
და გვიფოლადებს ნებისყოფას
ადამიანებს,
გენიოსები იგონებენ ვეება ხომალდს
და ვარსკვლავები უცინიან
ახალ ვარსკვლავებს.
შენ შორს წახვედი,
მშობლიურო დიდო პარტიავ,
ჩვენ ახლა ვზივართ რაკეტებში
და ვუტევთ კოსმოსს,
და მიწა მოგვდევს მანქანებით,
მატარებლებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ლიანდაგზე ებეგვებათ
რკინის ქუსლები.
კაცობრიობის მომავალი,
მისი სინათლე,
მისი გონება,
მისი აზრი
და შემართება,
სიყვარული და დასვენება,
ოქრო, ფოლადი, —
აი შენ რა ხარ,
მშობლიურო დიდო პარტიავ!
შენ იყავ ქვეყნად
ერთადერთი დიადი წიგნი
გენიოსების ხელით შექმნილი,
ახლა ეს წიგნი მართალმა და კეთილმა ხალხმა
საკუთარ სისხლით გადასწერა,
მოჰფინა ქვეყნებს
და დღეს ამ დიდ წიგნს,
სიბრძნით სავსეს, სინათლით სავსეს,
ვით წმინდა წყაროს, ეწაფება
მთელი მსოფლიო.
ამ უძლეველი ხალხის წიგნის
ზღვა სტრიქონებში,
ასოებივით მჭიდროდ ვდგავართ
შენი შვილები,
რომ უფრო ნათლად,
უფრო დიადად
წაგიკითხონ და დაგეწაფონ,
დიდო პარტიავ!
ქართველ კაცს შენთვის
არასოდეს უღალატნია,
დიდ გასაჭირში შენთან იყო
სულის ნაწილად.
იმ შავბნელ დროში, შენ რომ წმიდა
სისხლი გდიოდა,
ჩვენიც ერია,
მშობლიურო დიდო პარტიავ!..
...და დღეს, როდესაც
უძლეველის სახელით ცოცხლობ,
ასე გვგონია, ჩვენზე დიდი,
ჩვენზე ძლიერი
მთელ ქვეყანაზე არ ყოფილა
და არც იქნება.
ეს იმიტომ, რომ
შენ ხარ დიდი და უძლეველი,
ეს იმიტომ, რომ ჩვენი აზრი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი გონება,
ჩვენი ფოლადი
და შემართება,
მარად შენ იყავ,
მარად შენა ხარ,
დიდო პარტიავ!
შენ გეფიცებით მშობელ მიწას,
დიდო პარტიავ,
და ჩვენი ფიცი წმიდა არის
დედის სულივით,
სადაც კი გვეტყვი,
რომ საჭიროა ჩვენი ძალა,
ჩვენი ერთობა,
რასაც მოითხოვ,
თუნდაც სისხლის ფასად ჯდებოდეს,
ჭაობში,
ზღვაში,
პლანეტებზე,
ცაში,
მიწაშიც,
ჩვენ ისე წავალთ,
როგორც წავალთ დღესასწაულზე,
როგორც შეჰფერის
შენს წმიდა და მართალ საქმეებს,
ჩვენი შენდამი ერთგულების
უსაზღვროებას —
კომუნისტურო და დიადო
პარტიავ ჩვენო!

ჯანსუღ ჩარკვიანი ☆ კომუნისტურო პარტიავ ჩვენო! ☆



პოემა

ვუძღვნი ბავშვებს და სამამულო ომში
დაღუპულ ჯარისკაცებს

ეს მერამდენე წელია უკვე,
გულზე რაღაცა მაწევს ფიცივით.
სხვებიც მამჩნევენ
და ყველას უკვირს,
როცა ჩუმად ვარ ანდა ვიცინი.

ვცხოვრობ თბილისში,
ვცხოვრობ და ვიცი,
რომ ერთხელ ჩნდება ამქვეყნად კაცი.
და ხან უჩინარ კოცონზე ვიწვი,
ხან თოვლი მათოვს,
ხან წვიმა მაწვიმს...

მაგრამ ცხოვრება უფრო რთულია
და უფრო მეტი სიფრთხილე გვმართებს,
რომ თავი კაცად ვიგრძნოთ სრულიად,
რომ ვიქცეთ ღმერთად და არა მნათედ.

მე ბავშვობიდან არ მწამდა ღმერთი,
მაგრამ ყოველთვის ვამჩნევდი ბავშვიც,
როგორ ბრწყინავდა ციური წვეთი
ჩემი მშობელის თვინიერ თვალში.

ბავშვობა ერთი ბოლოა თოკის
და თვითონ უნდა მიაბა იგი
მიწას,
რომელზეც გინდა რომ მოკვდე.
გზა კი მთავრდება ამ თოკის იქით.

საქმე ისაა, როგორ მიაბამ,
როგორ გაზომავ გასავლელ მანძილს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არ შეფასდეს მერე იაფად
შენივე ხელით შეკრული კვანძი.

როგორ მივაბი, **არ** მახსოვს **კარგად,**
მაგრამ ის თოკი გრძელდება დღემდე
და ჯერ არაფრის იმედს არ ვკარგავ
ამდენი ქარის **და** წვიმის **შემდეგ.**

ამდენი ქარის **და** წვიმის **შემდეგ**
თავისით გაქრა ბევრი სურვილი,
ბევრჯერ **შევასკდი** გულსა **და** კედლებს
უმისამართოდ ნასროლ ჭურვივით.

სამაგიეროდ მეც **განმიცდია,**
რასაც განიცდის ყველა მოკვდავი,
როცა შემოდის სულში მინდია, —
ყველაფრის მცოდნე **და** საცოდავი.

ასე **თანდათან** დაიწყო ქარი,
ასე **თანდათან** გაბაცდა მთვარე
და მშობლის ჩრდილში **გულმშვიდად** **მდგარი,**
უცებ აღმოვჩნდი ამ ჩრდილის **გარეთ.**

გზები ჩქარობდნენ,
ზღვები ღელავდნენ,
ხეები **დგომას** სწავლობდნენ ქარში
და **ბუნებრივად** **თვლიდნენ** ყველაფერს,
რაც ქვეყანაზე ხდებოდა **მაშინ.**

ხოლო ქვეყანა სისხლში ცურავდა
და ჯარისკაცის საბრალო **გვამი**
უძრავი იყო,
როგორც სურათი,
და **უცხო,**
როგორც **მიდამო** ღამით.

ასე **კვდებოდნენ** **თითქმის** ყოველ **დღე,**
მონატრებულნი ცას **და** **სინათლეს,**
ყელში ამოსულ **სანგრებს** **ტოვებდნენ**
და **მიფრინავდნენ...**
შორს **მიფრინავდნენ.**

ამქვეყნად **უნდა** **გრჩებოდეს** **რამე,**
უნდა **იცოდე,** **რისთვის** **შორდები**
ამ ცას **და** **მიწას,**
ამ **დღეს** **და** **ღამეს,** —
სამარადისოდ **როცა** **შორდები.**

მათ კი იცოდნენ და მიფრინავდნენ,
დაბნეულები ცით და სიჩუმით,
მაგრამ სხვებისთვის ისევ გმინავდა
სამარესავით გრილი მიწური.

თავქვე ეკიდა ღმერთიც და ხატიც,
ღმერთიც კაცივით იყო ნაცემი...
და ღვთისმორწმუნე დედების ხათრით
პირჯვარს იწერდნენ ჯარისკაცები.

და მეც თანდათან გაზრდილს და შეცვლილს,
მაინც მიმქონდა სული წვალებით
და საზენიტო ქვემეხის ცეცხლით
იმუხტებოდა ჩემი თვალებიც.

ფიქრს ცვლიდა ფიქრი,
წამს ცვლიდა წამი
და გზებიც ისევ ერთმანეთს ცვლიდნენ.
მე ვიღლებოდი
და ყოველ ღამე
სიზმრად ვხედავდი
ზღვებსა და მინდვრებს.

და ხან მინდორზე,
ხან კი ზღვის ფსკერზე
სამარის ბორცვი ჩნდებოდა ხოლმე,
მინებებული ჩიტებს და თევზებს,
ეძახდა თავის პატრონს და მომვლელს.

ვიღას უკვირდა სიზმარი მაშინ,
ქვეყანა სიზმრად იყო ქცეული...
ყველა ვიღაცას წყევლიდა მაშინ,
ყველა, ვიღაცის მიერ წყეული.

მე კი იმ სიზმარს შიშით ველოდი
და, თუ შემეძლო, არ ვიძინებდი.
გარეთ კი ქარი ისე მღეროდა,
რომ ზრიალებდნენ სახლის მინები.

და მე ნელ-ნელა მიპყრობდა ძილი
და გადავყავდი სხვა ქვეყანაში,
მეც მივყვებოდი
და ჩემი ჩრდილი
სადღაც გარბოდა თამაშ-თამაშით.

მე კი ვიცოდი, რომ კედლის იქით
ზღვა იწყებოდა,
ხოლო ზღვის ფსკერზე

იყო სამარე — დაღლილი ფიქრი,
მინებებული შლამსა და თევზებს.

და მივდიოდი, რადგან მეგონა,
რომ მე მეძახდა სამარე ასე,
როგორც ერთადერთ კაცს და მეგობარს,
თევზის დუმილით და სილით სავსეს.

მაგრამ სამარე უკან იხევდა,
არ მიკარებდა ახლოს სრულებით.
თევზებიც მასთან ერთად იხევდნენ
და თრთოდნენ,
როგორც მონუსხულები.

მე უკვე ყველა კუნთი მტკიოდა
და ცრემლს ვყლაპავდი გულდაწყვეტილი,
რაღაცა მაკლდა და მივდიოდი
ამდენი წყალის ერთი წვეთივით.

წყალს ეკუთვნოდა ჩემი სხეული
და როგორ მოხდა, ახლაც არ ვიცი,
ცრემლი ყვავილად გადაქცეული
მიგროვდებოდა ხელში თავისით.

მე ასე უნდა მეცხოვრა თითქოს,
უნდა მეზიდა სულით ყინული,
მაგრამ რატომღაც მზეც ფსკერზე იდო,—
ჩასვენებული თუ ჩაძირული.

და ის ღვიოდა, როგორც აბედი,
რომელსაც ქარი ჩაქრობას უშლის,
და თრთოდა ბნელში, ვით ერთადერთი
სუფთა ადგილი ჯალათის სულში.

მე მაშინ მივხვდი, რა მაკლდა თურმე,
რას თხოულობდა თურმე სხეული
და რად მისდევდა ამ სილის ურმებს
ბუნებრივ სითბოს გადაჩვეული.

ამ აღმოჩენით შემკრთალს თუ დაჭრილს
მეგონა, დიდხანს ვეღარ გავძლებდი
და სწორედ ამ დროს დაეშვა ჯაჭვი
და ჩამოცოცდნენ ჯაჭვზე კაცები.

არ დაუკარგავთ არც ერთი წუთი,
მზეს მიაშურა მაშინვე ყველამ
და მზეც, წითელი და დიდი ბურთი,
აცურდა მაღლა, ნელა და ნელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ჯერ მინდოდა, რომ გავყოლოდი,
რომ მეც მეფრინა იმ ხალხის გვერდით
და მაინც დავრჩი, რათა ბოლომდის
გამეგო უცხო სამარის ბედი.

თვლემდნენ ჩაძირულ გემის ანძები,
იდგნენ და თვლემდნენ, როგორც
ყანჩები...
ან უბატონოდ ხმას ვინ გამცემდა
მომსწრეს და მოწმეს მზის გადარჩენის.

და თუკი ადრე არც მიკარებდა,
ახლა სამარეს პირისპირ შევხვდი,
სამარეს ცეცხლი ერტყა გარედან
და ყვავილები დავუწყე ფეხთით:

ჯარისკაცს ეცვა მწვანე ხალათი
და კი არ იწვა სამარის ფსკერზე,
არამედ იდგა და მუზარადში
პურის ნარჩენებს უფშვნიდა თევზებს...

და აი, თითქმის ოცი წლის მერე
ჩვეულებრივად თენდება დილა,
ჩვეულებრივად ბრჭყვიალებს მტვერი,
ჩვეულებრივად ცხელა ან გრილა.

ასე გავიდნენ ბავშვობის წლები,
მოვიდა ახალ წელთა ნაკადიც
და რასაც ახლა უბრალოდ ვყვები,
სულში ქვებივით მეწყო აქამდის.

რაც ირეცხება ქარით და წვიმით,
მას ჩვენი გულის ნაწილი მიაქვს
და ერთად შეკრულ ცრემლსა და ღიმილს
ადამიანის ცხოვრება ჰქვია.

დანაკარგს მალე ივსებს ბუნება,
მაგრამ უშვილოდ დარჩენილ დედას
ქარიც სხვა ხმაზე ეჩურჩულება
და ჩრდილშიც სულ სხვა რაღაცას ხედავს.

ერთად შეკონილ სიტყვას და საქმეს
ადამიანის ღირსება ჰქვია
და ის სამარეც,
როგორც სარკმელი,
მზისთვის ყოველდღე იქნება ღია.

გავიდნენ წლები და ისევ ისე
ჩვეულებრივად თენდება დილა,

ჩვეულებრივად ეძებენ მიზეზს,
როცა უდროოდ ცხელა ან გრილა.

მეც უკვე ვიცი ჩემი ბუნება:
ჯერ არაფერი არ მშურს სრულებით,
სიყვარულისგან ვარჩევ ცდუნებას
და მაინც მსხვერპლი ვხდები ცდუნების.

ფულსა და წუთებს ვერ ვიტან დათვლილს,
საგნებს სახელებს მე თვითონ ვარქმევ
და შემიძლია მეგობრის ხათრით
გვერდზე გადავდო პურიც და საქმეც.

მიყვარს ქვეყანა!
მიყვარს და ვუცდი,
როდის მოისხამს უდაბნო ყვავილს,
როდის მოიკრებს ძალ-ღონეს სუსტი,
რომ ვარსკვლავებში ამოჰყოს თავი.

მიყვარს ქარხნების მძლავრი გუგუნიც
და ფეთიანი მატარებლებიც
და მატარებლის გვერდით —
ფურგუნიც,
თავის პატარა ბედის მძებნელი.

მაგრამ ყველაფერს ჯობია ხალხი,
სხვადასხვა თვალის და სულის ხალხი;
ხალხი გასწავლის ყველაზე კარგად,
სიკვდილი რისთვის და როდის არ ღირს.

რაც მთავარია, დრო უნდა გეყოს,
რომ ჩაუკვირდე ცხოვრების მიზანს
და გაარკვიო:
ხმა ხარ თუ ეხო
უფრო თამამი და მძლავრი ხმისა.

დრო უნდა გეყოს,
დროც და მანძილიც,
რომ მოუძებნო სულს სასთუმალი
და იყო შენი ქვეყნის ნაწილი,
და არა წუთისოფლის სტუმარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაღვა ამისულაშვილი

ღექსები სვანეთზე

1. ჭუნირი

— ქვას აატირებს ჭუნირის ხმაო! —
უთქვამთ და მართლაც ასე ყოფილა.
ქვა ქვადვე დარჩეს,
აქ სხვაა კიდევ
გულის ფსკერიდან ამოსათქმელი:
ცხელი სიმები ცხენის ძუისა
რომ ასტეხავენ ზუილს ერთბაშად,
მგონია, კლდეზე ბაილ ბეთქილი
შუნს მისდევს,
მისდევს იფნის შვილდითა...
თვით ხემადესაც,
ამ სვანურ მიზრაფს,
ბაილ ბეთქილის შვილდად მოხრილ'ა —
ცხენის ძუა აქვს ლამბად გაბმული
და ისიც, ისიც სიმებად ზუის...
სიმებად ზუის,
და მეჩვენება:
ბგერების ნაცვლად ისრები სცვივა
და უსასრულო სევდასთან ერთად
გმირული სულის მოჰქრის გრიგალი...
ნუ გაანელებ, ძმაო ჩართოლან,
გულს, თონესავით გახურებულსა!
დაე, ისრების გამჭოლავ ზუილს
ცეცხლად მოედოს ცხენთა ჭიხვინი...
ნალ-უზანგების
გაბმულ წკრიალში
გამალევინე დრო და მანძილი,
რომ ცივგომბორთან დაბრუნებულსაც
არ მასვენებდეს შენი სვანეთი!..

☆ ————————

2. ფიჭვი

შუა ენგურში, როგორც კვარცხლბეკი,
ამაღლებულა ვეება ლოდი.
ლოდზე ძეგლივით
დგას ერთი ფიჭვი
და მართლაც ძეგლი მეგონებოდა,
რომ ნიავ-ქარზე არ ირხეოდეს...
წვიმებით ისე ჩამორეცხილა,
რომ არ ეტყობა
ლოდს მიწის მტვერიც.
მაშ ფიჭვმა ფესვი როგორ გაიდგა?
თუ გაიდგა და,
ასე ლიტაოდ
ვით აიყარა ტანი ცისაკენ?!
ბევრს ებადება ალბათ ეს კითხვა
და მეც
მათ რიცხვში
ვარ ჩასათვლელი...
და რა იქნება, მეც მეპატიოს
ეს გაოცება სვანეთის ცის ქვეშ?!

☆ ———————

3. ფრიალოებზე

ფხასიფრიფანა ფრიალოებზე
წვერწაგრაგნილი დგანან ხეები...
დგანან და
სველი, სველი ფესვები
ქვევით თასმებად გადმოუშლიათ.
ნიავის ერთი დაქროლება და,
ასე გგონია, სულ ერთიანად
ტრიალ-ტრიალით
წამოვლენ დაბლა
და ლოდნარებზე დაიმსხვრევიან...
მაგრამ ნიავი, ნელი ნიავი,
ან ნიავ-ქარი რა სათქმელია,
როცა გრიგალსაც უმკლავდებიან
და მიწის ბრუნვაც
არაფრად უჩანთ...
და დგანან ისევ, დგანან ურყევად
ფხასიფრიფანა ფრიალოებზე,
იქნებ მიტომაც, რომ ყოველ დილას
დაბლა
ენგურის გრგვინავს „ლილეო“...

☆ ———————

4. მწვერვალები

უშბა, თეთნულდი, შხარა და შხელდა,
ჩანს, იალბუზმა შეჰყარა ერთად,
თორემ მწვერვალებს,
ამ თეთრ მწვერვალებს
ვინ შეჰბედავდა კიდევ მეორე?!
მზე რომ სამზეოს გადასცილდება,
ჩრდილში რჩებიან სხვა მწვერვალები.
ჩრდილში რჩებიან
და სიზმრის ბადეს
ვერ უსხლტებიან გათენებამდე...
მხოლოდ მარტოდენ
უშბას და თეთნულდს,
მხოლოდ მარტოდენ შხარას და შხელდას
გადაჰფენიათ მზის ელვარება,
ო, გარდასული მზის ელვარება...
და თუ უშბაზე,
პირქუშ უშბაზე
თეთრი ღრუბელი მაინც ქანაობს,
რა მოხდა მერე, ქართველ გოლიათს
თუ ყაბალახი უყვარს ღრუბლისა?!

☆ ————————

5. სპილენძის ბუკი

რა სული ედგა ამის შთამბერველს,
ან რა ფილტვები ჰქონდა ნეტავი?!
აბა, ვაჟკაცი ისა ყოფილა,
სვანური ქუდიც მას ჰხურებია...
მზის არილივით ალაპლაპებულს —
დადუღაბებულ კოშკზე შემდგარი
ტუჩზე რომ ტუჩებს დაატოლებდა,
ალბათ მზესავით ღუოდა ისიც...
ახლა სვანური სპილენძის ბუკი
დადუმებული დევს მაგიდაზე
და პიონერებს, სვან პიონერებს
ეამაყებათ წარსული მისი...
— რა სული ედგა ამის შთამბერველს,
ან რა ფილტვები ჰქონდა ნეტავი?! —
ვამბობ და ღიმილს ვეღარ მალავენ
სვანეთის თეთრი გოლიათები...

☆ ————————

6. სალაშქრო დროშა

მუზეუმიდან გამოაქვთ დროშა,
ძველი, სვანური სალაშქრო დროშა,
და ყმაწვილს, წითელ ყელსახვევიანს,
ეუბნებიან: ჩაიბარეო!..
იბარებს ისიც, მკლავგარუჯული
გადიყრის უკან ბულულა ქოჩორს,
მერე გამოცდილ მედოღესავით
დასძრავს ბედაურს გახარებული...
დასძრავს ბედაურს გახარებული,
ქარს გაიყოლებს აწივლებულსა,
და მუზეუმის მტვერგაფანტული
ივსება ლხენით სალაშქრო დროშა.
ივსება ლხენით, მზით და ჰაერით,
მერე ლომივით აიყრის ფაფარს.
აიყრის ფაფარს, მაშ რა იქნება,
დროშა რომ ლომად შეუკერიათ...
დღეს დოღია და, პატარა სვანი
ამ ლომს მარტოდენ მას გადულოცავს,
ვინც მესტიაში თავის ბედაურს
ყველაზე ადრე შემოაჭენებს...
დროშის ტარია, თუ ლომის ტორი,
რაღას დაეძებს გამარჯვებული,
ოღონდ ხელმარჯვედ მოიგდოს ხელში
პატარა სვანის მიწოდებული...
მოიგდებს კიდეც... სვანების ტაში
და დაკვესებულ ნალების ტაში
ბედაურს, გზაზე აღვირაწყვეტილს,
ამ აღვირს უფრო ააწყვეტინებს...
მაგრამ იმ ჯილდოს, ლომად გარდაქმნილს,
მხედარი როდი დაისაკუთრებს:
გულს მოიჯერებს, — და მუზეუმში
მას გაისამდე დატოვებს ისევ...
და ძველი დროშა, სალაშქრო დროშა
კვლავ მუზეუმის მტვერს რომ იგემებს,
წამოიწევა ლომის ტორებზე
პატარა სვანთან გასაქცევადა...

☆ ————

7. ღამე იფარში

აი სვანეთის ერთი სოფელიც
ბალავრიანი ციხე-კოშკებით...
სიგანივრეში, სიხალვათეში
იგი სრულიად
არ ჰგავს სხვა სოფლებს...

ცის დასანახად ცერზე შემდგარი
მთებს კლდის მუჭაში მოუმწყვდევიათ
და ბედისაგან გაოცებული
დადუმებულა ბინდში საოცრად.
დადუმებულა
და ბნელ ხევიდან
რომ არ ისმოდეს ხმა მდინარისა,
შენც კლდის მუჭაში მოემწყვდეოდი
და მასთან ერთად დადუმდებოდი...
მაგრამ დუმილში,
ო, მის დუმილშიც
იგრძნობა ძალა, სიცოცხლის ძალა,
თორემ იფარში მცირე იფანთან
არ შესდგებოდი მგზავრი გვიანი.
ახლა ღამეა,
აბა ხვალ დილით
ნახე იფარი გაღვიძებული,
მთებს რომ გაარღვევს წითელპერანგა
გოგო-ბიჭების ჟრიამულითა...
აბა ხვალ დილით
ნახე იფარი,
იფარელების შნო და ლაზათი,
შნო და ლაზათი მარტოდენ მარტო
დოღში კი არა, ფიცხელ შრომაში...
ყური დაუგდე
დიდრონ მორებზე
ბირდაბირების მრავალჟამიერს,
რა დიდებული და რა უსაზღვრო
გადაგეშლება სანახაობა!..

☆ ————————

8. უშგულის გზაზე

ცხენს მოგიზგიზე ყაყაჩოები
ცეცხლს უკიდებდნენ გულავშარაზე
და წვრილყუნწიან ცისფერ დეზურებს
ვწყვეტდით უზანგზე შემოწვდენილებს.
ასეთი იყო მოლი, რომელიც
ჩვენ უშგულამდე შემოგვეგება...

რტოებს გვიქნევდნენ თეთრი არყები
ჯეირნებისგან დაკოცნილები.
ო, ტალეებივით ეყარათ ტანზე
ნატუჩარები მოალისფერო!
ასეთი იყო ის ტყე, რომელიც
ჩვენ უშგულამდე მოგვშრიალებდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალულდარაზე ვიწრო ბილიკი
ნასროლ ქამანდად იკლაკნებოდა.
უფსკრულზე ჩრდილებდაკიდებულნი
ჩვენ იმ ბილიკზე მივიჩქაროდით.
ასეთი იყო ის გზა, რომელიც
ჩვენ უშგულამდე გვამამაცებდა...

წყალს მილი ედგა მწვანე დიყისა
და სიხარულით ვუშვერდით ტუჩებს,
მერე დაწინწკლულ ბუერის ფოთლებს
თავზე ვირგებდით ქუდებივითა.
ასეთი იყო წყარო, რომელმაც
ჩვენ უშგულამდე დაგვაემბაზა...

ბოლოს უშგულის ციხე-კოშკებმა
ცად წარიტაცეს ჩვენი თვალები,
სად თამარ მეფის სააგარაკო
ზურმუხტის კონცხად აზიდულიყო,
სად მოლივლივე თეთრი ღრუბელი
ჩანდა თამარის თეთრონივითა...

და რომ ტყვიისფერ სახურავებზე
არ დაგველანდა რკინის ანძები,
ჩვენ ის ღრუბელი, თეთრი ღრუბელი,
ალბათ წარსულში გაგვიტაცებდა.
ასეთი იყო ის დღე, როდესაც
მგზავრებს მასპინძლად დაგვხვდა უშგული.

☆

9.5.57.

9. ვეფხვის დატირება

სვანს არასოდეს მოუკლავს ვეფხვი,
სვანს ვეფხვის სისხლი არ დაუღვრია,
თუ თვითონ ვეფხვი სადმე მიმავალს
არ დასცემია თავზე მეხივით...
და მართლაც ერთხელ
ბეჩო-მესტიის,
ბეჩო-მესტიის გადასავალზე
თაბი გოშთელანს ჭრელი დამხვდური
ვერხვის ტოტივით აუჩეხია...
მერე კი, მერე
გულაჩუყებულს
ჩაუცვამს მისთვის თავის პერანგი
და სხვებთან ერთად სვანური წესით
ვეფხვი ვეფხვურად დაუტირია:

— ღირსი ხარ
ორმოცჯერ დატირებისა,
ტანზეც ხომ ორმოცი გარტყია ზოლი.
გზა რისთვის შემიკარ,
შენი გზა გეძებნა,
შე სილამაზევ, თავზარდამცემო!..
გზა რისთვის შემიკარ
პიტალო კლდესთანა,
ბრტყელ ბეჭზე რისთვის დამარტყი ტორი.
ნადირთან გეომა,
მე რაზე მერჩოდი,
ვარსკვლავებივით შვილების პატრონს?!
ნადირთან გეომა,
იქნება ცოტახანს,
ცოტახანს მაინც გეცოცხლა ჩაუქს.
ხარ მუხლზე საკოცნი,
ტოლდაუდებელო,
შავ ყორანს შენზე არ გავახარებ...
წითელ პიტალოსთან
გაგიჭრი სამარეს,
ჩითის პირანგასაც თან ჩაგაყოლებ
და ჩემი წუხილი,
ცრემლად რომ გატყვია,
შუქად შეგყოლოდეს შავეთში შესულს!..

სვანს არასოდეს მოუკლავს ვეფხვი,
სვანს ვეფხვის სისხლი არ დაუღვრია,
თუ თვითონ ვეფხვი სადმე მიმავალს
არ დასცემია თავზე მეხივით...
დასცემია და
სამაგიეროც
არ ასცდენია იმავე წამში,
როგორც არ ასცდა ბეჩო-მესტიის,
ბეჩო-მესტიის გადასავალზე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ხოშვარია

მირზა გელოვანს

იმ დროს ვიგონებ, სათუთ პოეტს
როცა გხვდებოდი,
სიჭაბუკეში ფრთა ესხმოდა
შენს ნათელ მიზანს,
ჩუმი ღიღინით ლამაზ გამზირს
გაუყვებოდი,
რა დამავიწყებს შთაგონებულ
შენს სახეს, მირზა.

მეგობართ შორის მუდამ იყავ
უსაყვარლესი,
თვალთა ციმციმში ცის ლაჟვარდი
ისახებოდა,
შორეულ გზაზე წინ გიძღოდა
დედის ალერსი,
ნეტარ ოცნებით მომავალი
ისარკებოდა.

გახსოვს, სოფელში ფეხშიშველა
დასდევდი ურმებს,
ასე მეგონა, რომ ნიავიც
მოგერეოდა,
შენ კი შორ გზაზე,
ვარსკვლავებზე ფიქრობდი თურმე
და რა ვიცოდი, რომ მეომრის
ხვედრი გელოდა.

რამდენი დედა სასოებით
ჩვილ ყრმას აკვანში
უმღერის ლექსებს, იყვეს შენებრ
სახელოვანი.
ბელორუსიის თბილ მიწაში,
სოფელ რჟავკაში
სიწყნარეა და მოძმეთ შორის
წევს გელოვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაღე ბობოხიძე

ჰქუხს საათნავა

ბრძოლაში დასცეს თბილისის კართან
და მგოსნის სისხლი მიწას დააჩნდა;
მაინც ვერ ფარავს სიკვდილის კალთა,
კვლავ ჟღერს ხმატკბილი მისი ქამანჩა.

კვლავ ისმის ტრფობის სიმღერა ნაზი,
თითქოს სიცოცხლე ახლად იწყება;
ბულბულის ხმაზე გვიგალობს საზი
მეგობრობას და თავდავიწყებას.

რაც დრო გავიდა, ამაღლდა უფრო,
უფრო გაბრწყინდა, უფრო განაზდა;
დღეს მთელ მსოფლიოს ზეიმზე უხმობს
და სიყვარულით უკრავს საზანდარს.

ჰქუხს საათნავას ხმა მოუღლელი.
ლექსი მართალი და ჭკვიანური
და სამი ერის ძმობას უმღერის
ქამანჩა, საზი და ჭიანური...

ეროვნული ბიბლიოთეკა



თემრაზმა მეორე ცოლი შეირთო. შეშფოთდა ბათუ კალანდარიას ოჯახი, ჩაფიქრდა ოჯახის მეთაური. თემრაზი მისი უმცროსი ვაჟი იყო. ყველაფერი ერთმანეთს გადაეხლართა და აი, სანამდე მივიდა საქმე!..

ბათუს დიდი ოჯახი ჰქონდა. სამი შვილი: ნესტორი, თემრაზი და თათუშა თბილისში ცხოვრობდნენ, შალვა — სოფელში, ნინა სამურზაყანოში ჰყავდა გათხოვილი. ყველაზე უფრო ნესტორისა სწამდა, მისი იმედი ჰქონდა. ნესტორი უფროსი ვაჟი იყო. ბათუსავით მასაც უყვარდა ცხენი და იარაღი. როცა სოფელში ჩამოვიდოდა, ბათუს ცხენს შავ დღეს აყრიდა. ცხენზე მშვიდად ჯდომა არ შეეძლო, კისერს რომ მოუგრეხდა, ფოლადის ნალებს ცეცხლს რომ გაუჩენდა, აქლოშინებულს ჭიშკართან რომ მოაგდებდა, ბათუს ულვაშებში ეღიმებოდა — რა ვაჟკაცი მომესწროო; მხოლოდ ეგ იყო, ნესტორი ბოლო დროს სოფელში ვეღარ ჩამოდიოდა, არ ეცალა.

თემრაზი ჩამოდიოდა, მაგრამ რად გინდა: მისი მშვიდი, აწონილ-დაწონილი ყოფაქცევა ბათუს გულზე ხეთქავდა. ღვინის სმა თემრაზს არ უყვარდა და ცხენზე ჯდომა, იარაღს ხომ მასთან ვერ ახსენებდით. ბათუ ამბობდა: დედას ჰგავსო, მაგრამ თემრაზი არც დედას ჰგავდა.

ბათუს სოფელში კარგი ოჯახი ჰქონდა. ოჯახში ყველაზე საწყალი შვილი — შალვა დატოვა. დატოვა კი არა, დარჩა. არ ისწავლა და უსწავლელი კაცი სად გამოდგებოდა. ელენე ამიტომ ეძახდა „საწყალს“ — თავის დღეში წელგაუმართავი იქნებაო. კოლმეურნეობაში ყველა მცირესაზღაურიან საქმეს შალვა აკეთებდა. იცოდნენ, დავას არ დაიწყებდა, ერთს რომ ეტყოდნენ, საკმარისი იყო. შალვა ამბობდა: ვიღაცამ ხომ უნდა გააკეთოსო და მიდიოდა. მუშაობდა მუდამ ერთგულად.

ცხენი არც შალვას უყვარდა — უყვარდა ხარი, ძროხა და ძაღლი. კატა ჭირისდღესავით სძულდა. დედისა ეხათრებოდა, თორემ სახლში როგორ გააჭაჭანებდა. სამაგიეროდ ძაღლი კუდში დასდევდა, — მონადირე კი არა, ჩვეულებრივი უჯიშო ძაღლი. სათოხარში რომ მიდიოდა, ძროხა თან მიჰყავდა; ყურშა ყანამდე მიაცილებდა, ერთს შემოურბენდა ყანას და შინ ბრუნდებოდა. საღამოს, როცა შალვა თოხნას მორჩებოდა, გამაძღარ ძროხას წინ გაიგდებდა და შარაგზას დაადგებოდა, შუა გზაზე კუდის ქიცინით დახვდებოდა ყურშა. შალვა მიუალერსებდა, გახარებული ძაღლი ხტუნვას დაიწყებდა. მერე შინისაკენ

მშვიდად მიდიოდნენ შალვა, გამაძღარი ძროხა და ყურშა.

— მოვიდნენ, — იტყოდა ბათუ კალანდარია.

— შვილო, ყველაზე ადრე მიდიხარ და ყველაზე გვიან უნდა დაბრუნდე? — უსაყვედურებდა ელენე.

ბათუ სამზადის წინ დაჯდებოდა და ყალიონს გააბოლებდა. ელენე სამზადში დაფაცურობდა. შალვა თუთის ქვეშ, პირდაპირ მწვანეზე მოკალათდებოდა.

— არ გაცივდე, ბიჭო, დაღამდა, — იტყოდა ბათუ კალანდარია.

ასე მშვიდად ცხოვრობდნენ კალანდარიები, ვიდრე პირველი რძალი არ შემოვიდა ოჯახში. პირველი რძალი ნესტორის ცოლი იყო. ნესტორი ახალი დაწინაურებული იყო სამსახურში, როცა მივლინებით გამოგზავნეს რაიონში. დიდი პატივით შეხვდნენ. გუშინდელი საკალანდარიოელი ბიჭი დღეს რაიონს ამოწმებდა. ბათუს უხაროდა, შვილით ამაყობდა — ამხელა რაიონის შემოწმება დიდი ნდობა იყო. თავის საქმეს მორჩა თუ არა, ნესტორმა შინ წასვლა დააპირა, მაგრამ როცა ეტლში ჯდებოდა, მასთან მივიდა ჭარმაგი კაცი და უთხრა:

— გამარჯობა, შვილო, შენ მე არ მიცნობ, მაგრამ მამაშენი კარგად მიცნობს, ჩვენ მეზობლები ვართ, იქნებ გაგიგონია კიდეც თემყვა ვახანია... მამაშენის მეგობარს ეცი პატივი, ჩვენი რაიონიდან სტუმარი ასე უპატივცემულოდ არ წასულა, ნუ მოგვჭრი თავს... წამოდი ჩემსას, ეზო-კარი დამილოცე...

— ნუ გაუტეხთ ხათრს, პატივცემულო ნესტორ, გთხოვთ, ყველანი გთხოვთ! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— მე ხომ სტუმარი აღარა ვარ. მამაჩემთან წავალ და დავისვენებ, ასე არ სჯობია?

— როგორც გნებავთ, მხოლოდ ჩემი სახლიდან თქვენს სახლამდე ორიოდე კილომეტრია, ცოტა ხანს დარჩით და მერე ბათუსთან მეც წამოვალ, — თქვა თემყვა ვახანიამ. ნესტორი ეტლში ჩაჯდა და თემყვა გვერდით მოისვა. ეტლი დაიძრა.

ნესტორს ღვინო რომ მოეკიდებოდა, ამჩატდებოდა, ავიწყდებოდა ყველაფერი, თავდაკარგული ქეიფობდა. მაშინაც ასე მოხდა: დილამდე იჯდა მაგიდასთან, სვამდა, მღეროდა, გაახარა თემყვა ვახანიას ოჯახი, მაგრამ დილით ოჯახის მამა კიდევ უფრო გაახარა და გააოცა — გვერდით გაიხმო და უთხრა: შენი ქალიშვილი მომწონს და ახლავე ცოლად უნდა შევირთოო. თემყვამ თქვა: მოვიფიქროთ, მოვილაპარაკოთ, ქალს ვკითხოთო. ნესტორმა არავის არ აცალა მოფიქრება და ყოყმანი. ვერ გადაათქმევინეს, ვერც გადაადებინეს. მწყერივით მშვიდი და გოგმანა ფაცია ნესტორმა თბილისში წაიყვანა. ფაცია მაშინ მე-9 კლასის მოსწავლე იყო. თბილისში სწავლის გაგრძელება ვერ მოახერხა და უსწავლელი დარჩა.

ეს ამბავი ელენეს თავიდანვე არ მოეწონა: რა გვჭირდაო, მოსატაცებელი თემყვა ვახანიას რა ჰყავდაო. ვახანიები ასეთები და ასეთები არიანო, სად ჩვენ და სად ისინიო.

ელენე გვარიშვილობით ამაყობდა. ვახანიებს, გადელიებს, კალანდარიებსაც კი დასცინოდა. მამამისი ფარსადან გაბუნია კარგი ოჯახიშვილი ყოფილა: ქუთაისში ორსართულიანი სახლი ჰქონია, კულაშსა და სამტრედიაში ნავთის სავაჭროები, ბანძაში მამულები. ფარსადანი ქუთაისში მდიდარ კაცად ითვლებოდა. შემდეგ ცუდად წაუვიდა თურმე საქმე, თანდათან ყველაფერი დაკარგა, მშრალზე დარჩა, ბოლოს გალოთდა და ისე დაკნინდა, სოფელ-სოფელ დაჰყავდათ ქორწილებში მოცეკვავედ. შოლტივით მოქნილი, შავ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მოხუცი მექორწილეებს მოხდენილი ცეკვით ართობდა... ჰაიტ, ჰაიტ, ფარსადანაო, გაჰკიოდნენ ეშხზე მოსული მთვრალები და საწყალ მოხუცს მთელი ღამე აცეკვებდნენ. მთვრალი მოცეკვავე ვერ გრძნობდა, როგორ იღლებოდა, როგორ ითენთებოდა და მხოლოდ მაშინ შეწყვეტდა ცეკვას, როცა

გონდაკარგული დაეცემოდა. და აი ერთ-ხელ, გამთენიისას ეზოში ცეკვის დროს, დაეცა, ქვას დაჰკრა თავი და მოკვდა.

სამარცხვინოდ მოკვდა აზნაურიშვილი. ეს ამბავი სოფელში იცოდნენ და როცა ელენე გვარიშვილობით ტრაბახს მოჰყვებოდა, მაშინვე პირში მიახლიდნენ...

ბათუს უხაროდა, მისი ვაჟები დროზე რომ დაცოლშვილდნენ. მათაც ისე შეირთეს ცოლი, როგორც ბათუმ: არავისთვის არ უკითხავთ, მოჰკიდეს ქალს ხელი და შინ წაიყვანეს. ბათუს ეს მოსწონდა: მამაკაცი მამაკაცი უნდა იყოს, ცოლი შენთვის მოგყავს და სხვას ჭკუას რად ეკითხებიო?..

ბათუს ელენესთვისაც არ უკითხავს, უნდოდა თუ არა გათხოვება. ყველა ქალს უნდა გათხოვება და ყველა კაცს ცოლის შერთვა, მაშ რა არის სადავო და საკამათო?! მოახტა ცხენს და წავიდა ქუთაისში. გაბუნიები დაუკავებდნენ ბათუ კალანდარიას ქალს?!

კაცი დღედაღამ ცხენზე იჯდა. ცისქვეშ იძინებდა. დააქროლებდა ლაფშას ცხენისწყლის ჭალებში და დამბაჩის სროლაში ვარჯიშობდა.

რომელი გაბუნია დაუდგებოდა წინ ბათუ კალანდარიას. მთელი სამეგრელო და სამურზაყანო ამბობდა, ტყვია არ ეკარებაო. ცხენზე რომ იჯდა, გეგონებოდათ, ცხენიანად გაფრინდებაო. ცხენს მათრახს რომ დაჰკრავდა, ორი კვირა ზოლი ემჩნეოდა.

რომელი გაბუნია დაუდგებოდა წინ ბათუ კალანდარიას!..

ზაფხულის ერთ საღამოს ბათუმ თავის ჯარგვალში შეიყვანა ნაბადში გახვეული გულწასული ელენე. მას შემდეგ ერთად არიან: ჯარგვალი ოდა-სახლად იქცა, მოტიტვლებული ეზო — ბაღად. ახმაურდა ეზო, ახმაურდა ოდა, გაჩნდა ძაღლი, კატა, ხარი, ძროხა, ხბო, თიკანი. ოდა-სახლის აივანზე მერცხალმა ბუდე გაიკეთა. მოღონიერდა ვენახი და ცას მიაწვდინეს კენწეროები ღობე-ღობე ჩარიგებულმა აკაციებმა. არ დაბერებულა კაკლის ხე და დაბერდა ბათუ კალანდარია. დამშვიდდა ბათუ. წლები ულმობელი ყოფილა—სადღაა ის გახელება და თავდავიწყება. მისი დამბაჩა და მაუზერი ჟანგმა შეჭამა, მისი ცხენი ჭალაში დასეირნობს. დრო გამოიცვალა. მის შვილებს ან არ აინტერესებთ იარაღი, ან არა და ხუთი აქვთ, ყველა ისეთი, ბათუს რომ არასოდეს უნახავს, საათის ჯიბეში რომ შეინახავ, გულის ჯიბეში რომ შეინახავ, პრიალა, კოხტა, ლამაზი. სულ სხვანაირად ფიქრობენ ბიჭები და სულ სხვანაირად — ბათუ. აბა, მითხარით, სასაცილო არ არის, ბათუ კალანდარიას შვილი ბაზრობაზე ველოსიპედით მიდიოდეს?! შალვას ცხენს ველოსიპედი ურჩევნია, კვირაობით დილიდან ემზადება ბაზარში წასასვლელად, გამოიტანს ველოსიპედს, უკირკიტებს და უკირკიტებს, გაწმენდს, გაასუფთავებს, გამოეწყობა, მოახტება „ორბორბლიან ეშმაკს“ და მიდის. ბათუს ბევრჯერ უნახავს, ველოსიპედი მხრით რომ მოჰქონდა შალვას. უადგილო ადგილას გაგიფუჭდება, მოიკიდე მერე რკინა და ათრიე — აი, შენი ველოსიპედი! შალვა მამას არ ეკამათება, ცხენი ჯობია თუ ველოსიპედი. მე ველოსიპედი მირჩევნიაო — ამბობს. ბათუმ ერთი ხმამაღლა რომ შეუძახოს, შალვას ველოსიპედს გადააგდებინებს, მაგრამ არ უნდა. ცხვარივით კაცია შალვა. მშობლებისთვის კარგი შვილი, ოჯახის მოყვარული, მშრომელი. ბათუ შალვას ვერ აწყენინებს. პატარაობიდანვე ასეთი იყო: ჩუმი, წყნარი, ნაღვლიანი, ბათუს მისთვის არასოდეს ხმამაღალი სიტყვა არ უთქვამს. ნესტორი რამდენჯერ მათრახით უცემია, თემრაზისთვისაც ბევრჯერ შეუხურებია ყურები, თათუშასთვისაც, ნინასთვისაც. შალვა კი, შალვა სხვა არის. დღე და ღამე მუშაობს, დღე და ღამე მიწას ჩაშტერებია. კვირაობით კი ველოსიპედით ბაზრობაზე მიდის. ნესტორი სანამ სოფელში იყო, მთელი სოფელი ნესტორზე ლაპარაკობდა. პირველ კომკავშირელებს მეთაურობდა, ყოველთვის ვიღაცას ებრძოდნენ. სოფლის კლუბში იკრიბებოდნენ, ცხარედ კამათობდნენ, ვიღაცას

ნოდარ წულეისკირი
თეთრი მთა

ამუშავებდნენ, ზოგს კომკავშირიდან რიცხავდნენ, ზოგს იღებდნენ. შემდეგ სოფელში ამბობდნენ, ბათუ კალანდარიას შვილი ან ძალიან დიდი კაცი გახდება, ანდა თავს დაიღუპავსო. თემრაზიც აქტიური კომკავშირელი იყო, ოღონდ უფრო ფრთხილი, უფრო ეშმაკი. თემრაზი არ შეებრძოლებოდა ისეთ კაცს, რომელიც მოერეოდა, საქმეს ყოველთვის ისე აკეთებდა, რომ თვითონ მეტი სარგებლობა ენახა. შალვა სულ არ ჰგავდა ძმებს. აღარ ისწავლა, ხარ-ურმის სიყვარული დაიჩემა. თითქოს მთოხნელად დაიბადაო, თავიდანვე მიწას მიენდო, უღელს ხარივით შეუშვირა კისერი და დიდი ოჯახის მოვლა-პატრონობა იტვირთა. ცოლიც ისეთი მოიყვანა, როგორიც თვითონაა— წყნარი, კეთილი, შრომისმოყვარე. უთენია წამოხტება და ჯარასავით დატრიალდება. სამზადის წინ საკენკით კალთასავსე რომ გამოდგება, აჭყვირებული ღორები და მოქოთქოთე ინდაურები კუდში რომ დასდევენ, „ჯი, ჯი"-ს ძახილით სამეზობლოს რომ გააღვიძებს, მეზობლები გულში ნატრობენ: ღმერთო, კალანდარიებისთანა რძალი ჩემს ოჯახშიც შემოუშვიო.

შემდეგ თვალების ფშვნეტით გამოდგებიან აივანზე ელენე და ქვაცაცი, ერთმანეთს შეხედავენ და კმაყოფილებით იღიმებიან. ელენე გახარებულია: ქვაცაცის რომ ქალი შეეწყობა, ყოჩაღ, ქალო! ქვაცაცი შინაბერაა, ბათუმ ობოლი ძმისშვილი შინ მოიყვანა და გაზარდა. ელენეს შეეჩვია ქვაცაცი. ახლა ერთმანეთი თავს ურჩევნიათ. მხოლოდ ეგ არის, აღარ გათხოვდა და გაკაპასდა. ბათუ ფიქრობდა, ვინმე ოჯახის კაცს მივათხოვებ და დავისვენებო, მაგრამ ნურას უკაცრავად! ქვაცაცემ ყველა სასიძო დაიწუნა, ბათუმაც ვერ დააძალა და ჩარჩა ქვაცაცი ოჯახში. ელენეს შვილების აღზრდაში ეხმარებოდა, საოჯახო საქმე სულ მის კისერზე გადადიოდა, კოლმეურნეობაშიც მუშაობდა; მუშაობდა, როგორც ოჯახის ნამდვილი წევრი. ბიჭებს ყველას „ჩემს გაზრდილს" ეძახდა და მათგან მშობლიურ პატივისცემას მოითხოვდა. თინიკო როცა შალვას მიყვებოდა, ეუბნებოდნენ, კალანდარიების ოჯახში რძალს გაუჭირდება: ორი დედამთილი დახვდებაო. თინიკო შეეგუა ორდედამთილიანობას, რადგანაც ოჯახს მეთაურობდა კაცი, რომელიც უწესოსა და ურიგოს არც უფროსსა და არც უმცროსს არ აპატიებდა. აბა ოჯახის რომელიმე წევრს გაებედა და არ გაეკეთებინა ის, რასაც ბათუ ბრძანებდა. ოჯახში კი არა, სოფელში არ მოიძებნებოდა კაცი, რომელიც ბათუს სიტყვას დააგდებდა. როცა ბათუ ხმას აუწევდა, ოჯახის ყველა წევრი გაიტრუნებოდა: გვიბრძანე, ბატონო, და გავაკეთებთო. მაგრამ ბათუმ არ იცოდა უსაფუძვლოდ ყვირილი. ხშირად ამბობდა ხოლმე — ისეთი ბრძანება არ უნდა გასცე, რომელიც არ შესრულდებაო.

პირველი რძლების შემოსვლამ ოჯახში აყალმაყალი გამოიწვია, მაგრამ ბათუს წარბიც არ შეუხრია: სხვა ოჯახში აღზრდილი ადამიანი ოჯახს უნდა შეჩვეოდა, სხვა ბუნებისა და თვისებების ადამიანებს შეგუებოდა. ოჯახში რძლის მოსვლა ყველგან ასეაო, — ფიქრობდა. მაგრამ როცა გაუთავებელმა ჭორაობამ შედეგი გამოიღო და განაწყენებულმა ნესტორმა თბილისიდან წერილი მოიწერა, ბათუ ძალიან გაბრაზდა. ერთ დღეს ელენეს და ქვაცაცის შავი დღე აყარა, გამოუცხადა: თუ ფაციას სახელი კიდევ გიხსენებიათ, ორივეს თავს წაგაჭრითო. ელენე გადაირია, დავბერდი ქალი და ასეთი რამ ქმარს ჩემთვის არასოდეს უკადრებიაო. ბათუმ ცოლს სიტყვის შემობრუნება არ აცალა, ისე დაუყვირა, ოდა-სახლის კედლებმა ზანზარი დაიწყო. ეს იყო და ეს. ელენეს და ქვაცაცის რძლების აუგი მას შემდეგ აღარ წამოცდენიათ. ყველაფერი რიგზე იყო. კმაყოფილი იყვნენ კალანდარიები. თათუშასა და ნინას ოჯახებიდანაც კარგი ამბები მოდიოდა. შალვას უკვე სამი შვილი ჰყავდა, თათუშას ოთხი, ნინას ხუთი, თემრაზს ერთი. მხოლოდ ნესტორი გამოერია უშვილო. ბათუს 13 შვილიშვილი უკვე ჰყავდა და გულს ამით იიმედებდა. ნესტორი ებრალებოდა. თვითონ ნესტო-

რი კი უშვილობას დიდად არ წუხდა. ჯერ ახალგაზრდაა და არ იცის შვილის ფასი, — ამბობდა ბათუ.

■

ბათუ თბილისში სულ ორჯერ ჩამოვიდა, პირველად თემრაზის სტუდენტობისას და მეორედ ახლა. მატარებელი ჭირივით ეჯავრებოდა. როცა იგი სადგურში კივილით შემოვიდოდა და ქვეყნის ხალხი ბუზივით აირეოდა, ბათუს ნერვები ეშლებოდა. ქალაქში თავი ციხეში ეგონა. ათასნაირი წესი უნდა დაეცვა, ქალაქი ბათუს უჩინარი ბორკილებით ზღუდავდა და ამიტომ სულ აწრიალებული დადიოდა. ქუჩაში ფეხს არ აუჩქარებდა. როცა მამაკაცები მანქანის შიშით გადასასვლელზე გადარბოდნენ, ბათუ იცინოდა — კურდღლებს არა ჰგვანანო?! ვიდრე ყველა მანქანა არ ჩაივლიდა, ადგილიდან არ დაიძროდა — თავს შეურაცხყოფილად იგრძნობდა, თუ იმ მამაკაცებივით შეშინებულ კურდღელს დაემგვანებოდა. ერთი საათით რომ გასულიყო ქალაქში, შინ უსათუოდ ნერვებაშლილი ბრუნდებოდა, ან ვიღაც კაცი არ მოეწონებოდა, ან კონდუქტორი, ან შოფერი, ან საკუთარ თავზე განაწყენდებოდა — ასე რატომ მოვიქეცი.

პირველად თბილისში რომ ჩამოვიდა, ისეთი დღე დაადგა, სამარემდე ემახსოვრება. თბილისი არ ენახა და ისე ჩამოვიდა, გასასეირნებლად. ნესტორმა დაიჟინა: თეატრში უნდა წაგიყვანო, ჩემს უფროსს გაგაცნობო.

დიდი ამბავია თეატრში, დიდი ხალხია, ბათუს ამდენი ხალხი ერთად ხონში თუ უნახავს ბაზრობაზე. კიბეზე ადის ბათუ, ბიჭები გვერდით მიყვებიან. „მარმარილოს კიბეა", — ფიქრობს და მშვიდად ადის, ჩოხა-ახალუხი აცვია, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი უკეთია და წელში ლარივით გამართული მიქანაობს. ბიჭები ქონდრისკაცებივით მისდევენ, სიმაღლეში მამას არც ერთი არ დაემგვანა. ვეებერთელა დარბაზში შევიდნენ, ყველაფერი ზღაპრულად განათებულია. ბიჭებმა ბათუ სადღაც შეიყვანეს, ვიწრო გასასვლელი გაიარეს და ვიღაცა ხნიერ კაცს წარუდგინეს. ხნიერმა კაცმა ბათუს ხელი ჩამოართვა, ნესტორს გაუცინა და უთხრა:

— რა ახალგაზრდა მამა გყოლია, ბიჭო...

ნესტორი უხერხულად შეიშმუშნა.

„ეს არის ალბათ უფროსი", — გაიფიქრა ბათუმ და ჩია კაცი ჩაათვალიერა.

უფროსი აღფრთოვანდა.

— რამდენი წლის ბრძანდებით... ვისოვიჩია? — ჰკითხა მან ნესტორს.

— „ყარამანოვიჩ", — უჩურჩულა ნესტორმა.

— რამდენი წლის ბრძანდებით, ბართლომ ყარამანოვიჩ? — ჰკითხა უფროსმა ბათუს.

— ბართლომე არ მქვია, ბატონო, ბათუ მქვია... ორმოცდაათისა გახლავართ.

— ბათუ, ბართლომე ორივე ერთია, — თქვა უფროსმა. — ტოლები ვყოფილვართ. თქვენ რა კარგად გამოიყურებით, — მან ბათუს მკლავში ხელი გაუყარა და კვლავ იმ ნათელ დარბაზში გამოვიდნენ. ნესტორის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ფოიეში უამრავი ხალხი ირეოდა. ჩოხა-ახალუხიანი კაცი მაშინ თბილისისათვის უცხო არ იყო, მაგრამ ჭარმაგი კაცის ახოვანი გარეგნობა მოსწონდათ, ვინც ახლოს ჩაუვლიდა, აკვირდებოდა. ბათუ ამას ამჩნევდა და თავს უხერხულად გრძნობდა. უფროსმა ბათუ მეუღლეს წარუდგინა, ხალხი ახლა ბათუს შემოეხვია. ზოგი უფროსის ხათრით დაინტერესდა ბათუს პიროვნებით და კითხულობდა, ვინ არის, საიდან ჩამოვიდაო. ნესტორი და თემრაზი მამას თავს ევლებოდნენ, თვალებგაბრწყინვებულები თავიანთ მეგობრებს აცნობდნენ. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი რამ: როცა მეორეჯერ დარეკეს ზარი, როცა ხალხით გარშემორტყმულმა ბათუმ დიდ სარკეებს ჩაუარა, უეცრად ფეხი დაუცურდა თუ ხალიჩას

წამოსდო, დაეცა. ძალიან სასაცილოდ დაეცა, ორივე ფეხი გაუსრიალდა, შებარბაცდა, ხელები აღმართა და იმისთანა ზღართანი მოადინა, ვიღაცამ იკივლა კიდევაც. ნესტორი მივარდა და წამოყენება სცადა. ბათუმ შვილის ხელი მოიცილა, სწრაფად წამოხტა და სატევარი იძრო.

— მამა, მამა, რა მოგივიდა! — შეჰყვირა ნესტორმა, გამოჰგლიჯა ხელიდან სატევარი. ბათუ გაფითრებული იდგა და ხალხს ისეთი თვალით შესცქეროდა, თითქოს მათ შორის დამნაშავე ეგულებაო. თვალის გასწორება ვერავინ შეძლო. მოვარდა თეატრის ადმინისტრატორი, დირექტორი, მილიცია.

— არაფერი, ბატონო, შემთხვევით მოხდა, — თქვა ნესტორმა, სწრაფად მოიკრიბა გონება, თემრაზს უთხრა, მამა გარეთ გაიყვანე და მეც ახლავე გამოვალო. თვითონ ადმინისტრატორთან მივიდა და მტკიცება დაუწყო, შემთხვევით მოხდაო. არავინ არ იცოდა, რა მოხდა, რატომ გაბრაზდა მოხუცი, რატომ იძრო სატევარი.

როცა ხალხი გაიფანტა და ყველანი დირექტორის კაბინეტში შეიკრიბნენ, ნესტორი უფროსს გამოუტყდა:

— ეჰ, ბატონო, ეგ საოცარი კაცია, თავის თავს გაუბრაზდა, როგორ თუ სირცხვილი ვჭამეო.

შემდეგ ბათუ კალანდარია თურმე მთელი ერთი თვე დადიოდა გაბრაზებული, საკუთარი თავისა და მთელი ქვეყნიერების წინააღმდეგ ამხედრებული: როგორ თუ დავეცი.

რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ... ბათუ თბილისში კაცს არ უნახავს. ახლაც არავინ არ ელოდა, მაგრამ ბათუს შინ რა გააჩერებდა! — თემრაზმა მეორე ცოლი შეირთო. ბათუს ეს არ მოსწონდა. თავის თავს არ ჰკადრებდა შვილის პირად საქმეში ჩარეულიყო, ოღონდ შვილიშვილის ბედი აწუხებდა. თემრაზს პირველი ცოლიდან ორი წლის ბიჭი ჰყავდა და სოფელში იზრდებოდა. უდედოდ დარჩენილ პატარა გურამს კალანდარიები თავს ევლებოდნენ. თემრაზსაც ძალიან უყვარდა შვილი, მეორე ცოლის შერთვამდე სოფელშიც ხშირად აკითხავდა.

*

თემრაზის მეორე ცოლი ოდესღაც მდიდარი ვაჭრის ნოე სიმონიშვილის შვილი იყო, პროფესიით გინეკოლოგი, 28 წლისა, ნაქმარევი და უშვილო. თემრაზი მეორე ცოლის შერთვას არ ფიქრობდა, მაგრამ ელისომ აფიქრებინა. მარტოდ დარჩენილი მამაკაცი ელისომ თავის ხუთოთახიან ბინაში მიიყვანა. ქალს ყველაფერი ჰქონდა, რისთვისაც ზოგი ადამიანი მთელი სიცოცხლე იბრძვის — ბინა, ავეჯი, ფული, ცოტაოდენი ძვირფასი სამკაული. თემრაზი ელისომ გააოცა — მოურიდებლად, თამამად ექცეოდა. თემრაზს ასეთ ქალებთან ურთიერთობა არ ჰქონია და პირველად არ მოეწონა.

— ეს ყველაფერი მამაჩემმა დამიტოვა, — უთხრა ერთხელ ელისომ. — მშვიდი ცხოვრება მენატრება, თუ გინდა, სულ ნუ იმსახურებ, მე ისეთი პროფესია მაქვს, ლუკმა პური არ გაგვიჭირდება. ოღონდ ნურავის ნუ შეებრძოლები, შინ კრებებსა და მიტინგებს ნუ გამიმართავ. ნუთუ ეს ძნელია, ნუთუ არ შეიძლება წყნარად ვიცხოვროთ?!

როცა საკუთარი „ფილოსოფია“ ქალმა ასე პირდაპირ უთხრა, გაუკვირდა. ელისოს ყველა მეგობარი და ახლობელი გაიცნო, ჩვეულებისამებრ ასწონ-დასწონა, იფიქრა, იფიქრა და მესამე სართულზე ელისოს ხუთოთახიან ბინაში გამოიჭიმა. ელისო ქმრისა და ოჯახის მოყვარული გამოდგა: თემრაზს ხელისგულზე ატარებდა, უბატონოდ ხმას არ სცემდა. თემრაზი ამას არ მოითხოვდა, მაგრამ ელისოს ასე უნდოდა, — მკაცრი ქმარი ესახელებოდა. ოღონდ ეთქვა და უჩინარს გააჩენდა, შეუძლებელს შეძლებდა, ჩიტის რძეს არ მოაკლებდა. ქმრის ნათესაობასაც დიდ პატივს სცემდა, მხოლოდ ყველასაგან მტკიცედ მოითხოვდა, მის ოჯახში არ ეხსენებინათ თემრაზის პირველი ცოლი — ლამარა. ყველაფერი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ლამარას უკავშირდებოდა, აღიზიანებდა, ნერვებს უშლიდა. როცა ელისო გაბრაზდებოდა, მაშინ სულ სხვა იყო. მაშინ იგი ვერ ამჩნევდა ქმარს, სტუმარს, ქალს, კაცს, ყოვლად საზიზღარი და მყრალი სიტყვები ამოსდიოდა პირიდან, თითქოს ხმაც უბოხდებოდა და რაღაც მაჯლაჯუნას ემსგავსებოდა.

თემრაზი ერთ ხანს განიცდიდა ამ ამბავს, მაგრამ მერე შეეჩვია. ლამარას სახელს თემრაზი არ ახსენებდა,—ეგ არ იყო მთავარი. გულდასაწყვეტი ის იყო, ელისოს გურამიც არ უნდოდა, ლამარას შვილს მე კამფეტებს სოფელში არ ჩავუტანო. გაზრდაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. უთანხმოების, ნერვების აშლისა და ისტერიკის მიზეზი ყოველთვის გურამი იყო. წელიწადში ორჯერ თუ ჩააკითხავდა ხოლმე თემრაზი, ხოლო როცა ელისოს შვილი ეყოლა, გურამი თემრაზსაც გადაავიწყდა.

აი, რამ დააფიქრა ბათუ კალანდარია. ახლა გონიერი მოქმედება იყო საჭირო. ჩამოვიდა თბილისში და თემრაზს მოელაპარაკა: შვილო, ხომ ხედავ, საქმე როგორ წაგვიდა, ელისოსთან გურამი ცოდვა იქნება, ჯერ ბავშვმა არაფერი არ იცის, აქედანვე უნდა ვიზრუნოთ მისი მომავლისთვის, მოდი, ორი საქმე ერთად გავაკეთოთ: შენ შვილი გყავს, მომავალში კიდევ გეყოლება, ნესტორი უშვილოა, უბედურია. რაღა სხვა, ძმისშვილი იშვილოსო. შეთანხმდნენ. ელისო სიხარულით ცას ეწია. ჭკვიანმა კაცმა ასე მარტივად გადაჭრა ელისოსათვის ურთულესი და უმძიმესი საკითხი. თემრაზსაც უხაროდა: ოჯახური მყუდროება აღიდგინა და, რაც მთავარია, შვილი უმტკივნეულოდ მოიშორა. ნესტორს ხომ უხაროდა და უხაროდა: გურამი მას ძმისშვილებსა და დისშვილებში ყველას ერჩია. გურამისთვის სულ ერთი იყო, ვინ რას ლაპარაკობდა, არხეინად დაბაჯბაჯებდა ბაბუამისის ფართო ეზოში და ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედამიწა ქალამნად.

ნესტორი და ფაცია გურამის სანახავად ორჯერ ჩამოვიდნენ, ჩამოუტანეს სათამაშოები, კამფეტები, ათასნაირი ტკბილეული, მაგრამ ბავშვი არც ერთს არ მიეკარა. ბებიის კალთას მიეკრა და იქაურობა ტირილით აიკლო. ელენემაც ბევრი ცრემლი დაღვარა: ალბათ გულმა უგრძნო, წაყვანა უნდათო. აი აქეთ, აი იქით, იკამათეს, იდავეს: რაოდა, ჩემი შვილი თბილისში უნდა გაიზარდოსო, მაგრამ ელენემ თქვა: ბავშვს ხომ არ მოვკლავთო. ქვაცაციმ თქვა: ბავშვი ისედაც შელახულია, ჩვენ ძლივს შევიჩვიეთ, ახლა კვლავ ახალმა გარემომ შეიძლება ჯანმრთელობა შეურყიოსო. ბათუმ თქვა: რადგან ასეა, ფაცია ცოტა ხანს ჩვენთან დარჩეს, ბავშვი შეეჩვევა, შეიყვარებს და მერე წაიყვანეთ, რა გვეჩქარებაო.

ეს აზრი ყველას მოეწონა. ფაცია სოფელში დარჩა. ნესტორმა გეგმები დააწყო: თბილისში რომ ჩავალ, გურამისთვის მანქანას ვიყიდი, ცხენს ვიყიდი, მოსკოვიდან ჩამოვატანინებ სათამაშოებსო. ფაცია ცალკე აწყობდა გეგმებს. ელენე იმას დარდობდა, გურამთან დაშორებას რა გაუძლებსო. მართალია, გურამს გარდა შალვას სამი შვილი ჰყავდა გასაზრდელი, მაგრამ გურამი განსაკუთრებულად უყვარდა, უდედოდ დარჩენილი ებრალებოდა და თავს ევლებოდა.

გურამ კალანდარია

ჩემი და ჩემი ბიძაშვილების ერთადერთი სადარდებელი ის იყო, რომ ბურთი არ გვქონდა. ბურთს ყოველდღე ვეღოდი. ბუნდოვნად მახსოვს, მამა შემპირდა: ახლა ვერ გიყიდე, მალე ჩამოვალ და ჩამოგიტანო. დიდხანს ვეღარ ჩამოვიდა და მისი სახე სრულიად გადამავიწყდა. ბაბუაჩემის ოთახში ახალგაზრდა კაცის გადიდებული სურათი ეკიდა. ბაბუა ხელს მომკიდებდა, სურათთან მიმიყვანდა და მეტყოდა: „აი შვილო, მამაშენი“. მე სურათს დიდხანს ვუყურებდი და მერე ბაბუას ვეკითხებოდი:

— ბაბუა, მამა როდის ჩამოვა?

— მალე ჩამოვა, შვილო.

— ბურთს ჩამომიტანს?

— ჩამოგიტანს, უსათუოდ ჩამოგიტანს.

— რატომ აქამდე არ ჩამომიტანა?

ბაბუა მეუბნებოდა, რომ მაღაზიაში ბურთები არ იყიდება, რომ ბურთისთვის ახლა არავის სცალია, რომ მერე, ცოტა ხნის შემდეგ გამოუშვებენ დიდ, ძალიან დიდ ბურთებს. „ცოტა ხნის შემდეგ“ რას ნიშნავდა?..

— გათენდება, დაღამდება, გათენდება, დაღამდება, კიდევ გათენდება, კიდევ დაღამდება და გათენდება, — მეუბნებოდა ბაბუა.

მე მაინც ველოდი ბურთს. ასე მეგონა, მამაჩემი თუ ჩამოვიდოდა, ბურთს ჩამომიტანდა. დიდი ბურთის მოლოდინში მთელი დღე ჭინჭის ბურთს დავსდევდი. მაშინ დიდი ბიჭებიც კი ჭინჭის ბურთით თამაშობდნენ ან დაბეჟილი „ციტრუსით“ (ტრიფოლიატის ნაყოფს ციტრუსს ვეძახდით), მაგრამ მოხდა ჩემთვის სრულიად მოულოდნელი რამ: ერთ მზიან დღეს, როცა ბავშვები კაკლის ჩრდილქვეშ ვისხედით, ჭიშკართან დიდი ეტლი გაჩერდა.

— სტუმარი მოვიდა, — თქვა ზურიამ და წამოხტა. ყველანი ჭიშკრისკენ გავიქეცით. სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა მამაკაცმა ხელში ამიტაცა და მაკოცა. სამზადიდან ბებიამ გამოიხედა, ოდის აივანზე ბიცოლა გადმოდგა, შეგვხედა და ბებიას დაუძახა:

— დედა, დედა, ნესტორი მოვიდა.

ბებია ხელებგაშლილი შეგვეგება, მოვიდნენ თინიკო ბიცოლა და ქვაცაცი დეიდა, ვენახიდან გამოვიდა ბაბუა. მამას ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, უამრავ შეკითხვას აძლევდნენ: საიდან მოდიხარო, სულ ჩამოხვედიო, აბა, ისევ უნდა წახვიდეო? ავად ხომ არა ხარო?..

უცხო კაცი რომ დაინახა, აყეფდა ქვაცაცის ბუნგლია. ხმაურით ავედით კიბეზე. წინა კიბით ოდაში ქვაცაცი დეიდა არავის არ უშვებდა, — იატაკს დამისვრითო. მაგრამ ახლა ხომ ვერაფერს გვეტყოდა! — უფროსებს ჩვენც მივყევით: მე, ზურია, თამაზი და ქეთინო. უეცრად მამაჩემი დაწინაურდა, სასტუმრო ოთახი გაიარა და უკანა ოთახს მიადგა. ყველანი გაჩუმდნენ და ამოიოხრეს. მე მივხვდი, რატომ მოხდა ეს, რატომ ერთი არ გაუცინია ბაბუას, როცა მამა ნახა. იმ ოთახში ავადმყოფი დედა იწვა. იქ ბავშვები არ შევდიოდით, არ შეიძლებოდა. ყოველდღე ბებია კართან მიმიყვანდა, გააღებდა და დედაჩემს დაუძახებდა: აი, შვილო, შენი გურამიო. მე ვიდექი და შევცქეროდი დედას, რომელიც სულ გაყვითლებული იყო. დედა საწოლიდან ხელს მიქნევდა, მიცინოდა და ტიროდა. მე არ ვიცოდი, რაში იყო საქმე, რატომ იცინოდა დედაჩემი ან რატომ ტიროდა.

მამა აივანზე გამოვიდა და ცრემლები ცხვირსახოცით შეიმშრალა. ბაბუამ თავი ჩაღუნა და დიდხანს იყვნენ გაჩუმებულები.

— ახლა მე უნდა წავიდე, — თქვა ბოლოს მამამ.

— მცხეთასთან დგახართ, არა? — ჰკითხა ბაბუამ.

— ხვალიდან აღარ ვიქნებით მცხეთაში, ფრონტზე მივდივართ.

— წადი, შვილო, ითამაშე! — მითხრა ბაბუამ. მე მინდოდა მომესმინა, მამა რას იტყოდა, თამაშს მერეც მოვასწრებდი. ფეხაკრეფით ჩავედი კიბეზე და იატაკის ქვეშ შევძვერი.

— ხომ ყველაფერი გარკვეულია, საავადმყოფოში დააწვინეთ, ბავშვები მაინც არ დახოცოთ, ბედი არა მქონია, — უთხრა მამამ ბაბუას: დიდხანს არავის არ ამოუღია ხმა.

— თუ რამე საშუალება მაქვს, შვილო, არაფერს დავაკლებ, — ჩაერია საუბარში ბებია. — რძე, კვერცხი, შემწვარი წიწილი ყოველდღე აქვს. რად გინდა — არ ჭამს. რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე...

— უსაშველო არაფერია, — თქვა ბაბუამ, — რამდენი კაცი ვიცი, ჭლექიანია, მაგრამ კარგი წამლობით და მოვლით ცოცხლობენ, მუშაობენ კიდეც.

— რაღაც ახალი წამალი გამოსულა, რა ქვია? — ბებიას არ გაახსენდა წამლის სახელი.

— სულფიდინი, — შეახსენა ბიცოლამ.

— ეგ წამალი ჭლექს არ შველის...

გაფაციცებით ვუსმენდი. ნუთუ ყველაფერი ეს მართალი იყო... ნუთუ დედაჩემს არაფერი ეშველებოდა? სულ იმ ოთახში უნდა ყოფილიყო გამოკეტილი? მერე, მერე რა მოხდებოდა?.. ამის წარმოდგენა აღარ შემეძლო.

— თემრაზისა ხომ არაფერი იცი? — ჰკითხა ბაბუამ მამას.

— თემრაზმა საქმე გამოიწყო, შეიძლება დარჩეს.

— ჩვენ სულ არ ვახსოვართ, არა?..

— პირიქით, შემპირდა, ოჯახს მე მივხედავო.

— მეტი არაა ჩემი მტერი, — ჩაერია საუბარში ბებია, — იმ ქალმა გადაიბირა, ჩვენთვის აღარ სცალია.

— შალვა რას იწერება?

— კარგად ვარო, ხომ იცი მისი ამბავი, რომ კვდებოდეს, მაინც კარგად ვარო, იტყვის.

— ეჰ, ეტყობა ომი გაგრძელდება, — თქვა მამამ და ამოიოხრა.

— ამერიკელები არაფერს არ აპირებენ? მოვიდა გერმანია და ეგ არის! — უთხრა ბაბუამ.

მერე დედა ერთხელაც აღარ ლხსენებიათ, არც თემრაზ ბიძია, არც შალვა ბიძია. დიდხანს საუბრობდნენ. ბოლოს მამა ყველას გამოემშვიდობა, მე ხელში ამიყვანა, მაკოცა და უკანმოუხედავად წავიდა. ბებია, ბიცოლა და დეიდა ქვაცაცი ტიროდნენ, ხმამაღლა ტიროდნენ. ბაბუა იდგა და მამას შესცქეროდა, იგი ძალიან ჩქარი ნაბიჯით გაშორდა ჩვენს ჭიშკარს.

მე გავიქეცი, იატაკის ქვეშ შევძვერი, აგურის მაღალ ბოკონს ამოვეფარე და ჩუმად ავტირდი. საიდანღაც ზურია და თამაზი გამოძვრნენ. მათ თხილით გამოეტენათ უბე, ცერის სიმსხო თხილს გაჭირვებით ტეხავდნენ, თხილისგულით მუჭს ივსებდნენ და მერე ერთად იყრიდნენ პირში.

— ნახე, რა კარგი თხილია, — მითხრა ზურიამ.

— ვინ მოგცა?

— თეოფილე ბიძიამ.

მდელოზე დავჯექით და თხილს შევექეცით. მე მაინც სულ მამაზე ვფიქრობდი. მამას ბურთზე არაფერი უთქვამს, მეც ვერ შევეკითხე, ვერ შევეკითხე იმიტომ, რომ ძალიან ეჩქარებოდა. ხელში ვეკავე და ხან ბაბუას ელაპარაკებოდა, ხან ბებიას, ხან ბიცოლას, ხან დეიდა ქვაცაცის. ისეთი დაღვრემილი იყო, როცა მკოცნიდა, თვალები სულ ცრემლით ევსებოდა. აბა, როგორ მეკითხა, ბურთს როდის ჩამომიტან-მეთქი?

მალე დეიდა ქვაცაციმ დაგვიძახა, ხომ ხედავთ, დაღამდა, მოდით, ივახშმეთ, დაიბანეთ და დაწექითო.

ვახშმის მოლოდინში სამზადში შუაცეცხლს შემოვუსხედით. ჩვენი ვახშამი, როგორც ყოველთვის, „ნახშირიანი ღომი“ იყო — გაფიცხებულ ღომს ნახშირიანს ვეძახდით.

ბებიას ნაკვერცხლებზე ფიცხინია შემოედგა და სადილზე მონარჩენი ღომის ნაჭრები შემოეწყო. იქვე ქოთნით რძეც იდგა, მაგრამ ზედაც არ ვუყურებდით, ჩვენ ვიცოდით, რომ რძეს დედაჩემისთვის ადუღებდნენ, დედა ნახშირიან ღომს ვერ შეჭამდა. საღამოს ყოველთვის „ნახშირიანი ღომი“ გვქონდა, დილით უშაქრო ჩაი, მანდარინის ჯემი და შავი პური. მანდარინის ჯემი ძალიან მოგვწონდა, ბევრს ვჭამდით. საღამოობით ბაბუა, ბებია, დეიდა ქვაცაცი და თინიკო ბიცოლა იშვიათად შემოუსხდებოდნენ ტაბაკს — სადილზე მონარჩენი სულ ჩვენი იყო.

— ქვაცაცი, ეყოფა მაგ ღომს, გადმოღე ბავშვებს, — უთხრა ბებიამ დეიდა ქვაცაცის.

— ცოტა ხანი კიდევ იყოს, დეიდა ქვაცაცი, გეხვეწებით, კიდევ იყოს, — დაეღრიჯა ზურია. მაგრამ დეიდა ქვაცაციმ არ გვისმინა: სად მცალია, მთელი ღამე თქვენს ღომს ვუყურო, დაგვიდგა ტაბაკი, ზედ ღომის ნაჭრები დაყარა, გაგვაფრთხილა: ბევრი ღომი, ცოტა ყველიო — და ჭურჭლის რეცხვა განაგრძო.

ჩვენ ხმაურით შევუდექით ჭამას. თუ ბაბუა სადმე ახლოს არ იყო, ჭამის დროს ვთამაშობდით, ვიცინოდით, ვლაპარაკობდით. მოხდა უჩვეულო რამ, უეცრად თამაზმა ჭამა შეწყვიტა, წამოდგა, არ მინდა ნახშირიანი ღომიო — გამოაცხადა და კუთხეში აიტუზა, გაიფხორა, გაიბუზა, ცხვირი ჩამოუშვა და ბურტყუნი დაიწყო.

— დეიდა ქვაცაცი, შეხედე, რა უზრდელია, ჭამას თავი დაანება, — ვთქვი მე, მაგრამ დეიდა ქვაცაცი ფიქრებში იყო და ყურადღება არ მოგვაქცია. მე მივხვდი, თამაზმა რატომ შეწყვიტა ჭამა და გავბრაზდი: იგი სამფეხზე შემოდგმულ რძეს უყურებდა.

— მოდი ჩქარა, ჭამე საჭმელი! — ვუთხარი ხმამაღლა.

— ალ მინდა... — ჩაიბურტყუნა მან და მთლად კუთხეში მიიყუჟა. წამოვხტი და შევეცადე ძალით წამომეყვანა. როცა გაჭირვეულდა, თავში ჩავუფართხუნე. თამაზმა ტირილი მორთო. ზურია ვერ იტანდა, როცა ვინმე თამაზს ხელს გაარტყამდა, მე ეს ვიცოდი, მაგრამ ყველაზე უფროსი ვიყავი და ზურიასაც ვერეოდი. როცა თამაზი ატირდა, ზურია წამოვარდა, ისიც ატირდა და ყელში მეცა:

— რატომ ცემე თამაზი!.. რატომ ცემე ჩემი თამაზი!..

ხმაურზე ბებია შემოვარდა.

— რა მოგივიდათ, რა ამბავია! — დაგვიცაცხანა და დეიდა ქვაცაცის უსაყვედურა: — შე ქალო, ბავშვებს ვერ მიხედე, ერთმანეთს რომ ხოცავენ?..

გავჩუმდით და კვლავ მივუჯექით ნახშირიან ღომს, თამაზი მაინც არ დაჯდა.

— რა ვქნა, დავიღალე, ელენე, აღარ ვარ ქალი... ამათი ზირზირის თავი არა მაქვს, — უთხრა დეიდა ქვაცაცემ.

— რა იყო, რატომ არ ჭამ საჭმელს, ბებია გენაცვალოს? — მოეფერა ბებია თამაზს. — ვინ აწყენინა ამას?

— არავინ, — ვუთხარი ბებიას და ზურიას შევხედე. ზურიამ თავი ჩაღუნა.

— რატომ არ ჭამ საჭმელს, ბებია გენაცვალოს? — გაუმეორა ბებიამ.

— ნახსილიანი ღომი ალ მინდა, — სლუკუნ-სლუკუნით თქვა თამაზმა.

— კარგი, შვილო, ნუ ტირი... დაწყნარდი... მე მითხარი, რა გინდა და ახლავე გაგიკეთებ.

თამაზმა არ თქვა, რა უნდოდა. ჩვენ ვიცოდით, რომ ის კერძი, რომელიც ავადმყოფისთვის მზადდებოდა, არამც და არამც არ უნდა მოგვეთხოვა. თუ დედა გაიგებდა, რომ ჩვენ არ ვსვამდით რძეს, არ ვჭამდით კვერცხს, მერე თვითონაც არ შეჭამდა, განერვიულდებოდა, იტირებდა და იმ საღამოს სიცხე აუწევდა. დედას ეუბნებოდნენ, რომ ჩვენ ყველაფერი გვქონდა, ჩვენ ეს ვიცოდით და ვითმენდით.

თამაზი პატარა იყო, გვიან მიხვდა, რომ დააშავა და ამიტომ არ ამბობდა, რა უნდოდა.

— მე ვიცი, რაც უნდა.

— რა უნდა, შვილო, მითხარით და გადამარჩინეთ, — გვითხრა ბებიამ.

— რძე!...

ბებიამ ქვაცაცი დეიდას შეხედა.

— გადმოუსხი ცოტა, მანდ არის ფინჯანი, — უთხრა ბებიამ ქვაცაცი დეიდას.

— ისედაც ცოტაა, ავადმყოფს არ ეყოფა.

— არა უშავს, ცოტა, სულ ცოტა გადმოუსხი და წყალს გავურეცი.

ბებიამ თამაზი კალთაში ჩაისვა. დეიდა ქვაცაცემ წყალნარევ რძეში ღომი ბლომად ჩაუფინჩხა და ფინჯანი ბებიას და თამაზს წინ დაუდო. გარეთ ქვაცაცის ბუნგლია აყეფდა და ეზოში ჭრიალით შემოვიდა ურემი. უკვე კარგად დაბნელებულიყო.

— მოვიდა, ქვაცაცი, ჭრაქი მიაშველე, მანდ საქათმესთან დაცალეთ!

ბაბუამ ურმით ჩალა მოიტანა.

*

დრო გადიოდა. მამა წერილს იშვიათად იწერებოდა. დედა ერთ დღეს ძალიან ცუდად გახდა. ჩვენი სახლი მეზობლებით აივსო, მოიყვანეს სათვალიანი ექიმი. ბაბუა ამბობდა, სახლს გავყიდი, ყველაფერს გავყიდი, ოღონდ ფაციას ეშ-

ველოსო. მართლაც, რაც დედა ავად გახდა, ოჯახში თუ რამ გვეშალა, ყველაფერი გავყიდეთ. ბაბუა ძალიან წუხდა, როცა დეკეულს, ან ინდაურს, ან ქათმებს გასაყიდად გავამზადებდით. ბებიას სულ ტყუილუბრალოდ უჯავრდებოდა.

— რა მოგვიდა, ბათუ ბატონო, — ეუბნებოდა ბებია. — მე რა დაგიშავე, ომი მე არ დამიწყია, რა ვქნა, ფული გვჭირდება, ამდენ ხალხს ჭამა უნდა, სმა უნდა, ხომ ხედავ, ავადმყოფი გვყავს.

ერთადერთი ცხენი გვყავდა — ქარიში. ერთი ცხენი ოჯახს ჭირდებოდა და ამიტომ არ გავყიდეთ. სამაგიეროდ ეზოში რაც დიდი აკაცია იყო, სულ დაჭრეს და კოლმეურნეობაში წაიღეს ახალი ფარდულის ასაშენებლად. კოლმეურნეობამ გასამრჯელოდ ბევრი სიმინდი მოგვცა, იმ წელიწადს კვირიკობის თვეში ჭყინტი სიმინდის მჭადი არ გამოგვიცხვია.

ქარიში არ იყო მუშა ცხენი.

სწრაფად სუქდებოდა, ჭალაში თუ გავუშვებდით, ერთ კვირაში ბურთივით დაგვიბრუნდებოდა. დაგვიბრუნდებოდა კი არა, ორ ღამეს მინდორში რომ გაატარებდა, კაცს არ მიიკარებდა, სასროლით დასაჭერი გაგვიხდებოდა, — უეცრად იცოდა გაველურება. თუ კაცი მარჯვედ და ყოჩაღად არ მოახტებოდა, ჩამოაგდებდა. ჩვენს სოფელში მხოლოდ ორი კაცი უძლებდა ხოჭოსფერი ქარიშის თავაწყვეტილ ქროლვას. ესენი იყვნენ ბაბუა და ვალა მეეტლე. ვალა მეეტლე ამბობდა, არაბული ჯიშისააო, ბაბუა ამბობდა, არაბული კი არა, ბადა ხაინდრავას ჭაკის შვილიაო.

ვალა მეეტლე ბაბუას ძალიან უყვარდა. როცა ცხენს დაღავდა ან ხედნიდა, ვალას დაიბარებდა, მის მეტს გაუხედნავ ცხენთან არავის მიუშვებდა. ვალა ძალიან პატარა კაცი იყო, ისედაც დალეულ თავპირზე ნაბდის ქუდს რომ დაიხურავდა, გეგონებოდათ, სოკოს აუდგამს ფეხიო. დადიოდა ნელა, აუჩქარებლად, საათში ორ სიტყვას თუ იტყოდა, იმასაც ზლაზვნით, უსიცოცხლოდ. უცხო კაცი არამც და არამც არ დაიჯერებდა, ვალა ცხენთან ახლოს მისვლას თუ გაბედავდა. მისი მშვიდი, უწყინარი თვალები აუღელვებლად შესცქეროდა ადამიანსაც, ცხენსაც და ტრაქტორსაც. ხოლო როცა უზანგში ფეხის წვერს შედგამდა, ყველა კაცზე თამამად დააქროლებდა ცხენს.

ქარიში ვალას საკუთარი ცხენივით უყვარდა. როცა ბაბუამ უთხრა, ქარიში ორთვალასთვის უნდა გამახედნიოო, ვალამ კინაღამ იტირა. სხვა გზა არ გვქონდა. ქარიში ცალუღს უნდა შეჩვეოდა. მერე გუთანში შევაბამდით. ხარი კი სოფელში ცოტა იყო. კოლმეურნეობის ყანები რჩებოდა მოუხნავი და ეზოებს ვინ დაგიდევდათ. განსაკუთრებით ჭირდა თესვა — ხარებისთვის საკვები არასდროს არ გვყოფნიდა. უკვე თებერვალში ჩალას წამლადაც ვერ იშოვიდით. ნაზამთრალი, უჭმელ-უსმელი ხარები უღელს ვერ ეწეოდნენ, მისავათებულები პირდაპირ კვალში წვებოდნენ. თუ უღლიდან არ გამოხსნიდი, რაც არ უნდა გერტყა, არ გაინძრეოდნენ. ჩვენ ერთი ჰექტარი მიწა გვქონდა. უნდა მოგვეხნა, დაგვეთესა, ქარიშს უნდა ეტვირთა ეს საქმე. ბაბუა, ქვაცაცი და თინიკო კოლმეურნეობაში აღამებდნენ. ქარიში ოჯახს მხარში უნდა ამოსდგომოდა. მე მესამე კლასში ვიყავი, ბაბუა კი „დიდს“ მეძახდა. უკვე მარტოს მიშვებდნენ წისქვილში, ჭალაში, ბაზარში. რაც შემეძლო, ვშრომობდი. ქარიშიც ასე უნდა მოქცეულიყო, რადგან მარტო ბაბუა ვერაფერს გახდებოდა. ეს არ ესმოდა ქარიშს. როცა მე, ბაბუამ და ვალა მეეტლემ ცალუღის მორგება მოვუნდომეთ, არ დაგვემორჩილა, ვალას „დრრ, დრრ“ აღარ ისმინა, დაფეთდა და ყალყზე შედგა. ბაბუამ მათრახი გადაეჭირა, ცხენი მთლად გადაირია, გაიწია და ეზოში გაგვექცა. ცალუღი თვალისდასანახავად აღარ უნდოდა. ვალა ბიძია ნელნელა მიუახლოვდებოდა, ეფერებოდა, ეფერებოდა, ფაფარში ხელს შეუყოფდა, გაფართოებულ თვალებსა და სწორ ცხვირზე ხელისგულს ფრთხილად უთათუნებდა, დაამშვიდებდა, დააწყნარებდა.

ნოდარ წულეისკირი

ბაბუას ახლოს არ უშვებდა, შენ მაგის ნერვები არა გაქვსო. მე მეტყოდა, ცალუღი მომაწოდეო; ქარიში ღვედებიან ცალუღს თვალს რომ მოკრავდა, აცახცახდებოდა, სუნთქვას უმატებდა, გაგიჟებული თვალებით დასცქეროდა. ვალა ბიძია განაგრძობდა ფერებას და „დრრ, დრრ“-ს ეუბნებოდა. ქარიში ნელ-ნელა უკან-უკან იხევდა და გადამწყვეტი ნახტომისათვის ემზადებოდა. ვალა ბიძია მანიშნებდა, რომ მეც ნელ-ნელა მივახლოვებოდი ცხენს. მე მეშინოდა და ძალიან ნელა ვუახლოვდებოდი. ვალა ბიძიას იმედი მქონდა, მაგრად ჰყავდა ჩაბღუჯული ქარიში. ბაბუა შორიახლოს იდგა და ჩვენს წვალებას უყურებდა. ვიცოდი, რომ ბაბუა საცაა იფეთქებდა და ქარიშს შავი დღე დაადგებოდა, მინდოდა როგორმე ჩქარა მოგვერგო ცალუღი. ქარიში მეცოდებოდა, ბაბუა როცა გაბრაზდებოდა, ცხენს დაუნდობლად სცემდა. სულითა და გულით მინდოდა, როგორმე ქარიშს ვალასთვის დაეჯერებინა. როგორც ყოველთვის, ბაბუამ არ აცალა ვალას, აღვირი ხელიდან გამოჰგლიჯა — „დრრ, დრრ“ არ უნდა ამასო და მათრახის ტარი დაუშინა ცხვირპირში. ქარიშმა ბაბუა გაიტაცა და კინაღამ ხეს მიახეთქა. მე შემეშინდა, თვალები დავხუჭე. ხმაურზე ქალები გამოცვივდნენ. შეიქნა ზრიალ-ზრიალი. ბაბუას აღვირი ხელზე დაეხვია და გაგიჟებულ ცხენს თვალებს უბრიალებდა, ემუქრებოდა, ორივენი ქშინავდნენ და ცახცახებდნენ.

— შევიყვანოთ ბნელ ოთახში. აქ ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ, — თქვა ბაბუამ და აღვირს ხელი გაუშვა. ქარიში გაიქცა და ღობეს შეასკდა—გადახტომა უნდოდა. მე გავიქეცი და ქარიში სამზადისაკენ შემოვაბრუნე. იმ ოთახს, რომელსაც ბაბუა „ბნელს“ ეძახდა, ფანჯარა არ ჰქონდა. მე, ბაბუამ და ვალა ბიძიამ ქარიში გაჭირვებით შევიყვანეთ ბნელ ოთახში. ბაბუამ და ვალა ბიძიამ კარი ჩაკეტეს. ჩვენ გარეთ დავრჩით.

— რას უზამენ ქარიშს? — მკითხა დამფრთხალმა ზურიამ.

გულისფანცქალით ველოდით, რას უზამდნენ. ყველამ თავი კარს მივადეთ და გავისუსეთ. ბნელ ოთახში სრული სიწყნარე იყო. „მოდი, აქედან მოდი“, გავიგონეთ უცებ ბაბუას ხმა. „უჰ, შეგჭამა მგელმა!“.. ამ ხმას მოჰყვა ბრახუნი და მათრახის ტყლაშუნი. „ფრთხილად, ბატონო ბათუ...“ — „სწრაფად წამოაცვი, ჰო!“ — „უჰ, შენი... ო, ჰო, ჰო!“ — „რა იყო, რა მოგივიდა?“ — „ფეხი დამაბიჯა... შეგჭამა მგელმა!...“. ამ სიტყვებს ზედიზედ მოჰყვა მათრახის ტყლაშუნი და ისეთი ბრახუნი, გეგონებოდათ, კედელი გამოინგრაო. მერე კვლავ სიწყნარე ჩამოვარდა. კარი გაიღო და ბაბუამ ცხვირპირდასისხლიანებული ქარიში გამოიყვანა. ცალუღი ეკეთა და დაფეთებული თვალებს აბრიალებდა.

— გამიღე ჭიშკარი! — მითხრა ბაბუამ. აცახცახებულ ქარიშს ახლა ორთვალა აფრთხობდა. ვალა კვლავ ეფერებოდა და „დრრ, დრრ“-ს ლოცვასავით უმეორებდა.

როგორც იქნა, შეაბეს. ბაბუამ აღვირი ვალას არ დაანება. ჭაბუკივით ახტა კოფოზე და ვალას უთხრა, მომეცალეო.

— მათრახი არ დაარტყა, ბატონო! — შეევედრა ვალა. მას ახლა ცხენის დარდი კი არ ჰქონდა, ეშინოდა, მოხუცი სადმე არ მიესრისა ქარიშს.

როგორც კი ცხენმა ცალუღი იგრძნო. შეტორტმანდა, ბაბუამ აღვირი გამართა. ქარიში უკან-უკან წავიდა და ცალუღი თავზე აახტა.

— ჰა... აჩუ!.. — დაუძახა ბაბუამ და აღვირი ზურგზე ფრთხილად დაჰკრა. ქარიშმა თავი მოიდრიკა, უფრო სწრაფად დაიხია უკან და ორთვალა თუთას შეასკდა.

— შეგჭამა მგელმა!.. — შესძახა ბაბუამ და მათრახი ისე დაჰკრა ზურგზე, ცხენი ტყვიასავით გაიჭრა ეზოში. მოვასწარით ერთხელ დაგვეძახა „ხო... ხო... ხო!..“ და თავზე გვეტაცა ხელი, ბაბუამ ორთვალა უვნებლად გაატარა ჭიშკარში.

შარაგზაზე მტვრის კორიანტელი დადგა. კვირა საღამო იყო. გზაზე ხალხი მიდიმოდიოდა.

— რა ამბავია, ვალა, ბათუმ რატომ გასწირა თავი ამ სიბერეში, — დაგვიძახა თავისი ჭიშკრიდან თეოფილე ბიძიამ.

— რა ვიცი, არ დამიჯერა, გაბრაზებულია, ხომ იცი მაგისი ამბავი!.. — ვალა ხელების ქნევით წავიდა თეოფილე ბიძიასკენ.

ბებია, ქვაცაცი დეიდა და თინიკო ბიცოლა შეშინებულები მოადგნენ ჭიშკარს.

— დაიღუპა კაცი და ეგ არის, — წრიალებდა ბებია, — გამიმწარა სიცოცხლე...

— მოდის, მოდის! — დაიძახა ზურიამ და თეოფილე ბიძიას ჭიშკრიდან ჩვენსკენ გამოიქცა. ქარიში თავაწეული მოჰქროდა.

— ყოჩაღ, ძმაო, ნახე, რა ჭაბუკივით ზის! — თქვა თეოფილე ბიძიამ.

— ჩიტივითაა, ას წელიწადს გაძლებს.

ბაბუამ ქარიშს კისერი მოუგრიხა და გაჭირვებით გააჩერა ჭიშკართან. ჩამოვიდა, წინ გაუძღვა და ეზოში შეიყვანა.

— გაჭირვება შევარცხვინე, თორემ ამის კისერზე ცალუღს რა უნდა, — თქვა თეოფილე ბიძიამ. ქარიში ოფლში იყო გაღვრილი. ლაგამთან ნაბრძოლს ცხვირპირიდან დუჟი სდიოდა. ბაბუამ კისერზე ხელი მოუსვა, მოეფერა და გამოხსნა. გრილი საღამო იყო. ბაბუა, ვალა და თეოფილე ბიძია ოდა-სახლის წინ, ჩვენს დიდ ქვის კიბეზე ჩამოსხდნენ და საუბარი გააბეს.

ქარიშს ცხვირიდან სისხლი აღარ სდიოდა და მე მიხაროდა...

შემდეგ მე და ბაბუა ორთვალით ორჯერ წავედით ხონში სიმინდის საყიდლად, სამჯერ ბანძის ბაზარშიც ვიყავით. ქარიშს ცალუღი უკვე აღარ უკვირდა. გუთანსაც შეეჩვია. ჩვენი ერთი ჰექტარი მიწა ორ დღეში მოხნა, ცალუღი არ გაუტეხია, მშვიდად, წყნარად მოხნა. ბაბუას ყოველთვის ცალუღის გატეხვისა ეშინოდა, რადგანაც ხონში ძალიან ძვირად ფასობდა. ახლა ქარიშს წყალს მე ვასმევდი, მე ვაბალახებდი, საქმე იქამდისაც მივიდა, ერთ დღეს შიოველი ფეხი მუხლზე მივაჭირე, შევხტი, ზურგზე მოვებღაუჭე და გაჭირვებით ავბობღდი, აღარ განძრეულა. ამხედრებული რომ მნახეს, ბიჭებს ძალიან გაუკვირდათ და მთელ სოფელს გააგებინეს.

ქარიში გახდა, ჩამოხმა, ზურგზე ერთი მტკაველი ძვალი დაადგა. როგორც კი დროს ვიშოვიდი, ვაბალახებდი, მაგრამ იმდენს ამუშავებდნენ, ბალახი აღარ უშველიდა. ქვაცაცი დეიდა მიბრაზდებოდა, ძროხა აბალახეო. დედაჩემი კი წუხდა, ჩემი ხმა რომ არ ესმოდა, — მე ხმამაღლა ვმეცადინეობდი, შევძვრებოდი იატაკის ქვეშ, იმ ოთახს დავუპირდაპირებდი, სადაც დედა იწვა. არითმეტიკასაც კი ხმამაღლა ვსწავლობდი. დედა ხშირად მიბარებდა და თვალცრემლიანი მიხსნიდა, რომ სწავლა საჭირო იყო, რომ მხოლოდ ხუთებზე უნდა მესწავლა. მე ვიდექი ღია კარში და როგორც კი დედას თვალცრემლიანს ვნახავდი, თავს ჩავღუნავდი, თვალები ცრემლით ამევსებოდა, მინდოდა შევვარდნილიყავი ოთახში, მის ლოგინთან დავჩოქილიყავი და ფიცი მიმეცა, კარგად ვისწავლი-მეთქი. რამდენჯერაც დედა დამიბარებდა, ყოველთვის ასეთი სურვილი მებადებოდა, მაგრამ ვერ ვბედავდი. ვიდექი გაჩუმებული, გაშტერებული. მერე დედა მეტყოდა, წადი, ახლა, შვილო, იმეცადინეო. მეც კარს ფრთხილად მივხურავდი და წამოვიდოდი. დედასთან არავინ ტიროდა; ბებია და დეიდა ქვაცაცი, როცა ცრემლი მოერეოდათ, გარეთ გამოდიოდნენ, იტირებდნენ, იტირებდნენ, გულს მოიოხებდნენ, თვალებს კარგად ამოიწმენდდნენ და დედასთან გაღიმებულები შედიოდნენ. ავადმყოფისათვის ცრემლი არ უნდა გვეჩვენებინა.

სკოლაში კარგად ვსწავლობდი, ქარიში ხელს არ მიშლიდა, დედაჩემს ტყუილუბრალოდ ეშინოდა. ხელს მიშლიდა კი არა, ქარიშმა შრომა შემიმსუბუქა; წის-

---

ნოდარ წულეისკირი

თეთრი მთა

ქვილში საფქვავი ქარიშს მიჰქონდა, ბაზარში ქარიშს მივყავდი, სოფლის ნახირის მომწყემსვაში ქარიში მეხმარებოდა. მხოლოდ ეგ იყო—უბელო ცხენზე ჯდომისაგან კუდუსუნი მუდამ დაბეჟილი მქონდა და აჯაბაჯად დავდიოდი. ბებიას უკვირდა: ეს ბავშვი რატომ დადის ასეო, მაფრთხილებდა, ფეხები სწორად დადგი, ბებია, გაგიმრუდდებაო.

ბაბუა ხვდებოდა, რატომ დავდიოდი აჯაბაჯად და იცინოდა. ზაფხულის ერთ საღამოს ჩემი და ქარიშის მეგობრობა დროებით შეწყდა. იმ დღეს ბე და ზურია ცხენისწყლის პირას ვაძოვებდით კოლმეურნეობის ნახირს. მთელი დღე წყალში ვეყარეთ. საღამოს შემცივდა, ძალიან მაგრად შემცივდა, ავკანკალდი. ზურიას შევეკითხე:

— გცივა?

— არა, სად არის სიცივე.

— აბა მე რომ მცივა?

ზურიამ შემომხედა და მის სახეზე გაოცება ამოვიკითხე.

— სულ გალურჯებულხარ.

მოვიკუნტე და ორივე ხელი ფეხებში ჩავმალე.

— ალბათ ავადა ხარ.

— ალბათ.

— უკვე შინ წასვლის დროა, ნუ გეშინია.

— არ მეშინია.

ძალიან სასაცილოდ ვთქვი ეს ორი სიტყვა. კბილს კბილზე ვარტყამდი, მოკუნტული ერთ ადგილას ვიდექი და არ ვიცოდი, რა მექნა.

— ქარიში მომიყვანე და ავყაროთ საქონელი, არ შემიძლია, — ვუთხარი ზურიას.

ნახირს მე და ზურია ყოველთვის კარგად ვაძოვებდით, უფროსები გვემადლიერებოდნენ. ბანაობასაც ვასწრებდით და თამაშსაც. ამღვრეული ცხენისწყლის არ გვეშინოდა, როგორც კი მზე დაეჭერდა, საქონელს წყლისპირზე ჩავრეკავდით და მდინარეში გადავეშვებოდით. საღამოს შინ ყოველთვის ყოჩაღად ვბრუნდებოდით. იმ საღამოს ქარიშზე კი არ ვიჯექი, ვეჯდი. საქონელს ზურია ერეკებოდა, მე ქარიშის ფაფარს ვებღაუჭებოდი და მეგონა, საცაა ჩამოვვარდები-მეთქი, თავი მიბრუოდა, ყურებში თითქოს ორი დიდი ბუზი მეჯდა, შემამცივნებდა, დამივლიდა მთელ სხეულში და გაივლიდა, დამივლიდა და გაივლიდა, ცხვირი და ლოყები მეწვოდა. შინ რომ მივედით, ცხენიდან ვერ გადმოვედი, თითქოს ზედ დაკრული, ღაწებებული ვიყავი და თუ შევირხეოდი, მიწაზე ზღართანს მოვადენდი, — მეშინოდა და არ ვინძრეოდი.

ბებია და დეიდა ქვაცაცი მოვარდნენ, ცხენიდან გაჭირვებით გადმომიყვანეს, თბილ ლოგინში ჩამაწვინეს, დამაყარეს საბნები, ბალიშები, შეიქნა ერთი ფაცაფუცი და ჩურჩული, ფაციას არ გავაგებინოთო. როცა ვერა და ვერ გავთბი, ბებია გადამემხო, ქვაცაცი დეიდამ ცხელი ჩაი მომიტანა, მოვიდნენ ბაბუა და თინიკო ბიცოლა. როდის, როდის ჩამეძინა...

*

დილით ხმაურმა გამომაღვიძა. თვალი გავახილე და მაშინვე დავხუჭე, ჩემს ოთახში მეზობლები ირეოდნენ. „ალბათ დედა ძალიან ცუდად არის", — გავიფიქრე და საბანი თავზე გადავიხურე. მეზობლები გაღვიძებულს რომ დამინახავდნენ, გამომესაუბრებოდნენ, ჭირისუფლობას გამოიჩენდნენ, რაც მე არ მინდოდა. საბნის ქვეშ გავისუსე: მაინტერესებდა, დედას რა დაემართა. მეზობლების საუბარი გარკვევით მესმოდა:

— საწყალი ბათუ რა დღეშია, ბიჭების დარდი სულ არა აქვს, ამ ქალმა გადაიყოლა.

— კინაღამ დაიხრჩო თურმე ქალი.

— სისხლი რომ წასკდება, მერე რისი იმედი უნდა გქონდეს?

— დღეს პირველად წასკდა სისხლი, არა?

— კი, პირველად, ამ დილით, მას შემდეგ წრიალებენ, ქალს წარამარა გული მისდის.

— დედა, დედა... აწი საშიშია...

— ჩუმად, ბავშვს ძინავს, არ გააღვიძო.

— წაიყვანონ საავადმყოფოში, ბავშვები მაინც არ ეცოდებათ?

— მიჰყავთ და ეგ არის.

— აქამდე უნდა წაეყვანათ.

— ვისა აქვს შენი ავადმყოფის თავი, ქვეყანა იქცევა...

უცებ ვიგრძენი, რომ გული ამომიჯდა. „სისხლი“, „საავადმყოფო“... მთლად მუშტისოდენი გავხდი და კედლისკენ გადავბრუნდი.

სულ იმაზე ვფიქრობდი, როგორ წასკდა დედას სისხლი, რატომ წასკდა და რას ნიშნავდა ყველაფერი ეს. მაგრამ მე ვიცოდი, რომ ვრჩებოდი მარტო ამ დიდ ოდაში, სადაც ჩემთვის არავის არ ეცალა. მხოლოდ მაშინ მოიცლიდნენ, როცა ავად გავხდებოდი ან ეკალი შემესობოდა და ფეხი დამიჩირქდებოდა. ვგრძნობდი ამას და არ მინდოდა დედა წაეყვანათ. მართალია, დედასთან ახლოს ვერ მივდიოდი, მაგრამ შორიდანაც, როცა დედა მიცინოდა და ტიროდა, გული სიხარულით მევსებოდა.

ჩემს ოთახში ხმაური მიწყდა, საბნიდან თავი გამოვყავი, დედის ოთახიდანაც ჩამიჩუმი არ ისმოდა. ხალხი ეზოში ყაყანებდა. „ალბათ წაიყვანეს“, — გავიფიქრე მე. წამოვჯექი, მინდოდა გამერჩია, რას ლაპარაკობდნენ, მაგრამ ვერაფერი გავიგე. მალე ეზოშიც სიჩუმე ჩამოვარდა. წამოვჯექი, ჭერს მივაშტერდი, „ნუთუ მარტო დამტოვეს?“ — გავიფიქრე მე და გავბრაზდი. გავბრაზდი თუ გული დამწყდა, თუ შემეშინდა... წამოვხტი და რაც ძალი და ღონე მქონდა ვიყვირე: „ზურიაა!“.. ჩემს ყვირილზე თინიკო ბიცოლა შემოვარდა.

— რა იყო, ბიცოლა გენაცვალოს, შეგეშინდა? მე აქა ვარ, ნუ გეშინია!.. — ბიცოლა ტახტზე ჩამომიჯდა და თავზე ხელი გადამისვა.

— არ მეშინია.

— არა, შენ არ გეშინია, ვიცი, შენ დიდი ბიჭი ხარ, — მითხრა ბიცოლამ.

— მე არა ვარ დიდი ბიჭი! — მივახალე ბიცოლას, სწრაფად შევძვერი საბანში და ხმამაღლა ავტირდი. დიდხანს დამტრიალებდა თავს ბიცოლა, მეფერებოდა, მეხვეწებოდა, დაწყნარდიო, მაგრამ თავს ვერ ვიკავებდი, გულამოსკვნილი ვტიროდი და ვცახცახებდი, ისე, როგორც წუხელ, როცა მციოდა და დიდი სიცხე მქონდა. მერე ბიცოლა გაბრაზდა: ღმერთმა შეგარცხვინა, რა დიდგული ოხერი შენა ხარო, და წავიდა.

ორი კვირა ვიწექი, ყოველ მეორე დღეს ამაკანკალებდა და სიცხეს მაძლევდა. ექიმებმა თქვეს, ნემსი უნდა გავუკეთოთო. ბევრი ვიტირე, ვიყვირე, მაგრამ ლოგინზე დამაკრეს და ნემსი ძალით გამიკეთეს. ბებიამ საიდანღაც ერთი ნატეხი შაქარი გამოაძვრინა და გულის მოსაგებად ჩაიში ჩამიგდო. შაქრიანი ჩაი ძალიან გემრიელი გამოდგა და ტკივილი გადამავიწყდა. მთელი დღეები ვიწექი და ვფიქრობდი. ბებიას ვეხვეწებოდი, ავდგები-მეთქი, ქარიშზე ვწუხდი, — ბალახს ვინ მოუჭრიდა. ზურიას არ უყვარდა ქარიში. დონდლო იყო და ზედ ვერ ჯდებოდა, — ქარიში აბა რა შუაში იყო. დილით ალბათ ბაბუა ეზოს უკან დააბამდა და საღამომდე ერთ ადგილას იდგა. ბაბუას არ ეცალა ქარიშისათვის, მთელ დღეს კოლექტივში აღამებდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვჯანმრთელდი და ავდექი. ჩვენი ეზო ძალიან ლამაზი მეჩვენა. მე და ზურია მაშინვე ეზოში გავვარდით.

— წამო, ქარიში ვაბალახოთ, თან ვითამაშოთ, — ვუთხარი ზურიას.

— მეც წამოვალ თქვენთან, — აგვეკიდნენ თამაზი და ქეთინო.

ყველანი წავედით. ეზოს უკან კოლმეურნეობას დიდი მინდორი ჰქონდა, მინდორს არ ხნავდნენ და არ თესავდნენ — უნაყოფო მიწაა. აქ ვარჭობდით ბალოს და გრძელი თოკით ქარიშს ვაბამდით. ქარიშმა ფეხის ხმა რომ გაიგონა, ყურები დაცქვიტა, შემოგვხედა და თვალი მომკრა თუ არა, ისე ხმამაღლა დაიჭიხვინა, იქვე მოსეირნე ბატები შიშისაგან ერთმანეთს მიაწყდნენ.

— ნახე, როგორ გაეხარდა შენი დანახვა, — მითხრა ზურიამ.

ქარიშმა კიდევ დაიჭიხვინა და ცალი ფეხით მიწას თხრა დაუწყო. მერე ჩემსკენ გამოქანდა და კინაღამ თოკი გა-

წყვიტა. ახლოს რომ მივედი, ჩუმი ხვიხ-ვინით ისე მომიალერსა, როგორც დედე-ი ეფერებიან კვიცებს. მე ეს ძალიან გამეხარდა, კისერზე ჩამოვეკიდე და ცხვირზე ვაკოცე.

— ქარიშა, მოგკლეს შიმშილით? არა უშავს, მე ისევ კარგად ვარ, ბალახს არ მოგაკლებ... — ვუთხარი და მოვეხვიე. იმ დღეს მართლაც საღამომდე ვაბალახე. საღამოს სამზადში ფეხაკრეფით შევედი, ერთი ტარო სიმინდი მოვიპარე, დავფშვენი და ვაჭამე. სიამოვნებით შევცქეროდი, რა გემრიელად ახრამუნებდა სიმინდის მარცვლებს ქარიში. ქეთინომ ბაბუას მიახარა — გურამმა ქარიშს ერთი ტარო სიმინდი აჭამაო. ძალიან შემეშინდა, მაგრამ ბაბუამ არაფერი მითხრა.

ხანმოკლე გამოდგა ჩემი და ქარიშის მეგობრობა. ერთ დილით ვიღაც უცხო კაცს საბჭოს თავმჯდომარე მოჰყვა და ბაბუას დიდი ბოდიშის შემდეგ უთხრა:

— ჩვენ ვიცით, რომ თქვენს ოჯახს ძალიან უჭირს, მაგრამ კანონი კანონია— ქარიში ომში უნდა წავიყვანოთ.

ბაბუას სრულებით არ გაჰკვირვებია. მიბრძანა, ცხენი მომეყვანა.

ბებიამ სტუმრებს თხილი და არაყი გამოუტანა. მე გაშტერებული ვიდექი შორიახლოს და გაოცებული ხან ბაბუას ვუყურებდი, ხან აღმასკომის თავმჯდომარეს. მეგონა მაჯავრებდნენ, ხუმრობდნენ. როცა ბაბუამ გამიმეორა — წადი, ცხენი მოიყვანეო, თავზარი დამეცა. მივდიოდი და ფეხი უკან მრჩებოდა. მოვტრიალდი, ზურიას დავუძახე, ავხსენი ქარიში და ვუთხარი, ბაბუას მიუყვანე-მეთქი. მე მაღალ სიმინდებში შევედი, შუა ყანაში, იქ, სადაც სოიოსა და თეთრი გოგრის ლერწები და ფოთლები ერთმანეთში იყო გადახლართული, შევძვერი და პირდაღმა დავწექი. სადილობამდე გაუნძრევლად ვიწექი, სადილობისას ბებიამ მომიკითხა. როცა გაიკვირვა, სიმინდებში რა გინდოდაო, მე ვუთხარი, მოზვრისთვის ბალახს ვეძებდი-მეთქი.

ჩემი ქარიში აღარსად იყო...

მე არ ვიცი, რატომ მოიქცნენ ასე ბაბუა, ბებია, დეიდა ქვაცაცი, რატომ არავინ არაფერი არ უთხრა თავმჯდომარეს. ხომ იცოდნენ, რომ ქარიშის წაყვანა ძალიან მეწყინებოდა...

წაიყვანეს ქარიში და სოფელში სრულებით არაფერი არ შეცვლილა. ქარიშს აღარავინ აღარ ახსენებდა. მაშ აბა ზურგზე ერთი მტკაველი ძვალი ტყუილად ამოუვიდა? მაშ აბა ცხვირპირიდან სისხლი ტყუილად ადინეს?!.

არაფერი არ შეცვლილა. მე კვლავ ძველებურად დავდიოდი სკოლაში, წისქვილში, ბაზარში, ჭალაში, ერთი რამ მაწუხებდა, ბაბუას სათოხარში არ მივყავდი. „თოხი ჯერ შენი საქმე არ არის, ქვაცაცის და თინიკოს წყევა ჩაიშიო“.

ჩაის კრეფა მეზარებოდა — რა ვაჟკაცის საქმე იყო! ბაბუამ ჩემთვის საგანგებოდ პატარა თოხი ვააკეთებინა. იმდაგვარი, თინიკო ბიცოლას რომ ჰქონდა ბოსტნის გამოსათოხნად. პირველად გამიხარდა, მერე შევეჩვიე და მომბეზრდა. ბაბუას ეგონა, დიდ თოხს ვერ მოვერეოდი. მე კი დიდი თოხი მინდოდა, ისეთი, როგორიც მას ჰქონდა, ფართო, ლაპლაპა, გრძელტარიანი.

ერთხელ ბებიამ ბაბუას უთხრა: ბათუ ბატონო, წაიყვანე ეს ბავშვი, ვერ გიბედავს, თორემ სული ძვრება, ისე უნდა რომ წამოგყვესო. ბაბუამ გაიცინა, ეს თანხმობას ნიშნავდა.

ცხენისწყლის პირას, . ხაინდრავების ბორანთან, ჩვენი ბრიგადის ყანები იყო გადაშლილი, იქვე ახლომახლოს მე და ზურია ხან ქარიშს ვაძოვებდით და ხან ჩვენს წითელ მოზვერს—კვაზაიას. შორიდან შევცქეროდით, როგორ მუშაობდნენ ბაბუა, კოსტა ბიძია, ამბროსი ბიძია. ახლა მათ მეც შევუერთდებოდი, ზურიას უნდა ეცქირა შორიდან. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ტოლებში მე ვიქნებოდი პირველი, ვისაც თოხნაში შრომადღე დაეწერებოდა. მხოლოდ ერთი რამ მაფიქრებდა: თოხნისას მხრის შექცევა არ შემეძლო. ბაბუა, კოსტა ბიძია და ამბროსი ბიძია თოხს ხან მარჯვნივ გადაიტანდნენ და ხან მარცხნივ, მათთვის სულერთი იყო მარჯვენა და მარცხენა, ჩემთვის კი არა, მარცხენა ხელით

თოხს ვერ ვიქნევდი. რადაც არ უნდა დამჯდომოდა, უნდა შემესწავლა მხრის შექცევა. ჩუმად შევიპარე ყანაში და თოხნა დავიწყე. დიდხანს ვიწვალე, მარცხენა ვერაფრით ვერ დავიმორჩილე, უნებლიეთ ათიოდე ძირი სიმინდი მოვჭერი. ნუთუ ხვალ სირცხვილი უნდა მეჭამა?..

ვიდრე სულ არ ჩამობნელდა, ყანიდან არ გამოვსულვარ, ოფლში გაღვრილი, დაღლილ-დაქანცული შევიპარე სამზადში და სავახშმოდ ტაბაკს მივუჯექი.

— სად იყავი, ბებია?

— არსად, აგერ ვთამაშობდი...

ქვაცაცი დეიდამ ჭრაქი აგვინთო.

*

ნანატრი დილა გათენდა. ბაბუამ ადრე გამაღვიძა. სასწრაფოდ ტანთ ჩავიცვი, ავიღე ჩემი თოხი და ავედევნე.

სოფელი უკვე ხმაურობდა, მზეს წითლად შეეღება აღმოსავლეთი. შარაგზაზე ჩაის მკრეფავი ქალები გამოჩნდნენ. მათ შორის თვალი მოვკარი ჩემს ამხანაგებს: თემიკოს, ნანას, რეზოს, ანზორას, ნატრულის, ფაცაცას. ბაბუას მხარდამხარ ამაყად მივაბიჯებდი. ბიჭებს თვალით ვანიშნე, ჩემს თოხს შეხედეთ-მეთქი.

— სად იქნებით? — მკითხა ანზორამ.

— ხაინდრავების ბორანთან.

— მეც წამოვალ, დედამ თუ გამომიშვა...

— დღეიდან მე ჩაის საკრეფად არ წამოვალ, — ვუთხარი ანზორას.

— რათა?

— ქალი ხომ არა ვარ! ვერა ხედავ, სოფელში კაცი არ არის, ამოდენა მიწები ვინ უნდა გათოხნოს?!

ანზორა გაბრაზდა. ამათვალ-ჩამათვალიერა, ვერაფერი ვერ მითხრა, შემოტრიალდა და გაიქცა.

ბაბუამ კოსტა ბიძიას გაუარა, ამბროსი ბიძიასაც. ბრიგადის სხვა წევრები, ბაბუაზე უფრო მოხუცები ყანაში დაგვხვდნენ. თოხნა დავიწყეთ თუ არა, ზურიამ კვაზაია მოიყვანა, მე დამიძახა, აქა ვარო. ბაბუამ ზურია გააფრთხილა, მოზვერი მინდორში გარეკე, ნაპირ-ნაპირ ნუ აძოვებ, თორემ თავს წაგართმევს და ყანაში შემოვარდებაო. ზურიამ კვაზაია ცხენისწყლის ნაპირისაკენ გარეკა.

მზის ამოსვლამდე თითო რიგი გავთოხნეთ. როგორც კი მზემ დააჭირა, ბაბუამ თხმელის ფოთლებიანი ტოტებისაგან ქუდი დაიწნა და დაიხურა, მეც დამიწნა პატარა ქუდი. მეორე რიგის გათოხნა გამიჭირდა. ბაბუა ყველაზე წინ მიდიოდა, თავის გრძელტარიან თოხს ღონივრად იქნევდა და მიდიოდა. მე მეხმარებოდა, რიგს შემომითოხნიდა, მომხედავდა — თუ დაიღალე, ბაბუა, წადი ზურიასთან, ითამაშეო, მეტყოდა და კვლავ თავაუღებლად განაგრძობდა თოხნას. მე მრცხვენოდა და არ ვამხელდი, რომ დავიღალე. ჯერ რა დროს დაღლა იყო! „იქნებ ყველაფერი იმის ბრალია, რომ მხრის შექცევა არ შემიძლია“, ვფიქრობდი ჩემთვის და თოხს გამწარებით ვიქნევდი. თანდათან წელში ვიხრებოდი, თოხის ტარს ვიმოკლებდი და ბაბუას მოკუნტული მივდევდი.

— გაიმართე, შვილო, წელში, ტარს ნუ ახრჩობ, მიუშვი, უფრო დაიღლები, — მაფრთხილებდა ბაბუა. მე მაშინვე ვიმართებოდი წელში და ვცდილობდი ბაბუასთვის მიმეგაძა.

— გურამ! გურამ! — დამიძახა უცებ ზურიამ. — შეხედე, რა გავაკეთე! აი, ახლავე გადავხურავ!

ზურია შუა მინდორში ქოხს აკეთებდა. წვრილი ბოძები უკვე დაესო, ზედ ლარტყებიც გაედო, ახლა თხმელის ტოტებს მოიტანდა, ზედ დააწყობდა და ქოხი მზად იყო. ზურიას ქოხის გაკეთება მე ვასწავლე.

— გეყოფა, ბაბუა, წადი, დაისვენე, — მითხრა კვლავ ბაბუამ.

— სულ არა ვარ დაღლილი, — ვიცრუე და თოხი ყოჩაღად მოვიქნიე. ერთი სული მქონდა ზურიასთან გავქცეულიყავი. ზურია ქოხს კედლებს ვერ გაუკეთებდა. უკედლო ქოხი აბა რას ემგვანებოდა?!.. მიწას ახლა მთლად მოკუნტული ვურ-

---

ნოდარ წულეისკირი

თეთრი მთა

ტყამდი თოხს, ოფლი წურწურით ჩამომდიოდა, მზე ისე მწარედ იკბინებოდა, მეგონა გულ-ღვიძლში ატანდა.

— მოგესწრო, ბათუ, ბიჭი და ეგ არის! — უთხრა კოსტა ბიძიამ ბაბუას და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. — ხომ არ დაგვესვენა?

— რა დროს დასვენებაა.

ჰო, როგორ მინდოდა დასვენება! თოხი ძალიან დამძიმდა. ზურიამ კვაზაია მიატოვა, თხმელისათვის შორს, ეკალბარდებიან ჭალაში გადავიდა. კვაზაიამ დაადო თავი და ყანას მიაშურა.

— უნდა წავიდე, ბაბუ, — შევძახე აღფრთოვანებულმა. — ზურიამ კვაზაია მიატოვა, შეხედე, ყანაში შედის!..

თოხი დავაგდე და გავიქეცი. მიზეზი ვიშოვე და თოხნას თავი მივანებე. კვაზაია მოვაბრუნე. ზურიამ თხმელის ტოტები მოარბენინა.

— მოდი, მართლა კარგი ქოხი გავაკეთოთ, — ვუთხარი ზურიას. — შენ წადი და კიდევ მოიტანე თხმელის ტოტები, სახურავისთვის ანწლიც გამოდგება.

საქმეს გულმოდგინედ შევუდექი, ქოხს კედლები გავუკეთე, გადავხურეთ კიდეც, სათოხარი სულ გადამავიწყდა. მხოლოდ მაშინ გამახსენდა, როცა ბაბუამ დამიძახა — წყაროდან წყალი ამოგვიტანეო.

„სულ ზურიას ბრალია, — გავიფიქრე მე. — რას იტყვიან ბაბუა, კოსტა ბიძია... რა ქოხი, რის ქოხი, რა დროს ქოხია!“

დავავლე დოქს ხელი და წყაროსკენ გავქანდი.

არავის არაფერი არ უთქვამს. ისინი ჩრდილში ისხდნენ, თუთუნს აბოლებდნენ და ტკბილად საუბრობდნენ.

*

რაც ქარიში წაიყვანეს, კვაზაიას აღდგომა გაუთენდა, — სულ ვაბალახებ და ვაბალახებ. მე და ზურიამ კვაზაია „ლუკას ტყეში“ წავიყვანეთ. „ლუკას ტყეს“ მინდორს ვეძახდით — ალბათ აქ თავის დროზე ტყე იყო, ახლა კი კოლმეურნეობის სიმინდი ეთესა. ყანას შუა ჰყოფდა ეკალბარდით გადაფარული პატარა ღელე. ღელის პირას ყოველთვის ბალახი იზრდებოდა. წავიყვანეთ კვაზაია. თემიკო თავისი შავი მოზვრით იქ დაგვხვდა. მე და თემიკო ყოველთვის ვჩხუბობდით, სულ ტრაბახობდა, რომ მას და მის ოჯახს ყველაფერი კარგი ჰქონდა და ყველაფერი კარგი ჰყავდა. მე რომ სასიმინდე მიდგას, იმისთანა სასიმინდე მთელ სოფელში არავის უდგასო, ჩვენი ძაღლი მგელს ერევაო; ჩვენს სახლს წაბლის კედლები აქვს, წაბლის კედლებიანი სახლი სოფელში ახლა არავის უდგასო. მამაჩემი სოფელში ყველას ერეოდაო; ომშიც თურმე ასი ფაშისტი დაუხოცავსო. მე როცა ქარიშს ვაძოვებდი, ამ შავ მოზვერს იმდენს აქებდა, ყურთასმენა არ იყო. ჩვენი მოზვერი მაშინ ნახირში დაგვყავდა. გუნებაში ვფიქრობდი, თემიკოს მოზვერს ჩემი კვაზაია მოერევა-მეთქი, მაგრამ ეს რომ მეთქვა, მერე თემიკოს შენ გააჩერებდი?! ახლა, როგორც კი თემიკო დავინახე, მივაძახე:

— აბა, თუ ბიჭი ხარ, გამოიყვანე შენი მოზვერი!

დარწმუნებული ვიყავი, თემიკოს დაგვაჯულ მოზვერს ჩემი კვაზაია მოერეოდა. ასეც მოხდა. თემიკოს მოზვერი კვაზაიამ ეკალბარდში შეაგდო და ძლივს გამოვათრიეთ. მე და ზურია სიცილით მოვკვდით. თემიკო გაბრაზდა, აბა, კიდევ დავაჭიდოთო. მოიყვანა თავისი დაგვაჯული მოზვერი, მაგრამ მოზვრებმა ჭიდაობა აღარ ინდომეს.

თემიკოს ტრაბახი მაინც ვერ შევაწყვეტინეთ! ამის მერე მე და ზურიას ყოველ დილით საბალახოდ მიგვყავდა კვაზაია.

ქარიშს შინ არავინ ახსენებდა. ვალა ბიძიაც იშვიათად შემოდიოდა. ვალასთან ბაბუას ქარიში აკავშირებდა, ქარიში აღარ იყო და ვალას ჩვენსკენ გული აღარ მოუწევდა. მამა და შალვა ბიძია უკვე ძალიან შორიდან იწერებოდნენ წერილებს. ჯერ, რა თქმა უნდა, დედაჩემის ამბავი აინტერესებდათ, მერე ჩვენი — ბიჭებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათთვის წერილი მე უნდა მიმეწერა.

წერილების წერაში ისე დაიოსტატდი, მეზობლებიც მე მაწერინებდნენ.

ბაბუას ეხვეწებოდნენ: გურამს ბედნიერი ხელი აქვს და ერთი ჩემთან შემოიაროს, ბიჭთან წერილი დამიწეროსო. ყველაზე ძნელი იყო თეოფილე ბიძიას თხოვნის შესრულება — ხუთივე შვილი ფრონტზე ჰყავდა, ხუთი წერილი უნდა დამეწერა.

თეოფილეს სახლიდან ყოველთვის გვიან ღამით ვბრუნდებოდი. როცა წერას დავამთავრებდი, თეოფილე ბიძია შეწუხდებოდა, რა მივცეთ ახლა ამ ბავშვს, არც ხილი გვაქვს, არც საჭმელი, არც სასმელიო.

— როგორ გეკადრებათ, თეოფილე ბიძია, — ვეტყოდი მე. თეოფილე ბიძია მეტყოდა: — შედი, ბიძია, ყანაში, მუხლამდე ბალახია, მოჭერი და კვაზაიას წაღლე.

თეოფილე ბიძიამ იცოდა, ჩემთვის ეს კარგი საჩუქარი იყო. „ლუკას ტყის" მიდამოებში კოლმეურნეობას კარგი მიწები ჰქონდა. აქ ყანაში მაღალი ბალახი იზრდებოდა. რაც არ უნდა გეთოხნა, ივლისის ბოლოს ყანას ყოველთვის ცერის სიმსხო ბალახი მოედებოდა. თეოფილე ბიძია მეველე იყო. კოლმეურნეობის ყანებში არავის არ უშვებდა. მარილით დატენილი თოფით მუდამდღე ყანა-ყანა დადიოდა და ავი განზრახვით ჩიტსაც არ გააჭაჭანებდა. მე და ზურია ტომარას ისე მაგრად დავტენიდით ბალახით, შინ გაჭირვებით მივათრევდით. თუთის ხეზე მიბმული კვაზაია ჩვენ რომ დაგვინახავდა, თვალებში შუქი ჩაუდგებოდა. ჭამას რომ დაიწყებდა, მაღლიერი თვალებით გვიცქეროდა.

გავასუქე, გავალაღე კვაზაია. მთელი დღეები მასთან ვიყავი, სკოლიდან რომ დავბრუნდებოდი, შინ მხოლოდ ბებია მხვდებოდა, ბაბუა, ბიცოლა და დეიდა ქვაცაცი კოლექტივიდან გვიან ბრუნდებოდნენ. ბებია სასწრაფოდ გვასადილებდა, ოჯახს მე და ზურიას ჩაგვაბარებდა და საავადმყოფოში გარბოდა დედაჩემთან. გაკვეთილებს რომ მოვამზადებდი, კიბეზე ჩამოვჯდებოდი და მიწას ჩავცქეროდი, მბეზრდებოდა ყოველდღე ზურიასთან და თამაზთან თამაში, ისინი პატარები იყვნენ. მე მინდოდა ბაბუასთან ვყოფილიყავი, ან მამასთან, ან დედასთან, მაგრამ ეს არ ხერხდებოდა. ზურიას დავუბარებდი, სახლი არ მიატოვო-მეთქი და კვაზაიასთან გავრბოდი.

ვინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა ასე, კუკური კალანდარია რომ არ დაბრუნებულიყო ომიდან. კუკური ჩვენი შორეული ნათესავი იყო, მაგრამ ბაბუა შინ არ უშვებდა. სოფელში ბოროტი კაცის სახელი ჰქონდა. არავის უყვარდა. ომი რომ დაიწყო, სადღაც გადაიკარგა, სოფელში დიდხანს არ გამოჩენილა; ჩამოვიდა და ავად ვარო, გამოაცხადა. სახლიდან არ გამოდიოდა. რას ჭამდა, რას სვამდა, რას აკეთებდა, კაცი ვერ გაიგებდა. ყველა ალმაცერად უყურებდა, მაგრამ გადაბრუნებულ სიტყვას ვერავინ უბედავდა. დროდადრო სადღაც მიდიოდა, შინ ჩემოდნებით დატვირთული ბრუნდებოდა. სოფელში ხმა დაირხა, კუკური ქალაქელმა ქურდებმა „ხელში ჩაიგდეს", შეიარაღებული დადისო. მის პარპაშს ბაბუამ მოუღო ბოლო.

ნოდარ წულეისკირი

თეთრი მთა

გაგრძელება იქნება

ივნო ურჯუმელაშვილი

ფაკრეკი

თეკლემ თავისი ასაკისათვის უჩვეულო სისწრაფით აირბინა აივნის კიბე. ოთახში შევარდა და ტახტზე წამოწოლილ ქმარს ახარა:

— წყალობა, შვილები მოგდიან, შვილები!

მოხუცი ცოლისკენ მძიმედ გადმობრუნდა და იკითხა:

— საიდან იცი, ვინ გაგაგებინა?

— აი, ვახტანგს წერილი გამოუგზავნია! — და თეკლემ ხელისგულის ტოლა ქაღალდი ქმარს უჩვენა.

— რაო, რას იწერება?

— რაო და, მე და ჩემი ცოლი ხვალ სოფელში მოვდივართ და აბა, თქვენ იცით, როგორ თადარიგს დაიჭერთო. იმასაც იწერება: პატარა ბიჭობაში ჩვენი კაკლის ძირას გველს მოვკარი თვალი, ჩემს ცოლს მისი უბრალო ხსენებაც შიშის ზარსა სცემს; ვაითუ კიდევ ბუდობს ეზოში და ღობის ძირეში გოგირდი დაახრჩოლეთო!

— ნეტავი ეს რაღამ აფიქრებინა! — გაიღიმა წყალობამ, — კაცი იყე დავბერდი, ჩვენს ეზოში ხვლიკი არ დამინახავს და გველი საიდან მოელანდა?

ორი ვაჟისა და სამი ქალის მამა იყო წყალობა. უფროსი ვაჟი ომში დაეღუპა. იმან დაუკოდა გული და თვითონვე უკვირდა, ან სული როგორღა ედგა. მეორე ბიჭი ეზრდებოდა და იმედს იმაზეღა ამყარებდა, იმისთვის ცოცხლობდა. მაგრამ უბედურება მეტი გინდა?! — ვახტანგი მის დაუკითხავად თბილისში გადასახლდა საცხოვრებლად, ეს კიდევ არაფერი! ცოლი ისე შეირთო, ყასიდადაც არ შეეკითხა, აი, ასეთ ქალს ვირთავ და რას იტყვი, მამაჩემოო!

შვილებისაგან მიტოვებული წყალობა განსაკუთრებით ვაჟზე იყო გულმოსული; ამბობდა, ქალებს ვერაფერს ვესაყვედურები, მე ისინი სიძეების მშობლებზე გავაშვილე, იმათ სანაცვლოდ რძალი უნდა მეშვილა, მაგრამ ვინ ვიშვილო, როცა რძლისთვის თვალიც არ დამიკრავსო.

საწყალი წყალობა! აბა, როგორ არ მოუვიდოდა გული?! ოცდაორი წლის ვაჟკაცის დამკარგავს ახლობლები გულს იმით ეამაგრებდნენ, მომდევნო შვილები და-ძმასავით მოგესწრნენ და მალე შვილიშვილებში გაიხარებო. ჰმ, მერე სად არიან შვილები, სად არიან შვილიშვილები. აი, თურმე რა ეწერა წყალობას! სულელი. ნეტავი ამოდენა სახლს რაღას აშენებდა, რისთვის იდგამდა წელზე ფეხს, რა ოხრად უნდოდა, დადგეს ახლა და მაღალი კედლების ცქერით დატკბეს, ფართო ოთახები წინ და უკან ზომოს, წუთისოფელი მარტოობაში მოსჭამოს.

წყალობა მუხლებს იტკიებდა, მაგრამ მეორე დღეს უთენია ადგა, ეზო დაგავა და შვილის თხოვნაც შეასრულა — ღობის ძირში რამდენიმე ალაგას გოგირდი დაახრჩოლა.

თეკლემ ლოგინები გამოამზივა, ხალიჩები გაბერტყა, იატაკი მოწმინდა,

ოთახები დაალაგა და სადილის მზადებას შეუდგა.

მზე რომ დასავლეთით გადაიხარა, წყალობას სახლის წინ ტაქსი გაჩერდა.

მანქანის უკანა კარი გაიღო და სარეცით მაღალი და წვრილი ქალიშვილი გადმოვიდა. გულამოჭრილი მოკლესახელოებიანი თეთრი ნეილონის კოფთა ფართობოლოიან ქვედატანში ჩაეტანებინა. ერთ ციდა წელზე წითელი პრტყელი ქამარი შემოერტყა. შავი მბზინავი თმა მეცხვარის ბეწვის ქუდივით ჰქონდა აწოპებული.

მანქანიდან ვახტანგიც გადმოვიდა. გვერდებშეჭრილი მოკლესახელოებიანი ტილოს პერანგი და ლურჯი, ვიწროტოტება შარვალი ეცვა. მისი შავი, თხისკუდივით წაგრძელებულცხვირიანი ფეხსაცმელი გულისწამღებად ჭრაჭუნობდა.

ვახტანგმა ცოლს მხარზე ხელი გადახვია და ორივენი ჭიშკრისაკენ გაემართნენ.

დანახვისთანავე რძალი თვალში არ მოუვიდა წყალობას. ერთი ზნე სჭირდა: თუ ვინმე არ მოეწონებოდა, შუბლს არ გაუხსნიდა, თვალებში არ შეხედავდა, გულს არ უჩვენებდა. მაგრამ ამჯერად მოხუცმა ხელი ჩაიქნია და თავისთვის წაილაპარაკა: „ვეღარას იზამ, შენია!"

თეკლეც თავშლის სწორებით გამოვარდა მარნიდან და ქმართან ერთად ჭიშკართან შეეგება მოსულებს.

— რა დრო დადგა, ეს ოხერი, რა დრო! — იცინოდა წყალობა, — შარვალი რა ქვედატანივით კანჭებზე გაკვრია, ბიჭი ხარ, გოგო ხომ არა?—ჩაიხითხითა მოხუცმა და შვილს გადაეხვია.

როცა მამა-შვილი ერთმანეთს პკოცნიდნენ, წყალობამ თვალი შეასწრო, რძალი ქმარს მაჯაზე ხელს რომ უჭერდა და სახეზე რაღაც უკმაყოფილება ეხატა.

— მამაჩემო, შენ ეს მითხარი, როგორ ხარ, რა დაგემართა? შენი ავადმყოფობა რომ გავიგეთ, მე და მაიას მთელი ღამე არ გვიძინია, — თქვა ვახტანგმა და ხელი გადახვია ცოლს, ცხვირაბზეკილი განზე რომ იხედებოდა.

— თქვენ იყავით, შვილებო, კარგად, თორემ მე რა სადარდებელი ვარ, ჩემი დღეები დათვლილია! — მიუგო წყალობამ და რძალს მიუბრუნდა, უნდოდა ისიც შვილივით მკერდში ჩაეკრა, მაგრამ მაია განზე გადგა და მოხუცს თეთრხელთათმნიანი ხელი გაუწოდა.

ოთახში შესვლისთანავე მაია ქმარს მივარდა:

— ეს რა საშინელი სუნი დგას ოთახში, ფუ, ფუ!

— მაია, ნუ ღელავ, დაწყნარდი. ვერ ხედავ, კედლები ახალი შელესილია და გაჯის სუნი დგას?

— რა ვიცი, გული კი მიწუხდება და! რა უბედური ვარ, ნეტავი რა მინდოდა, რას მოგდევდი!

— მაია, გენაცვალე, მამაჩემი ახლაც რომ არ გენახა, ხალხი რას იტყოდა, ხომ ხედავ, როგორ გამხდარა, რა ყვითელი ფერი ადევს!

— უი, შე საწყალო, ასე ყველაფერი როგორ გჯერა. ნეტავი, რა ემჩნევა მამაშენს ავადმყოფობისა, ვერ ხედავ რა მხიარულ ხასიათზეა და რამდენს ლაპარაკობს?

— მაია, გეევედრები, მამაჩემს აუგად ნუ ახსენებ. გულკეთილი კაცია ღა აი, ნახავ, მერე როგორ შეგიყვარდეს!

— მეც ეგ მინდა...

*

სუფრა აივანზე გაშალეს.

თავში ვახტანგი დასვეს. აქეთ-იქით მშობლები მოუსხდნენ. რძალი არსად ჩანდა.

— შვილო, მაია რატომ არ გამოდის? — იკითხა წყალობამ.

— მგზავრობით დაიღალა და ისვენებს, — მიუგო ვახტანგმა.

— რამ დაღალა?

— ოცდაათი კილომეტრი მანქანით გამოვიარეთ. მე დავიღალე და ის არ დაიღლებოდა?!

ივანე ურჯუმელაშვილი
მძახლები

— ე, შვილო, დედაშენი შენზე რომ ფეხმძიმედ იყო, ექიმთან ქალაქში ფეხით ჩადიოდა და ამოდიოდა. ჰა, ქალო, რას გაჩუმებულხარ, მართალს ვამბობ თუ არა! ახლა კი მანქანა რაღაც ნახევარ საათს უნდება და სირცხვილით როგორ ამბობ, მგზავრობით დავიღალეთო?

— რას იზამ, მამაჩემო, მაია ქალაქელი ქალია.

— ჰმ, — გაიცინა წყალობამ. — შენა, შენ სადაური ხარ?

— მე... — ენა დაება ვახტანგს. — მეც ქალაქელი ვარ, იქა ვცხოვრობ, აბა, მაშ, სადაური ვარ?

— კარგი, კაცო, — უთხრა წყალობას ცოლმა. — ეს რა აღრენილ ხასიათზე ხარ, ბავშვებს ნუ ჩაუმწარე სოფელში ჩამოსვლა. შენც, შვილო, რას ალაპარაკებ მამაშენს, შედი და მაია გამოიყვანე, ქმარი არა ხარ?!

ვახტანგმა აღარაფერი თქვა და ოთახში შევიდა.

წყალობამ უკმაყოფილოდ თავი გადაქნ-გადმოაქნია და წაილაპარაკა: — აი, დედასა, დედასა, რას არ გაიგონებს კაცი!

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გამოვიდა.

ვახტანგმა სკამი გაასწორა, ზედ პატარა ბალიში დასდო, მაია დასვა და გვერდში მიუჯდა. მერე თეფშზე ხაჭაპური გადმოიღო, წვრილ ნაჭრებად დაჭრა და ცოლს წასჩურჩულა:

— აბა, ნახე, რა გემრიელია!

— არ მინდა! — ინაზებოდა მაია.

ქმარი ცოლთან კიდევ უფრო ახლო მიიწია და ხაჭაპურის ნაჭერი პირში ჩაუდო.

ცოლ-ქმრის საქციელით გულმოსული წყალობა თავს მაღლა არ იღებდა. თეკლე ენად იყო გაკრეფილი, ხან რას იტყოდა, ხან რას, უნდოდა ქმრის ყურადღება მიეპყრო, რომ ვახტანგის საქციელი შეუმჩნეველი დარჩენოდა.

ვახტანგმა თეფშზე საცივი გადმოიღო, შიგ პურის ნაჭერს აწობდა და ხან ცოლს უდებდა პირში, ხან თვითონ სჭამდა.

— ქალო, რა ვქნა, თეფშები გამოგველია, თუ რაშია საქმე? — მიმართა ცოლს წყალობამ.

— ჭურჭლის მეტი რა გვაქვს! — მიუგო თეკლემ გულუბრყვილოდ.

— მაშ შენი ვაჟბატონი და რძალი ერთ თეფშიდან რატომ სჭამენ?

— კარგი, მამა, ყველაფერს სალაპარაკოს ნუ გახდი ხოლმე. ვისაც როგორ ესიამოვნება, ისე უნდა სჭამოს, — თქვა ვახტანგმა და პურის ნატეხი მაგიდაზე დააგდო.

შუბლზე კოპებდასხმული მაია წამოდგა და მხრების რხევით ოთახში შევიდა.

ვახტანგი ცოტა ხანს კიდევ იჯდა, მერე რაღაც მოისაბაბა და მეუღლეს გაედევნა.

წყალობა ეზოში გავიდა და კაკლის ძირას სკამზე ჩამოჯდა.

მთვარიანი ღამე იყო, სოფელი ძილს მისცემოდა, ვახტანგიც გამოვიდა გარეთ და მამის გვერდით ჩამოჯდა.

ერთხანს ორივე დუმდა, მერე ვახტანგმა თქვა:

— მამა, ერთი რამე მაქვს სათქმელი და ვერ გიბედავ!

— რატომ, შვილო, განა ისეთი რა არის?

— სიმამრი ნებას მაძლევს, იმის სახლს ერთი ოთახი მივაშენო და... — შეჩერდა, თქმა უჭირდა.

— მერე, მერე?

— მერე და ისა, რომა... ცოტა ფული მესაჭიროება.

— კარგი და, შენ რომ იქ დამკვიდრდე, ამოდენა სახლს ვიღას უტოვებ?

— რა ვქნა, ასე აეწყო ჩემი ცხოვრება; მაია შემხვდა. როგორც ხედავ, ტანადია, ლამაზი, აღზრდა-განათლებაც არ აკლია, მშვენიერი მშობლები ჰყავს. ალბათ მალე მუშაობასაც დავიწყებ. ჩემს სიმამრს ნაცნობები ჰპირდებიან, სიძეს უსათუოდ კარგ ადგილზე მოგიწყობთო. მაიას კი სოფლის გაგონებაც არ უნდა, დედისერთა ვარ და მშობლებს ვერ მივატოვებო!

— თუ მშობლებს ვერ შეელეოდა, რაღას თხოვდებოდა? კარგი და, მე და

დედაშენმა რაღა დავაშავეთ, რომ ყველა გაგვირბიხართ?

ვახტანგი დუმდა.

— მერე, რისა გრცხვენია, რომ გრცხვენია? ბარვა და თოხნა სასირცხვილო საქმე არ ყოფილა და არც იქნება. დამიჯერე, შვილო, მოდი შენს არემარეს დაეპატრონე. აქ ცხოვრობდნენ ჩვენი მამა-პაპანი, აქ შრომობდნენ და აქვე დაიმარხნენ, შენ კი სადღა გარბიხარ, რა დაგრჩენია თბილისში?!

— ეს ყველაფერი სწორია, მამაჩემო, მაგრამ ახლა ისეთი დროა, ვისაც სად ურჩევნია, იქ უნდა იცხოვროს. სოფელი, რაც არ უნდა იყოს, მაინც სოფელია.

— კარგი და, ყველა რომ ქალაქში გადავსახლდეთ, პურს ვიღა მოიყვანს?

— ეგეც მე მადარდე! პურის მომყვანებიც გამოჩნდებიან!

— ვინა? მოხუცები და ქალები? ე, შენ რა ალალმა დაგიქროლა, სად გარბიხარ?! ან ვენახს ვის უტოვებ, ან კარმიდამოს?

— როგორ თუ ვის ვუტოვებ?! აქ არა ხარ?

— ერიჰა, შვილო, მე რა ანგარიშში ჩასაგდები ვარ, მოვხუცდი, ჩემი დღე დათვლილია!

— რას ამბობ, რა დროს ეგენია? ახლა უნდა იცოცხლო და იბედნიერო! დამიჯერე, მამა, თუ ჩემი სიკეთე გინდა, ეს ერთხელაც დამეხმარე და მერე მე ვიცი, ცხოვრებას როგორ ავაწყობ.

— შვილო, მე ჩემი გითხარი, გამიგონებ — კარგია, არა და რა ვქნა, შენი გზით გამარჯვებულმა იარე. ერთი სამასი მანეთი მაქვს მოგროვილი, ბოსლის დადგმა მინდოდა, მაგრამ რაკიღა ასეა, აღარ ავაშენებ. ე წლევანდელი მოსავალიც შენ მოიხმარე, მეტი რა გინდა?

— მერე, გგონია, ეს მეყოფა? თბილისში სახლის აშენება იოლი როდია. თანაც, რაღა დაგიმალო, მაიას შვილი არ ეძლევა და ხანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროება.

— რა ვქნა, შვილო, მთელი ჩემი ცხოვრება აქ არი და რასაც ხელს დაადებ, წაიღე და მოიხმარე.

— მე თუ მკითხავ, ყველაფერსა სჯობია, ეს სახლი გავყიდოთ.

— მერე ჩვენ?

— თქვენ თან წაგიყვანთ. მე და მაიას ასე გვაქვს გადაწყვეტილი.

— არა, შვილო, თავი დამანებე, რაღაც ორი დღე დამრჩენია სიცოცხლე და აქ მინდა მოვკვდე და დავიმარხო. მერე კი, როცა მე აღარ ვიქნები, — მოხუცმა ხელი ჩაიქნია, — ვეღარაფერს გავიგებ და როგორც გინდა, ისე მოიქეცი.

ღია ფანჯარაში მაიამ გამოჰყო თავი და ქმარს გამოსძახა:

— ვახტანგ, გენაცვალე, მოდი. არ გეძინება?

— წადი, შვილო, დაიძინე. მე კი ცოტა ხანს ვიქნები კიდევ ჰაერზე.

— ღამე მშვიდობისა, მამაჩემო. ახლა ძილს არაფერი სჯობია,—თქვა ვახტანგმა და შინ შევიდა.

„შენთვის ყველაფერს ძილი სჯობია, ახლა ჩემს გულში ჩაიხედე, რა სადარდებელი გამიჩინე“, — ვახტანგის პასუხად გულში თქვა წყალობამ და ფიქრს მიეცა.

ვინ იცის, იქნებ ვახტანგი მართალია, წყალობა კი მოხუცდა და ცხოვრებისას ვეღარაფერს გებულობს?! სხვებიც ხომ გარბიან სოფლიდან? შეიძლება ვახტანგს იქ უფრო გაუღიმოს ბედმა. უჭკუო არ არის, ჯანღონით სავსე, დაუზარები ბიჭია და მგონი, საცა არ უნდა იყოს, კაცად ივარგებს. ცოლიანთ ოჯახს კარგი ნათესავები და მეგობრები ჰყოლია. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ სანამ სული უდგია, სოფელში ბუდეს როგორ მოიშლის. მერე კი... ან მერე მისმა ძვლებმა როგორ უნდა მოისვენოს საფლავში, თუ ამ არემარეზე მათი სახსენებელი გაწყდება?!

*

ღამით მოხუცები აივანზე დაწვნენ.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარს გვიანობამდე ენთოთ შუქი და ხან იცინოდნენ, ხან რაღაცაზე დაობდნენ.

ივანე ურჯუმელაშვილი
მძახლები

თეკლე ისე იყო მოღლილ-მოქანცული დაწოლისთანავე ჩაეძინა. წყალობას კი ძილი გაუტყდა და იმდენი იტრიალა ლოგინში, ცოლსაც ძილი დაუფრთხო.

— კაცო, ისევ გღვიძავს? — იკითხა თეკლემ.

— ჰო, რაღაც არ მეძინება.

— ეტყობა, იმათაც არ დაუძინიათ!

უცებ მაია ასლუკუნდა. ვახტანგის ჩურჩულიც შემოესმათ. თუმცა მისი სიტყვები გარკვევით არ ესმოდათ, მიხვდნენ, რომ ქმარი ცოლს ამშვიდებდა.

როდის-როდის ოთახში შუქი ჩააქრეს და ხმაური მიწყდა.

— წყალობა, — წასჩურჩულა ცოლმა, — ნუ ფიქრობ იმათზე და უფრო დაგეძინება.

— ჰო, ჩემო თეკლე! ფიქრით რა ეშველება, როცა ბიჭი ჭკუაზე არ არი.

— ასე იცის სიყვარულმა. მაია ანგელოზივით გოგოა.

— ერიჰა, შენ ადამიანობა თქვი, თორემ სილამაზე რა ბედენაა. წლები სილამაზეს წაიღებენ, ადამიანობა კი სამარეში თან ჩაჰყვება.

მესამე დღეს მამა-შვილი უთენია წავიდნენ სათოხარში. მზე ერთი შუბისტარზე იყო, მაიას რომ გამოეღვიძა. პერანგიანი აივანზე გამოვიდა და დედამთილს შეეკითხა, ვახტანგი სად არისო.

— ვენახშია, მამას ეხმარება თოხნაში, — მიუგო თეკლემ.

რძალმა არაფერი თქვა, კარი შეიჯახუნა და ისევ ლოგინში ჩაწვა.

როცა თეკლემ საუზმე გაამზადა, მაიასთან შევიდა და უთხრა:

— შვილო, ადექი, ისაუზმე.

— არ მინდა, — მიუგო რძალმა ისე, რომ დედამთილისაკენ არც გადმობრუნებულა.

— მე ახლა, შვილო, ვენახში წავალ, მამა-შვილს საჭმელს ჩავუტან. საუზმე მზად არის, ადექი და შენც ისაუზმე.

— ვახტანგი იქ აპირებს პურის ჭამას?

— აბა, მაშ, საუზმისათვის აქ ხომ არ ამოვა?

— უთხარი, ახლავე წამოვიდეს, ცოტა შეუძლოდ ვარ, შინ მარტო ყოფნა არ შემიძლია.

— აბა, შვილო, ამოსასვლელად ჯერ როგორ მოიცლის, თუ გინდა შენც წამოდი ვენახში.

— უიმე დედა, აქეთ-იქით სიარულის თავი სადა მაქვს!

როგორც კი თეკლე ეზოდან გავიდა, მაია წამოხტა, ხელზე წყალი გადაივლო, შემწვარი ვარიის ნახევარი შეჭამა და ორი ჭიქა რძე დააყოლა. მერე ისევ ლოგინში ჩაწვა და მოპასანის მოთხრობების კითხვას შეუდგა.

მამა-შვილი ვენახიდან შებინდებისას დაბრუნდა.

ვახტანგმა ლოგინში ჩამძვრალ ცოლს საბანი გადახადა. ცოლმა სახე ხელებში ჩამალა და წაიბურტყუნა:

— გამეცალე, მე შენთან გაბუტული ვარ.

— რაზე, ჭირიმე?

ცოლი დუმდა.

ვახტანგმა ბევრი ეხვეწა, ბევრი ემუდარა, მითხარი, რაზე ხარ გაბუტულიო, მაგრამ მაია კრინტს არ სძრავდა.

ქმარმა იცოდა: გაბუტულ ცოლს თუ არ მიეფერებოდა და არ მიუალერსებდა, უფრო გაჯიუტდებოდა და ტირილს მორთავდა. ამიტომ მიეფერა, მიუალერსა, რაღას არ შეპირდა და, როგორც იყო, ხმა ამოაღებინა.

— მთელი დღე სახლში პატიმარივით მამყოფე და როგორ არ გავიბუტებოდი? გული აღარ მიჩერდება აქ, წავიდეთ თბილისში.

— მაია, რაკიღა ჩამოვედით, ასე უცებ წასვლა ეხერხულია. ორი-სამი დღეც რომ დავრჩეთ, ვენახს მოვუვლით, მამას სიმინდის გათოხნაშიც წავეშველები და მერე წავიდეთ, — მიუგო დაყვავებით ქმარმა.

— ისე გატყობ, მთელ ზაფხულს სოფელში გამომაღამებ! თუ გიყვარვარ. დილაზევე წავიდეთ. რაღაც უხასიათოდ ვარ, მუხლებში მტეხს და მეშინია, ავად არ გავხდე.

— მაია, ერთი ისეთი შემთხვევა დამისახელე, შენ რაიმე გეთხოვოს და მე არ შემესრულებინოს? ჰოდა, ამ ერთხელ შენ შემისრულე თხოვნა! ხუთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე კიდევ დავრჩეთ სოფელში და მერე წავიდეთ. თანახმა ხარ?

— კარგი, რახან შენ ასე გინდა, დავრჩეთ, მხოლოდ იმ პირობით, რომ მერე კიდევ არ წაუმატო დღეები!

ორი დღე გამუდმებით წვიმდა. მომდევნო დღესაც მინდორში არ იმუშავებოდა. ისე რომ მამა-შვილმა მხოლოდ ორი დღე თოხნეს კოლმეურნეობის ნაკვეთში სიმინდი და ნაკვეთის ნახევარიც ვერ გათოხნეს.

დათქმულ დღეს მაია ადრე ადგა, მხიარულ ხასიათზე იყო, დედამთილს ეფერებოდა, ქმარს შესცინოდა. თავისი ნივთები ჩემოდანში ჩაალაგა, თქმით კი არც თვითონ ეუბნებოდა რაიმეს ქმარს თბილისში წასვლაზე, არც ვახტანგი ამბობდა არაფერს.

ნასადილევს მაიამ ვეღარ მოითმინა და ქმარს შორიდან დაუწყო:

— ვახტანგ, იცი, დღეს რადიოში გამოაცხადეს, ამ დღეებში თბილისში საგასტროლოდ ვენის ბალეტი ჩამოდისო.

— არაფერი გამიგია!

— ახლა ხომ გაიგე, ჰოდა, წავიდეთ, გენაცვალე, თორემ მერე ბილეთებს ვეღარ ვიშოვით.

— დარდი ნუ გაქვს, ვიშოვით.

— ვერ ვიშოვით.

— ვერ ვიშოვით და ნუ ვიშოვით! რა მოხდა, სულაც ნუ ვნახავთ, გვარიშვილობიდან ხომ არ ჩამოვცარდებიო.

— რასაკვირველია, ეს შენთვის უმნიშვნელო ამბავია, ახლა ზოგი მე მკითხე! ეს რა უბედურებაა ჩემს თავს, ეს რა დღეში ვარ. მსოფლიოში სახელგანთქმული ვენის ბალეტის სანახავად ხალხი სოფლებიდან ჩაიხვეტება თბილისში, მე კი იქაური ვარ და ვერ უნდა ვნახო? — და მაია ისე მოიღრუბლა, რომ ალბათ ცრემლის ნიაღვარს დააყენებდა. ამიტომ ქმარმა ულან დახევა ამჯობინა:

— მაია, გენაცვალე, გაგეხუმრე, ორსამ დღეში წავალთ. ბილეთს უსათუოდ ვიშოვი და ისე არ დაგტოვებ.

— შენი აღარაფერი მჯერა. აკი შემპირდი, ხუთი დღის შემდეგ წავალთო? ეს არის შენი სიტყვა?!

— რა ჩემი ბრალია, როცა ამინდმა გვიმტყუნა.

— კი მაგრამ არ უნდა მოეშვა სოფელს? ნუთუ თოხნა ასე სახალისო და სახარბიელოა?

— თბილისში მაინც უსაქმურად ვარ და რა უჭირს, ორ დღეს კიდევ წავეშველები მამას.

— აქ ყოფნა შენ ისე გაგიტკბა, ეს ორი დღეც გავა, და კიდევ რაიმეს მოიმიზეზებ.

რძლისა და ვაჟის ჩამოსვლის კვირისთავზე წყალობა დილით რძლის კვნესამ გამოაღვიძა.

— მაია, შენი ჭირიმე, რა დაგემართა? — ეჩურჩულებოდა ვახტანგი.

— ვაიმე, წელი მტკივა, ვაიმე! — ცრემლნარევი ხმით ეუბნებოდა ცოლი.

— თავის ტკივილის წამალს ხომ არ დალევ?

— არ მინდა, ის უფრო ამატკივებს!

— მაშ რა გიშველო, შენი ჭირიმე?

— ავად შენ გამხადე და შენ რას მიშველი! ვაიმე წელი, ვაიმე, ვაიმე! გეხვეწები, გემუდარები, მომაცილე აქაურობას, ჰაერი არ მყოფნის, სუნთქვა მეკვრის!

— კი, გენაცვალე, კი, შენი ჭირიმე. ამ დილით პირველივე ავტობუსით წავიდეთ.

— არა, ავტობუსით ვერ წამოვალ. ახლა ავტობუსით ვიღა დადის? სხვა რომ არა იყოს რა, ხალხი დაგვცინებს: დაგვიხედეთ თბილისელებს, ავტობუსის კიბეს ჩამოკონწიალებიანო. სჯობია ტაქსი დაიქირავო, რბილადაც ვიმგზავრებთ, მალეც ჩავალთ და ხალხსაც თვალებს დავუბრმავებთ. ვაიმე, წელი, ვაიმე!

— კი, გენაცვალე, ტაქსით წავიდეთ.

ვახტანგმა ფაცაფუცით ჩაიცვა ტანსაცმელი და აივანზე გავიდა.

— მამა, გძინავს?

— არა, არ მძინავს, — მიუგო მოხუცმა და შვილისაკენ გადმობრუნდა.

ივანე ურჯუმელაშვილი

მძახლები

— მამაჩემო, შენი ჭირიმე, მაია შეუძლოდ არის და საჩქაროდ თბილისში უნდა წავიდეთ. ნეტავი მანქანას თუ ვიშოვით? მეშინია, ვაითუ ფული არ მეყოს!

— ფული რა სალაპარაკოა, აქ არა ვარ?! აბა, ერთი თქვენ გაემზადეთ, მანქანას მე მოგიყვანთ. — წყალობამ ტანსაცმელი ჩაიცვა და სოფლის მოედნისკენ გაემართა.

ცოლ-ქმარმა პირი დაიბანა, თითო ჭიქა რძე დალიეს და წასასვლელად გაემზადნენ.

— ვახტანგ, რა უშნო ხარ, ცხოვრების არაფერი გაგეგება, — უთხრა ცოლმა.

— რატომ, შენი ჭირიმე?

— აბა, რა ხარ, სოფლიდან მანქანით მივდივართ და შინ ხელცარიელები ხომ არ მივალთ, ან დედაჩემი რას იტყვის, ან მამაჩემი, ან მეზობლები?

— ნუ გეშინია, დედაჩემი ხელცარიელს არ გაგვიშვებს. უკვე გვილაგებს წასაღებ სურსათ-სანოვაგეს.

— დედაშენის ჩალაგებული რა უნდა იყოს. აიღე და შენ თვითონ ჩაალაგე. არა აქვთ თუ?

ვახტანგი მარანში შევიდა, მაგრამ დედას ტომარა უკვე გაევსო ხახვითა და ლობიოთი. კალათში ყველი და კარაქი ჩაელაგებინა.—ოცლიტრიან კასრში ღვინო ჩამოესხა. ამასობაში ჭიშკარს მანქანაც მოადგა. წყალობამ ტომარა, კასრი და კალათა საბარგულში შეაწყო, ვახტანგმა კი აკვნესებული ცოლი ჩაიყვანა და მანქანაში ჩასვა.

როცა მშობლები ახალგაზრდა ცოლ-ქმარს გამოემშვიდობნენ, წყალობამ შვილს ყურში წასჩურჩულა:

— შვილო, ტაქსის ფული გადახდილია.

— აბა, კარგად იყავით! ჰო, მამა, თბილისში გვინახულე, იქნებ ჩემი წინადადება შენც დაგიჯდეს ჭკუაში. თანაც პროფესორს გაგასინჯებ. ავადმყოფობას თავიდანვე უნდა ყურის გდება.

— ვნახოთ, შვილო, ვნახოთ.

მანქანა რომ დაიძრა, მაიამ ქმარს უთხრა:

— არ იცი მოხუცების კაპრიზები? ნეტავი პროფესორმა რა უნდა უშველოს?

*

მოხუც წყალობას სანოვაგით გამოჭედილი ხურჯინი ზურგზე მოეგდო, ხელში ქვასავით მძიმე, ღვინით სავსე კასრი დაეჭირა და თბილისის ქუჩებში დადიოდა. ბერიკაცი ბოლოს ღრმაღელეში მიმავალ ტრამვაის გაჰყვა. როგორც შვილისაგან იცოდა, მისი სიმამრი სადღაც ამ უბნის განაპირას ცხოვრობდა, ავჭალის გზატკეცილთან.

გუშინწინ წყალობამ ვაჟიშვილისაგან წერილი მიიღო: მამაჩემო, შაბათისათვის თბილისში ჩამოდი, ექიმსაც გაესინჯე და თან ერთი ოცდაათი ლიტრი თეთრი ღვინო წამოიღე. სამსახურში ვეწყობი და უფროსის პატივისცემა გვინდა. ემანდ არ დამაღალატო, თორემ საქმე წამიხდებაო!

პაპანაქება სიცხე იდგა. დიდი თუ პატარა მინდორში იყო გასული: ნათესებში სასუქი შეჰქონდათ, სიმინდს თოხნიდნენ, რწყავდნენ, ქერის მოსავალს იღებდნენ. წყალობას თბილისში წასასვლელად სად ეცალა. მეზობელი ბიჭის ხელით უნდოდა გაეგზავნა ღვინო და სანოვაგე შვილისათვის, მაგრამ თეკლემ არა ქნა: იქნებ როგორ ესაჭიროება ვახტანგს შენი თავი? დედა ენაცვალოს, ალბათ, ეამაყება კიდეც, აი, მეც კაცი ვარ, ასეთი მამა მყავს და სოფელში ოჯახი მაქვსო. ჰოდა რა, წყალობამ შვილს უნდა დახედოს, ბევრი-ბევრი ორი დღე დაკარგოს. ოღონდ ვახტანგი სამსახურში მოეწყოს, უსაქმოდ ქუჩა-ქუჩა ნუ იხეტიალებს და ჯანდაბას! ეს არაფერია! ბარემ ექიმსაც ეჩვენება. ამ ბოლო დროს მუხლების ტკივილი დასჩემდა.

მოხუცებმა ინდაური, გოჭი და ქათმები დახოცეს, ნაზუქი გამოაცხეს, ქვევრი მოხადეს და ოცდაათლიტრიანი კასრი გაავსეს.

წყალობამ პირი გაიპარსა, დაგრძელებული ულვაშები შეიკრიჭა, საგარეო ტანსაცმელში გამოეწყო. თეკლე არა და არ მოეშვა და ხალათის ქვეშ ძველი შალი შემოახვია, ისედაც მუხლები გტკივა და გზაში არ გაცივდეო. თბილისში ავტობუსით ჩამოვიდა და აი, საცაა მძახლებს კარზე მიადგება.

ფიქრებში გართულმა წყალობამ ვერც კი გაიგო, რომ უკვე ბოლო გაჩერებაზე იყო. კონდუქტორმა გააფრთხილა, ტრამვაი უკან ბრუნდებაო; ღმერთმა ააშენოს, კასრის ჩატანაშიც დაეხმარა და ცაცხვისუბანიც მიასწავლა.

ეს პატარა ქუჩა ქალაქის განაპირას იყო. თეთრად შეღებილი ალიზის პატარა სახლები წყლით ჩამორეცხილ მთის ფერდობს შეჰფენოდა. მარჯვნივ ქუჩას ეკვროდა ღრმა ხევი, მის ძირას მღვრიე რუ მიწანწკარებდა. ქუჩის თავში მდგარი სახლი წყალობას მძახლებისა გამოდგა. მავთულშემოვლებულ ეზოში დიდი ფშატი იდგა, მისი ტოტები ერთი ციდა კარმიდამოს მთლად ფარავდა. წყალობამ ფრთხილად დააკაკუნა ჟანგისაგან შეჭმულ თუნუქის დაბალ კარზე.

— რომელი ხარ? შემოდი! — გაისმა ღია ფანჯრიდან მამაკაცის ხრინწიანი ხმა.

წყალობა კარს ფრთხილად მიაწვა, მაგრამ ვერ შეაღო.

— შენსკენ გასწიე! — გაისმა იგივე ხმა.

მოხუცმა კარი ახლა თავისკენ გასწია, მერე ისევ წინ მიაწვა, მაგრამ არც შიგნით იღებოდა, არც გარეთ.

პატარა აივანზე დაბალი კაცი გამოვიდა. მოკლე ყვითელი პიჟამო ეცვა; ქერა იყო, მოგრძო ცხვირი მამლის ბიბილოსავით ჩასწითლებოდა, ულვაშები კოხტად აეწკიპა და მელოტი თავი საფეთქლებიდან წაღებული რამდენიმე ღერი თმით დაეფარა.

— რა დაგემართა, კარი ვერ უნდა გააღო?! — გაიკვირვა მან და უმალ იკითხა: — კი ვერ გიცანი და რომელი ხარ?

— წყალობა ვარ, თქვენი მძახალი, შენი ჭირიმე.

— ამას ვის ვხედავ, ვის! — შესძახა მასპინძელმა, კარი ფაცაფუცით გააღო, წყალობას გადაეხვია და გადაჰკოცნა: — სად ხარ, რა გულმა გაგიძლო, რომ დღემდე არ გვინახულე?

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, ხომ იცი სოფლის ამბავი, ვერა და ვერ მოვიცალე.

— ახლა სადღა წამიხვალ. ხელში ხომ ჩაგიგდე. მობრძანდი, მობრძანდი! — წყალობას კასრი ჩამოართვა და სახლში შესძახა: — ნატალია მიხაილოვნა, სოფლიდან მძახალი ჩამოგივიდა, გამოეგებე!

აივანზე წითელი ქოშების ბაკუნით გამოვიდა გამხდარი ქალი, ვიწრო კაბატანზე გაჰკვროდა, ბიჭივით შეკრეჭილ თმაზე პატარა ფერადი ბაფთები აეხუნძლა. ორივე ხელზე ბრტყელი იაფფასიანი სამაჯური ეკეთა და ყელზე თეთრი მძივი შეეგა.

— მობრძანდი, მობრძანდი! — თავის მხრივ ამბობდა ქალი.

მასპინძელმა კასრი კუთხეში მიდგა და წყალობას მიუბრუნდა:

— მძახალო, სულ ეს არის, ხომ არაფერი დაგრჩა შემოსატანი?

— არა, შენი ჭირიმე, ამის მოტანაც გამიჭირდა. გავწვალდი, ძლივს მოგაგენით.

დიასახლისმა ორი სკამი გამოიტანა. აბესალომმა ერთი სტუმარს დაუდგა, მეორეზე თვითონ მოიკალათა.

— მიყვარს ნასადილევს სუფთა ჰაერზე ყოფნა. მერე რა ადგილზე ვცხოვრობთ! წყნეთი რომ წყნეთია, ისიც ვერ შეედრება. აბა, გაიხედე, ხელისგულივით არ მოსჩანს მთელი ქალაქი! ახლა რა მაცოცხლებელი ნიავი უბერავს თბილისის ზღვიდან. ეს პატარა ბაღჩაც ერთ რამედა ღირს. გინდა დაიჯერე, გინდა არა, ამ ორ პატარა კვალში მთელი წლის სამყოფი ხახვი მომყავს. არც წიწმატი მაქვს საყიდელი, არც ოხრახუში. რას იტყვი, ესეც რამეა?! ფშატს სასუქს ვაყრი, ვრწყავ და ქვეყნისას

ისხამს. დახე, ახლაც როგორ არის შეხუნძლული!

— ის კი არა და, აბესალომ, ნეფედედოფალი სად არიან? — შეეკითხა წყალობა.

— თეატრში წავიდნენ. სახლიდან ადრე გავიდნენ, მაიას თმა აქვს დასახვევი.

ოთახიდან დიასახლისი გამოვიდა და ჯამით ქლიავი გამოიტანა.

— ნეტავი ცოტა ადრე მაინც მოსულიყავით, რაკიღა ბავშვები წასასვლელი იყვნენ, კაი ხანია ვისადილეთ. ქლიავი მაინც მიირთვით, — მიმართა წყალობას ნატალიამ და ჯამი მაგიდაზე დადგა.

— გმადლობთ, შენი ჭირიმე, ბავშვები რომელ საათზე მოვლენ? — ისევ რძალსა და შვილზე გადაიტანა წყალობამ სიტყვა.

— თორმეტზე. თუ ვახტანგს ტაქსის ფული არ დაენანა, შეიძლება ადრეც, — მიუგო დიასახლისმა.

— ნატალია, ერთი შენებურად დატრიალდი, ვახშამი მაინც გაგვიმზადე, წყალობა ნამგზავრია და, ალბათ, ეშიება. ღორის ხორცი ხომ დარჩა შესაწვავი?

— შენ მყავხარ შესაწვავი! ამ დილით სურსათ-სანოვაგის ფული ამხანაგებს რომ შეაჭამე და ბაზრიდან ხელცარიელი დაბრუნდი! — ქოქოლა მიაყარა ცოლმა და ქოშების ბაკუნით ოთახში შეეარდა.

— პატივცემულო აბესალომ, — მიმართა მორიდებით წყალობამ, — მეუხერხულება თქმა, მაგრამ, რა ვიცი, აბა, ხურჯინში ცოტაოდენი ძღვენია და...

— რას ბრძანებთ, მოსარიდებელი რა არის? პირიქით, კარგი სიტყვა კარგი მოსასმენია! — ხელების ფშვნეტით მიუგო აბესალომმა.

წყალობამ ხურჯინიდან ქათამი და ნაზუქები ამოალაგა, აბესალომმა კი კასრს ახადა და ღვინო ჩაფში გადმოასხა.

— იფ, იფ! ესეთი პურმარილი გამოგვივა, შენი მოწონებული! — გაიძახოდა მასპინძელი.

ივანზე გამოსულმა ნატალიამ მოხარშული დედალი და ყვითლად დაბრაწული ნაზუქები რომ დაინახა, სახეზე ღიმილი აუთამაშდა. ფაციფუცით თეფშები, დახა-ჩანგალი და ჭიქები გამოალაგა და მერე თვითონაც მაგიდას მიუჯდა.

აბესალომმა აკანკალებული ხელით ღვინით გალიცლიცებული ჭიქა მაღლა შემართა და წარმოსთქვა:

— მძახალო, შენს ჩამოსვლასა და ჩვენს დახვედრას გაუმარჯოს! — წყალობას ჭიქა ჭიქაზე მიუჯახუნა და მწყურვალივით ღვინოს დაეწაფა.

წყალობამაც დალოცა მასპინძლები და ღვინო ცოტა მოსვა.

— იფ, იფ, აი, ღვინო ამას ჰქვია! — ამბობდა აბესალომი და ულვაშებზე ხელს ისვამდა. — პირდაპირ ძარღვებში მიდის.

— შენი ვერაფერი გამიგია, ძმარიც რომ დალიო, მაინც ასე გაიძახი. აბა, ერთი მეც გავსინჯო! — თქვა დიასახლისმა.

მასპინძლები ისე გემრიელად შეექცეოდნენ ნივრის წყალში ცივად მოხარშულ ქათმის ხორცს, რომ წყალობაც მადაზე მოვიდა და იმათ ჯიბრზე ბარკალი უცებ გასლიპა.

— იფ, იფ, რა გემრიელია შინ გაზრდილი ქათამი! — თქვა ნატალიამ.

— ახლა ნაზუქს არ იკითხავ? — გაეპასუხა ქმარი.

აბესალომს ლუკმა წარამარა ყელზე ადგებოდა, ამიტომ ორსიტყვიან სადღეგრძელოებს ამბობდა, ღვინოს აჩქარებით სვამდა და სტუმარს ეუბნებოდა:

— დალიე, მოხუცო, შენთვის უფრო მადლია!

— მე ისე ვატყობ, ჩემთვის კი არა, შენთვის არის მადლი! დალიე, ღმერთმა შეგარგოს! — მიუგო წყალობამ

— შენა, შენ რატომ არა სვამ, რატომ არ მოილხენ? — მიმართა მოხუცს ლოყებაწითლებულმა ნატალიამ.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, მუხლებს ვიტკიებ და ვაითუ მაწყინოს.

— დალიე, ნუ გეშინია. ორი ჭიქა ღვინო თუ არ გარგებს, არც არაფერს გავნებს. ხვალ კი პროფესორს გაგასინ-

ჯებთ! — მიმართა წყალობას აბესალომმა.

— მე თუ მკითხავ, პროფესორთან წასვლა ფულის დაკარგვაა და მეტი არაფერი, — თქვა ნატალიამ.

— რა ვიცი, შენ ფრჩხილი აგტკივდება თუ არა, მაშინვე პროფესორთან გარბიხარ ხოლმე და! — მიაძახა ქმარმა.

— აი, შე მიწადასაყრელო, რომელ ერთხელ დამახვიე პროფესორები, — დაიწივლა ცოლმა და მაგიდის ქვეშ ტუფლის წვერი ფეხის წვივზე მისცხო ქმარს.

— კაცი აბანოში წაიყვა და აბანავე, თორემ ამაღამ ლოგინში არ ჩავაწვენ!

აბესალომს სიმთვრალეში სმენა აკლდებოდა, ამიტომ ცოლის ნათქვამი ვერ გაიგო:

— რა მითხარი, ვერ გავიგე?

— იმას გეუბნები, — ხმას აუწია ნატალიამ, — რომ ახლავე შენ და შენი მძახალი აბანოში წადით და იბანავეთ!

— ააა, ახლა კი მივხვდი! — თქვა აბესალომმა და სტუმარს მიუბრუნდა: — წყალობა, მაინც არაფერს ვაკეთებთ, მოდი და რაც იქნება, იქნება, წავიდეთ. ერთ მექისეს ვიცნობ, ცეცხლია, ცეცხლი! გემრიელად დაგზელს, სახსრებს დაგიჭიმავს, ტკივილებს გაგიყუჩებს.

— დაღლილი ვარ, თან გუშინ ვიბანავე და მიმძიმს წამოსვლა.

— სად იბანავე? — იკითხა გაოცებულმა დიასახლისმა.

— სოფლის აბანოში.

— გოგირდის აბანო მაინც სხვა არი! — მერე ქმარს მაგიდაზე ხელი დაურტყა და თვალები დაუბრიალა. — აბესალომ!

— აბა, მძახალო, — ჭიქას წამოავლო ხელი აბესალომმა. — მაშ, ჩვენს მგზავრობას გაუმარჯოს!

წყალობა ბევრს უარობდა, მაგრამ მასპინძლები არ მოეშვნენ და აიძულეს აბანოში წასულიყო.

მოხუცდა და ტანსაცმლის გახდა უჭირდა, მაგრამ აბესალომმა ჯერ ჩექმები წააძრო, მერე შარვლის ტოტებში სწვდა, მოხუცმა შარვალი არ დაანება, თავად გავიხდიო. ტანდაბალმა მექისემ, რომელსაც წყალობაზე ნაკლებ არ გაჰკვროდა დანაოჭებული ტყავი ძვლებზე, მოხუცი ქვის ტახტზე პირქვე გააწვინა და ჩვეული ოსტატობით დაუზილა ბებერი ძვლები, დაუჭიმა დამჭკნარი სახსრები. გამეტებით ურტყამდა მუშტებს წელზე, ბარძაყებზე, ნეკნებში. ესეც არ აკმარა და მუხლისთავებით მხრებზე შეახტა. ფეხებით ცურავდა სხეულზე, ბუქნავდა და ჩასძახოდა: გაამოს, ბერიკაცო, გაამოსო.

ბოლოს ტანზე თბილი წყალი გადაავლო და ორივ ხელი გამეტებით ნეკნებზე შემოსცხო — „შაბაშ, ბერიკაცო, გაამოს!"

მართლაც გამოუთქმელი სიამოვნება იგრძნო წყალობამ, ყოჩაღად წამოდგა, მუხლების ტკივილიც მიუყუჩდა და შვებით ამოისუნთქა.

ახალი შებინდებული იყო, მძახლები აბანოდან რომ დაბრუნდნენ. ვახტანგი და მაია ჯერ კიდევ არ მოსულიყვნენ.

სუფრა ალაგებული დახვდათ, მაგრამ ჩაფით ღვინო ისევ მაგიდაზე იდგა.

აბესალომი ხელების ფშვნეტით მაგიდას მიუჯდა.

— მძახალო, დაჯექი, თან ვიჭუკჭუკოთ, თან ღვინით ყელი ჩავისველოთ, — მიმართა მან წყალობას.

წყალობაც დაჯდა.

აბესალომმა ფინჯანი ღვინით გაავსო, თვალის ჩაკვრით წაილაპარაკა, გაუმარჯოსო, და არაყივით უცებ გადაჰკრა.

ფინჯანი ისევ ღვინით გაავსო და წყალობას გაუწოდა, დალიეო. მოხუცმა იუარა. აბესალომს მაინცდამაინც ძალა არ დაუტანებია, ფინჯანს ორივე ხელი შემოაჭდო, თითქოს ეშინია, ხელიდან არ გამივარდესო, და აჭიკჭიკდა:

— ეჰ, ჩემო ძვირფასო წყალობავ, ნეტავი რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე? თუ ერთი როგორმე ვახტანგის საქმე გავჩარხეთ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

— მაინც სად აპირებს მუშაობის დაწყებას? — შეეკითხა წყალობა.

ივანე ურჯუმელაშვილი
მძახლები

— ეს ჯერ გაურკვეველია. ვნახოთ, რა თვალით დაინახავს უფროსი. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, საცა უნდა, იქ დააყენოს, ოღონდ ცოტაოდენი გამორჩენა ჰქონდეს. აი, მე, მაგალითად, ბოლო თხუთმეტი წელი ლუდს ვყიდდი ავჭალის გზატკეცილზე პატარა ჯიხურში. აი, დედასა, დედასა, რა ფულს ვაკეთებდი — ორი მესამედი ლუდი, ერთი მესამედი ქაფი. რა დღეები იყო! წელში გავიმართე, თავისუფლად ამოვისუნთქე. სახლი მაშინ ავაშენე, ოჯახი მოვაწყე და ხალხში გამოვედი. აბა, მაშ, როგორ!

ოთახიდან ნატალია გამოვიდა.

აბესალომი ფინჯანს ზედ გადაეფარა და ლაპარაკის საგანი შესცვალა:

— მამა ენაცვალოს მაიას, მაგისთანა გოგო თბილისში არ დადის!

— აღზრდილია, აღზრდილი! — შეაშველა სიტყვა დედამ. — ბედნიერ ფეხზე ყოფილა ვახტანგი დაბადებული, რომ ასეთი ღვთისნიერი გოგო შეხვდა!

— კარგია, კარგი! — თავს უქნევდა წყალობა, რომელსაც ცოლ-ქმრის ლაპარაკი გულს უღრღნიდა, მაგრამ რა ექნა.

სახლის წინ მანქანა შეჩერდა. თუნუქის კარმა დაიჩხარუნა და ახალგაზრდა ცოლ-ქმარი აივანზე ამოვიდა.

მაია მამამთილს ცივად მიესალმა. თავმოღერებული, თითქოს ვიღაცას უნდა დაეჯახოსო, ოთახში შევიდა და კარი შეიჯახუნა.

— მომიკვდეს თავი, იმდღევანდელივით გაბუტულია! — ამოიოხრა დედამ და ქალიშვილს ფეხდაფეხ შეჰყვა ოთახში.

ვახტანგი მამას გადაეხვია და გადაჰკოცნა, მერე გვერდით მიუჯდა და სოფლის ამბები გამოჰკითხა. აბესალომმა დრო იხელთა და ფინჯანი გამოსცალა. ნატალია ოთახიდან დაფეთებული გამოვარდა, სიძესთან მიიჭრა და გაპარჭყული ხელები ცხვირწინ აუქნია:

— აი, შე გაუთლელო, გამოუსვლელო! ამ ბოლო დროს რა თავი აიშვი! გირჩევნია ჭკუაზე მოხვიდე და ასეთ სისულელეებს თავი დაანებო, თორემ ქალი არ ვიყო, თუ მთელი ქუჩის სასაცილო არ გაგხადო.

— რა მოხდა, ნატალია, რა ამბავია?! — წაიღუღღუღა აბესალომმა.

— რაღა რა მოხდა, კაცო, რა თავსა ქინდრავ, ხმა ამოიღე! თურმე ამ ვაჟბატონს მაიასათვის ხალხში ჩხუბი აუტეხია, აქეთ-იქით რად იხედებიო. ესეც ახალი ამბავი! ღმერთს ადამიანისათვის თვალები იმისთვის მიუცია, უნდა გაიხედოს და გამოიხედოს!

— ნატალია მიხაილოვნა, გახედვაც არის და გახედვაც! მაია გამუდმებით ერთ ბიჭს უცქეროდა და მალულად უღიმოდა კიდეც, — მიუგო ვახტანგმა.

— აი, შე ყეყეჩო, ჯერ პირი გამოირეცხე და მერე ისე ილაპარაკე, — მაგიდაზე ხელი დაურტყა ოთახიდან მაიამ.— რითი ვერ გაიგე, რომ ის ბიჭი ჩემი კლასის ამხანაგია!

— ვეღარ გამიგია, განა რამდენი ბიჭი იყო თქვენს კლასში, რომ ვინც არ უნდა შეგხვდეს, ყველას კლასის ამხანაგად ასაღებ! — გაიცინა ვახტანგმა.

— უყურე ამას, რომ იღრიჭება კიდეც! თუ არ მოგწონვარ, გზა ხსნილი გაქვს, შეიკარ ბარგი-ბარხანა და მამაშენს თან გაჰყევი. შენ რა ღირსი ხარ ჩვენისთანა ოჯახში ყოფნისა! — მიუგო მედიდურად მაიამ და ტანის ლამაზი რხევით ოთახში შევიდა.

— მაია, მამა გენაცვალოს, რატომ ღელავ, რატომ იშლი ნერვებს! — სიტყვა გააყოლა აბესალომმა.

— ჩაიწყვიტე ხმა, — შეუტია ცოლმა ქმარს. — შენ რომ არ აგეჩემებინა, ამ სოფლელ ტეტიას ქალს არ გავაყოლებდი. — და ქალიშვილს გაედევნა.

— არა უშავს რა, სიძევ! — წასჩურჩულა აბესალომმა ვახტანგს. — მაგათ ხელში ვართ, სხვა გზა არ არის, უნდა მოვითმინოთ. ყელში ბოღმა მაწვება, თქვენ გენაცვალეთ, ჯიგრებო! ღვინით მაინც ჩამაკვლევინეთ ბოღმა! დამისხით-დამალევინეთ! — ბოლო სიტყვები წაიმღერა, ფინჯანი ღვინით გაავსო, გამოსცალა და განაპირა ოთახში ბარბაცით შევიდა.

— რას გაჩუმებულხარ, შვილო, მაგათი მონა ხომ არა ხარ? ამოიღე ხმა, ასე რამ გაგასაწყლა? — ეუბნებოდა წყა-

ლობა ვახტანგს. — აი, დედასა, ეს რა დღე დამიდგა! მე და დედაშენი ზედ დაგკანკალებდით, მზე და მთვარე შენზე ამოგვდიოდა, ოცდაორი წლის ვაჟკაცი ისე გაგზარდე, ხმამაღალი სიტყვა არ მითქვამს! ესენი კი დაგცინიან, აბუჩად გიგდებენ, სახლიდან გაგდებით გემუქრებიან. რა გაგჭირვებია, ასე რამ წაგახდინა? სახლი გაქვს, მშობლები გყავს. თუ ჩვენთან არ გინდა ყოფნა, მოკიდე შენს ცოლს ხელი, საცა გინდა, იქ დაბინავდი და შენთვის იცხოვრე.

— რა ვქნა, მამაჩემო, მაია არც სოფელში მომდევს, არც იმაზე მთანხმდება, რომ ცალკე გავიდეთ: დედისერთა ვარ, მშობლებს თავს ვერ დავანებებო. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე, ოჯახს ხომ არ დავანგრევ?!

— განა შენი ოჯახი ოჯახია?! სახლი შენ არა გაქვს და კარი, შვილი შენ არა გყავს და ძირი.

ოთახიდან გაწიწმატებული ნატალია გამოვარდა და მამა-შვილს დაუყვირა:

— ამ შუაღამისას რას ყაყანებთ! ხალხი არა ხართ, დაგვაძინეთ!

წყალობა პატარა ოთახში დააწვინეს მოკლე ხის ტახტზე. აბესალომიც ამ ოთახშივე მიწვა გაუხდელი. მოხუცს ძილი გაუტყდა. ამ ერთ საღამოს იმდენი ნახა და განიცადა, იმდენი საფიქრებელი გაუჩნდა, ასე იოლად რა დააძინებდა. უძრავად იწვა ფიქრებით გაბრუებული. თან შიშით მხარს ვერ იცვლიდა, რადგან ძველ ტახტს გულის გამაწყალებელი ჭრაჭუნი გაუდიოდა.

*

დილით წყალობა მუხლების ტკივილმა გამოაღვიძა. უხალისოდ იყო, თავი უმძიმდა, ადგომა ეზარებოდა. ერთადერთ პატარა ფანჯრიდან მზის სხივები სოლივით იჭრებოდა ბნელ ოთახში. აბესალომი დივანზე აღარ იწვა. წყალობა გუმანით მიხვდა, რომ კარგი ხნის გათენებული იყო. თავს ძალა დაატანა, ხვნეშით წამოდგა, ტანსაცმელი ჩაიცვა და აივანზე გაბარბაცდა.

თავშალწაკრული აბესალომი მაგიდას მისჯდომოდა და ისპანახს არჩევდა.

წყალობამ დილა მშვიდობისა უსურვა მძახალს, მან სალამი არ დაუგვიანა და შეეკითხა:

— როგორ გეძინა, მუხლების ტკივილმა ხომ გაგიარა?

— ღამით არ შევუწუხებივარ, მაგრამ ამ დილით ისევ ამტკივდა.

— ეგ არაფერია, გაივლის. მე კი მთლად წავხდი, მოთენთილი ვარ, თავი მტკივა. ეჰ, ბარემაც ორი ჭიქა ღვინო დედის ძუძუსავით შემერგებოდა, მაგრამ სად არი, სად!

— ღვინო ხომ გვაქვს, დალიე, რა გიშლის ხელს?

— ღვინო სარდაფში ჩაიტანეს, მუშტის ტოლა კლიტე დაადეს და გასაღები დამიმალეს!

— თვითონ სადღა არიან?

— ბაზარში წავიდნენ, რაღაც-რაღაცეები აქვთ საყიდელი.

აბესალომმა ისპანახი გაარჩია, გარეცხა და დიდი ქვაბით ღუმელზე შედგა. მერე კარტოფილი გაფცქვნა, ხახვი დაჭრა და ჭურჭელი დარეცხა. შესცქეროდა წყალობა მოფუსფუსე აბესალომს და ფიქრობდა: „ამ დალოცვილმა კარგი [illegible]ასახლისივით კი იცის ყველაფერი და“...

დედა-შვილი და ვახტანგი ბაზრიდან მანქანით მოვიდნენ და რაღაც-რაღაცეები მოიტანეს. როგორც კი მამა-შვილი მარტო დარჩნენ, ვახტანგმა უთხრა:

— მამა, დღეს რაღა იქნება, სტუმრებს ველით და ექიმთან ხვალ წავიდეთ.

— არა უშავს რა, შვილო, ოღონდ შენი საქმე მოგვარდეს და ერთი დღე არაფერია, მოვითმენ.

— ჰო, მართლა, გაღვიძება მეუხერხულა და შენი ჯიბიდან ორმოცი მანეთი ამოვიღე. ჩემზე იყოს!

— რატომ მეუბნები ამას? განა შენთვის როდისმე რაიმე მიანგარიშია?

ვახტანგმა არაფერი უპასუხა და თავი დახარა.

შუადღისას ტკივილებმა ძალიან შეაწუხა მოხუცი, შევიდა ოთახში და ტახტ-

ზე წამოწვა. დედა-შვილმა ტანსაცმლის ძველი კარადა აივანზე გაიტანეს და გარდიგარდმო გაჩხირეს. მერე წყალობა ააყენეს, ტახტი აივანზე გაიტანეს და კარადის უკან დადგეს. მეზობლისაგან მრგვალი მაგიდა ითხოვეს. მაგიდა აივნის ვიწრო კარში ვერ გაეტია, ამიტომ ფეხებში თოკი მოაბეს და აივნის მოაჯირზე ძლივს გადაათრიეს. მაგიდა დიდ ოთახში გაშალეს და გარშემო მეზობლებისაგან ნათხოვარი სკამები შემოულაგეს. მასპინძლისათვის სამზადისში ხელი რომ არ შეეშალა, წყალობა ჩავიდა ეზოში და ფშატის ქვეშ დაჯდა. მაშინვე მასთან აბესალომმა მიირბინა და მანჭვა-გრეხით უთხრა:

— კაცო, რატომ გვერიდები, თუ დასვენება გინდა, წამოდი და ტახტზე წამოწექი!

— არა უშავს რა, აქ ვიჯდები! — მიუგო მოხუცმა.

აბესალომი არ მოეშვა და მძახალი დაიყოლია.

წყალობა ავიდა აივანზე და კარადას ამოფარებულ ტახტზე წამოწვა; წამოწოლისთანავე რძალმა ბალიში და საბანი გამოურბენინა.

ბალიში თავით დაუდო და საბანი დააფარა. მოხუცს ესიამოვნა რძლის მზრუნველობა და მადლობა გადაუხადა, თუმცა ისიც გაიფიქრა: მალე ალბათ სტუმრებიც მოვლენ და რა ბავშვივით ადრე მაძინებენო. მერე დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ რა დიდ მოლოდინში იქნებოდა დღეს თეკლე, ალბათ გზაზე ცქერით თვალები ჩაუწყალდა და ამაღამდელ ღამესაც თეთრად გაათენებს. რა ჰქნას, განა თვითონ კი არ მიუწევდა გული სოფლისაკენ, მაგრამ, აბა როგორ წასულიყო. სხვა რომ არა იყოს რა, რას იტყოდნენ სტუმრები? ის კაი კაცი, თუ ჩამოვიდა, ერთ ღამეს ვეღარ დარჩა, რა მიარბენინებდაო. ეს რომ არა, დღეს აქ რაღა გააჩერებდა! განა ვერა გრძნობს, რომ მძახლებსა და რძალს თვალში არ მოსდით და არ ეპიტნავებათ?!

აივანზე ვინც კი გამოვიდოდა, ყველა მოხუცს გადახედავდა ხოლმე, თითქოს ბავშვი დაუწვენიათ და იმისი გაგება უნდათ, დაიძინა თუ არაო. წყალობამაც თვალები დახუჭა და თავი მოიმძინარა.

სახლს მანქანა მოადგა. დიდ ოთახში ჩოჩქოლი ატყდა, აბესალომმა კიბე ჩაირბინა და ჭრიალით გააღო კარი.

წყალობა უნდა ამდგარიყო, მაგრამ გადაიფიქრა, რა საჭიროა წინ წავეჩხირო, როცა დამიძახებენ, ავდგები და მაშინ გავალო. თავი მაღლა ასწია, რომ უფრო კარგად დაენახა აივნის კარი, საიდანაც სტუმრები შემოვიდნენ.

სულ პირველი ამოვიდა სარეცით გამხდარი და მაღალი ქალი, ქიშმერის გულამოღებული კაბა მუხლებამდე რომ სწვდებოდა. იმას ფეხდაფეხ ამოჰყვა დაბალი ჩასუქებული კაცი, პატარა კოხტა ულვაშები ჰქონდა და ჩამოგრძელებული თეთრი ღაბაბი. მერე ორი ახალგაზრდა კაცი, — ისინი დიმიტრი ვასილიჩმა (ასე ეძახდნენ ღაბაბიან კაცს) მასპინძლებს ძმად და სიძედ გააცნო.

როცა სტუმრები მაგიდას მიუსხდნენ და დანა-ჩანგლით ფარიკაობა გაჩაღდა, აბესალომმა მაგიდის უფროსობა დიმიტრი ვასილიჩს სთხოვა, თქვენი თამადობა საამაყოდ და ტკბილ მოსაგონად დაგვრჩებაო. დიმიტრი ვასილიჩი უყოყმანოდ დათანხმდა და, როგორც თამადამ, შემწვარი გოჭის თავი წინ დაიდგა.

წყალობა თვალდახუჭული იწვა და ელოდა, როდის დაუძახებდნენ, მაგრამ მისკენ გახედვითაც არავინ იხედებოდა. განა დრო არ არის, რატომ არ უძახიან? სადაური წესია, ამ ხნის კაცი სოფლიდან ჩამოიყვანეს, ორი დღე ალოდინეს და, ნუთუ მაგიდაზე არ მიიპატიჟებენ?! ალბათ, ჰგონიათ, რომ სძინავს და არ უნდათ გააღვიძონ.

და უცებ წყალობას ყურადღება პატარა ოთახში გამოსული დედა-შვილის ლაპარაკმა მიიპყრო.

— მაია, რატომ არ მღერი? — ეუბნებოდა ნატალია.

— რა მეჩქარება, დედაჩემო, დაიცა, ჯერ დათვრნენ, მერე უფრო მოეწონებათ ჩემი სიმღერა.

— აბა, შენი იმედი მაქვს, გოგო, თორემ ხომ ხედავ, შენი დოყლაპია ქმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ორი სიტყვის თქმასაც ვერ ახერხებს. ბედი კი ჰქონია: დიმიტრი ვასილიჩს მოეწონა, ჯანმრთელი ბიჭია და გაზიანი წყლის გამყიდველად მოვაწყობო. იმდენ ფულს აიღებს და მეტი რა უნდა?!

— აბა, რა ვიცი, თვითონ კი არ უნდა და... ვერ ხედავ, ცხვირი როგორ ჩამოუგრძელდა?

— აი, ეგ ხიხო, ეგა! მაშ რა, ქალაქის უფროსობა ხომ არ უნდა?! ეტყობა, მამამ გააგულიანა! კარგად არ შევკუნჭეთ ეს ბებერი მელა კარადის უკან?! მაგიდაზე რომ წამოსკუპებულიყო, რაიმე სისულელეს წამოაყრანტალებდა და თავს მოგვჭრიდა. სხვა რომ არა იყოს რა, იმის ჩაცმულობაზე რას იტყოდა დიმიტრი ვასილიჩი? ქალი დავბერდი და ასეთი რამ ჯერ არ მინახავს: ქამრის მაგივრად წელზე შალი შემოურტყამს, ხალათი ამოსჩაჩვია და შარვლის ღილიც ერთთავად გახსნილი აქვს...

— კიდევ კარგი, ვახტანგს ნება არ მივეცი, აიჩემა, გინდა თუ არა, მამაჩემი უნდა გავაღვიძოო. ხომ ხედავ, რაც თავისი მამა დაინახა, გული მიეცა. ჩემი აღარაფერი მოსწონს, სულ კრიჭაში მიდგას! ეს სულ მამამთილის ოინებია. პირველად დავინახე თუ არა, მაშინვე ვიგრძენი, რომ ჩემი მტერი იყო და არც შევმცდარვარ. რაღა გოგო ვარ, თუ მაგ ბებერს ჩემს ოჯახში ფეხი არ ამოვაკვეთინე!

— გოგო, აქ ცოტა წინდახედულებაა საჭირო. სჯობია ვახტანგს მამაზე ნელნელა ჩააწვეთო, თორემ რა იცი, ეგ ისეთი ჭკუამოკლეა, შეიძლება ცოლს მშობლები ამჯობინოს.

— თავში ქვა უცია! თუნდა დღესვე მომცილდეს, მაგისთანა ქმარს როცა გინდა, მაშინ ვიშოვი. მდიდრები არიანო, ყურები რომ გამოგვიჭედეს, აბა რას ვხედავთ იმათ სიმდიდრეს?! ერთი ციცქნა გოჭი და ათი ლიტრი ღვინო დიდი რამეც არის!

— ნატალია, გენაცვალე, გამოდით, თამადა გკითხულობთ, ალბათ თქვენი სადღეგრძელოს დალევა უნდა! — გაისმა აბესალომის ხმა.

— ჰო, მოვდივართ! — მიუგო ნატალიამ და დედა-შვილი ოთახიდან გავიდნენ.

წყალობას ტყვიასავით მოხვდა გულში ეს სიტყვები. სუნთქავდა, მაგრამ თითქოს სული აღარ ედგა. თვალები ფართოდ გაეხილა, მაგრამ ვეღარაფერს ხედავდა. ყელში დანა რომ დაერტყათ, წვეთი სისხლი არ გამოუვიდოდა. ოჰ, როგორ უნდოდა შეჭრილიყო ოთახში და სტუმრების თანდასწრებით რძლისა და მისი დედისათვის მხოლოდ ეს ეთქვა: თქვე კაი ხალხო, ოცდაორი წლის ვაჟკაცი თქვენთვის გავზარდე და რას მერჩით, რა დაგიშავეთო! ასადგომად წამოიწია კიდეც, მაგრამ ვიღამაც ყურში წასჩურჩულა: არა, წყალობავ, ახლა ამის დრო არ არი! სჯობია შენს საქმეს მიხედო, აქ უშენოდაც ყველაფერი გაირკვევა და მოწესრიგდებაო!

ჰაი, დედასა! ეს რა დღე გაგითენდა, წყალობავ! განა არ გერჩია მიწა გაგსკდომოდა და შიგ ჩაეტანე. აფსუს, მთელ სოფელში თითით საჩვენებელო ვაჟკაცო, სახელგანთქმულო თამადავ! იყო დრო, თქვენებურები შენს ნათლიად დადგომას ნატრობდნენ, წყალობას მონათლული ბავშვები სახელოვან ადამიანებად იზრდებიანო! სოფელში უშენოდ მჭადი არ გატყდებოდა, ქვევრი არ მოიხდებოდა! შენ რომ ოფლი დაგიღვრია, ალბათ ამ ლუდის მხარშავებს იმდენი ქაფი არ უნახავთ! შენი დღენი გიხნავს, გითესია. სარჩო-საბადებელი მოგიყვანია და უყურე ამ ტაკიმასხარებს, ამ არაადამიანებს — შენი მაგიდაზე მიწვევაც კი ეთაკილებათ! აი, შე საცოდავო, შენა! რა მხართეძოზე წამოწოლილხარ, აქ რაღა დაგრჩენია, რაღას ელოდები?!

მოხუცი უცებ წამოდგა. წელზე შემოხვეული შალი, ფეხებში რომ ჩასჩაჩვოდა, შეიხსნა და სიბნელეში ისროლა. მოზღვავებულ ძალას გრძნობდა და აღარც მუხლები სტკიოდა. თითისწვერებზე შემდგარმა ფრთხილად გაიარა აივანი და ფეხაკრეფით ჩავიდა კიბეზე. კიდევ

კარგი, ეზოს კარი ღია იყო, თორემ იმის ჭრიალზე იქნებ ვინმეს გარეთაც გამოეხედა. თუმცა მოქეიფენი ისეთ ხმამაღალ მრავალჟამიერს მღეროდნენ, მთელი მავთულის ღობე და კარიც რომ აეშალათ, იმასაც ვეღარ გაიგონებდნენ!

*

წყალობამ იცოდა, რომ ასე გვიან იმათ სოფელში გზად მიმავალ მანქანას ვერ იშოვიდა, ამიტომ სადგურისაკენ გასწია. ბილეთი აიღო და რაკიღა მატარებლის გასვლას ორი საათი აკლდა, მოსაცდელ დარბაზში შევიდა, იქნებ ვინმე ჩვენებური იყოსო, მაგრამ ამოდენა ზღვა ხალხში ერთი კაციც ვერ ნახა ნაცნობი. დილას აქეთ პირში ლუკმა არ ჩაედო და შიმშილმა შეაწუხა. პური და ძეხვი იყიდა, მოსაცდელი დარბაზის კუთხეში ფანჯრის რაფასთან მიდგა და ზეზეულა დანაყრდა.

ამასობაში მატარებელი ჩამოდგა. წყალობა ბოლო ვაგონში ავიდა და განაპირა სკამზე დაჯდა. გვერდით მსხდომი მგზავრები გამოელაპარაკნენ, მაგრამ გული არავის უჩვენა. მატარებელი რომ დაიძრა, თავი ჩარგო და თვალები დახუჭა. უმალ ის მტანჯველი ფიქრი აეშალა, რაც ეს ორი დღეა ჩასციებოდა და მოსვენებას არ აძლევდა. როგორ არ უნდოდა ამაზე ეფიქრა, მაგრამ სხვა რამეზეც რომ არ შეეძლო ფიქრი?!

რაო, რაო? არ უნდა წამოსულიყო? მაშ თოჯინასავით კარადის უკან როდემდის უნდა მჯდარიყო? ჯერ ისიც ვერ უპატიებია თავისი თავისათვის, რომ როცა ნახა, რა ზნისა და ბუნებისანიც იყვნენ მოყვრები, მაშინვე არ აიკრა გუდა-ნაბადი. ეჰ, რაც იყო, იყო. ჯანდაბას მისი თავი და ტანი! გული იმაზე უკვდება, ბიჭმა როგორ უნდა გაუძლოს იმათ? იქნებ სჯობდა, გულახდილად ეთქვა შვილისათვის, რა აზრიც შეექმნა მოყვრებზე? თუმცა რა საჭიროა. უამისოდაც ეტყობა, ვახტანგი ყველაფერს მიხვედრილია. ტყუილად არ შესჩიოდა მაია დედას, ქმარი კრიჭაში მიდგას, ჩემი აღარაფერი სჯერაო. ჰოდა, თუგინდ წყალობა ულვაშებს ძირში დაიჭრის, რომ ვახტანგი მალე, სულ მალე ოჯახს დაუბრუნდება. ჩამოვა, უსათუოდ ჩამოვა! საიდან იცის? გული ეუბნება, შვილის თვალებში ამოიკითხა!

წყალობამ ფანჯარაში გაიხედა. ბნელი ღამე იყო. შორს მოჩანდა მთებზე შეფენილი და ელნათურებით განათებული სოფლები. აგერ მათი სოფელიც. ღუბ რაღაც გამოუთქმელი სიხარული იგრძნო, აი, ისეთი, რასაც ოჯახს დიდი ხნით მოწყვეტილი ადამიანი განიცდის ხოლმე შინ დაბრუნებისას.

სადგურამდე ჯერ კიდევ ათი-თხუთმეტი წუთის სავალი იყო, მაგრამ მოხუცი წამოდგა, მგზავრებს ღამე მშვიდობისა უსურვა და დერეფანში გავიდა. მატარებელი გაჩერდა თუ არა, ჩავიდა და ბაქანზე შეიცადა.

ნუთუ ერთი კაცი მაინც არ იქნება მისი სოფლელი?!

მატარებელი დაიძრა. ჩაიქროლეს ვაგონებმა. ბოლოში ანთებული წითელი შუქიღა კიაფობდა წყვდიადში, ბაქანზე კი წყალობას მეტი არავინ დარჩენილა.

რაც არი, არი! რახან აქამდე მშვიდობით ჩამოვიდა, როგორც იქნება სახლამდეც მიაღწევს. ვინ მოთვლის რამდენჯერ გაუვლია ეს გზა ღამით თუ დღისით, დარსა თუ ავდარში?! ახლა კი მშვენიერი მთვარიანი ღამეა. ნელა ივლის და, როგორც იქნება, სოფელში ავა. მოხუცი გავიდა ბაქნიდან, სადგურის უკან პატარა მოედანი გადასჭრა და სოფლისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

ამ ორმოცი წლის წინ ამ გზით გაიარა მისმა საქორწილო მაყრიონმა. სულ წინ მისიანები მიაგელვებდნენ ცხენებს, მერე სამი ეტლი მიჰქროდა. წინაში ახალჯვარდაწერილები ისხდნენ. ცასა სწვდებოდა მაყრიონის სიმღერა და ზურნის ჭყვიტინი. სოფელში მახარობლის შესვლისთანავე ატყდა თოფების ბათქაბუთქი, აინთო უთვალავი მაშხალა. დიდი თუ პატარა შეეგება მაყრიონს. ახსოვს ორმოცდაერთი წლის დეკემბრის დილაც. ცივი ქარი ქროდა, გზა დანამქრული იყო... იმათი სოფლიდან ოცამდე მოხალისე ჭაბუკი მიდიოდა ომში. სულ წინ ზურაბი მიაბიჯებდა.

წყალობა გვერდში ამოსდგომოდა ამაყად მიმავალ შვილს, ამ გზით ელოდა შვილის დაბრუნებას, მაგრამ ვაგლახ, რომ ვერ ეღირსა!

მოხუცს გული აუჩუყდა, ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე.

იტირე, წყალობავ, იტირე, შე საცოდავო! ცრემლით მაინც მოიოხე გული! აქ ხომ ვერავინ დაინახავს შენს ცრემლებს, ვერავინ გაიგონებს შენს ქვითინს!

— ბიჭოს! უკვე არხის ხიდზე არ ვყოფილვარ?!—უცებ წაილაპარაკა მოხუცმა.

ხიდი ზედ შუა გზაზე იყო და აქედან იწყებოდა იმათი კოლმეურნეობის მამულები.

რა კარგად უვლია! აგერ გზისპირას მდგარი ბებერი მუხაც. ნეტავი მუხის მარჯვნივ თეთრად რა ქათქათებს მთვარის შუქზე? აქ ხომ კოლმეურნეობას სიმინდი უთესია. ჰო, გუშინ მანქანით მომავალმა შენიშნა ეს ნაკვეთი. მუხლებამდე ამოსული სიმინდის ძირებისათვის გვარჯილა მიეყარათ. ერიჰა, თუ სასუქს ნიადაგში არ ჩასთოხნი, ისე რა ფასი აქვს მის შეტანას!

რა ჰქნან ბრიგადირმა ან კოლმეურნეობის თავმჯდომარემ? ახალგაზრდებს ქალაქისაკენ უჭირავთ თვალი, კოლმეურნეობას კი მუშახელი აკლია!

ნუთუ ნაკვეთში შეტანილი გვარჯილა კიდევ არ ჩაუთოხნიათ და ის არის, ასე თეთრად რომ ქათქათებს?!

წყალობამ შეამჩნია, რომ ნაკვეთში წყალი შეეგდოთ სიმინდის მოსარწყავად და თავი მიენებებინათ.

წყალს სათავესთან ჩაეხრამა, კვლებში დიდ ნაკადებად მიჩხრიალებდა და სიმინდის ძირებთან მიყრილი გვარჯილა ბოლოში გაჰქონდა.

— აი, დედასა, დედასა! ეს საქმეა?!— წაილაპარაკა მოხუცმა და მუხის ძირას დაიწყო ხელების ფათური: მრწყველებს თოხი და ბარი აქვე ექნებათ სადმე მიმალულიო. არ გასცრუებია იმედი — თოხიც იპოვა და ბარიც. სათავესთან ჩახრამულ ადგილას დიდი ქვები ჩაყარა, იქვე მუხის ძირას ბელტი მოჭრა და ქვის კედელს წინიდან ჩაუფინა, უკნიდან კი მიწა მიაყარა. მერე ფეხთ გაიხადა, შარვლის ტოტები მუხლამდე დაიკარწახა და ნაკვეთში შევიდა. დახევებული წყალი სათავესთანვე კვლებში თანაბრად გაანაწილა, რომ ნიადაგს მისი შესრუტვა მოესწრო. ალაგ-ალაგ წყლის ნაკადით წაქცეულ სიმინდის ძირებს ასწორებდა, ფესვებზე მიწას აყრიდა და თავისთვის ჩურჩულებდა: „ცოდოა, ცოდო!“

სოფელში მამლებმა მესამედ რომ იყივლეს, ფერდობზე შეფენილ ბაღვენახებში წითელი კრამიტით გადახურულმა სახლებმა სოკოებივით ამოყვეს თავი, სოფლის იქით მხრებგაშლილი მთები წამოიზარდნენ.

წყალობა ნაკვეთის შემოვლას მორჩა. აქა-იქ მკრთალად მოციმციმე ვარსკვლავებიც თვალს მიეფარა და მტრედისფრად ინათა.

მალე მზემაც ამოაშუქა.

წყალობამ ნაკვეთში შეგდებული წყალი დაწყვიტა, თოხი და ბარი ისევ ბუჩქის ძირას შეინახა, ფეხთ ჩაიცვა და მოღლილ-მოქანცული სოფლისაკენ გზას გაუდგა.

ივანე ურჯუმელაშვილი
მძახლები

გიორგი ქავთარაძე

ჯოლაყის ბანაკები

ლურჯთვალა ყვავილი

ორდრუფი ჩემს ხსოვნას კოშმარივით შემორჩა.

არ ვიცი, ეს ქალაქი რით არის შესანიშნავი, — მე ვერაფერი ვნახე საინტერესო და მიმზიდველი. ახალგაშენებულ ქალაქსა ჰგავდა, უმნიშვნელოდ იყო დაზიანებული.

ორდრუფში ერთი ბანაკის უზარმაზარ ტერიტორიაზე რამდენიმე ეროვნებისა და სარწმუნოების მრავალი ათასი ყოფილი ტყვე ვცხოვრობდით. ამათ ემატებოდა ამერიკელები და გერმანიაში იძულებით გასახლებული ახალგაზრდები — უმეტესად უკრაინელები და რუსები.

ამ ზღვა ხალხში გზა-კვალს ვერ გაიგნებდი. ამხანაგი ამხანაგს ეძებდა, ნაცნობი ნაცნობს. შემთხვევით თუ წააწყდებოდით, ვისაც ეძებდით, თორემ ის ეკაცი კაცს ვერ იპოვნიდა. სახლების კედლები და ბოძები აჭრელებული იყო წარწერებითა და განცხადებებით. ამხანაგი ამხანაგს ეძებდა, ნაცნობი ნაცნობს: ამა და ამ ადგილზე ვიქნებიო.

დასასრული. იხ. „ცისკარი", № 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10.

დამწუხრებული ადამიანები ცდილობდნენ ნაღველის გაქარვებას. ჩვენს უზარმაზარ ბანაკში ათასნაირ მუსიკალურ ინსტრუმენტს ნახავდით, ყველა ერთდროულად უკრავდა და მღეროდა თავისი გემოვნებისა და უნარის მიხედვით. რაღაც კაკოფონია იყო, რაღაც გახელება და გაგიჟება.

ხანდახან ეს ჯოჯოხეთური ხმაური წუთით შეწყდებოდა, ქარიშხლის წინ გამეფებულ სიჩუმეს დაემსგავსებოდა, მაგრამ ისევ მალე აქუხდებოდნენ ინსტრუმენტები და იყო ერთი აურზაური.

ერთხელ ვიფიქრე, აქაურობას გავეცლები-მეთქი. ბანაკიდან გავედი, რომ აღარაფერი დამენახა და მომესმინა. შუაღამე იყო. იმის ნაცვლად, რომ შევსულიყავი ჩემს ოთახში, რომელიც საკუთრად მეჭირა, ისევ სანახაობის სურვილი წამეკიდა, ავედი სახლის სახურავზე და იქიდან გადმოვხედე განათებულ ქუჩებს. ისმოდა სიმღერა და ღრიანცელი. თავდავიწყებით მღეროდნენ, შეშლილებივით ცეკვავდნენ, ზოგიერთები ტიროდნენ კიდეც.

როგორც იქნა, გამოვტაცე ჩემი თავი ამ სანახაობას, ჩამოვედი სახურავიდან და ჩემს ოთახს მივაშურე. ძლივს გავათენე ის საოცარი ღამე.

1945 წლის პირველი მაისის დილა გათენდა.

ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. პირველი მაისი უცხო ქვეყანაში საბჭოურად ვიზეიმეთ. წითელი დროშები ავაფრიალეთ.

ბევრი ვინატრე ჩემი დროშა, რომელიც ერთ მკვდარ ტყვეს აღმოვუჩინე, აღარ მქონდა, თორემ გერმანიაში ავაფრიალებდი. ის დროშა ბელაიაცერკოვიდან კიევში ჩავიტანე. სათბურში მქონდა ჩაკერებული და ჩემს გარდა არავინ იცოდა. ქალაქიდან ქალაქში, ბანაკიდან ბანაკში გადასვლის დროს გერმანელები მაზარებსა და სათბურებს გვართმევდნენ, შემდეგ ჩაგვამწკრივებდნენ და სხვა მაზარებსა და სათბურებს გვირიგებდნენ.

ორდრუფში ტრიბუნა ბანაკში იყო მოწყობილი. სიმღერითა და დროშების ფრიალით ჯერ ქალაქის ქუჩებში გავიარეთ.

გერმანელი მოქალაქენი შემკრთალნი გვადევნებდნენ თვალ-ყურს. იმალებოდნენ, შემდეგ თანდათან ერკვეოდნენ, ზოგიერთები გვიერთდებოდნენ და ყვავილებს გვესროდნენ.

ბანაკის შესავალთან ზვიადად ირხეოდნენ ტყვეებით დაცხრილული წითელი დროშები.

დემონსტრაციიდან რომ ვბრუნდებოდით, ორი მოხუცი მუშა გაგვეცნო, ტელმანის პორტრეტი გადმოგვცეს და ერთმა გვითხრა: ტელმანს პირადად ვიცნობდიო, ჩემი ძმა და ორი ვაჟი საკონცენტრაციო ბანაკში ისხდნენ, უფროსი ვაჟი გარდაიცვალა, მისი ფერფლი დამიბრუნეს, საიდუმლოდ ვინახავ, ჩემმა მეუღლემ არაფერი იცისო.

დემონსტრაცია დამთავრდა. ბანაკი ნელ-ნელა ივსებოდა ქალაქიდან დაბრუნებული ხალხით. ისევ ქალაქს მივაშურე. სასაფლაოსთან გავიარე და ეზოში შევედი. გარინდებული ახალგაზრდები წყვილ-წყვილად ისხდნენ და ჩურჩულებდნენ. სასაფლაო დაბომბილი იყო. აქა-იქ მიცვალებულთა ჩონჩხები ეყარა. ეკლესიის კედლები გაბზარულიყო.

შავებით მოსილი გერმანელი დედაკაცები თავდახრილნი, მდუმარედ დადიოდნენ, თეთრი ხელთათმანები ეცვათ.

ერთ ორმოს წავაწყდი. ირგვლივ დალეწილი და გარუჯული ხეები ეყარა. ამ ორმოს პირას ერთადერთი ლურჯთვალა ყვავილი ამოსულიყო, პატარა ყვავილს ისეთი დაწინწკლული ფოთლები ჰქონდა, გეგონებოდათ, სისხლის წვეთები ამჩნევიაო; ბუდიდან გადმოვარდნილი ღინღლიანი ბარტყივით ჩასჭიდებოდა მიწას, თითქოს აფრენა ეწადა და ორმოში გადავარდნისა ეშინოდა.

ირგვლივ მდუმარე სასაფლაო იყო. ლოდები და ამოყრილი ჩონჩხები... პირდაღებული ორმო სიკვდილივით იმზირებოდა, მის პირას ხარობდა ერთი ლამაზი პატარა სიცოცხლე — ლურჯთვალა ყვავილი. თავი მაღლა აეწია და მზეს შესცქეროდა.

ცხრა მაისს, დილით, ამხანაგები ქალაქში წავედით. გადაწყვეტილი გვქონდა საღამომდე იქ ვყოფილიყავით, მაგრამ ჩქარა მოგვბეზრდა უმიზნო ხეტიალი და ისევ ბანაკისკენ გამოვბრუნდით.

უეცრად ბანაკთან ახლოს მდებარე სახლის ერთი ნაწილი აფეთქდა. სახლი მტვერსა და კვამლში გაეხვია. მცხოვრებლებმა ყვირილი ასტეხეს. მაშინვე მივაშურეთ სახლს. სადარბაზო შესასვლელი მთლიანად ამოქოლილიყო. სახლი შეიძლებოდა დანგრეულიყო. მეზობლად მცხოვრები გერმანელები მოცვივდნენ და სამუშაო იარაღები მოიტანეს. ჩვენც დავიმკლავეთ და სადარბაზო შესასვლელი გავწმინდეთ. მთელი სახლი დაიცალა, შინ შებრუნებას ვეღარ ბედავდნენ. არავინ არ დაშავებულა. მობინადრეებმა დიდი მადლობა გადაგ-

ვიხადეს, იასამნები დაკრიფეს, მოგვართვეს და ბანაკამდის ზეიმით მიგვაცილეს.

ჯერ კიდევ არ ვიყავით შესული ბანაკში, რომ საყვირების გაბმული ღრიალი ატყდა. საყვირების ღრიალმა ომის დამთავრება გვაუწყა, მათ ღრიალს აუარებელმა გათავისუფლებულმა ტყვემ და ორდრუფელმა გერმანელმა თავიანთი სიხარულის ყიჟინა შეუერთა და დედამიწა შეაზანზარა.

გაჩაღდა თავაწყვეტილი ცეკვა და სიმღერა. სევდა-ნაღველი უფრო შემოგვაწვა. განვლილი დღეები მწვავე ტკივილით მოგვაგონდა, სამშობლოში გამგზავრების ჟამი მოახლოვდა.

საღამო ხანს დავტოვე ბანაკი, დროის მოსაკლავად ბანაკის ახლოს გავისეირნე და პატარა მდინარეს წავაწყდი: მდინარის ნაპირას ერთი შავგვრემანი ქალიშვილი იჯდა, გვერდი ავუარე და გზა განვაგრძე.

მდინარეს რამდენიმე შენაკადი ჰქონდა, ეს შენაკადები ღელეებს ჰგავდნენ. მდინარეს დიდი კალაპოტი ჰქონდა და ემჩნეოდა, არ იყო ისეთი უცოდველი, როგორც ახლა სჩანდა — ნაპირზე ეყარა წყალდიდობის დროს მოტაცებული ვეებერთელა ხეები. წაქცეულ ხეებს ნორჩი ტოტები ამოეყარათ.

უცხო ქვეყნის მიდამომ მომაგონა ჩემი მშობლიური სოფელი, სადაც ბაბუაჩემს წისქვილი ჰქონდა. ამ ტკბილმა მოგონებამ ელვასავით გულში გამკვესა. ვიცოდი, რომ დიდი მანძილით ვიყავ დაშორებული სამშობლოს. ქარიშხლიანი დღეები განვლილი იყო, მაგრამ რაღაცნაირი წყნარი და სევდიანი სიო ჰქროდა.

მდინარის ერთი ტოტი ღელესავით დაკლაკნილ ხევში მიჩუხჩუხებდა, წვრილ-წვრილი თევზები დაცურავდნენ გუბეებში, ბაყაყები სულგანაბული კუსავდნენ თვალებს.

უცებ ერთ ადგილს წავაწყდი და გავოცდი, ის ადგილმდებარეობა ისე ნაცნობი იყო ჩემთვის, თითქოს არაერთხელ გამევლოს ან ვმჯდარიყავ იმ ადგილზე, იმ ხეებისა და ბუჩქნარის ახლოს.

რომელ უცხო ქვეყანაშიც არ უნდა წახვიდეთ, ყველგან ნახავთ ისეთ ადგილს, რომელიც ძალიან ჰგავს თქვენს მშობლიურ სოფელს ან ქალაქს. ეს იმდენად არ არის საოცარი. შეიძლება ისეთ ადგილსაც წააწყდეთ, რომ იფიქროთ: მე აქ, ამ ადგილზე, ამ მდგომარეობაში ოდესღაც ვყოფილვარ და ვერ მომიგონებია თუ როდის ვიყავიო. მეც ასე დამემართა...

უკან რომ ვბრუნდებოდი, ის ქალიშვილი ისევ იმ ადგილზე იჯდა, გულხელი დაეკრიფა და ჩაფიქრებულიყო. მას არც ჩემი პირველი ჩავლა ჩაუგდია რამედ და არც მეორე. მეც მარტოობას ვგრძნობდი, რა დროს ცერემონიები იყო და გამოველაპარაკე. უცნობმა ქალიშვილმა მეტად სერიოზულად მიპასუხა და მაგრძნობინა, რომ თუ მოვეშვებოდი, ძალიან კარგად მოვიქცეოდი. ასეც ვაპირებდი, მაგრამ განშორებისას ისე გამიღიმა, თითქოს მთელი სევდა-ნაღველი გადაჰყროდეს გულიდან. მეც აღარ მოვშორებივარ.

სულ ჩქარა გავაბით საუბრის ძაფი, მხარზე გადაკიდებული თავსაფარიც კი შემომთავაზა: დაიფინეთ და დაბრძანდითო. ერთმანეთს მოკლედ ვუამბეთ ჩვენ-ჩვენი თავგადასავალი. იგი უკრაინელი იყო, გერმანიაში იძულებით გამოესახლებინათ. მის თანასოფლელ ახალგაზრდებს ერთხანს მიწერ-მოწერა ჰქონოდათ თავისიანებთან, მაგრამ ის თურმე არც მაშინ ღებულობდა წერილებს ოჯახიდან. უთუოდ რაღაც უბედურება იყო მის თავს.

შეგხვდებათ ზოგჯერ ქალიშვილი, ვერ მოგხიბლავთ დანახვისა და გაცნობისთანავე, გადის დრო და თანდათან მიმზიდველი ხდება და გენანებათ მასთან დაშორება. ასეთი აღმოჩნდა ის უკრაინელი ქალიშვილიც.

დაბინდებამდის ერთად ვისხედით მდინარის ნაპირას და ვისმენდი მის მომხიბლავ ლაპარაკს. ერთად დავბრუნდით ბანაკში. მისი ტოლი ქალი-

შვილები შემოგვხვდნენ, გაუკვირდათ, უცხო ვაჟთან რომ დაინახეს, ისე მიუკარებლად ეჭირა თურმე თავი! მივაცილე ბინამდე და ერთმანეთს მშვიდობის ღამე ვუსურვეთ. მეორე დღეს უნდა შევხვედროდით ბანაკში გამართულ კონცერტზე.

დავრჩი მარტო, სულ მარტო, მინდოდა ჩქარა გათენებულიყო. გათენდა. გამოვედი ბანაკის ტერიტორიაზე, იქნებ წავაწყდე-მეთქი იმ ქალიშვილს, მაგრამ საღამომდე ამაოდ ვეძებდი...

იგი მარტო მიდიოდა, დამინახა, მომესალმა, კონცერტზე შესასვლელად შეჯგუფული ხალხი გაარღვია და საკონცერტო დარბაზის სცენისაკენ გაეშურა. მე უფრო თბილ შეხვედრას მოველოდი, მან კი მძიმედ თავი დამიკრა, თითქოს ცივადაც კი მომესალმა.

დაიწყო კონცერტი. მომღერლები, მოცეკვავენი და დეკლამატორები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სცენაზე გამოვიდა ის ჩემი ნაცნობი უკრაინელი ქალიშვილი, ჭრელი აბრეშუმის ნაჭერს მოაფრიალებდა, აბრეშუმის ნაჭერი მხარზე გადაიგდო გამოცდილი მსახიობივით, დარბაზს თვალი გადაავლო და ლექსის კითხვა დაიწყო.

დარბაზი ჯერ გაირინდა და შემდეგ უცებ აფეთქდა. ჩემს ცხოვრებაში არ მახსოვს, მაყურებელზე ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოეხდინოს თვით საუკეთესო პროფესიონალ მსახიობსაც კი.

მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა, შეძახილებისა და ტაშის გრიალმა ქუხილით გადაგვიარა და უზარმაზარ ბანაკში გაიჭრა.

ყოველდღე ველოდით სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ ამერიკელებმა გამოგვიცხადეს: სანამ მოსკოვიდან რეპატრიაციის ხელმძღვანელები არ ჩამოვლენ, მანამდე აქ დარჩებითო.

მეტისმეტად ძნელი და აუტანელი გახდა ერთ ადგილზე გაჩერება. ამხანაგებმა მოვითათბირეთ, გადავწყვიტეთ დაგვეთვალიერებინა გერმანიის მნიშვნელოვანი ქალაქები. პირველად მაინის ფრანკფურტში გავემგზავრეთ.

ქალაქში დიდი არეულობა იყო გამეფებული. ბევრი ნაცნობ-უცნობი შეგვხვდა. ესენი იყვნენ გათავისუფლებული ყოფილი სამხედრო ტყვეები და გერმანიაში იძულებით გასახლებული უკრაინელი და რუსი ახალგაზრდები.

აღარ მოგვეშვნენ, აღარ დაგვაცალეს რიგიანად დაგვეთვალიერებინა ქალაქის მნიშვნელოვანი ადგილები. ომის დამთავრებისა და ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს გამარჯვების აღსანიშნავად ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანს მივაშურეთ. ქართველები ერთად ვისხედით, ჩვენს ახლოს რუსი ამხანაგები ისხდნენ, ვილხენდით. ჩვენს სუფრას აკორდეონზე დამკვრელი ახალგაზრდა შემოუერთდა. თავდავიწყებით უკრავდა. კარგა ხანს ვისხედით ყველანი ერთად, დიდად მოვილხინეთ...

ფრანკფურტიდან რომ ვბრუნდებოდით, შუა ქალაქში, ერთ სკვერთან, სადაც ჩვენი მანქანა უნდა მოსულიყო ვაილბურგიდან, მოულოდნელად წინ შეგვეჩეხა გერმანელი სადისტი კომენდანტი, აი ის, მაქსის ნაცვლად დროებით რომ მუშაობდა, ტყვეების სია რომ გადავეცი და ერთი გვარიანად რომ მითაქა, რადგან ლათინური შრიფტით დაწერილი არ მოეწონა.

იგი დაიბნა, გაქცევა და გვერდის ავლა ვეღარ მოახერხა.

— ბატონო კომენდანტო, გთხოვთ ხელები დაუშვათ და ისე მელაპარაკოთ! — მივმართე მკაცრად.

ძალზე გაფითრებული, არეული ნაბიჯით მომიახლოვდა. ჩემმა ამხანაგებმა გულიანად გაიცინეს და ერთხმად მიაძახეს:

— Hände hoch!

მაგრამ იმ გლახაკმა არ იცოდა, აეწია ხელები თუ არა. მე ხომ ნაბრძანები მქონდა, ხელებჩაშვებული მდგარიყო. მხრებში იწურებოდა, ხან მე მიცქერდა და ხან ჩემს ამხანაგებს.

ზურგი შევაქციე და გამოვბრუნდი. შემეზიზღა, უკან აღარ მიმიხედავს. ამხანაგებმა მითხრეს: დამხობილი დარჩა იმავე ადგილზეო. მერე სულ მეხუმრებოდნენ: ის ფაშისტი ისევ იქ დაგხვდება დამხობილი, წადი, ხმალი წაიღე და თავი მოსჭერიო (მაინც ვერ გადარჩა, გათავისუფლებულ ტყვეებს ხელში ჩაეგდოთ და სულ ნაწილ-ნაწილ დაეგლიჯათ).

გვიან ღამით ორდრუფში დავბრუნდით. ჯერ კიდევ არაფერი ისმოდა რეპატრიაციისა, მაგრამ მაინც ველარ შევძელით გვენახა სხვა ქალაქები.

ბოლოს, როგორც იქნა, დაიწყო სარეპატრიაციო მზადება. აფორიაქდა ბანაკი. დადგა დიდი ხნის ნანატრი ჟამი — ჟამი სამშობლოში დაბრუნებისა. სხვა ამხანაგებთან ერთად მეც გერმანიაში იძულებით გასახლებული ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის დაბრუნების საქმეს ვხელმძღვანელობდი. ვინაიდან მანქანები საკმაო არ იყო, პირველ რიგში ვარჩევდით ავადმყოფებს და იმ ახალგაზრდებს, რომლებიც მზად იყვნენ და მანქანების მოსვლისთანავე გამოდიოდნენ დაუყოვნებლად.

ჩემს ოთახში ვბრუნდებოდი დასაწოლად, რომ ქალ-ვაჟი შემომხვდა — შემაჩერეს და მაცნობეს, ერთმანეთი გვიყვარს და ერთი მანქანით გაგვგზავნეთ. ერთმანეთს ნუ დაგვაშორებთო. როცა მათ ბედნიერება და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება ვუსურვე, მადლობა გადამიხადეს და მთხოვეს, როდესაც თქვენს ოთახში შეხვალთ, სარკმლიდან ეზოში გადმოიხედეთო. გამიკვირდა, მაგრამ მაინც შევუსრულე თხოვნა: გადავიხედე სარკმლიდან და რას ვხედავ? რამდენიმე წყვილი ქალ-ვაჟი ჩამწკრივებულიყო ეზოში. მეც აღვუთქვი, სხვებზე ადრე თქვენ გაგგზავნით-მეთქი; აყიჟინდნენ გახარებულები, გაჭიმეს ფერად-ფერადი აკორდეონები და ისეთი ცეკვა-სიმღერა გააჩაღეს, გული სიხარულით ამევსო. დიდხანს მხიარულობდნენ.

თანდათან იცლებოდა ორდრუფის ბანაკი, მანქანათა გაუთავებელი კოლონები მიემართებოდნენ. ვუცქერდი მათს გამგზავრებას და გული მწყდებოდა, რომ მე რამდენიმე დღით გვიან უნდა წამოვსულიყავი.

აღარ შემეძლო დარჩენა ბანაკში. რეპატრიაციის შტაბში განვაცხადე, გამათავისუფლეთ-მეთქი. დამრთეს ნება, მომცეს ჩემი კარგი მუშაობის დამადასტურებელი სათანადო საბუთი. ჩემი ოთახი და თანამდებობა სხვას გადავულოცე, შევარჩიე სასურველი თანამგზავრების ჯგუფი, ჩავსხედით მანქანაში და გზას გავუდექით.

გზაღაგზა გვხვდებოდა გადამწვარი ქალაქები და სოფლები, გერმანელები ფუტკრებივით მუყაითად დასტრიალებდნენ თავს ომისაგან იავარქმნილ კარ-მიდამოებს.

საღამო ხანს ქალაქ რიზაში ჩავედით და მეორე დღეს სამშობლოსაკენ გამოვეშურეთ.

სამი თვის დაბრუნებული ვიყავი გერმანიიდან, ჩემს სოფელში ვისვენებდი. ჩემმა ახლო მეზობლებმა ომი მოიგონეს, მშვიდობით დაბრუნება მომილოცეს, ოჯახებში მიწვევდნენ, მასმევდნენ და ჩემს სადღეგრძელოს სვამდნენ. მეუხერხულებოდა დაუმსახურებელი ქება-დიდება, მაგრამ რა უნდა მექნა?

ერთმა კოლმეურნემ ჩამიგდო ხელში, მიმისაკუთრა, აღარ გამიშვა; ორი ვაჟი გაეგზავნა ომში, ორივე მშვიდობით გადარჩენილიყო და ყოველდღე ელოდა. შემიყვანა შინ და თვალის დახამხამებაში ჩინებული სუფრა გააწყო. ცხელ-ცხელი ხაჭაპურები ისე ჩქარა დაახვავა დიასახლისმა, თითქოს ლეღვის ხეზე დაეკრიფოს.

ჩემი მასპინძლის ორსართულიან ცისფერ ოდას უკანა აივნისკენ ვარდ-ყვავილების ბაღჩა ჰქონდა. ფერად-ფერადი ყვავილები საამურად შრიალებდნენ და ყელყელაობდნენ.

შუა ქეიფში, როდესაც ყველას ღვინო შეუჯდა, ლაპარაკმა იმატა.

ვეღარ გავძელი. მარტო ყოფნა მომინდა და სუფრა მივატოვე.

შრიალებდნენ, ნაადრევად ცვივოდნენ ძირს ფოთლები, შრიალებდა ვაზი და ფოთლებს ხელებივით აფარებდა მტევნებს. ბარაქიანი შემოდგომა იდგა.

ბევრი ვიხეტიალე, უკან დაბრუნებისას გზა ამერია და ორღობეში მოვხვდი. საღორეში დამწყვდეული ღორები ჭყვიროდნენ.

ის-ის იყო, უნდა გავცლოდი იქაურობას, თხამ დაიკიკინა, უკან მიმახედა. ბოსელს, რომელშიაც თხა იყო დამწყვდეული, ორი პატარა სარკმელი ჰქონდა. ორივე სარკმელი ჩამტვრეული იყო, ერთი სარკმლიდან თხას გამოეყო თავი და მეორე სარკმელზე მიწის ნაცვლად ყავისფერი ჩემოდნის თავი მიეკრათ. ჩემოდნის თავს ასეთი წარწერა ჰქონდა: „Berlin, Hitlerstraße, №...“ [1]

სახელისა და გვარისათვის ყურადღება აღარ მიმიქცევია. საჩეხეში, ბოსლის ახლოს, ტყემლის ხე იდგა. როგორც სჩანდა, ღამით ამ ხეზე ქათმები იბუდებდნენ. ქათმებს ჩემოდნის თავი კარგა გვარიანად ჩამოელანძღათ.

ჩემს მეხსიერებაში სამამულო ომის მრისხანე დღეები აფორიაქდნენ. ბევრი რამ მომაგონდა, ბევრი რამ გავიფიქრე, ნეტავ ეს ჩემოდნის თავი, ასეთი წარწერით, აქ საიდან ან რანაირად მოხვდა-მეთქი.

დარწმუნებული ვარ, რომ იმ ჩემოდნით ნაცისტური არმიის მეომარს, ჩვენი ქვეყნიდან ნაძარცვი ქონება უნდოდა გაეგზავნა გერმანიაში, მაგრამ აღარ დასცალდა.

ალბათ ის კაცი, ვინც ეს ჩემოდნის თავი აქ მიაჭედა, ბრძოლით შევიდა ბერლინში, წაშალა „ადოლფ ჰიტლერშტრასე“ და მხოლოდ აქ, ამ საღორეზე მიუჩინა შესაფერისი ადგილი.

გიორგი ქავთარაძე

ჯარისკაცის ჩანაწერები

[1] ბერლინი, ჰიტლერის ქუჩა, № ... (გერმ.).

ორდე დგებუაძე

ჩაძირული „ოთონი"

სათავგადასავლო რომანი

ბასავლეთი გულშემზარავად ჩამუქებულიყო.

ზღვის უძალო ნათელი უკუნეთში ჩაწვა, ჩაიძირა, თითქოს გამაყრუებელ აფეთქებას გაექცაო. შევქოთი თუ არ დაბრუნდა, ვაჰანი ალბათ აქედან ფეხს არ მოიცვლის. აბა, სად უნდა წავიდეს?! დათასთან?! არა, ამხანაგებს გამბედავ და საქმისთვის თავდადებულ ადამიანად მიაჩნდათ და რა უთხრას მათ?

შევქოთმა თავისი სიცოცხლის ფასად შესძლო სანდლის აფეთქება. მაგრამ შენ რა ჰქენიო, რომ ჰკითხონ? ასეთ დროს გულადი კაცი მტერს თავს შეაკლავდა და ვაჰანი თუ კაცია, შევქოთის მკვლელს თავი უნდა შეაკლას.

ვაჰანი წამოდგა, გაიმართა, ღრმად ჩაისუნთქა ზღვის თბილი, მაგრამ შებოლილი ჰაერი და უკან დაიხია, ძეძვს ამოეფარა. რატომ? რად იფარა ბუჩქი, არც თვითონ იცოდა. უკან მიიხედა. ერთი ცხენიღა შეამჩნია, თავაწეული, ყურდაცქვეტილი. მეორე ბედაური არ ჩანდა.

ზღვის ნაპირზე ყიჟინი არ ცხრებოდა. მოყიჟინე ხალხის ერთი ჯგუფი ბუჩქნარისკენ მოიწევდა.

ცხენი, ცხენიო, იკივლა უცებ ვიღაცამ და უკვე ბურუსგადაწმენდილ ნაპირზე მართლაც გამოჩნდა მობორიალე ბედაურის სილუეტი. შევქოთის ცხენი იცნო ვაჰანმა. იცნო და იმასაც მიხვდა, რომ მეგობრის ულაყის გამოჩენა მოყიჟინე ხალხს ბუჩქნარისკენ წამოიყვანდა. დამბაჩა იძრო.

ბუჩქნარს შემოუარეთო, გაისმა ჩახლეჩილი ხმა ახლოს, ძალზე ახლოს და ქვიშნარზე ლანდები გამოჩნდნენ. დანელიანცი თავის ბედაურთან კიდევ უფრო ახლოს მივიდა და შუბლზე ხელი ისე ჩამოუსვა, თითქოს ეკითხებოდა: საქმე რომ იყოს, ხომ არ მიღალატებო.

იქ, სადაც ქვიშნარი თავდებოდა, სადაც ბუჩქნარში შესასვლელ სილამიწაზე ზღარბის ტყავივით აქოჩრილიყო ნეხვბალახა, ლიფლიფები აციმციმდა. კიდევ ერთი, ჰა, ორი წუთი და ვაჰანს თუ ვერა, მისი ბედაურის თავს დაინახავენ და...

შევქოთის დაღუპვამ შეარიგა სიკვდილს, მაგრამ უაზრო სიკვდილი რომ სისულელე იყო, კარგად იცოდა. ვაჰანმა პარაბელუმი გამართა, ლიფლიფას დაუმიზნა, მერე ფეხი გამოუშალა, ეს ჩემი შევქოთისთვისო, იკივლა და ჩაქრა ის

დასასრული. იხ. „ცისკარი", № 6, 7, 8, 10.

ლიფლიფა, სხვა მაშუქებზე უფრო ახლოს რომ იყო.

ვაჰანმა ერთ ხანს სული მოითქვა, მერე ელვის სისწრაფით მოახტა ცხენს. ყიჟინა და ტყვიები დაადევნეს ბუჩქნარში გაჭრილ მხედარს.

მუხლმაგარმა ტაიჭმა ძეძვი და ეკლნარი გადათელა, დაღმართი ჩაიშურდულა და როცა გაივაკა, ტყისაკენ გაენთო. ყიჟინა დაცხრა, მაგრამ ტყვიები მხედრის ყურებთან ზუზუნებდნენ. მოსახვევს მიუახლოვდა ვაჰანი და უცებ ბეჭი აეწვა. ჭიმი გაუძვრა ღონეგამოცლილ თითებიდან, მარცხენა ხელი ჩვარივით დაეკიდა. ის იყო მარჯვენა წაატანა სადავეს, რომ ცხენს აბზინდასავით გადმოეკიდა. როგორც იყო, ტანი უნაგირზე აითრია, ცხენი შეაყენა, გაისუსა. სიჩუმე იდგა წვრილნარში. მდევარს ელოდა დაჭრილი, მაგრამ აღარც ცხენის ფეხის ხმა ისმოდა და აღარც ყიჟინა.

თითქოს სიმშვიდე იგრძნო, მაგრამ მკერდი უჩვეულოდ გაუცხელდა რატომღაც, მუცლის კუნთიც აუცახცახდა. ხელი უბეში ჩაიყო — თითებიც გაუთბა ჭაბუკს. სისხლიო, ჩაილაპარაკა და ახლა გაახსენდა, რომ არც მას და არც შევქოთს ბანაკიდან არაფერი წამოუღიათ ისეთი, რაც დაჭრილს უნდა გამოდგომოდა. „საქმე იქამდე ნუ მივა, თორემ...“ — თქვა წამოსვლის წინ ლაზმა და პატარა ჩანთა კუთხეში მიაგდო. სწორედ იმ ჩანთაში ელაგა ნახშირის ფხვნილი, ნარმის სუფთა ნაჭერი და თაფლის სანთელი. ჰო, ყველაფერი ეს რომ მისცა ვაჰანს, იქნებ ეშველოს რამე, იქნებ სისხლისაგან არ დაიცალოს. საკვანძე კეხის თავზე შეავდო, ბედაურს ქუსლი ჰკრა, მარცხენა ხელი დაჭრილ მკერდზე მიიკრა და ცხენს მინდობილმა დიდხანს იარა. როცა ბედაური რუს მიადგა, ჭაბუკმა ოდნავ გასაგონი სტვენა გააბა, ცხენს ანიშნა, დადექი, წყალი დალიეო. ულაყი წყალს დაეწაფა.

ბედნიერი ქალი ყოფილა ფარამძიმა, რომ პირმშოს ტყვიით განგმირულს ვერ ნახავს.

ეჰ, დათას, ბიჭებს ვინ ეტყვის შევქოთის გმირობას. თუმცა რა საჭიროა თქმა! მკვდარ ვაჰანს რომ ტყეში იპოვნიან, უთქმელადაც მიხვდებიან, ლაზი საქმეს შეეწირა, „ურეკთან“ ერთად აფეთქდაო. ვაჰანზე რას იტყვიან? მტრისთვის ზურგი უჩვენებია და გამოქცეულაო, სხვა რა უნდა თქვან? ჰაი, დედასა! ბედაური ნელი ნაბიჯით დაიძრა და რუს ნაპირთან ოდნავ შეღმართს ისე ფრთხილად აჰყვა, თითქოს პატრონის გულისცემა გაიგონა, მისი გაჭირვება იგრძნო. როცა ცხენმა ტაფობისკენ შებრუნება დააპირა, ვიღაცამ ძეძვიდან ცხენი ბილიკზე გადმოახტუნა, ვაჰანს გზა გადაუჭრა, დადექიო, შესძახა.

ჭაბუკმა თვალი გაახილა, სადავე აკრიფა, ცხენი შეაყენა.

— რომელი ხარ? — ისევ შეძახილი, მაგრამ მოგუდული ხმით.

ჭაბუკმა თითქოს იცნო დამხვედრის ხმა, მაგრამ არც იმისი ვინაობის გახსენების თავი ჰქონდა, არც პასუხის გაცემისა. ღონე ელეოდა, გონება ენისლებოდა. ჭიმს თავი მიანება ვაჰანმა, ისევ მკერდისკენ წაიღო ხელი. ვინა ხარო, ისევ ჩაესმა ნაცნობი ხმა.

თვალი გაახილა, იცნო...

— ვაჰანი ვარ, ვერა მცნობ... ბიჭო?!

— ვაჰანი!

— ჰო, ვაჰანი, ვკვდები, ღუდა!

— რა იყო, რა მოგივიდა, ბიჭო! — ცხენი დაჭრილთან მიაგდო, ხელი გაუწოდა, მაგრამ ვაჰანის ბედაურმა უკან დაიხია.

— შევქოთმა „ურეკი“ ააფეთქა.

— მერე? თვითონ საღ არის?..

— ალბათ ისიც აფეთქდა, მე კი ჯერ ცოცხალი ვარ, — თავი ჩაქინდრა და თვალები მილულა. მერე თვალი ერთხელ კიდევ მაშინ გაახილა, როცა უნაგირიდან გადმოვარდნილს გორორხმა შუბლზე ტყავი ააცალა.

ღუდა სწრაფად ჩამოქვეითდა, ჭაბუკს მიაშურა. ვაჰანს შუბლზე ცივი ოფლი

ორდე დგებუაძე
ჩაძირული „თოლია“

ადნებოდა, ნახევრად ღია თვალებში სიკვდილი იბუდებდა.

— ვაჰან! ვაჰან! თვალი გაახილე, ბიჭო! — ყვიროდა ჩიქა ბიჭი და ჭაბუკის ჩაყინული თვალებით დაზაფრული გარშემო ისე იხედებოდა, თითქოს ბუჩქებს, ხეს, ვარსკვლავებს შველას ევედრებაო. მერე ხელი ფრთხილად მოაშორა და წამოდგა.

ერთ ხანს მონუსხულივით იდგა, მერე მიიხედ-მოიხედა, ცხედარს ისე დასწვდა, თითქოს ეშინია, არავინ წაართვასო და პატარა ტაფობისაკენ გასწია.

მძიმედ მიმავალ ღუდას ჭირისუფალივით აეკვლევნა ვაჰანის ბედაური. ღუდას ცხენიც გაჰყვა კვალდაკვალ.

... ზესკნელს ნათელი ეპარებოდა, როცა ღუდამ სახელდახელოდ გათხრილ საფლავს მიაბარა დანელიანცის ცხედარი და ტაფობიდან ბილიკზე გამოიყვანა ცხენი. უმხედრო ბედაურის სადავისათვის ხელი ჩაევლო და ნელი ნაბიჯით მიდიოდა.

ჩიქამ სამიოდე ვერსი გაიარა და შედგა. საიდანღაც გარკვევით ისმოდა თოფის სროლა და ტყვიამფრქვევის კაკანი. მიხვდა, სროლის ხმა რომ სამუხაოდან მოდიოდა. აშკარა იყო, დათას რაზმი მიუვალ სოფელში მიემწყვდიათ, რომ დაბლობში აჯანყებულთა რაზმებისა და წითელი არმიის ნაწილების დასახმარებლად არ გაეშვათ.

ღუდას დიდხანს არ უფიქრია, ვაჰანის გაჯიუტებული ბედაური წინ გაიგდო, თავისი ცხენით უკან დაედევნა. ბუკიას რაზმს უნდა მიეშველოს, იქნებ ამით დაიოკოს სასიკვდილოდ აღრენილი გული. მადლობა ღმერთს, მისი უკაცობით მოყვასის სისხლი არ დაღვრილა...

ღუდა თანდათან უახლოვდებოდა ბრძოლის ადგილს. დაოთხილი ცხენი დააშოშმინა ჩიქა ბიჭმა. სულს მოვათქმევინებ, ერთ ხანს ნელა ვატარებო, იფიქრა. აღმართი აიარა. ჩამოქვეითდა და ცხენს მოსართავები შეხსნა, უნაგირქვეშ, ზურგზე ქუდი გადაუსვა, ოფლი შეუშრო. ისევ შეჰკრა ღვედები, ამხედრდა.

სერს გადაღმა პატარა სოფელი გაშლილიყო. ჯარგვლები და ოდა-სახლები მორცხვად გამოიყურებოდნენ უფოთლო ხეებიდან. აქა-იქ სახურავებიდან ბოლი ამოდიოდა. დედისეული სოფლის ხილვამ გული აუფართხალა ჭაბუკს. სოფლის შუაგულში ბებიას ოდა-სახლი ეგულება ღუდას. ახალი ყავრით არის გადახურული. ამ სოფლის ყოველი კუნჭული, ყოველი აქაური ადამიანის სახელი და გვარი იცის ჩიქა ბიჭმა. თანატოლებთან ხომ ძმასავით არის შეზრდილი. იმ მდინარეში, დახატულივით რომ მოჩანს აქედან, რამდენი ღორჯო დაუჭერია, რამდენჯერ დაუდგამს ფაცერი.

იქნებ თანატოლები ბუკიას რაზმის დასახმარებლად წავიდნენ? სოფელი ბევრჯერ ყოფილა შემჩნეული ურჩობაში. ბევრჯერ ჩამოუტანია აქ ღუდას მიხას გამოგზავნილი პროკლამაციები. არაერთხელ დაუპატიმრებიათ თავკაცები. წამოვლენ. ჯერ თუ არ წასულან, ახლა ნამდვილად წამოვლენ. ღუდამ ვაჰანის ცხენს შეუძახა, თავისი გაქუსლა და მაღლობიდან დაეშვა.

სოფლის შემოსასვლელთან ორი კაცი გადაუდგა მხედარს. ერთმა „ბერდანკა“ მოუღერა ცხენოსანს.

— ღუდა ჩიქა ვარ, ვერ მცნობ?! — შეუძახა ჩიქა ბიჭმა და ბედაურს სადავე არ დაანება.

დამხვდურმა თოფი დაუშვა, მხედართან მიიჭრა, რა იყო, ხომ არაფერი გიჭირსო, ჰკითხა და ლაგამს წაეტანა.

— აბა, ვის არ უჭირს დღეს. ხომ გესმით, რა ამბავია, — ხელი იქითკენ გაიშვირა, საიდანაც სროლის ხმა მოდიოდა. — სამუხაოში შეჭრას ლამობენ, ხალხის აწიოკება უნდათ, როცა ერთი თუ ორი დღე დარჩენიათ ამ ყაჩაღებს...

— ჰო, ვიცი, ბუკიას რაზმის ამოწყვეტა უნდათ თურმე...

— მერე?!

— მერე რა! ჩვენც ფხიზლად ვართ. ბავშვები, ქალები და მოხუცები გახიზნული გვყავს, სოფელში მხოლოდ კაცები არიან.

— სად არიან კაცები, რას აკეთებენ?

— სძინავთ, — ახლა მეორე წამოდგა წინ.

— სძინავთ?! ასეთ დროს სძინავთ?!— ღუდა ცხენიდან გადმოვიდა. ერთ დამხვდურს მხარზე ხელი დაადო: — იცი რა, ლადი? საგანგებო რაზმელები და გვარდიელები სამუხაოში თუ შეიჭრნენ, არც თქვენი სოფელი დარჩება აუწიოკებელი.

— შეიძლება.

— შეიძლება კი არა, ამ სოფელს თორიამ დიდი ხანია თვალი დაადგა: არც ერთი კაცი არც ჯარში წასულა და არც გვარდიაში ჩაწერილაო...

— შენ საიდან იცი?! — ჰკითხა მეორემ, ახალგაზრდა ქერა კაცმა, ხელში „ბერდანკა“ რომ ეჭირა.

— ბიძაჩემმა მითხრა, ჩიჩუამ, თქვენმა სიძემ; ძალზე შეწუხებულმა თქვენთან მაფრინა.

— რა ჰქენიო, რა შემოთვალა? — აწრიალდა ლადი, გაფითრებულ ამხანაგს გადახედა.

— სანამ ისინი ბუკიასთან ბრძოლაში გამარჯვებულნი თუ დამარცხებულნი დაბრუნდებოდნენ და თქვენს სოფელს გადათელავდნენ, შეუტიეთ, ზურგში დაარტყით, ბუკიას რაზმს შეტევაზე გადმოსვლის საშუალება მიეცით და გადარჩენილი ხართო! — ღუდამ ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს მხოლოდ დანაბარების თქმა უნდოდა და სხვა არაფერი; სათუთუნე ამოიღო, თამბაქოს ნარჩენი ხელისგულზე დაიბერტყა, ჯიბეში ქაღალდი მონახა.

— მართლაც სხვა არაფერი გვეშველება, — ლადი ერთ ხანს ჩაფიქრდა, მერე ღუდას მიუბრუნდა და ჰკითხა: — შენ რას იზამ, უკან ხომ არ აპირებ დაბრუნებას?

— თუ ბუკიას დასახმარებლად წახვალთ, მეც თქვენთანა ვარ, თუ არა და...

— წავალთ, როგორ არ წავალთ! სხვა რა გზაა, უნდა წავიდეთ, — ამხანაგს მიუბრუნდა, — აბა, ალე, ჩქარა სამრეკლოზე, ხალხი შეჰყარე.

ალე უსიტყვოდ შებრუნდა. გაქცევა დააპირა, მაგრამ ღუდამ შეაჩერა: ფეხით ეკლესიამდე როდის მიხვალ, ჩემი ცხენი წაიყვანეო, უთხრა და იქვე ვაჰანის ბედაურზე მიუთითა.

ღუდა და ლადი სოფლის შუაგულისკენ მიმავალ დაღმართს ჩაჰყვნენ. გზადაგზა ეზოებში ნაგაზებს აყეფებდნენ. ადექით, ეკლესიაში შეგროვდით, გვარდიელები მოდიან, სოფელს გადაწვავენო, — ყვიროდნენ, მძინარეთ აღვიძებდნენ.

ჭრიალებდა კარები. პირმოხეული ნაგაზები ყალყზე დგებოდნენ. ჰეი, რომელი ხარო, ისმოდა ახალგაღვიძებულთა ძახილი.

— მოვდივართ!

— მოგეწევით!

— ნუ გეშინიათ! — პასუხობდნენ ნაჩქარევად.

როცა ღუდა და ლადი სოფლის შუაგულში პატარა ეკლესიის გალავანს მიადგნენ, იქ მათ უკვე შეიარაღებული ხალხი დახვდა — სამოცი კაცი იქნებოდა.

— ღუდამ ცუდი ამბავი მოგვიტანა, ამხანაგებო,—დაიწყო ლადიმ. ხალხი გაიტრუნა.—მთავრობის ჯარები სამუხაოში ბუკიას განადგურებას ლამობენო, მერე იქიდან დაბრუნებულმა ჯარის ნაწილებმა ჩვენი სოფელი უნდა ააოხრონო!

— თუ ბუკია ვერ დაიმორჩილეს?

— ვერ დაიმორჩილებენ.

— თუ ვერ დაიმორჩილებენ, ჩვენთვის ხომ ვერ მოიცლიან?

— საიდან იცი, ღუდა, ეგ ამბავი?

— ჩვენც კაცები ვართ. ქუდი გვხურავს.

— დღეს თუ არა, ხვალ მაინც წითლები აქ იქნებიან, — ისმოდა შეძახილები.

— ღუდამ ილაპარაკოს.

— ხომ იცნობთ დეიდაჩემის ქმარს, თქვენს სიძეს?

— ჩიჩუას?

— როგორ არ ვიცნობთ!

— ჰოდა, თქვენთან გამომგზავნა. გაფრთხილეთ, დამავალა, — ღუდამ

ორდე დგებუაძე
ჩაძირული „თოლია“

ხალხს თვალი თამამად გაუსწორა და განაგრძო, — თუ წინააღმდეგობის თავი არა გაქვთ, სოფელში არ დარჩეთ, ტყეს შეეფარეთო.

— საქონელი?

— საქონელიც ტყეში გარეკეთო.

— სახლ-კარი?

— სახლ-კარს გადასწვავენ, მაგრამ კაცი იყოს ცოცხალი და სახლი ისევ აშენდებაო...

— ეგ ვერ უთქვამს კარგად.

— ვინ ააშენებსო?

— სოფელს ცოცხალი თავით არ დავანებებთ ასაოხრებლად.

— თუ წინააღმდეგობის გაწევას გადაწყვეტენ, უმჯობესია, ბუკიას მიეშველონო, — ახლა უფრო თამამად ალაპარაკდა ღუდა. დარწმუნებული იყო, რომ მიზანს მიაღწია.

— მართალია!

— სანამ თავს დაგვესხმოდნენ, ჩვენ შევუტიოთ!

— ბუკიასაც ვუშველოთ და ჩვენი სახლ-კარიც გადავარჩინოთ!

— თუ ასეა, ნუ დავაყოვნებთ!

— წავიდეთ!

ალე სამრეკლოდან ხელნაკრავივით გადმოეშვა და ჭიშკრისკენ დაძრულ ხალხს შეერია.

თავი მერვე

ჰა ბურთი და მოედანი

სამუხაოში ასასვლელ ერთადერთ ვიწრო გზას კოსტა კორტა იცავდა ოცდაათიოდე პარტიზანით.

მთავრობის ჯარის ნაწილებმა ჯერ კიდევ გათენებამდე მიიტანეს გააფთრებული იერიში ამ გზით, მაგრამ ამაოდ. ამ შეღმართს მარცხნივ თვალჩაუწვდენელი ნაპრალი ჩაუდიოდა, ხოლო მარჯვნივ გაუვალი ტყე ეკრა და შემტევს გაშლის საშუალებას არ აძლევდა.

მტრის ნიშანში ამოღება არც კი იყო საჭირო, — ზემოდან ნასროლი ტყვია მიზანს არ ასცდებოდა.

თავდამსხმელები ღამის სიბნელეში აპირებდნენ სოფელში შეუმჩნევლად შესვლას, მაგრამ ვარაუდი არ გაუმართლდათ — სადარაჯოზე ფხიზლობდნენ და მზვერავთა გამოჩენაზე განგაში ატეხეს.

თუმც მთელი სამუხაო ფეხზე დადგა, გვარდიის ნაწილმა მაინც ჯიქურ მისვლა სცადა და მოურიდებელი იერიში მიიტანა. ერთმა ოცეულმა ნახევარზე მეტი გზა განვლო, მალე აღმართის მოლევას და სოფელში შეჭრას ფიქრობდა, მაგრამ სწორედ ამ დროს სადღაც გორაკზე ტყვიამფრქვევი აკაკანდა და ოცეული ძირს ისე ჩალეკა, თითქოს ნიაღვარმა გაიტაცაო.

სანამ სამუხაოში შეჭრის თადარიგს შეუდგებოდნენ, მთავრობის ჯარის ნაწილების მეთაურმა ერთი ოცეული მალწყარის ნაპირისკენ გაგზავნა; ამ ოცეულს ხეები უნდა მოეჭრა და სამი დიდი ტივი შეეკრა იმ ვარაუდით, რომ სანამ ინათებდა, ტივებით მდინარე გადაელახა და ტყისპირას ფარულად განლაგებულიყო, ხოლო როცა ორი მაშხალა ცაში ავარდებოდა, სოფელზე იერიში მიეტანა.

აქაც არ გაუმართლდათ ვარაუდი მოიერიშეებს: სანამ ტივებს წყალში ჩაუშვებდნენ, სროლით გააფრთხილეთ, გააგებინეთ, რომ მდინარის გადმოლახვის ცდა სიკვდილიაო, უთხრა დათამ თავის მებრძოლებს. სესრყვაც ასე მოიქცა და ერთი გასროლით გაფანტა მეტივენი.

გათენდა. მოიერიშეთა მეთაურები დარწმუნდნენ, რომ ვერც ვიწრო გზით შეაღწევდნენ სამუხაოში და ვერც მდინარის გადალახვით. ან უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ, ანდა პარტიზანებისათვის ბარში ჩამოსვლის საშუალება არ უნდა მიეცათ. გზის შეკვრა ძნელი არ იყო, მაგრამ ამით მენშევიკების რაზმი აჯანყებულთ გაუწევდა კარგ სამსახურს — სამუხაოელები კარგა ხნით ერთ ადგილზე უმოქმედოდ აბამდნენ გვარდიელებისა და საგანგებო რაზმელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ ბატალიონს. ბატალიონი კი ფრონტისთვის დიდი დანაკლისი იყო.

სამუხაოს მიტოვება და უკან დაბრუნება? მენშევიკური ჯარების სარდლობამ კარგად იცოდა, რომ ბუკიას რაზმის ზურგში დატოვება ძალზე საშიში იყო.

ბუკიას წინააღმდეგ მოქმედ ბატალიონს მეფის არმიის ცნობილი პოლკოვნიკი, თავადი მხეიძე მეთაურობდა. ამ ათასეულს დამსჯელთა რაზმს ეძახდნენ. ეს სახელწოდება კეთილხმიანობისთვის როდი მიანიჭეს — შენაერთი მთავრობის ერთგული იყო და იგზავნებოდა იქ, სადაც ერთგულება და სიმკაცრე იყო საჭირო.

დიდი ერთგულებით ემსახურებოდა ეს ბატალიონი მენშევიკურ მთავრობას. ათასეული მრავალგზის შემოწმებული მებრძოლებისაგან იყო შედგენილი, მაგრამ, როცა წითლების მხარეზე გადამსვლელთა რიცხვმა გასაოცრად იმატა, ამ ერთგული ბატალიონის ნახევარზე მეტი მებრძოლი სხვადასხვა ბატალიონში გააწილეს — „სულის ასამაღლებლად“, თვალყურის სადევნებლად; მხეიძის ბატალიონი სხვა შენაერთების ჯარისკაცებით შეავსეს და ეს იყო მიზეზი, ბუკიას დასათრგუნავად გაგზავნილ ამ ბატალიონს გვარდიელთა ორი ოცეული და თორიას მცირერიცხოვანი რაზმი რომ გააყოლეს.

კარგა გათენდა და აშკარა გახდა, რომ სამუხაოში შეჭრა, ან ბუკიას სოფელში ჩაკეტვა გაძნელდებოდა: დღის სინათლეზე ხელისგულივით მოჩანდა სამუხაოს მისადგომი, რაც პარტიზანებს უადვილებდა მხეიძის ცოცხალი ძალის განადგურებას. პოლკოვნიკმა ბატალიონი ტყეს შეაფარა და სამუხაოდან ამოსასვლელი გზის მეთვალყურეობა კარგად შენიღბულ ერთადერთ საველე ქვემეხსა და ორ ტყვიამფრქვევს დააკისრა. ახლა ქვემეხი დროგამოშვებით ესროდა ყუმბარას იმ ადგილას, სადაც გზა სოფლისაკენ უხვევდა. ამით პარტიზანებს აფრთხილებდა, საიერიშოდ ძირს დაშვება უნაყოფო იყო. სამუხაოდან არც სროლის ხმა ისმოდა, არც საეჭვო მოძრაობა შეინიშნებოდა. სიწყნარე იყო სამუხაოში, მაგრამ ეს ამბავი მხეიძესა და თორიას არ ამშვიდებდა. მათ კარგად იცოდნენ, რომ ბუკია თუ მოისაზრებდა და მათ ტყვიას დაუშენდა, მეჩხერი კორომი ვერ დაიფარავდა ბატალიონს. ამრიგად, თუ უკან დაბრუნება არ შეიძლებოდა, ერთ ადგილზე დგომაც არ იყო ხელსაყრელი. გამოცდილი პოლკოვნიკი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მაგარი საარტილერიო ცეცხლით სამუხაო ძირფესვიანად ამოეტრიალებინა. მეტი აღარაფერი უშველიდა საქმეს. საამისოდ კიდევ ორი ან სამი ქვემეხი იყო საჭირო.

მხეიძემ ღამენათევ რაზმს დასვენება უბრძანა, მერე სოხუმში ორი ცხენოსანი აფრინა — სარდლობას ქვემეხების გამოგზავნას თხოვდა და პირობას აძლევდა, ორ-სამ საათში ბუკიას ბუნაგს ნაცარტუტად ვაქცევო.

*

— უმეთაუროდ სადღა წავიდეთ? — დაიძახა ვიღაცამ, სანამ ახალჩამოყალიბებული რაზმი ეკლესიის ეზოდან გაიკრიბებოდა.

— აბა ლადის ვინ შეედრება! — მიმართა რაზმს ღუდამ და რაზმმაც ერთხმად დაუჭირა მხარი ნასალდათარ ლადის.

ეს ჯანმაგარი, შავთვალწარბა, შავულვაშა ვაჟკაცი გამბედაობითა და გამჭრიახობით მუდამ გამოირჩეოდა სხვებისაგან. ლადის მკერდს უმშვენებდა გიორგის ჯვარი. ამიტომ იგი თანასოფლელებს საიმედო კაცად მიაჩნდათ. დიდი და პატარა მართალ კაცს ეძახდა.

ლადიც უსიტყვოდ დაეთანხმა თანასოფლელებს და რაზმს წინ გაუძღვა.

ორი მეზობელი სოფელი გაიარეს და სანამ იმ ადგილს მიუახლოვდებოდნენ, საიდანაც ყუმბარებს უშენდნენ სამუხაოს, რაზმი უკვე ორასამდე მებრძოლს ითვლიდა.

რაღაც ორი თუ სამი ვერსიღა დარჩენოდათ მხეიძის ჯარის ნაწილებამდე,

როცა ლადიმ ტყეს თავი შეაფარა და წინ მზვერავები გაგზავნა.

ჩიქა ბიჭი და ორი რაზმელი ტყიდან გამოვიდნენ თუ არა, მათკენ მომავალი ორი ცხენოსანი შენიშნეს. ღუდამ მოურიდებლად განაგრძო გზა, შიში ან მორიდება არ შეგატყონო, სანამ არ განიშნოთ, იარაღი არ გამოაჩინოთო, გადაულაპარაკა ამხანაგებს და ნაპირისკენ ჩაიწია, დაოთხებულ ბედაურებს გზა დაუთმო.

ახალგაზრდა ოფიცრებმა ცხენები შეაჩერეს, ვინა ხართ, საიდან მოდიხართო, ჰკითხეს მგზავრებს და უიარაღო სოფლელებს თავზე დაადგნენ.

— აქაურები ვართ, საქონელს ვეძებთ, — მიუგო ღუდამ და ცხენოსნებს ახედ-დახედა.

— დავუჯეროთ? — იკითხა ერთმა ოფიცერმა და ამხანაგს გადახედა.

— ვერ ატყობ, რომ სტყუიან? ნამდვილად ბოლშევიკები არიან!

— რას გვერჩით, ბატონო, ბოლშევიკობა კი არა, დღიურ საზრდოს ძებნაში წელში ვართ გაწყვეტილები, — თავი მოისაწყლა ღუდამ.

— ვიცი, ვიცი, თქვენ ყველანი გაჭირვებულები ხართ, მაგრამ ყაჩაღობას მაინც არ იშლით, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ქერა ოფიცერმა.

— რა ვუყოთ ამ ოხრებს?

— შევკრათ და ტყეში დავაგდოთ. სანამ დავბრუნდებოდეთ, არაფერი უჭირთ.

— მართალი ხარ, — წამოიძახა პირველმა და სანამ ცხენიდან გადმოხტებოდა, ბუდიდან რევოლვერი ამოაძრო. არც ქერა ოფიცერმა დააყოვნა, სწრაფად ჩამოქვეითდა, სადავე უნაგირის კეხზე შეაგდო და ხელი რევოლვერისკენ წაიღო, მაგრამ არ დასცალდა — ღუდამ კეფაზე მარჯვენა ისე დაჰკრა, სუნთქვაშეკრულმა ოფიცერმა ხმის ამოღება ვეღარ მოასწრო.

მეორეს რევოლვერის გამართვა არც კი უფიქრია, დანებდა ღუდას ამხანაგებს და პატიება ითხოვა.

გონმოსული ოფიცრები მალე ლადის მიჰგვარეს რაზმში. მათ არაფერი დაუმალავთ, თქვეს, სად და რა დავალებით მიდიოდნენ, რამდენი მებრძოლი იყო მხეიძის ბატალიონში. უთხრეს, რომ მათ ერთი ქვემეხი და ორი „მაქსიმა“ ჰქონდათ, არც ის დაუმალავთ, თუ სად აფარებდა თავს ბატალიონი, რომ კიდევ ორ თუ სამ ქვემეხს ელოდნენ და ღამე აპირებდნენ შეტევის განახლებას.

დროგამოშვებით მხეიძის ქვემეხი თითო-ოროლა ყუმბარას გზავნიდა სამუხაოსკენ. ხანდახან ტყვიამფრქვევებიც კაკანებდნენ. ამ ზარბაზნისა და „მაქსიმების“ ჩაჩუმება იყო საჭირო, რომ ბუკიას ბარში ჩამოსვლა შესძლებოდა. მერე კი, ვაკეზე, გულადსა და მარჯვე ცხენოსნებს ბატალიონი ვეღარ დააკავებდა.

ახლა ბუკიასთან კავშირის გაბმა იყო საჭირო. თუმცა სამუხაოში შესვლა მეტად ძნელი და სახიფათო დავალება იყო, მაგრამ სურვილი ბევრმა გამოსთქვა.

ამ დავალებას ჩემზე უკეთ სხვა ვერავინ შეასრულებსო, განაცხადა ღუდა ჩიქამ. ლადი მაშინვე დაეთანხმა.

... ჰაერში ნაადრევი გაზაფხულის სითბო იგრძნობოდა. ცაზე ღრუბლის ნატამალი არ ჩანდა. გატიტვლებულ ხეებს სიო ოდნავ არწევდა. წყნარი და ნათელი დღე იყო. ღუდა საცალფეხო გზას მარტო მიჰყვებოდა. შილიფად ეცვა, უქამრო ხალათზე თოკი შემოეკრა და ერთი შეხედვით მართლაც ტყეში პირუტყვის მაძებარ გლეხის ბიჭსა ჰგავდა.

ჩიქას სამუხაოსთვის ზურგიდან უნდა მოევლო. ჩაუვალი სალი კლდით აქაფებულ მდინარეში უნდა ჩასულიყო. ამ ადგილს ბუკიას რაზმი არ იცავდა. არც მხეიძის ბატალიონი ფიქრობდა ამ მხრიდან მისვლას. აბოლებული, თვალუსწრები მდინარის გამკლავება და მერე მაღალ კლდეზე ასვლა თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ ღუდა გულდაჯერებული მიიწევდა წინ.

ღუდამ თხემი გადაჭრა და იქ შეჩერდა, საიდანაც კარგად მოჩანდა

წყალში ჩაწოლილი უზარმაზარი ლოდი. შმაგ მდინარეს ნაპირთან ეს ლოდი უღობავდა გზას.

ეს ადგილი ნამდვილად ღრმა არისო, გაიფიქრა ღუდამ და კლდეზე გადადგა, მორევს დააკვირდა. მეორე ნაპირიც მიუდგომელი ჩანდა, მაგრამ ეს სრულებით არ აწუხებდა ღუდას. მორევში თუ მშვიდობით ჩავაღწიე, გაცოფებული მდინარე თუ გადავლახე, ბედი მქონია და ეს ბედი იმ ნაპირზედაც უვნებლად ამიყვანსო, გაიფიქრა ჭაბუკმა. კარგად იცოდა, რომ მხოლოდ მარჯვე ნახტომს შეეძლო მისი გადარჩენა...

კლდეზე გადამდგარი ღუდა მუხლებში მოიკეცა, ავაზასავით ისკუპა და მორევში გადაეშვა.

ახლაღა იგრძნო ჭაბუკმა, დაჭრილი ხელი ღალატობდა. ეჰ, ამ წყეულმა თუ შორს გამიტაცა, არაფერი მეშველებაო, იფიქრა და მდინარის შუაგულისაკენ გაიწია. ცალი ხელით დაჰკრა მხარული, გოჩგოჩანის ვიწრო ყელთან, როგორც იყო, ლოდს ფეხი დაადგა, ულაყის ტორივით მოქნეული ზვირთიც წამოედო და მდინარის შუაგულისკენ ნაფოტივით ისროლა.

კაცი იღრჩობაო, იყვირა ვიღაცამ სამუხაოს ნაპირზე და ამ ძახილმა ღუდას გადარჩენის იმედი ჩაუნერგა. კიდევ უფრო გაუძალიანდა მოსისხლესავით მოძალებულ ტალღას. ვერც ჯანმრთელი მარჯვენა მოძრაობდა ძარღვიანად, მუხლებიც დაუმძიმდა. კიდევ ერთი გაბრძოლება და... როცა კლდეს დაეჯახა, მაშინ მიხვდა, რომ სამუხაოს ნაპირთან იყო.

— ჰეი, გამაგრდი, გამაგრდი, — უყვიროდა ვიღაც ზემოდან.

ღუდამ ძლივს ასწია თავი, აიხედა: კლდეზე მოცოცავდა მაჯის სისხო თოკი.

— თოკი წელზე შემოიკარი და ამოგიყვანთ, ნუ გეშინია, — ისმოდა ძახილი და ღუდას გალურჯებულ სახეს ღიმილი ეფინებოდა.

...სანამ თვალს გაახელდა, ღუდამ ფერდებში ტკივილი იგრძნო. ნათოკარი წელი და გვერდები ეწვოდა. იღლიაში ნატყვიარიც საშინლად ტეხდა. თავი შეხვეული ჰქონდა. წამოდგომა სცადა, მიიხედ-მოიხედა — ბუკიას რაზმელები გარს შემოხვეოდნენ. ბექვე და სესრყვა შეიცნო. მზრუნველი თვალით მისჩერებოდნენ ჭაბუკს, მაგრამ დათა ბუკიას გამოჩენამ ენა ჩაუგდო ღუდას. ახლა ის ტკივილს ვერ გრძნობდა. არც კი იცოდა, რა ეთქვა იმ კაცისათვის, რომლისკენაც თავდაუზოგავი გაბედულებით მიილტვოდა.

— რა ამბავი მოიტანე, ღუდა ბიჭო! — ჩაესმა ჭაბუკს ბუკიას გულთბილად ნათქვამი სიტყვები და თავი ასწია. ჯერ ბექვეს შეხედა. „ხელმარდიც“ გულწრფელი ღიმილით შესცქეროდა მას.

— დაბლა, ტყეში, ორასამდე შეიარაღებული სოფლელი მზად არის თქვენს დასახმარებლად.

ბუკიამ ღუდასკენ ნაბიჯი გადადგა.

— ხომ არ მატყუებ, ბიჭო?

ჭაბუკმა თვალი ბექვესკენ გააპარა: ეგ იყო, რომ მითხარი დათას არაფერს ვეტყვიო? — ჰკითხა უსიტყვოდ.

— რას ბრძანებთ, მეთაურო! მოტყუება რა სათქმელია! — წამოიძახა „ხელმარდმა“.

— ვინ მეთაურობს სოფლელებს? — ჰკითხა მეთაურმა.

— ლადი სართანია, პატიოსანი კაცია, ნასალდათარი.

— რაო, რა დაგაბარა ლადიმ?

— ორი წითელი მაშხალა შეტევაზე გადასვლის ნიშანი იქნება. ჯერ ქვემეხსა და ტყვიამფრქვევებს გაანადგურებენ... აქედან თქვენც შეუტევთ და...

ბუკიას თვალები გაუბრწყინდა, წამოდგა:

— გასაგებია. შეტევა როდის დაიწყეთო?

— რაც ჩქარა დაიწყებთ, უკეთესია.

— ყოჩაღ, ღუდა! მადლობელი ვარ შენი. ვაჟკაცი რომ იყავი, ვიცოდი, მაგრამ... — დათამ კრებულს გადახედა. —

ორდე დგებუაძე

ჩაძირული „თოლია“

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ-თქვენს ნაწილებში, ჩქარა! — მერე ბექვესა და სესრყვას მიუბრუნდა. — აბა, მომყევი! — წრე გაარღვია, მაგრამ მყის შეჩერდა, შემობრუნდა: — ღუდა მარიასა და ცუცას მიჰგვარეთ, მოასულიერონ და მოუარონ!

*

მზე კარგად გადახრილიყო. დასავლეთიდან ლეგა ღრუბლები ზანტად მიცოცავდნენ ზესკნელზე. ნაშუადღევს ამოვარდნილი ქარი გაშიშვლებულ ტოტებში სისინებდა, გზებზე კორიანტელს აყენებდა, მაღლობიდან დამჭკნარი ფოთლები მოჰქონდა.

სამუხაოს მისადგომთან ტყეში განლაგებული მხეიძის ბატალიონი მაშველი ქვემეხების მოლოდინში იყო და გამოჩენას ერიდებოდა. ერთი ვერსის დაშორებით, ხშირ ტყეში, ლადის რაზმი გასუსულიყო და სამუხაოდან ნიშანს ელოდა.

გამოცდილი პოლკოვნიკი მხეიძე თავს კარგად ვერ გრძნობდა. თუ დილის შეტევის დროს ყოველი წინწადგმული ნაბიჯი მის ხელქვეითებს ერთგვარ ხალისს ჰმატებდა და საბრძოლო სულისკვეთებას უღვივებდა, ახლა რატომღაც, უმეტესობა აღარც კი კითხულობდა, შეტევაზე როდის უნდა გადავიდეთო. არ კითხულობდნენ, რა ისმის ფრონტიდან, გადმოსხეს თუ არა ბოლოს და ბოლოს დესანტი ფრანგებმა და ინგლისელებმა, აჯანყებულები და მეთერთმეტე არმიის ნაწილები უკუაქციეს თუ არაო.

იქნებ უკან გაბრუნება სჯობდეს? რასაკვირველია, სჯობს, მაგრამ გიორგი თორია მგონი სწორედ ამიტომ უნდა იყოს მოჩენილი, რომ სამუხაოს ასე დატოვებას არ დათანხმდეს. ახლა იქ, ახალ ათონთან, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა გაიმართოს და ყოველი ზედმეტი მებრძოლი დიდად ფასობს, მისი ბატალიონი კი ამ მიყრუებულ სამუხაოს მიდგომია, თითქოს მტრის სასიცოცხლო არტერია უნდა გადაჭრასო.

პოლკოვნიკი მხეიძე სუროთი შებარდნული თხმელის ძირას იდგა და რუკას დასცქეროდა, როცა თორია მიუახლოვდა:

— რამ ჩაგაფიქრათ, ბატონო პოლკოვნიკო? — ჰკითხა მან უგულოდ და ინგლისური სიგარა გაუწოდა.

— ეჰ, საფიქრალის მეტი რა არის ამ ქვეყანაზე, მაგრამ ყველაზე უფრო ჩვენი აქ უქმად დგომა მაწუხებს, — უპასუხა მხეიძემ, სიგარა გამოართვა, ახალუხის ჯიბეში ასანთს ძებნა დაუწყო.

— საცაა ქვემეხები მოგვივა და მაგ ეშმაკის ბუდეს ძირფესვიანად ამოვატრიალებთ.

— მერე?

— პარტიზანებს მოვსპობთ და ახალი ათონიდან, ალბათ გუდაუთისკენ, ბიჭვინთისკენ, ტუაპსესკენ გავწევთ...

პოლკოვნიკმა სიგარას მოუკიდა, გაიღიმა:

— ზღვის პირზე სეირნობა მოგნატრებიათ, კაპიტანო!

ამ დროს სამუხაოდან შაშხანების ბათქი გაისმა. პოლკოვნიკმა და კაპიტანმა ყური ცქვიტეს. კვლავ გაისმა ისეთივე ძალის ბათქი.

— ნეტავ რას ნიშნავს?!

— არაფერი მესმის! — უპასუხა თორიამ და ისევ სმენად გადაიქცა.

— ბუკია ასეთ დროს ტყუილუბრალოდ ამდენ ვაზნას არ დახარჯავდა.

— იქნებ შემოტევას აპირებს?

— შეიძლება... მაგრამ, არა, შეტევაზე გადმოსვლა ხომ სიკვდილია მათთვის, ამაში ბუკია არ მოტყუვდება.

— ნუთუ? — ბატალიონის უფროსმა მხრები აიჩეჩა, შებრუნდა და ისე წავიდა, თორიასთვის არაფერი უთქვამს. კაპიტანიც უსიტყვოდ გაჰყვა. ასიოდე ნაბიჯი გაიარეს, არც ერთს არ უცდია სიჩუმის დარღვევა.

პოლკოვნიკმა მაღალი ცაცხვის ხეზე მოკალათებულ მეთვალყურეს ახედა.

— რას ხედავ?

— სოფლის ბოლოში ბევრი ხალხია შეკრებილი. ერთ ცხენოსანს ხელში თეთრი ბაირაღი უჭირავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხეიძე გაფაციცდა, უკან მომავალ თორიას მრავალმნიშვნელოვნად შეხედა და ისევ მეთვალყურეს მიუბრუნდა:

— თეთრი ბაირაღი! შეიარაღებულები არიან თუ არა?

— შეიარაღებულებიც არიან, მაგრამ უიარაღოებსაც ვხედავ. ცეცხლის გახსნას ხომ არ გვიბრძანებთ?

— რას სულელობ, იქნებ გვნებდებიან.

— არა მჯერა, ბუკია ცოცხალი დაგვნებდეს. კარგად ვიცნობ მაგ ვაჟბატონს. ერთხელ ხელების აწევას ათასჯერ სიკვდილს ამჯობინებს, — თორიამ აღელვება ვერ დამალა.

— მეც ვიცნობ ბუკიას, მაგრამ ხომ შეიძლება რაზმმა გონიერი გზა აირჩიოს, მეთაურს არაფერი ჰკითხოს, — მიუგო პოლკოვნიკმა და ისევ ასძახა მეთვალყურეს, თეთრბაიარაღიანი ხალხი რას აკეთებსო.

— ნელი ნაბიჯით მიჰყვებიან დაღმართს, — უპასუხა მეთვალყურემ და ჭოგრს მიეყინა.

— მაშ ბათქი რაღა იყო?! — ჩაილაპარაკა თორიამ.

— იქნებ დახოცილები დაასაფლავეს და საფლავთან ტრადიციული ბათქი მისცეს.

— რატომ მაინცდამაინც ორი ბათქი?

— ეგ უკვე ბუკიას უნდა ჰკითხო, — მიუგო ცივად პოლკოვნიკმა.

— ვაითუ ეშმაკობს? — გიორგიმ მხეიძეს ისე შეხედა, თითქოს რაღაც აქვს სათქმელი, მაგრამ თავს იკავებსო. მერე იქით გაიხედა, სადაც ბრეზენტგადაფარებული ქვემეხი მთვლემარე კამეჩივით გაწოლილიყო.

— რა უნდა იეშმაკოს! ბარში ჩამოსულმა რა უნდა გააწყოს ჩვენთან! — უპასუხა მხეიძემ და კაპიტანს ზურგი შეაქცია.

ამ დროს გზის მეორე მხრიდან, სადაც ქვემეხის მოლოდინში უდარდელად თვლემდნენ მხეიძის მებრძოლები, ნიაღვარივით მოვარდა ომახიანი ვაშას ძახილი.

ხელყუმბარამ იგრიალა. ტყვიამფრქვევმაც სცადა ჩარევა, მაგრამ უმალ ისე ჩაჩუმდა, თითქოს ვიღაც ყელში სწვდაო. თოფების უწესრიგო სროლამ და ყვირილმა ააფორიაქა გალურსული ტყე.

მხეიძემ დინჯად ახედა ცაცხვის ხეს, რა ამბავიაო, ჰკითხა მეთვალყურეს, მას ახლა ჭოგრის ნაცვლად მარჯვენა მოეჩრდილა და გზის გადაღმა იცქირებოდა განცვიფრებული.

— პარტიზანები დაგვესხნენ...

— ვინ პარტიზანები?!

— ჩვენები გარბიან, თავს უშველეთ, ერთი ნაწილი ჩვენკენ მოისწრაფის...

სათქმელი არ დაემთავრებინა მეთვალყურეს, რომ დაღმართზე ბუკიას ცხენოსანთა რაზმი გამოჩნდა. ერთი მხედარი სწრაფ დაწინაურდა, გაშლილი წითელი დროშა ჩირაღდანივით ეჭირა ხელში. რაზმმა ყიჟინა დასცა და მთელი სისწრაფით გამოენთო მტრისაკენ.

მხეიძე არც კი დაფიქრებულა, არც იქითკენ გაუხედავს, საიდანაც მტერი უნდა გამოჩენილიყო, უბელო ცხენს მოახტა, ნუ აყოვნებ, იჩქარეო, მიაძახა გიორგის.

თორია წამით გაოგნდა, მერე ფიცხლავ იძრო დამბაჩა და გაქცევა არ გაბედოო, დაუყვირა მხეიძეს. პოლკოვნიკმა ყური არ ათხოვა, ცხენს ქუსლი ჰკრა და თორიას დამბაჩამაც ზედიზედ იჭექა. მხეიძე უნაგირზე შეტოკდა და როცა მისმა ცხენმა ხეს სწრაფად აუარა, ცალი ფეხით გადმოეკიდა ავჟანდზე. უსულო პოლკოვნიკი ბედაურმა აითრია.

ყიჟინა ახლოვდებოდა. სამუხაოელთა ცხენების თქარათქური შემოიჭრა ტყეში.

თორია ჯარისკაცებთან მიიჭრა და ქვემეხის იქითკენ შებრუნება უბრძანა, საიდანაც ყიჟინა ახლოვდებოდა. მეთვალყურე ხიდან ჩამოხტა, გაქცევა იფიქრა, მაგრამ თორიას ანთებულმა

ორდე დგებუაძე
ჩაძირული „თოლია“

თვალებმა და შემართულმა მაუზერმა შეაჩერა.

გიორგი მეზარბაზნეებს მიუბრუნდა:

— როგორც კი მეამბოხენი გამოჩნდებიან, პირდაპირი დამიზნებით, შრაპნელის ცეცხლი! გაქცევა არავინ იფიქროს, თორემ... — ხელში დამბაჩა შეათამაშა. ახლა ისევ უკან დაიხია და ქარისაგან ნახევრად მოთხრილ წიფელს ამოეფარა. ხის უკან კოხტად თავაღერილი ულაყი ფრუტუნებდა.

ყიჟინა ახლოვდებოდა. გზის გადაღმა უწესრიგო სროლა გრძელდებოდა. თორიამ ხეებს შორის რამდენიმე კაცი შენიშნა და გაფაციცდა. ქვემეხის ლულაც სწორედ იქითკენ იყო მიმართული. მოემზადეთო, დაუძახა მეზარბაზნეებს და ათიოდე პარტიზანიც გამოჩნდა. ქვემეხის დანახვაზე შედგნენ. ერთი მათგანი წინ გამოვიდა და დაიძახა:

— ამხანაგებო! დაგვნებდით!

— ცეცხლი! — იყვირა გიორგიმ, მაგრამ არავინ არ განძრეულა.

— ცეცხლი! — გაიმეორა თორიამ და როცა ერთმა ჯარისკაცმა ხელი კარაბინისკენ წაიღო, კაპიტანმა მაუზერს ფეხი გამოუშალა და ჯარისკაცი უსულოდ დასცა. პარტიზანებიც გამოერკვნენ, თოფს დასტაცეს ხელი, მაგრამ უკვე გვიან იყო. ფიცხმა ულაყმა თორია ტყეს შეაფარა. დათას ცხენოსნებიც შემოიჭრნენ კორომში. მალე ტყეც გაყუჩდა.

მეზარბაზნეები ხელაწეულები შეეგებნენ ლაღის რაზმს. ბუკიას რაზმელი ცხენოსნებიც გამოჩნდნენ ქვემეხთან. ოცდაათიოდე მხედარს წინ სესრყვა მოუძღოდა.

აფხაზმა თორია იკითხა, მერე მაეიძის ჯარისკაცებს მიუბრუნდა და გამოაცხადა:

— ვისაც ჩვენთან დარჩენა სურს, შემოგვიერთდეს, ვისაც შინ მიეჩქარება, გზა დაგვილოცნია!

ჯარისკაცებმა ერთგულება აღუთქვეს სესრყვას და ისევ ქვემეხს დაეპატრონენ. ბუკიამაც მოაგდო აქაფებული ულაყი, მეზარბაზნეებს მიესალმა, საქციელი მოუწონა, თქვენი მეტყვიამფრქვევებიც ჩვენთან არიანო, უთხრა და ჩამოქვეითდა. მოკლულ ჯარისკაცთან მივიდა, ქუდი მოიხადა, ერთხანს იდგა უჩუმრად, მერე ცალ მხარზე მოგდებული ნაბადი გადაიძრო და ცხედარს გადააფარა. მერე ქვემეხი აათვალიერ-ჩაათვალიერა, გამოგვადგებაო, თქვა.

კოსტა კორტაც მოიჭრა. ეტყობოდა, რაღაც ახალი ამბავი მოიტანა, მაგრამ ქვემეხი რომ დაინახა, წამით შეყოყმანდა. მონატრებული მეგობარივით შეხედა, გაიღიმა და დათას მიუბრუნდა:

— ორმოციოდე კაცმა უშველა თავს. საკაჟიეს სერზე მოვკარით თვალი გაქცეულებს, მაგრამ გამოდევნება უნაყოფო იყო და დავბრუნდით.

დათამ არაფერი უთხრა. ამხედრდა, ტყვეებს რას უპირებთო, კითხა მერე.

— თუმცა მენშევიკებს წყევლა-კრულვით იხსენიებენ და ერთგულებას გვეფიცებიან, მაგრამ უმჯობესია სამუხაოზე ავგზავნოთ ოფიცრები და საგანგებო რაზმელები, ჯარისკაცები კი უნდა გავათავისუფლოთ.

— მეც ასე ვფიქრობ, — უპასუხა მეთაურმა. — რამდენი კაცი იქნება ასაგზავნი სამუხაოზე?

— ორმოცდაათი.

— საბადრაგოდ ათი კაცი ეყოფა. ეგ საქმე ჯოკიას მიანდე, — თქვა დათამ. — რამდენი ჯარისკაცი იქნება სანდო?

— სამასამდე ჯარისკაცი ითხოვს ჩვენს რაზმში ჩარიცხვას.

— კარგი ძალაა. ჩვენი ხალხი შეაიარაღეთ. მადლობა ღმერთს, თოფები და ვაზნები თავსაყრელი გვაქვს.

*

წელს თებერვალმა მაისივით წყნარი და თბილი ამინდი მოიტანა შავი ზღვის სანაპიროზე. მარტმაც შემოდგა ფეხი, მაგრამ უშფოთველი დარი იდგა. ზღვა ლურჯად ლივლივებდა. ასეთი გაზაფხული ბევრ საზრუნავს ჰმატებდა აჯანყებულ ხალხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტრის ჯარი კარგად შეიარაღებულ სიმაგრეებში ჩამჯდარიყო. პირისპირ მისვლა დიდ თავგანწირვას მოითხოვდა, მაგრამ გამარჯვების სურვილი იმდენად ძლიერი და დაუძლეველი იყო, რომ პარტიზანები ამ სურვილს გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავდა. ყველაფერი რიგზე მიდიოდა, სანამ მენშევიკების ჯარები არ შეავიწროვეს და სანგრებიდან არ ამოყარეს. მერე ზღვაში ფრანგებისა და ინგლისელების გემები გამოჩნდნენ. ისინი წყნარ ამინდში ნაპირს ძალზე უახლოვდებოდნენ, ყველაფერს ისე ზვერავდნენ, ისე ხედავდნენ, როგორც საკუთარ გემბანს და ზარბაზნებიდან ყუმბარებს უშენდნენ იქ, სადაც პარტიზანები შეტევაზე გადავიდოდნენ.

გაუჭირდათ აჯანყებულთ. მხოლოდ მაშინ გაიმართნენ წელში, როცა წითელი არმიის ერთი ბრიგადა და ცხენოსანთა პოლკის ნაწილები წამოეშველნენ.

თუმცა საგულდაგულოდ მოწყობილი სიმაგრეები დატოვეს, მაგრამ მაინც გააფთრებული ბრძოლებით იხევდნენ უკან მენშევიკების გვარდიის ჯარის ნაწილები, მიწის თითოეულ მტკაველს ებღაუჭებოდნენ.

...გუდაუთიდან სოხუმისაკენ მომავალ შარაგზაზე მზვერავთა მცირერიცხოვანი რაზმი გამოჩნდა. ფრთხილად მოჰყავდათ ბედაურები, ყოველ ასაქცევ გზას თუ ბილიკს გულდასმით ათვალიერებდნენ.

მზვერავებმა სამი ცხენოსანი დააწინაურეს. სხვებმა ბედაურებს ნაბიჯი დაუმოკლეს. სამეული ახალ ათონს უახლოვდებოდა. ერთი მათგანი, რომელსაც რუხი მაზარა ეცვა და თავზე „ბუდიონოვკა“ ეხურა, ბედაურს აჩქარებდა, ინგლისურ უნაგირზე კოხტად იჯდა და ფიცხ ბედაურს დეზებს არ აშორებდა.

— თქვენ, ალბათ, აქაურები ხართ, ბიჭებო! — მიმართა თანამგზავრებს რუხმაზარიანმა და გაფიცხებული ცხენის დასაოკებლად სადავე მოიშველია.

— როგორ შეგვატყვე?

— ყველა ბილიკს იცნობთ, იცით სად არის მტერი და სად მოყვარე, ერთი სიტყვით, ყველაფერი იცით...

— არც თქვენ უნდა იყოთ შორებელი, — ჩაურთო სიტყვა ერთმა მზვერავმა.

— ქართველი ვარ, შორებელი რად უნდა ვიყო, მაგრამ ეს ორი წელიწადი შორებელი გამხადეს.

— როგორ?

— რატომ ხარ ბოლშევიკიო, და ჩრდილო კავკასიაში გადამასახლეს. ახლა წითელ არმიას მოვყევი.

— სადაური ხარ?

— მეგრელი ვარ, მეზღვაური.

— ბუკია თუ გაგიგონიათ, ისიც მეზღვაურია...

მხედარმა სადავე აკრიფა, ცხენი შეაჩერა და ისე გაიღიმა, თითქოს მახარობელს შეესიტყვაო:

— ბუკია ჩემი განუყრელი მეგობარი იყო, მე მისი „თოლიას“ მესაჭე ვიყავი.

— რა გვარის კაცი ხარ?

— ანტონი მქვია სახელად, გვარად გერგედა ვარ.

— ბუკიას ამბავი თუ იცით? — ახლა უფრო თამამად ალაპარაკდა გერგედას თანამგზავრი.

— როგორ არ ვიცი! ყველაფერი ვიცი, თუ როგორ დაამარცხა დამსჯელთა ბატალიონი სამუხაოსთან.

— საკვირველია!

— სწორედ იმიტომ გამოგყევით, იქნებ დათას რაზმი ვიპოვნო! გული არ მითმენს, სანამ...

— ხელები ზევით! — გაისმა უცებ ომახიანი ხმა.

— ამხანაგებო! ნუ დავღვრით სისხლს, სამტროდ არ მოვდივართ. ჩვენ თქვენი ძმები ვართ. ხომ ხედავთ, აჯანყებულ ხალხს...

ვერ დაამთავრა სიტყვა გერგედამ. ახლოს, სულ ახლოს, შაშხანამ დაიჭექა, მერე ისევ იწივლეს ტყვიებმა და ანტონი ცხენზე გადმოეკიდა. დაფრთხა ბედაური, მაგრამ ერთ-ერთმა მზვერავმა დაჭრილს დროზე ამოსდო ხელი იღლიაში და თავის უნაგირზე გადაიყვანა.

ორდე დგებუაძე
ჩაძირული „თოლია“

უმხედრო ბედაური თავაწყვეტილი გარბოდა. ანტონი უსულოდ ესვენა ამხანაგის მკლავზე. კისრიდან სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა.

მალე აჯანყებულთა ცხენოსანი რაზმი და წითელი არმიის ესკადრონი შემოეგება მზვერავებს.

*

აჯანყებულთა რაზმმა და წითელი არმიის ნაწილებმა გააფთრებით შეუტიეს სანგრებში საიმედოდ განლაგებულ ლეგიონებს. პარტიზანებისა და წითელი მეომრების თავგანწირულ წინსვლას ვეღარ შეაჩერებდა ნაუცბათევად აგებული სიმაგრეები და ძალით მორეკილ მეომართა წინააღმდეგობა. არავინ ელოდა, მენშევიკების ჯარები თუ ასე გაძალიანდებოდნენ. ახალ ათონში ზღვიდან სეტყვასავით წამოსული ყუმბარების გადამღობი ცეცხლის გადალახვა გაძნელდა.

ინგლის-საფრანგეთის ესკადრა თავს არხეინად გრძნობდა ახალი ათონის ნაპირებთან. ერთი ნაღმოსანი და ერთი კრეისერი მოურიდებლად იდგა ზედ ნაპირთან და ყუმბარებს იქით გზავნიდა, საითაც მოესურვებოდა.

ბრძოლა თანდათან მწვავდებოდა ახალი ათონის მისადგომებთან. ზღვის ნაპირიდან მთის ძირამდე რამდენიმე წყებად იყო განლაგებული ვიწრო თუ განიერი სანგრები, მთაზე და გორაკებზე განლაგებული ქვემეხები ზღვიდან წამოსულ გრგვინვას ბანს აძლევდნენ და ცეცხლს იქ ანთებდნენ, სადაც კრეისერსა და ნაღმოსანს თვალი არ მიუწვდებოდა. ყურისწამღებად გრგვინავდნენ ზარბაზნები. თანდათან მატულობდა ტყვიამფრქვევების კაკანი.

სანგრებში ოხვრა და გოდება შეიჭრა. მომაკვდავთა ხრიალი და დაჭრილთა კვნესა სანგრიდან სანგარში გადადიოდა. აჯანყებულთა რაზმები და წითელი არმიის ნაწილები ერთ ხანს პირდაპირ უტევდნენ მტერს. მათ სჯეროდათ, რომ ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცები წითლების მხარეზე გადმოვიდოდნენ, მაგრამ ზღვიდან და მთებიდან ყუმბარას ყუმბარა მოსდევდა. სანგრებს უკან ხელყუმბარებით, „მაქსიმებითა“ და „ტოფსონებით“ იდგნენ საგანგებო რაზმელები.

პარტიზანები ფიცხობდნენ. მეთაურები ძლივს აკავებდნენ მეომრებს, ისინი მტერზე ჯიქურ მისვლას მოითხოვდნენ. ყველამ კარგად იცოდა, რომ როცა მენშევიკების ეს უკანასკნელი სიმაგრე დაინგრეოდა, მიზანიც მიღწეული იქნებოდა. ერთ ადგილზე დგომა ძალზე უძნელდებოდათ დიდი ხნის ნაომართ.

ოქროსფერ მერანზე ამხედრებული, წითელი არმიის ბრიგადის მეთაური მაღლობზე იდგა და ბრძოლის მსვლელობას მისჩერებოდა. ნაცრისფერი მაზარა ეცვა, „ბუდიონოვკაზე“ გამოსახული ხუთქიმიანი დიდი წითელი ვარსკვლავი შუბლს უფარავდა. მაგნოლიების უკან მდგარი მისი ბედაური ზარბაზნის ყოველ დაქუხებაზე ხან მიწას დატორავდა, ხან ჩამუხლავდა და მერე ისე აღიმართებოდა, თითქოს აფრენას აპირებსო. მეთაურმა ბედაურს სადავე აუწია, ჭოგრი თასმას მიანდო და ერთ-ერთ მეკავშირეს მიუბრუნდა:

— ამხანაგო დუდკინ! მომგვარეთ ჩვენს მხარეზე გადმოსული ჯარისკაცი.

— მესმის, ამხანაგო ბრიგადის მეთაურო.

ბრიგადის მეთაური ჟღალ ულვაშებს იწიწკნიდა, თან მტრის პოზიციებს თვალს არ აშორებდა. ყუმბარები ახლოს სკდებოდა, გამხდარ, ბეჭებგანიერ, ტანმაღალ ვაჟკაცს მარცხენა მხარი ხშირად უტოკავდა, „ბუდიონოვკას“ ხან აიწევდა, ხან თვალებზე ჩამოიფხატებდა.

მალე შავგვრემანი წითელბუშლატიანი, ჯმუხა მებრძოლი მოჰგვარეს მეთაურს.

— რომელი ნაწილიდან ხარ? — ჰკითხა მეთაურმა.

— ოცდამეხუთე ქვეითი პოლკი.

— ვინ არის მეთაური?

— პოლკოვნიკი ამირაჯიბი.

— შენ ჯარისკაცი არა ხარ.

— საიდან იცით?

— გვარდიელის ბუშლატი გაცვია.

— მოკლულ გვარდიელს გავხადე.

ჯარისკაცებისთვის მაზარას არ იმეტებენ.

— რა გვარი ხარ?

— გაბრიელ თევდორაძე.

— რა ამბავი მოიტანე?

— ცუდ დღეში არიან ჩვენი ჯარისკაცები, აქედან თქვენი ქვემეხები და ტყვიამფრქვევები, იქიდან...

— თუ ასეა, რად არ გადმოდიან ჩვენს მხარეზე?

— ოც კაცში მარტო მე მოვაღწიე თქვენამდე. მოდიან, მაგრამ საგანგებო რაზმელები ხოცავენ.

მეთაურმა ისევ შეხედა თევდორაძეს, აათვალიერ-ჩაათვალიერა და მერე თანაგრძნობით ჰკითხა:

— ამიტომ გასწირე თავი?

— პოლკის კომიტეტმა დამავალა და...

— რაო, რა დაგაბარეს?

— ჩვენს სარდლობას გვერდიდან დარტყმის ეშინიაო.

— ვიცი. კიდევ რაო?

— თქვენი ქვემეხების ცეცხლი წინა ტრანშეებს მოაშორეთო.

— რათაო?

— ცეცხლი ჩვენს უკან გადაიტანეთო. საგანგებო რაზმელების ცეცხლს თუ მოგვაშორებთ, ჯარისკაცების უმეტესობა ჩაგბარდებათო.

— რა ამბავია თქვენს ზურგში, სად არის დათა ბუკია?

— გუშინ ამბობდნენ, გვიახლოვდებაო, მაგრამ ამ დილითაც არ გამოჩენილა.

მეთაური ჩაფიქრდა, მერე ადიუტანტს უბრძანა, თევდორაძე წაიყვანეთო. როცა ქართველი ჯარისკაცი წაიყვანეს, მეთაურმა ისევ იხმო დუდკინი:

— ბუკიას რაზმთან მაცნე უნდა ვაფრინოთ.

— მზად ვარ, ამხანაგო მეთაურო!

ხუთმა მხედარმა ცხენი წინ წამოსწია.

მეთაურმა გაიღიმა.

— გული კი გერჩის, ამხანაგო დუდკინ, მაგრამ ამ საქმეში ვერ გამოდგები.

დუდკინს ფერი ეცვალა:

— ნუთუ მშიშარა გგონივართ, ამხანაგო...

—აბზეკილი ცხვირი და ჟღალი თმა გაგცემს, მეგობარო!

ბექობზე ცხენოსანი ამოიჭრა. შავი ჩოხის კალთები ვერცხლის ბალთიან ქამარში ჰქონდა ჩატანებული. წელზე ხმალი ერტყა, ხელში მაუზერი ეჭირა.

— ამხანაგო დენისოვ! ღელავენ ბიჭები, ვერ ვამაგრებ!

— ფიცხი ხალხი ხართ კავკასიელები, ამხანაგო ეშბა! რა დროს შეტევაზე გადასვლაა, ხომ ხედავთ, რა ამბავია?!

— წამობრძანდით, აუხსენით ბიჭებს მდგომარეობა, თქვენ დაგიჯერებენ!

— სიამოვნებით.

გორაკიდან დაეშვნენ. სახელდახელოდ გათხრილ სანგარს მიადგნენ. აქ იყო პარტიზანული რაზმების მთავარი შტაბი. ჩამოქვეითდნენ.

სანგარში ტევა არ იყო. დენისოვი შიგ არ ჩასულა, არც უკითხავს, ერთ პატარა სანგარში ამდენი ხალხი რამ შეჰყარაო.

— ამხანაგებო! პირდაპირი იერიში უაზრობაა. შეტევაზე მაშინ გადავალთ, როცა ყოველი მხრიდან ერთად დავარტყამთ მტერს, — სანგარში მყოფნი უხმოდ უსმენდნენ დენისოვს, ბრიგადის მეთაური კი დინჯად განაგრძობდა: — ახლავე დაბრუნდით თქვენს ნაწილებში, აუხსენით მებრძოლებს, რომ ჩვენ, წითელი არმიის სარდლობა, თქვენს შტაბთან ერთად საერთო იერიშის გეგმას ვამუშავებთ.

სანგარი დაცარიელდა.

— ამხანაგო ეშბა! თუ იცით, როგორ არის ამხანაგი გერგედა?

— გარდაიცვალა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბრიგადის მეთაურმა შუბლი შეიკრა, „ბუდიონოვკა“ მოიხადა, თავი ჩაქინდრა...

სადღაც ახლო ყუმბარა დავარდა. სვეტად ასული, შლამნარევი მიწა შხუილით გაიშალა ჰაერში

— გოგი თელია და ფუტკარაძე მინდა სასწრაფოდ, პირველ ასეულში არიან.

ორდე დგებუაძე

ჩაძირული „თოლია“

— ვიცი.

— აფრინეთ კაცი, გორაკზე ვიქნები.

დენისოვმა ბედაურს დეზი ჰკრა და ადგილიდან მოსწყვიტა. როცა მისი ცხენი ბექობზე გადადგა, არემარე უკვე დანისლული იყო. სერსაც მოძალებოდა დენთის სუნი. განუწყვეტლივ გრგვინავდნენ ქვემეხები. მტერი იქნებ შეტევაზე აპირებს გადმოსვლას, ან იქნებ უცხოელები გემიდან დესანტის გადმოსხმას ფიქრობენო, გაუელვა მეთაურს და ცხენიდან გადმოხტა, ჭოგრი მოიმარჯვა.

უნაყოფო იყო მაღლობზე დგომა და ზემოდან თვალთვალი, როცა ნისლად გაფანტულ დენთის ბოლს თვალი ვერ ატანდა.

— თელია და ფუტკარაძე სადღა არიან, — ჩაილაპარაკა დენისოვმა და იქვე მდგარ მეკავშირეს გადახედა.

ოთხი ცხენოსანი შურდულივით ამოვარდა გორაკზე. ჩაცმულობით დიდად არ განსხვავდებოდნენ მეთაურისაგან. ერთი მათგანი პანტე ფუტკარაძე იყო, მეორე გოგი თელია — ბუკიას ბარტყები, როგორც ეძახდნენ მათ ქართველები.

— მე თქვენი თხოვნა არ დამვიწყებია, — უთხრა დენისოვმა. — ბურუსით უნდა ისარგებლოთ და მტერს ზურგიდან უნდა მოუაროთ, ბუკია ნახოთ და ნატვრა შეისრულოთ, — გაიღიმა დენისოვმა და საათს დახედა, — ორ საათზე ვიწყებთ შეტევას, სრულ ორ საათზე ბუკიამ მტერს ზურგში უნდა დაარტყას. გასაგებია?

— გასაგებია, — ერთხმად წამოიძახეს ბიჭებმა.

— ამხანაგო დუდკინ! გაჰყევი ბიჭებს, ქუდები და მაზარები გამოუცვალეთ, გლეხურად ჩააცვით!

*

ბუკიას უკვე ხუთასი კაცისაგან შემდგარ რაზმს ათიოდე ვერსი აშორებდა ბრძოლის ველიდან. სამას კაცამდე კარგად შეიარაღებული ცხენოსანთა შენაერთი ხევნარში იდგა და ნიშანს ელოდა. დანარჩენი, ორასი კაცი, ქვეითი პარტიზანი, ტყეში იყო გაბნეული. ცხენოსნებს დათა უნდა გაძღოლოდა საბრძოლველად, ქვეითი რაზმის მეთაურობა კოსტა კორტასა და ბექვეს მიანდო ბუკიამ.

დღის თორმეტი საათი იყო, როცა რაზმმა ბრძანება მიიღო: როგორც საჭიროდ დაინახოთ, ისე იმოქმედეთო. ბუკიამ ოცეულების მეთაურები იხმო სასწრაფოდ. სახელდახელო თათბირზე კოსტა კორტასა და ბექვეს დაევალა სიმაგრეების ორივე მხრიდან შემოვლა. ჯერ ქვეითებს უნდა დაეწყოთ ფლანგებიდან შემოვლა და მერე ცხენოსნები უნდა ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში.

ის იყო, ბუკიამ მეთაურებს გზა დაულოცა, რომ მზვერავებმა შებოჭილი პანტე და გოგი მოიყვანეს.

ბუკია ერთ ხანს გაოგნებული შეცქეროდა მათ, ვის სახესაც რა ხანია გულში სასოებით ატარებდა და ვისზე ფიქრიც ლანდივით თან დასდევდა.

— თქვენა ხართ, ბიჭებო?! — როგორც იყო, მოახერხა ხმის ამოღება და სიხარულისაგან სუნთქვაშეკრულმა უკან დაიხია, მკლავები გაშალა: — ძმებო! შვილებო! პანტე! გოგი! — ხელებშეკრულ ბიჭებს მკლავები მოხვია, ხან ერთს ჰკოცნიდა, ხან მეორეს. ხელები გაუხსენიო, უბრძანა რაზმელს.

დენისოვის დანაბარები გულდასმით მოისმინა მეთაურმა, საათს დახედა, ჯერ კიდევ დრო გვაქვს, ნახევარი საათია დარჩენილიო, ჩაილაპარაკა და მებრძოლებს ამხედრება უბრძანა. პანტეს და გოგის ცხენები მოჰგვარეს, იარაღიც მიართვეს და ბუკიას გვერდით მიუჩინეს ადგილი. რაზმი ხევნარიდან ვაკე-ხეობაში გავიდა და ასეულებად გაიშალა.

საველე არტილერია შეუსვენებლად ქუხდა. ზღვაც ცეცხლს ანთებდა ნაპირზე. ბუკიამ საათს დახედა—ორს ჯერ ოცი წუთი აკლდა. საიერიშოდ მზადყოფნის ბრძანება გასცა და პანტეს მიუბრუნდა:

— ჩვენები როგორ არიან, ბიჭო?!

— ვინ ჩვენები?

— დიანოზი სად არის?

— დენისოვის ბრიგადაშია.

— გაიხაროს მისმა მშობელმა, — ბუკიამ ჯერ პანტეს შეხედა, მერე გოგისკენ გააპარა მზერა, რატომღაც ვერ გაბედა ანტონის ამბის კითხვა: სუსტი ბიჭი იყო, ნებიერი და ვაითუ... ან ვაითუ ბრძოლაში...

— ანტონი სად არის? რას აკეთებს? — იკითხა ბოლოს, როგორც იყო და პასუხის მოლოდინში გაისუსა.

— მოჰკლეს!

— როგორ!

— ამ დილით, უთენიაზე მოჰკლეს!

ბუკიამ მწარედ ამოიგმინა, სადავე ღონივრად მოსწია და ის იყო, დათამ ხმალი იშიშვლა, რომ სესრყვამაც ბედაური მოაგდო.

— ღუდა ჩიქა მოეღა სამუხაოდან.

— როგორ არის?

— კარგადაა, მეც თქვენთან მამყოფეთო.

— მერე ვინ უშლის?

— მარია და ცუცაც ჩემს ასეულში არიან.

დათამ ხმალი დაუშვა.

— აქ რა უნდათ ქალებს?!

— დაჭრილებს მივეშველებითო.

— კარგი. ასეულს მიხედე. იერიშზე გადავდივართ.

აფხაზმა სწრაფად შეაბრუნა მერანი და გაქუსლა. ბუკია ერთ ხანს უძრავად იდგა. მერე ხმალი ისევ აღმართა და მომყევითო, იჭექა. შავმა ულაყმა შველივით ისკუპა. ცხენოსანთა ასეულებიც დაიძრნენ.

— ვაშაა! — იყვირა ბუკიამ.

— ვაშა! — ბანი მისცა სამასმა კაცმა და ასეულებმა ისე ჩაიქროლეს, თითქოს მინდვრები და გორაკებიც თან გაიტაცესო.

ზღვაურმა წამოუბერა და ბურუსი მთებისკენ დაძრა. ახლა სანგრებიდანაც და გემებიდანაც კარგად ხედავდნენ, თუ როგორ უახლოვდებოდა ტრანშეებს პარტიზანთა ცხენოსანი რაზმი. ფლანგებიდანაც გაისმა ერთსულოვანი ვაშა.

ცხენოსნები უკვე ისე ახლოს იყვნენ სანგრებთან, რომ ნაღმოსანმა და კრეისერმა პარტიზანებზე ვეღარ გადაიტანეს ცეცხლი. სანგრებიდან ოფიცრები ამოლაგდნენ. შაშხანებზე ხიშტები წამოაგეთო, გაისმა ბრძანება. ჩასანგრებულებმა ერთი ბათქი მოასწრეს. ცხენების ჭიხვინში აირია ადამიანთა კვნესა, გოდება. კიდევ ერთი ბათქი — და გაბოროტებულმა მხედრებმა საფრებიდან ამოსულნი გადათელეს და ხმლები იშიშვლეს.

მაღნარიდან ისარას ცხენოსანთა ესკადრონი ჩამოყვა. მხედრებს წინ გიორგი თორია მოუძღოდა. ყველაფერი ერთმანეთში აირია. პარტიზანებს ყუმბარები ვეღარ წვდებოდა, მაგრამ ზარბაზნები მაინც ჭექდნენ. დენისოვის ბრიგადის ქვემეხებმა ინგლის-საფრანგეთის ესკადრის არტილერიას ორთაბრძოლა გაუმართა. ბრძოლის ველზე მტერი და მოყვარე ერთმანეთში ირეოდა, ძნელი გასარჩევი იყო, ვინ შენი იყო, ვინ — უცხო. ხმალი შაშხანას ასკდებოდა, ფოლადს ზრიალი გაჰქონდა.

ჩრდილოეთიდან თვითმფრინავი გამოჩნდა. კრეისერმა და ნაღმოსანმა მაშინვე იბრუნეს პირი.

სესრყვა მერცხალივით მოფრინდა, თორიას ესკადრონი გვიახლოვდებაო, აცნობა მეთაურს.

თორიას გაგონებაზე ბუკიას მარჯვენა თითქოს ზეაღმართულ ხმალზე მიეყინაო — ცხენი შეაბრუნა, ცოტა ხნით უნდა შემცვალოო, მიაძახა გვერდით მდგარ ჯოკიას და სესრყვას ასეულისაკენ გაქანდა.

აქაც საშინელი ორომტრიალი იდგა, მაგრამ დათა ვერაფერს ხედავდა, ვერაფერს ამჩნევდა. მას თვალწინ დაფლეთილი შევქოთი, განგმირული ანტონი, გულგაპობილი ვაჰანი ედგა. ამ ადამიანების უსაზღვრო სიყვარული შურისსაძიებლად უხმობდა.

ფაფარაყრილ ბედაურებზე გადაწოლილი მხედრები ბრძოლის ველისკენ მოჰქროდნენ. მოჰქროდნენ და — ჰოი

ორდე დგებუაძე
ჩაძირული „თოლია“

ბედნიერებავ! — წინ მათ თორია მოუძღოდა. სეტყვასავით მოდიოდა ტყვია, მაგრამ გიორგი უნაგირზე ისე წელგამართული იჯდა, თითქოს ცხენს საჯირითოდ მიაქროლებსო.

ბუკია აფხაზის ერთ ოცეულს თავში მოექცა და მომყევითო, დაიჭექა.

თორია გულფიცხია, არც გამბედაობით ჩამოუვარდება ვინმეს. მასთან შებმა გულისა და ძალის გამოცდაა. ბედი ჰქონია დათას, დიდიხნის ნანატრი რომ შეუსრულდა... მაგრამ ეს რა ხდება?! რად შეაბრუნა თორიამ ცხენი? ნუთუ შეკრთა! ნუთუ შეშინდა?! არა, ეს გიორგის არა ჰგავს. აქ, რაღაც სხვა ამბავია.

ის ხაროსკენ მიჰქრის. ხმალი ისევ ისე შემართული აქვს, რა ნახა ნეტავ! იქ ხომ ჭრილობის შესახვევად მიჰყავთ დაჭრილები?!

ის ვინღაა?! ქალი! მარია! მოჰკლავს, მოჰკლავს ის წყეული.

ამ დროს ცუცა ხაროდან ამოვარდა. ამ ლამაზმა ქალმა მარიას წინ გადაურბინა, შედგა, დამბაჩა გაუმართა თორიას, მაგრამ მოასწრო იმ წყეულმა და ცუცას მახვილი შემოჰკრა. ქალი წაიქცა. ხაროდან ორი მებრძოლი ამოვარდა, — დაჭრილები არიან, ხელში ხიშტწამოგებული შაშხანები უჭირავთ. მარიას წამოეშველნენ, ფარად დაუდგნენ ქალს. ერთმა შაშხანა გაუმართა გიორგის. თორიამ ცხენი შეაბრუნა, თავის ესკადრონს გამოედევნა.

დათამ დაჭრილივით დაიღრიალა.

ბუკია თორიას უნდა შეებას... უნდა შეებას... მაგრამ უეცრად პარტიზანებს ერთი მხედარი გამოეყო, დაწინაურდა. თავი შეხვეული აქვს. ხმალი შეუმართავს, მაგრამ მკლავი რატომღაც მოუხრია. დაბრუნდიო, შესძახა ბუკიამ, მაგრამ მხედარმა არც კი მოუხედა. კიდევ ცოტა და — ფიცხად შეება თორიას. მათი ბედაურები მკერდით შეასკდნენ ერთმანეთს.

— ვინ არის ეს თავხედი! — წამოიძახა თორიამ.

— ჩიქა ბიჭია! — ამის თქმა მოასწრო აფხაზმა და ღუდაც აბზინდაზე ოთის წვერებით გაიმართა, უზომოდ მოქნეული ხმალი თორიას მთელი ძალ-ღონით დაჰკრა. გიორგი უნაგირიდან გადაიხარა, სანამ მიწაზე დაეცემოდა, მოასწრო, ჩიქა ბიჭს ტყვია დაახალა. ღუდას ხელიდან ხმალი გაუვარდა და გადმოეკიდა ცხენიდან.

ბუკიამ ყიჟინა დასცა.

— სული არ მოათქმევინოთ მაგ წუნკლებს! — გასძახა აფხაზს მეთაურმა და დალახვრულ ცუცას მიაშურა.

მარია ცუცას ჭრილობას უხვევდა, ცრემლი ღვარად სდიოდა. აქვე იყო გოგი თელია — მარიას და მომაკვდავ ქალს თავზე დასტრიალებდა.

დათამ ბედაური მოაგდო, უნაგირიდან გადმოხტა და მუხლებზე დავარდა.

— როგორ არის?

— არაფერია საშიში, — უპასუხა მარიამ, თვალით კი ანიშნა, რომ გადარჩენის იმედი არ იყო.

ფერდალეულ ცუცას თვალი დახუჭული ჰქონდა. ხელები გულზე დაეკრიფა.

— ცუცა! თვალი გაახილე, გენაცვალე, დათა ვარ, ცუცა, დათა! შემომხედე! — დაიხარა, იქნებ არც კი სუნთქავსო. იფიქრა და გაისუსა. ქალმა თვალი გაახილა, სანამ ბუკია თავს აწევდა, უღონო ხელები კისერზე მოჰხვია, მიიზიდა...

— შენი სიყვარული მასულდგმულებდა... შენი სიყვარული მტერს არ დავანებე! მაკოცე... დათა, გზა დამილოცე... — მომაკვდავმა უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა, დათას მიეკრა, აკოცა და ვაჟკაცის მკლავზე მოწყვეტით დავარდა.

*

...როცა დათა ბუკია მოწინავე ხაზისაკენ გაეშურა, მტერი წელში იყო გამტყდარი. სანგრებში ეშბას და დენისოვის მებრძოლები შეჭრილიყვნენ. კოსტა კორტა და ბექვე წინ უშიშრად მოიწევდნენ. ბუკიამ სესრყვა დალანდა. აფხაზს სანგრები გადაეთელა და გვარდიელთა გამტყდარ რიგებში ვეფხვივით ტრიალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანგარზე წითელმა დროშამ ფრთა გაშალა და ომახიანმა „ვაშამ“ დაიგუგუნა.

ბუკიამ ცხენი შეაყენა. ხმალი ქარქაშში ჩააგო, თვალი დახუჭა და შვებით ამოისუნთქა. თელიამაც მოზიდა სადავე.

— გოგი!

— აქა ვარ!

— ეშველა, ბიჭო, ქვეყანას!

— ეშველა, დათა ბატონო!

— ჩვენც გვეშველა, ბიჭო! — ზღვას გახედა, გაიღიმა. — ჩაძირული „თოლია“ გვიცდის, გველოდება! არ მოგენატრა ზღვაში ნავარდი, შე ჭინკავ, შენა?!

— შენთან რას არ ვინატრებ. მაგრამ „თოლიასათვის“ ვინ მოგაცლევინებს, დათა ბატონო!

— მოვიცლი! მე და ზღვა ერთმანეთს როგორ დავშორდებით!

დათა ზღვას გასცქეროდა, მაგრამ მაინც არ გამოპარვია, თუ როგორ მიუახლოვდა ათიოდე ცხენოსანი.

— ბრიგადის მეთაური, ამხანაგი დენისოვი, — წამოიძახა თელიამ და ოქროსფერმა მერანმაც დაიხვიხვინა. ბუკიამ ცხენს ქუსლი ჰკრა, უცნობი მეგობრების შესახვედრად გაემართა.

ორდე დგებუაძე
ჩაძირული „თოლია“



ეროვნული ბიბლიოთეკა

რამონ დე ვალე ინკლანი

ძვირად დაუჯდა

მოთხრობა

ოს-ის იყო ჩემს კაიუტაში ჩავედი, დივანზე წამოვწექი და ჩიბუხი გავაბოლე, რომ კარი გაიღო და გამოჩნდა პატარა მულატი ბიჭი. ეს ბიჭი შარშან მაჩუქა ერთმა პორტუგალელმა ავანტიურისტმა, რომელმაც იმ ხანებში გენერლის ჩინსა და დომინიკალური რესპუბლიკის მინისტრობას მიაღწია. ბიჭი კარზე ჩამოკიდებულ ფარდასთანვე შეჩერდა.

— ჩემო ბატონო, ზევით, ბაქანზე, ერთი ზანგია, ზვიგენებს წყალშივე ხოცავს დანით. ამობრძანდით ზევით, ჩემო ბატონო, ნუ აყოვნებთ!..

ბიჭი სწრაფად გავიდა, მეც ცნობისმოყვარეობით გავყევი. აი, უკვე მთვარით განათებულ ბაქანზე ვდგავარ. დავინახე მთლად სველი უზარმაზარი ზანგი, რომელსაც გარს ხალხი შემოხვეოდა. ზანგი ტანსაცმელს იწურავდა, იღიმებოდა და ქათქათა კბილებს აჩენდა. იქვე, გემის მარჯვენა ბაქანს გადაყრდნობილი ორი მეზღვაური წყლის ზედაპირზე ამოტივტივებული ყელგამოღადრული ზვიგენის ამოთრევას ლამობდა, მაგრამ თოკი გაწყდა და ვეებერთელა თევზი აქაფებულ ტალღებში გაუჩინარდა. გაბრაზებულმა ზანგმა წაიჩურჩულა:

— ყეყეჩები!

იგი წავიდა და ბაქანზე სველი, ტიტველი ფეხების კვალი დატოვა. უცბად ქალის ხმა მოისმა:

— ეი, ზანგო!

— ახლავე გეახლებით, სენიორიტა!

კაიუტის შავი კარის ფონზე თეთრკაბიანი ქალი გამოჩნდა. ზანგი მიუახლოვდა:

— რას მიბრძანებთ, სენიორიტა ჩიოლე?

— მსურს ვნახო, როგორ ხოცავ ზვიგენებს.

ზანგმა გაიღიმა. მთვარის შუქით მოვერცხლილ ტალღებს ჩახედა და დინჯად წარმოთქვა:

— შეუძლებელია, ჩემო ქალბატონო... თქვენ არ იცით, აქ ზვიგენების მთელი ქარავანია.

— შეგეშინდა? — დამცინავად ჰკითხა ჩოლემ ზანგს. — რამდენი მოგცეს ამ სენიორებმა?

— ოცი ტოსტონი.

— ოთხ მონეტას გაძლევ...

ზანგი ყოყმანობდა. შემდეგ გემის მარჯვენა ბაქანთან გაჩნდა და დახედა წყალს, სადაც მოკიაფე ვარსკვლავები ისახებოდნენ. ფანტასტიკური ვერცხლისფერი თევზები ნაკვალევზე მოციმციმე ფოსფორის ბუშტებს ტოვებდნენ და ოკეანეში ჩაძირულ მთვარის სხივებს შორის უჩინარდებოდნენ. სწორედ ამ დროს გემი ზვიგენების ჯგუფს წააწყდა. ზანგი შეშფოთებული მოშორდა მოაჯირს. შემდეგ კიდევ რამდენჯერმე დააკვირდა მიძინებულ ტალღებს. მათი სუსტი დგაფუნი ღამის სიჩუმეს არღვევდა. ზანგმა სიგარას მოუკიდა და ქალს მიუახლოვდა:

— ოთხი სენტენე და ჩემს ქალბატონს სურვილს შევუსრულებ.

ჩოლემ ზიზღით მიატრიალა თავისი მშვენიერი სახე (ინდიელთა დედოფალს ჰგავდა იგი იმ წუთში) და თითქოს სიჩუმის დარღვევა არ უნდაო, წაიჩურჩულა:

— მაშ კარგი. მოჰკლავ? მიიღებ ოთხ სენტენს!..

ზანგის სქელ ტუჩებზე ღიმილი ათამაშდა. ტანსაცმელი თვალის დახამხამებაში გაიხადა, ქამარზე მიმაგრებული ქარქაშიდან დანა ამოაძრო, კბილებში დაიჭირა და მოაჯირზე აღიმართა. წყალმა აირეკლა შავი, გალაქული ხის მსგავსი შიშველი ტანი. ზანგი გადაიხარა, თითქოს უნდოდა თვალით გაებურღა სიღრმე, და როდესაც წყლის ზედაპირზე ზვიგენები გამოჩნდნენ, თავი უკან გადაიქნია და მთვარის შუქზე მოლაპლაპე მისი ზღაპრული ტანი გაქრა რბილსა და დგაფუნა ტალღებში.

გემის მთელი ეკიპაჟი და მგზავრები მოაჯირს მიცვივდნენ. ყველას თვალი ტალღებს მიეჯაჭვა. ზვიგენებმა ზანგს ძებნა დაუწყეს... აბუყბუყებული წყალი წითლად შეიღება.

წყლის ზედაპირზე გამოჩნდა ზანგის ხუჭუჭთმიანი თავი. გამარჯვებული მხოლოდ ერთი ხელით მოცურავდა, მეორეთი კი ყელგამოღადრულ ზვიგენს მოათრევდა. დიდი თევზის ღრმა ჭრილობაში ქანაობდა მაგრად ჩარჭობილი დანა.

ყველანი დაფაცურდნენ ზანგის ამოსაყვანად. გადაუშვეს თოკები და ის-ის იყო, წყლის ზედაპირიდან ნახევარი ტანით აღმართული ზანგი თოკს უნდა ჩასჭიდებოდა, რომ ჰაერი გააპო მისმა შემზარავმა ყვირილმა. ყველამ დავინახეთ, როგორ უშვა თოკს ხელი ზანგმა და როგორ ჩაიძირა ტალღებში, ზვიგენთა ლუკმად ქცეული.

ესპანურიდან თარგმნა
ელზა ახვლედიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქნარიები

მზე არ ათბობს დედამიწას,
ფრინველების არ სჩანს გუნდი.
ხეებს, სახლებს დაუხურავთ
კუშმა — თეთრზე-თეთრი ქუდი.

ხეობებში ღმუის ქარი,
თეთრად ელავს მთების კალთა,
ეს ნამდვილად ასე არის,
სჩანს, ბუნებას დაუზამთრდა.

ეს ნამდვილად ასე არის,
თეთრ ლოგინებს აფენს მთა-ბარს.
მატყლის ფთილა ბღუჯა-ბღუჯად
დაუყრია ველზე ზამთარს.

ყინვა ერთი ამოსუნთქვით
უცბად ყინავს მრავალ გუბეს,
იისფერი ჭირხლით ფარავს,
არემარეს უვსებს უბეს.

ჰაერიც კი განაბულა,
მყუდროება მეფობს სრული,
ნაპერწკლებს ჰყრის თითქოს მზეზე
რთვილი ირგვლივ დაფანტული.

რძისფრად ღელავს თეთრი ფერი,
დაფენია მთას და ბარსა,
თითქოს მთელი დედამიწა
ვრცელ უდაბნოს დაემსგავსა.

სითეთრეში ალაგ-ალაგ
მკრთალზე მკრთალი, ნაზზე-ნაზი —
ბუჩქები სჩანს მხოლოდ შავად,
როგორც ბადის ბევრი ხაზი.

მიძინებულ ხეებს შორის
გასაოცარ სიჩუმეში,
მარდი, ჩქარი, უშიშარი
მიაბიჯებს ანდრიეში.

მიდის მხნე და პირდაპირი,
მწყემსი ბიჭი წუთს არ ჰკარგავს,
მოისრისა ხელით ცხვირი,
მაინც მისი გააქვს ზამთარს.

ზამთარს კი ნუ ეხუმრები,
ნურავისგან ითხოვ შველას,
თავს უფრთხილდი, თორემ სუსხი
მოგჩეხავს და გადაგთელავს.

ეს ბაბუა ზამთარია,
მხიარულად ჭუტავს თვალებს,
დაბუმბლული ქურქის კალთა
ქარბუქისგან უფრიალებს.

როგორც თოვლის დიდი გროვა —
თეთრი ქუდი ჩაუფხატავს
და ჭაღარა კულულები
ერხევიან მხრებზე ლაღად.

ანათებენ ცეცხლის გვარად,
წვერ-ულვაშზე ვერცხლად ბრწყინავს
მტევნებივით დაკიდული
ალმასები პაწაწინა.

ცხვირწითელამ, ეშმაკთვალამ
დააყენა თოვლის მტვერი,
ბუქნას უვლის მხიარული
და თავისთვის ასე მღერის:

— სიზარმაცემ ვინც შეჭამა
და გამოღრღნა, როგორც ჭიამ,
ის — ყინულის ლოლუებად
რომ ვაქციო, შემიძლია!

მოხერხებულს, მამაცს ვეტრფი,
საიდუმლოს ვერ დავმალავ,
ვინც ვაჟკაცურ სიტყვას მეტყვის,
გზას ქარბუქში გავუკვალავ.

ტალახს, წუმპეს ვეღარ ვიტან,
მე მივწვდები მაღლა ზეცას,
ველს მივუსევ ქარბუქს ძლიერს,
ტყეს ყინულით გადავვერცხლავ.

თეთრ ნოხს მოვქსოვ, გავშლი ველად,
თოვლს დავაყრი გოლიათებს,
გაზაფხულის დადგომამდე
ველი თეთრად იქათქათებს.

ახლოს მოდი, ახლოს მოდი,
ჩემთან ყოფნას აბა რა სჯობს,
დაგისრისავ ფერმკრთალ ლოყას,
რომ ვაშლივით იღაჟღაჟოს.

მწყემსი ბიჭი არ შეშინდა,
გადაგორდა თოვლზე მარდად,
როგორც წესი, რიგი არის,
მოხუცს ქუდი მოუხადა:

— გამარჯობა, ბერიკაცო,
გულკეთილო, გულმხურვალევ,
აღთქმულ მხარეს მივდიოდი,
თოვლში გზა ვერ გავიკვალე.

დამეხმარე, მომეც რჩევა,
გევედრები გულახდილად,
და ბაბუა ზამთარს უცებ
გაეღიმა და თქვა ტკბილად:

— მოგზაურო, უშიშარო,
გამიგია შენი ქება,
ეს იცოდე, გულადს, მამაცს
რომ გადია არ სჭირდება.

ვისაც მხოლოდ ჭკუა უჭრის,
არის მუდამ მხიარული,
ნისლებსა და გრიგალს შორის
გზას გაკაფავს ჟრიამულით.

გზას გაკაფავს, გზას იპოვნის
და მიაღწევს თავის მიზანს,
იგი, ვისაც შიში არ აქვს
ქარიშხლის და ქარბუქისა!

მომისმინე, ჩემო მწყემსო,
თუკი შენი გული გულობს,
უნდა ორი დავალება
უსათუოდ შემისრულო.

შეასრულებ, რასაც გეტყვი,
კარგი გელის თავისთავად,
თუ არადა საქმე შენი,
ჩემო მწყემსო, ცუდად წავა.

პირველ რიგში, უნდა სამჯერ
დაიზილო თოვლში ტანი,
სიმწრის ცრემლი არ დაგცვივდეს,
თორემ ვაი შენი ბრალი.

შემდეგ ამ ქედს გადუქროლებ,
ცხრა მთას სწრაფად გადასერავ
და იქ მიხვალ, სადაც მთები
ციმციმებენ ვერცხლისფერად.

თუ ჩიტივით გაფრინდები,
გზას უთუოდ გაიკაფავ,
ქარზე უფრო ლაღად იფრენ,
ოცნებაზე უფრო სწრაფად!

თუმც სიცივე იყო მკაცრი,
ყინვა იდგა მწველზე-მწველი,
მწყემსმა ბიჭმა გაბედა და
გაიხადა ტანსაცმელი.

შიშველ ტანზე დაიყარა
მუჭა-მუჭა თოვლის ფთილა,
მთელი ტანი ახალ თოვლით
გაბედულად დაიზილა.

სხეულს წიწკნის მძაფრი ყინვა,
თანაც ოფლი მოსდის ღვარად,
მთელი ტანი აუწითლდა,
აღტაცებას ვეღარ მალავს.

მხიარული გახდა უფრო,
ვერას აკლებს ყინვა მწველი,
ისე დაცხა, თითქოს იყოს
ზაფხულის დღე ცხელზე-ცხელი.

ათუხთუხდა ძარღვში სისხლი
და ჩაუდგა მკლავში ძალა,
დატრიალდა ცხელი ტალღა,
მთელ სხეულში გაიშალა.

ანდრიეში — მწყემსი ბიჭი
დაფიქრდება, შეყრის წარბებს.
ახლა უნდა, რომ მეორე
დავალებას გაუმკლავდეს.

ფეხზე თასმით, მაგარ ლაფნით
მოიჭირა თხილამური,
თან სიმღერა შემოსძახა,
გზას გაუდგა მხიარული.

მოვერცხლილი მთები ნახა,
გადიქროლა მთა და ბარი,
და ბაბუა ზამთარს ისევ
წინ აღუდგა უშიშარი.

— ტყვილად როდი გამოგცადე,
დავალება სძლიე მკაცრი,
მე დღეიდან ჩაგთვლი გმირად, —
ეუბნება ბერიკაცი.

შენ ღირსი ხარ, მწყემსო ბიჭო,
ჯადოსნური ნახო მხარე,
პირდაპირ გზას მიგასწავლი
და ნამდვილად გაიხარებ.

ჩემს გუდაში ჩახტი მარდად,
სტუმარი ხარ სასურველი,
შინ გველიან მოუთმენლად,
მე ვარ შენი მასპინძელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამს გუდაში ჩაძვრა მწყემსი,
მოიკიდა ბერიკაცმა,
ქურქის კალთა, როგორც ფრთები,
გაშალა და მიწას ასცდა.

შორს გაფრინდა, მაღლა-მაღლა
და ვერავინ მოჰკრა თვალი,
ქვემოთ სწრაფად დატრიალდა
საოცარი ქარიშხალი.

თითქოს ვერცხლით მოჭედილი
წინ დიდი მთა აღიმართა,
ყინულების ბროლი ბრწყინავს,
გაუშლია ზამთარს კალთა.

კლდეში გამოქვაბული სჩანს,
ყინულების ბროლი ელავს,
ბროლის თეთრი სასახლეა,
ლამაზი და ვებერთელა.

ტრიალებენ კაცუნები,
კიბეებზე ხტიან მარდად,
ზოგი მღერის მხიარულად,
ზოგს ფერხული გაუმართავს.

ბევრი შრომობს მუყაითად,
მაგიდასთან დატრიალებს,
თოვლისაგან ამზადებენ
ბავშვებისთვის დედოფალებს.

ვარსკვლავების ცეცხლის შუქზე
ყველაფერი ირგვლივ ბრწყინავს,
ბევრი ძერწავს სათამაშოს
ლამაზსა და პაწაწინას.

სიხარული ირგვლივ მეფობს,
მხიარულად მღერის ყველა.
ტიტინებენ, ჭიკჭიკებენ
პატარები უდარდელად.

ჰა, ბაბუა ზამთარს ხედავთ,
იღიმება ბედნიერად!
ადგა. ყველა სათამაშოს
უცბად სული ჩაუბერა.

აცეკვდა და ათამაშდა
დედოფლების მთელი წყება
და ბაბუა ზამთარს ჩუმად
ულვაშებში ეღიმება:

— ანდრიეშო, მომისმინე,
და ნურაფრის ნუ გაქვს დარდი,
საცა არის მოფრინდება
ჩვენში ახალწელიწადი.

ჩვენს პატარებს საახალწლო
ძღვენი უნდათ დიდებული,
მთელ ქვეყანას შემოვივლი
გუდაგადაკიდებული.

ვივლი, ცხრა მთას გადავივლი,
ვინახულებ მრავალ მხარეს,
მალხაზებს და ცეროდენებს
საჩუქრებით გავახარებ.

ამ ყინულის სასახლეში
თავს არა გრძნობ ცუდად, ეგონებ,
ასე მჯერა, ჩემთან ყოფნას
სამუდამოდ დაიხსომებ.

მეგობარო, მომისმინე,
როცა ერთხელ დავსტვენ, მაშინ
მყისვე ჩემთან, აქ გაჩნდება
ჩემი მკვიდრი ოთხი ვაჟი.

აქ შეხვდები თავდადებულს —
ნამქერების მხედართმთავარს,
მბრძანებელი ქარბუქისა
შენ მოგხიბლავს თავისთავად.

გრიგალების სარდალს ნახავ,
ციკლონების ამაყ მთავარს,
გაეცნობი, ისაუბრებ
და დროც უფრო მალე გავა.

ჩემს უფროს ვაჟს, ჯიუტ კრივეცს,
ჩვენს მხარეში იცნობს ყველა,
სურს რომ მარტომ იბატონოს,
მბრძანებლობდეს მინდორ-ველად.

სევდიანი შემოდგომა
როცა ყვითლად გაშლის ფერებს,
მაშინ ჩემი ხარბი ვაჟი
გადასერავს ძალით ველებს.

გადაივლის ტყეს და ტრამალს,
არ დაინდობს ქვეყნად არვის
და სიცივის საშიშ ტალღებს
არემარეს გაუგზავნის.

თოვლს, თოვლს დაყრის ხვავრიელად,
იტრიალებს მთა და ბარში
და ბუნება მშვენიერი
გადიქცევა ძილად მაშინ.

მეორე კი — ბალტარეცი
შიშს არ უფრთხის, თვალს არ ხუჭავს,
გზაზე ბროლის ხიდს აშენებს
და ყინულებს უდგამს ბურჯად.

ქურქს ახურავს არემარეს,
ყინულების ბროლით ფარავს,
ტბას, მდინარეს და ნაკადულს
აკრიალებს ვერცხლის დარად.

უბრალო ტბორს აცმევს ჯავშანს,
ცისფრად ფარავს ყველა გუბეს,
ყინულების ახვევს თავშალს
წყალს — მტკნარსა თუ მოჩუხჩუხეს.

მესამე მყავს სალტარეცი,
სიხარული არის ჩვენი,
ჯადოქარი მხატვარია
და ნამდვილად არის ბრძენი.

ლურჯი მთების მწვერვალებზე
მისი საქმე მოსჩანს კარგად,
ბრწყინვალეს და გასაოცარს
ნოხებს ქსოვს და ნოხებს ქარგავს.

მოღუშულ და მდუმარ ნაძვებს
ულამაზეს ფარჩას აფენს,
სირმავს ამაყ კენწეროებს
და მთებს თეთრად მოქათქათეს.

ტოტებს, თოვლით დაზნექილებს,
ულამაზეს მარცვლებს ჰკიდებს,
ელვარე და მოციმციმე
მძივებსა და მარგალიტებს.

როცა ბნელა, ძალზე ბნელა
და გადაღლილ სოფელს სძინავს,
ვერცხლის კალმით ფანჯრის მინებს
ლამაზ ყვავილს მიაყინავს.

უმცროს ვაჟს კი, ვოიოშელს,
მამაცები უყვარს დიდად
და პატარაც მას მფარველობს,
ყინვას ვინც არ შეუშინდა.

ვინც ზამთარში, როგორც ჩიტი,
თხილამურით ფრინავს მალი,
ვისაც ყინვის არ აქვს შიში,
არც ქარის და ქარიშხალის.

ვისი ლოყაც წითლად ღვივის,
სპეტაკ თოვლში დახტის მარდად,
ვინც გუნდაობს ყოველ დილით
და მხიარულ თამაშს მართავს.

ოთხივე მყავს ისე სწრაფი,
გაასწრებენ ალბათ სიოს,
ქვეყნად არვინ მეგულება,
მათი ქროლვა შეამჩნიოს.

ცაში ისმის მათი სტვენა,
მათი სუნთქვა ესმის ცასა,
როგორ დაქრის ოთხი ვაჟი
სწრაფზე-სწრაფი ქარის მსგავსად.

ესა თქვა და სასახლეში
შემოვარდა მარდზე-მარდი,
პირქუში და მოღუშული
ხშირწარბება გოლიათი.

ეს კრივეცი გახლდათ მკაცრი,
გარეთ იყო სანავარდოდ,
ბატონობის მოყვარული,
ამაყი და ბეჭებფართო.

თეთრი, როგორც მეწისქვილე,
სიბნელეში მკვეთრად სჩანდა,
ხმა კი ჰქონდა საზარელი,
ქარიშხალის ღმუილს ჰგავდა.

ერხეოდა მკერდზე წვერი
და სინათლეს ირგვლივ ფენდა,
როგორც ნაძვი ვებერთელა,
თოვლის ქაფში ქათქათებდა.

იქვე გაჩნდა ბალტარეცი
და მამასთან დადგა ლაღად,
თავს ეხურა ბროლის ზუჩი
და ფრთოსანი ეცვა წაღა.

ტანი ჯავშნით მოესარკა,
შემოხედვა ჰქონდა მამის
და წვდებოდა კოჭებამდე
ბეწვის თეთრი მოსასხამი.

შემოესმათ ხმა წკრიალა,
გაინაბა ყველა მყისვე,
თითქოს თოვლზე სრიალებდა
ასი ბავშვი მოკისკისე.

ის ხმა ტკბილი, საოცნებო,
მარხილების გავდა წკრიალს
და სასახლის მაღალ თაღებს
მარგალიტად დაეფრქვია.

შემოვიდა სალტარეცი,
ლურჯთვალა და სახე წყნარი,
ყველა მხატვრის სანუკვარი,
საყვარელი მეგობარი.

უცბად ხელი აიქნია,
სიხარული იგრძნო დიდი,
სახატავ ფუნჯს დაემსგავსა
თითქოს მისი ყველა თითი.

ის არ გახლდათ ენამჭევრი,
ეს სიმართლე უნდა ითქვას,
ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაისმოდა
ღარიბული მისი სიტყვა.

ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისე, როგორც
ქარიანში იცის თურმე,
როცა ხმელი ნაძვის ტოტი
ფანჯრის მინებს უკაკუნებს.

არც მეოთხეს — ვოიოშელს
დააყოვნდა მოსვლა მასთან,
ლოყაწითელს, მოუსვენარს
და ყველაზე ახალგაზრდას,

ღონიერს და დაუდგრომელს,
ვინც არ უფრთხის ქარს და ყინვას,
ციგურების ნაცად ოსტატს
ვოიოშელს — პაწაწინას.

ბორცვზე, როგორც ბრძოლების წინ,
ოთხი ვაჟი დგას და ღელავს,
ელოდება მამის სიტყვას
და მზად არის საბრძოლველად.

მამისაკენ ფრთოსან ლაშქარს
მიუპყრია თრთოლვით თვალი,
გრიგალს ღვიძავს, ქარბუქს ღვიძავს,
ვერ ისვენებს ქარიშხალი.

ბრწყინავს, ელავს მუზარადი,
თითქოს ლოკავს ცეცხლის ალი,
და ქარქაშში ვერ ისვენებს
მოვერცხლილი ბასრი ხმალი.

ოღონდ ბრძანოს მბრძანებელმა,
მხოლოდ ერთი სიტყვა კმარა.
შემართულან საბრძოლველად,
მთების თოვლით დასაფარად!

ცისფერ ტბათა, მდინარეთა
ყინვის ქურქით შესამოსად...
და ნატრობენ ერთგულები
ხვავრიელი თოვლის მოსვლას.

უცბად მთებზე გაიელვა,
დაეფინა ქედებს სხივი,
გაღვივდა და გაიზარდა,
გადმოეშვა ჩანჩქერივით.

აბრჭყვიალდა ნაძვნარები,
დართვილული, მონავერცხლი,
არემარე გააშუქა,
უთვალავი გაჩნდა ცეცხლი.

გაჩნდა შუქის ნიაღვარი
უცაბედად მოვარდნილი,
და ნაპერწკლებს ბღუჯა-ბღუჯა
ჰყრიდა გამლღვალ ფოლადივით.

ანდრიეში დარჩა სახტად,
გაკვირვება ვერ დამალა.
ამდენი მზე ერთად ნახა
ჩახჩახა და თვალბრიალა.

ყველაფერი ელვარებდა,
იფიქრებდი, ზეცად იქცა
ტყე, მინდორი, მთების კალთა,
თითქმის მთელი დედამიწა!

— სასწაულის მოწმე გავხდი!
გახვეულა თოვლი ცეცხლში,
ყინულები წითლად ღვივის, —
შემოსძახებს ანდრიეში.

ეს მოესმა ვოიოშელს,
პასუხი არ დაახანა:
— მზე ამოდის, წითელი მზე
მოევლინა ამ ქვეყანას.

ის აქედან იწყებს ფრენას,
ხდება მართლა სასწაული,
ზღვებს და ქედებს, ტყეს და მინდვრებს
მზე აქედან გადაუვლის.

ყოველ დილით ჩნდება ცაზე,
გულუხვი და სანატრელი,
სხივებს გზავნის, როგორც ისრებს,
რომ ამქვეყნად მოსპოს ბნელი.

ხედავს, აღმოსავლეთიდან
მზე ამოდის, ქედზე ღვივის,
დახვეული კულულები
ბრწყინავს ოქროს ბეჭდებივით.

ახამხამებს ცხელ წამწამებს
სიბნელეში ოქროს სხივად,
ანდრიეშის მხრებს შეეხო,
მშობელივით გაუღიმა.

— გამარჯობა, მწყემსო ბიჭო,
იცოცხლე და გაიხარე!
კარგად ვიცი შენი დარდი,
კარგად ვიცნობ მე შენს მხარეს.

ყოველ დილით მისთვის ვჩნდები,
რომ სიბნელე მოვსპო ავი,
შენი მხრიდან უბედურთა
კვნესა მესმის გულსაკლავი.

ღარიბ ქოხებს აწვევს სევდა,
სიღატაკის დაძრწის ლანდი,
ნაცნობია დიდი ხნიდან
მათი მოთქმა, მათი დარდი.

რა ხანია ვემზადები,
ღამის წყვდიადს დასძლევ ძნელად.
კუნაპეტი ღამე მოვსპო,
უკვე მზად ვარ საბრძოლველად.

დაგეხმარო, გულით მინდა,
ვიცი, მძიმე გველის ბრძოლა,
შენთან ერთად თავს გავწირავ
ბნელი ღამის ჩასაქოლად.

დავეცემი, ავუჭრელებ
სიკაშკაშით შავბნელ თვალებს,
მოვსპობთ ღამეს, სიდუხჭირეს,
მოთქმას, დარდს და სივალალეს.

— მზეო, მზეო, — შესძახა და
გაუფითრდა მწყემს ბიჭს სახე,
შეაცქერდა შარავანდედს —
მზეს ლაჟვარდში მოჩახჩახეს.

მზე კი წითლად ლივლივებდა,
ჰორიზონტზე გაჩნდა მყისვე.
დასავლეთით გადაქანდა
ელვარე და მოგიზგიზე.

ანდრიეში დგას და ნაღვლობს,
გული რითღა დაიმშვიდოს,
მიხვდა ტკბილი ბერიკაცი
და ეახლა მწყემს ბიჭს თვითონ.

— რატომ სწუხარ, ანდრიეშო,
ერთი მითხარ, რისთვის ჯავრობ,
მგონი, კარგად დაისვენე,
მალე უნდა გაემგზავრო.

ბედნიერი იყავ მუდამ,
გულადი და უშიშარი,
საბოლოოდ დიდება და
გამარჯვება შენი არი.

რასაც გეტყვი, დაიხსომე,
მოიგონებ ამას ბოლოს,
ყინულების სიყვარული
უნდა გქონდეს გულში მხოლოდ.

მსურს გიყვარდეს მყუდროება —
ტყის და ზამთრის ტკბილი ძილი,
უთვალავი ფიჭვის ტოტი
ღამის ჭირხლით მოვერცხლილი,

ხეობებში ქარის ქროლა,
გრიგალების გახელება
და ქარბუქის კლდიდან კლდეზე
საოცარი ამღერება.

განშორების დადგა ჟამი,
გეთხოვები, ჩემო შვილო,
ვოიოშელს იცნობ უკვე,
იმან უნდა გაგაცილოს!

გრიგალების ლეგიონმა
უცებ თვალწინ გაიელვა,
აიტაცა ანდრიეში
ათასობით მძლავრმა ხელმა.

გამოხვია თოვლის ბუქში,
ამოგანგლა თოვლის მტვერში,
ბუმბულივით გააქროლა
მაღლა ცისკენ ანდრიეში.

ვოიოშელს მწყემსის გვერდით
გაეშალა ქარში მხარი,
ისიც მასთან მიფრინავდა
ფრთამალი და უშიშარი.

სიჭაბუკის ოცნებათა
განუყრელი თანამგზავრი.

სადღაც ქვემოთ ნისლი იწვა
სპეტაკ თოვლზე უფრო მქრქალი.

სადღაც ქვემოთ მიცურავდა
ველი ნისლში გაწოლილი,
ცისფერ მთათა წახნაგები
ალაგ-ალაგ დათოვლილი.

კრიალებდნენ ქვემოთ ტბები
ჯადოქრული სარკის დარად,
აბურძგნული ტყეთა ზურგი
ჰგავდა რუხი ცხვრების ფარას.

ვინ აღუდგეს ვოიოშელს,
ღრუბელს კვეთს და ირგვლივ ფანტავს,
დინჯად უსმენს ანდრიეში
თანამგზავრის სიტყვას მართალს.

— სამარის მსგავს სამ ბორცვს ამჩნევ?
კუპრივით სჩანს შავი ველი,
ურყევ კედლად აღმართულა
იქ სიბნელე საშინელი.

ეს გრიგალის საბატონო,
სამფლობელო არის ბნელი,
შესასვლელთან მთაა დიდი
მიუდგომი, მიუსვლელი.

დიდი ხნიდან ქვესკნელიდან
ყრუ ხმა მოდის შესაზარი,
ხან ტირილის მსგავსად ისმის
და ხან როგორც ბლოვის ზარი.

მე არ ძალმიძს იქ გაფრენა,
გეუბნები გულახდილად,
გადელახათ ნაპრალები,
კარგად ვიცი, ბევრი ცდილა,

მაგრამ გრიგალს, გულშავ გრიგალს
თურმე ვერვინ დაემალა,
რადგან გრიგალს არ ეძინა,
უძლეველი ჰქონდა ძალა.

ჯადოქრულად დაამარცხა
ბევრი მოყმე მთების კართან,
ქვად აქცია და ქვებისგან
ვებერთელა მთა აღმართა.

მთა აღმართა შემზარავი,
ვერვინ მივა მასთან ახლოს,
მხოლოდ გრიგალს შეუძლია
გადასეროს, გადალახოს.

მთა ტორტმანობს სიბნელეში,
იმუქრება, შფოთავს, ღელავს,
ყრუდ გუგუნებს, ოხრავს, ხვნეშის,
თითქოს მართლა ითხოვს შველას.

ვეღარ შევძლებ ბნელში ფრენას,
დამეღალა უკვე ფრთები,
სუნთქვა მიჭირს, დავუძლურდი
და მიწაზე დავფრინდები.

გზას მოძებნი, მუხნარს ირგვლივ
მოუარე მარტოდმარტომ,
რა ვუყოთ, რომ გზა გექნება
საშიში და სახიფათო.

სიბნელეში უეცველად
დევს შეამჩნევ, შტერს და ბებერს,
სტრიმბა-ლემნეს ეძახიან
სულელს, ბრიყვს და უშველებელს.

სისულელით გრიგალს ენდო
და დაუდგა მუხნარს მცველად,
დაბაჯბაჯებს ახლა ბრიყვი
სიბნელეში უდარდელად.

იქ ნუ წახვალ, მოერიდე,
დამიჯერე, გაცლა გიჯობს,
მაგრამ ხიფათს თუ ვერ აცდი,
მომიგონე, მწყემსო ბიჭო!

აღმოსავლეთს მიაცქერდი,
შეუბერე სამჯერ სული,
წამსვე შენთან დასახსნელად
მოვფრინდები ფრთაშესხმული!

გადაკოცნეს და ერთმანეთს
გზა უსურვეს ბედნიერი.
მაღლა, ცაში აირია
გაყინული თოვლის მტვერი.

მარტო დარჩა ანდრიეში
შავ მუხნართან მიდის ფრთხილად,
ხედავს, მკვდარი ბალახები
ბნელში თეთრად გამოწვდილან.

უცხო მხარეს მიდის მწყემსი,
უკრავს მისი სალამური,
ხან რაკრაკებს და ხან კვნესის
ხმა ტკბილი და საამური.

უცბად შავი მუხნარიდან
ცა მერცხალმა გადასერა,
არემარეს გადუფრინა
ირიბად და ალმაცერად.

მხიარულად აჭიკჭიკდა
სიმღერებში გაწაფული
და გაზაფხულს მიესალმა,
აამღერა გაზაფხული.

ტკბილი ჰანგით გულგამთბარი,
აღფრთოვანდა ანდრიეში,
დაავიწყდა, რაც ურჩიეს,
ღრმად შევიდა უღრან ტყეში.

თეთრგულმკერდა მერცხალს გაჰყვა,
საოცრების მოწმე გახდა,
ნაგრიგალევ ხეებს ტანი
ერთმანეთში ჩახლართათ.

მუხის ტევრში დევი ადგა
ბრიყვი, თვალებდაჭყეტილი,
ეცვა ჯვალოს სამოსელი,
ალაგ-ალაგ დაფლეთილი.

თმები ჰქონდა გაბურძგვნილი,
სულელური ჰქონდა სახე,
რკინის ხელით ტოტებს გრეხდა
და იქნევდა, როგორც სახრეს.

— ჰეი, ვინ ხარ, საით მიხვალ? —
აღრიალდა შესაზარად.
— მე გახლავართ ანდრიეში,
ვმწყემსავ ჩემი სოფლის ფარას.

— თავს ბატივით რომ იწონებს,
დამიხედეთ ერთი ამას?
წაეთრიე, სისხლს ნუ მიმღვრევ,
წერამ ხომ არ აგიტანა!

მე ყველაზე ძლიერი ვარ,
გოლიათი, მძლე და კუშტი.
ფუთიანი საპალნეა
თვითეული ჩემი მუშტი.

სტრიმბა-ლემნეს მეძახიან,
აქ ვდარაჯობ ტყეს და მდელოს,
ყველაფერი, რასაც ხედავ,
არის ჩემი სამფლობელო.

— ხმა გაკმინდე, გაბურძგვნილო,
სატრაბახო რა გაქვს ნეტავ,
მამაცს შენ ვერ შემაშინებ,
ვინც ბრძანდები, კარგად ვხედავ.

თუ გსურს, მოდი, შევერკინოთ,
მე ვინცა ვარ, ნახავ თვითონ,
აბა, სწრაფად ამიხსენი,
როგორ გინდა შეეჭიდოთ.

გადახედა სტრიმბა-ლემნემ
ამაყად და თავმომწონედ:
— შენ, კაცუნავ, ვინა გდიხარ,
რა ძალა გაქვს ან რა ღონე?

ნუთუ ბედავ შემებრძოლო,
ნუთუ ჩემი არ გაქვს შიში,
გირჩევნია, გამეცალე,
ჩავარდები გასაჭირში.

აბა, მოდი, შეეჯიბროთ, —
სტრიმბა-ლემნე ბღავის მწყრალი
და ტყე ისე აგრუხუნდა,
როგორც მძლავრი ქარიშხალი.

შეირხა და გაიზმორა,
აროხროხდა გულბოროტი,
მოიქნია დიდი მუშტი
ისე. როგორც მძიმე ლოდი...

მწყემსი ბიჭიც დატრიალდა,
არ გასტანა დიდხანს ბრძოლამ:
მუხის მაღალ კენწერომდე
ბუზდუგანი აისროლა.

ძირს დაეშვა ბუზდუგანი,
გრიგალივით დატრიალდა,
მხეცს გულ-მკერდი შეუნგრია,
გოლიათი აღრიალდა.

ატორტმანდა გოლიათი,
შეუჩერდა გულის ფეთქვა,
როგორც ბოძი ძირმომპალი,
მოწყდა, მიწას დაეხეთქა.

დამარცხებულს, დანარცხებულს
ანდრიეშმა მიახალა:
— სტრიმბა-ლემნე, წამოდექი!
ტრაბახავ და გრძელფაფარავ!

ერთ წკიპურტსაც გითავაზებ,
ავისრულებ გულის წადილს...
— ეს რა მარცხი მომივიდა, —
აღრიალდა გოლიათი.

გამიშვი და შემიბრალე,
ეღარ შემწევს ახლა ძალა,
ნება დამრთე. გემსახურო,
შენი მონა ვიყო მარად!

მე გიამბობ, რაც გადამხდა,
უბედური რისთვის გავხდი,
გევედრები, მომისმინო, —
აზლუქუნდა გოლიათი.

პირველ ყოვლის მინდა გითხრა
ის, რაც მაშინ ელდად მეცა,
ის. რაც დედამ, გულმოკლულმა,
სიკვდილის წინ მიანდერძა.

ასე მითხრა: ჩემო კარგო,
სანაქებო შვილად გთვლიდი,
შენს უმცროს დას, შენს ლამაზ დას —
ფლორიჩიკას გაუფრთხილდი.

მაგრამ ბედმა მიღალატა,
უბედობა მუდამ მახლავს,
შავ ქარაშოტს მაღალ მთიდან
ფლორიჩიკა დაუნახავს.

ავგულს გულში ჩავარდნია
ჩემი კარგი დაიკონა,
განუზრახავს, ხარბს და ბოროტს,
გაეხადა იგი მონად.

და ბნელეთის მბრძანებელმა
საზიზღარმა ბერიკაცმა.
გადაწყვიტა, ვაჟს უბრძანა,
ფლორიჩიკა მოეტაცა.

მისთვის უნდა მიეგვარათ
ბებერ გულის გასახარად,
სალაღობოდ, გასართობად,
მისი წვერის მოსაფხანად.

ჰოდა, როცა მოათავა
მბრძანებელმა ლაპარაკი,
ჩემს საომრად წამოვიდა
მისი ვაჟი ვირკოლაკი.

ვიცოდი, რომ თავხედია,
ავია და თავისნება,
გამეგონა, მთვარეს ხრავდა
ალქაჯების საამებლად.

სამი დღე და სამი ღამე
ვირკოლაკთან მქონდა ბრძოლა,
ბრძოლა მქონდა ხელჩართული
და დრომ სწრაფად ჩაიქროლა.

ბოლოს, როცა სიბრაზისგან
ავიქნიე მარჯვედ ხელი,
დავიმსხვრიე ჩემი მუშტი
და ტკივილი ვიგრძენ მწველი.

ძვლები თასმით შევიკარი,
მოვიკრიბე ისევ ძალა,
გესლიანი ვირკოლაკი
ჯადოქრულად გამეპარა.

ცაზე აძვრა შეუმჩნეველად,
ისე, რომ არ დამენახა.
და საცოდავ მთვარეს მისწვდა
შხამიანი მისი ხახა.

ის ორ კვირას მთვარეს ხრავდა,
ის ორ კვირას კბეჩდა მთვარეს
და ნამსხვრევებს თავს მაყრიდა
ალმასივით მოელვარეს.

დღემდე შემრჩა ტანზე დაღი,
მამჩნევია თავზე კოპი,
ცხვირი სოკოს დამსგავსა,
სადარდებლად დღესაც მყოფნის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიფიქრე: დავიღუპე,
ამითრთოლდა უცბად მაჯა,
გესლიანმა ავმა ძაღლმა —
ვირკოლაკმა — გაიმარჯვა.

წაიყვანა ფლორიჩიკა,
გააქანა ცისკენ მაღლა,
ცრემლიანი, უბედური
შორს, მთვარეზე დაასახლა.

მებრალება, ცრემლი მაღრჩობს,
გული დამიდარდიანა,
რა ვქნა, როგორ დავეხმარო,
ჩემს დაიკოს თვალბრიალას?
და ჩემი და საცოდავი
მან თავისთვის წაიყვანა.

შავ ქარაშოტს ელდა ეცა,
განურისხდა, დაიქუხა.
ქოჩრით ტყეში მოათრია
და აქცია შვილი მუხად.

არ იკითხავ, რომელ მუხად?
აქ ხშირია მუხის ტევრი.
ვძებნე, ვძებნე, ბევრი ვძებნე,
მაგრამ ვერსად მივაგენი.

გამოვშტერდი, გავსულელდი,
თავში ტვინი გამეყინა,
ღონე კი მაქვს, მაგრამ ჭკუა
აღარ მიჭრის, როგორც წინათ.

ტყეს ვდარაჯობ, დავალ მარტოდ,
აღარა ვარ ის, რაც ვიყავ,
მუხის ტოტებს აღარ ვტოვებ
გაუთელავს, მოუგრიხავს.

ტოტებიდან განუწყვეტლად
ბაგირს ვგრეხ და თანაც ვწუხვარ
და ვირკოლაკს ვეძებ ვერაგს,
ჩემს მტერს, უკვე ქცეულს მუხად.

ნეტავ იგი მაპოვნინა,
ვხეტიალობ, როგორც ლანდი,
რას ვიზამდი? მოვღუნავდი,
ცხვრის რქასავით დავგრეხავდი.

მომისმინე, ჩემო მწყემსო,
მბრძანებელო. ვიცი რაც ხარ,
უძლეველმა შენმა ძალამ
ამ მიწაზე დამანარცხა.

თუმც დიდება ჩამომართვი,
რაინდულად მომექეცი
დამარცხებულს ცოცხლად სტოვებ —
ვაჟკაცური არი წესი.

ჩემს ბატონად შენ გცნობ მხოლოდ,
სხვა არავინ მეგულება,
მსურს საჩუქრით დაგიმტკიცო
ჩემი დიდი ერთგულება.

ეს ხალიჩა მშვენიერი
ჩემს სახსოვრად გქონდეს შენა,
უცხო მხარეს, ღრუბლებს ზემოთ
ვარსკვლავებში ასაფრენად.

ეს ხალიჩა მშვენიერი
ეკუთვნოდა ჩემს დას წინათ,
დაფრინავდა ბუმბულივით
მსუბუქი და პაწაწინა.

მე კი ვერ მწევს მაღლა, ცაში,
მძიმე ვარ და ფრთას ვერ მართავს,
ვერაფერი გამიგია,
ხალიჩას რა დაემართა!

ანდრიეშმა უპასუხა:
— მართალს ვამბობ შენზე, ვგონებ,
ჭკუა უფრო ნაკლებ გიჭრის,
ვიდრე გერჩის მკლავში ღონე.

უბადრუკო, მუხებს ტყეში
რად აშფოთებ, რად აწუხებ.
ნებიერად მოშრიალე
ტოტებს რატომ უმტვრევ მუხებს?!

დამიჯერე, სხვა გყავს მტერი,
შავ ქარაშოტს უნდა უმტრო,
ყველა მტერზე ძლიერია,
ვერაგია სხვაზე უფრო.

მოითმინე კიდევ ცოტა
და ნურაფრის ნუ გაქვს ფიქრი,
სულს ამოვხდი სისხლისმწოველს,
მალე შენს ჯავრს ამოვიყრი.

დაგიბრუნებ ფლორიჩიკას,
დავამარცხებ გულშავ გრიგალს,
ვერაფერი გამაჩერებს
ავსულებთან შეურიგალს.

გამოართვა ხალიჩა და
გზას გაუდგა ანდრიეში.
ხრამი, ქედი, ტყე და მდელო
ინთქმებოდა სიბნელეში.

მოერია გზაში ძილი.
მიელულა დაღლილს თვალი,
მოიკუნტა და ტყაპუჭი
იყო მისი სასთუმალი.

*

ხალხი ამბობს: დილა უფრო
ჭკვიანია, ვიდრე ღამე.
მზე ღამეზე ძლიერია —
ცაზე ოქროდ მოკამკამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმა ძილშია მწყემსი ბიუი,
მიწაზე წევს დაქანცული,
თითქოს მიწა ბუმბულია,
ანდა რბილი საკარცხული.

ესიზმრება ყოველივე,
რაც გადახდა, ან რაც ნახა,
გაჭირვება, განსაცდელი
ბრძოლით როგორ გადალახა.

თვალწინ საშიშ უფსკრულს ხედავს,
საზარელს და უშველებელს,
გაუწვდია მისკენ თავი
ათასობით უხსენებელს.

სისინებენ ხეობაში,
მოსრიალებს მთელი წყება,
ვაი, ბედო, იმ უბედურ
მწყემსს დაღუპვით ემუქრება...

ნათელი სჩანს უფსკრულს მიღმა,
ცისკიდურის შუქ-ნათელი,
სურნელოვან აბზინდებით
მოფენილა მწვანე ველი.

სიზმრად ხედავს გაშლილ მინდორს,
ხავერდივით მოხასხასეს,
აბრეშუმად მოშრიალეს,
ყვავილებით გულმკერდსავსეს.

სიზმრად ხედავს მწვანე ნაძვნარს,
ხეთა ჩრდილი ფარავს მიწას,
აგერ მისი თეთრი ფარა,
აგერ მისი — მიორიცა.

აგერ დაქრის მისი ძაღლიც,
გადაურბენს ისიც ფერდობს...
დიდებული სიზმარია
და ნამდვილად საიმედო.

ხედავს ანწლი როგორ ჰყვავის,
მოდუდუნე დნესტრის პირად,
დაკიდული ფერდობები
მწვანე ფერით შემოსილა.

ბერი მუხა გეგონება,
გართულია მოგონებით
და არყები შრიალებენ,
მისი ტკბილი გოგონები.

ფოთლებს გააქვთ შარიშური,
გიზგიზებენ მწვანე ცეცხლად,
დნესტრს კი ტალღა, ლურჯი ტალღა
ალაგ-ალაგ შეუვერცხლავს.

და ფერია დონა ნაზად
მისცურავს და ფარავს ჩრდილი,
ჩიტუნების გუნდი მისდევს
გალობით და მოძახილით.

ყვავილები ჩურჩულებენ,
ეძახიან თითქოს დონას
და ჭრიჭინაც უთვლის სალამს,
თითქოს ყველას გასაგონად.

☆ ეროვნული ☆ ეროვნული ☆ ანდრეევი

თარგმნა **რევაზ მარგიანმა**

გაგრძელება იქნება

ᲚᲘᲥᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲚᲝᲔ

35. ლამონმა ამბავი დაამთავრა და ფილეტასმა შეაქო: შენი ნაამბობი ზღაპარი სიმღერაზე უტკბესიაო; ამ დროს ტიტერემაც მოირბინა და მამას მოუტანა დიდი, სპილენძით გაწყობილი, გრძელი ლერწმებისაგან გაკეთებული, სამაგრებზე ცვილწასმული სალამური. კაცი იფიქრებდა, ეს სწორედ ის სალამურია, რომელიც პანმა პირველად შეჰქმნაო. ფილეტასი საწოლიდან წამოდგა, დაჯდა, ჯერ ყველა ლერწამი გასინჯა, ჰაერი შიგ კარგად გადის თუ არაო. მერე კი, როცა დარწმუნდა, სუნთქვას არ შემიშლისო, ჭაბუკივით მთელი მკერდით ჩაჰბერა სალამურს. ისე ძლიერად ააჟღერა, გეგონებოდათ, რამდენიმე ფლეიტას ერთად უკრავენო. მერე ნელ-ნელა უფრო ნაზ ჰანგებზე გადავიდა. დიდი ხელოვნებით გამოხატა, როგორ უნდა მწყემსო ჯოგი სხვადასხვა კილოზე დაკვრით, როგორ უნდა დაუკრა ძროხების ნახირისათვის, რა ჰანგი შეეფერება თხებს, ნერბები რომელ ჰანგზე ძოვენ ხალისიანად. უკრავდა ნაზად ცხვრებისათვის, ხმამაღლა ძროხებისათვის, მჭახედ თხებისათვის.

ერთი და იგივე სალამური ასე ბაძავდა სხვადასხვანაირ სალამურს.

36. ყველა ნასიამოვნები დუმდა. მაშინ წამოდგა დრიასი, დიონისეს ჰანგის დაკვრა სთხოვა და მათ წინაშე მევენახეთა ცეკვა დაიწყო. და უჩვენა, როგორ ჭრიან ყურძნის მტევნებს, როგორ მიაქვთ კალათები, მტევნებიდან ტკბილს როგორ წურავენ, კასრებში როგორ ასხამენ და, ბოლოს, როგორ სვამენ მაჭარს. და ყველაფერი ეს დრიასმა ცეკვით ისე ლამაზად და მკაფიოდ გამოხატა, თითქოს ყველაფერი მათ თვალწინაა: ვაზი, საწნახელი, კასრები, და თვითონ დრიასი მაჭარს მართლაც სვამსო.

37. ეს მესამე მოხუცი, რომელმაც თავისი ცეკვით ქება დაიმსახურა, დაფნისსა და ქლოეს ჰკოცნის. ახალგაზრდები წამოხტნენ და ლამონის მთელი ზღაპარი ცეკვით გამოხატეს. დაფნისმა პანის როლი ითამაშა, ქლოემ სირინქსისა. ვაჟი ასულს ემუდარება, მის შეცდენას ლამობს, ქლოე კი იცინის, ახლოს არ იკარებს. ვაჟი უკან დასდევს, თითის წვერებზე დარბის, —სწორედ ისე, როგორც პანი ჩლიქებზე. ქლოე კი თითქოს სირბილმა დაღალა. ტყეში იმალება, თითქოს ჭაობშიაო. დაფნისი კი ფილეტასს დიდ სალამურს გამოართმევს, სატირალ სიმღერას უკრავს, როგორც შეყვარებული, შემდეგ კი ვნებიანს, თითქოს სურს სირინქსი დაიყოლიოსო, ბოლოს სიმღერით უხმობს, თითქოს დაეძებსო; და ფილეტასი, აღტაცებული, ფეხზე წამოიჭრება, დაფნისს კოცნას დაუწყებს და ამ სალამურს აჩუქებს. სურვილს გამოთქვამს, რომ დაფნისმაც ასეთსავე ღირსეულ მემკვიდრეს გადასცეს იგი.

38. მაშინ დაფნისმა თავისი პატარა სალამური პანს შესწირა და ქლოეს აკოცა — მისი გაქცევის შემდეგ თითქოს კვლავ ნამდვილად იპოვაო; ახალი სალამური დაუკრა და არვე გარეკა — უკვე ხომ ღამდებოდა. ქლოემაც სალამური დაუკრა, თავისი ცხვრები შემოიკრიბა და წინ გაირეკა. თხები ცხვრების

დასასრული. იხ. „ცისკარი“, № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდით მირბოდნენ, დაფნისიც ქლოეს მახლობლად მიდიოდა და სანამ სულ არ დაღამდა, ერთად ყოფნით ტკბებოდნენ. გადაწყვიტეს, თხა-ცხვარი ალიონზე უფრო ადრე გამოერეკათ. როგორც თქვეს, ისეც მოიქცნენ. ირიჟრაჟა თუ არა, საძოვრებზე მივიდნენ და მაშინვე მიესალმენ ჯერ ნიმფებს, მერე პანს; შემდეგ კი მუხის ქვეშ დასხდნენ, სალამურის დაკვრა დაიწყეს, მერე ერთმანეთს ჰკოცნიდნენ, ეხვეოდნენ, ჩახუტებულნი დაწვნენ, მაგრამ ვერაფერს ვერ მიაღწიეს და ისევ წამოდგნენ; მოშივდათ და რძეგარეული ღვინო დალიეს.

39. ყოველივე ამით აღგზნებულებმა და უფრო გათამამებულებმა ატეხეს დავა, სასიყვარულო კინკლაობა, რაც მალე ერთგულების ფიცით დაამთავრეს. და დაფნისი მივიდა პანის ფიჭვთან და დაიფიცა: არც ერთ დღეს არ ვიცოცხლებ მარტო, თუ ქლოე არ მეყოლებაო; ქლოეც ნიმფების გამოქვაბულში შევიდა და დაფნისს შეჰფიცა: შენი სიყვარულით ვიცოცხლებ და მოვკვდებიო. ქლოე, ჯერ კიდევ სულ გოგონა, ისე ალალმართალი იყო, რომ გამოქვაბულიდან გამოსვლისთანავე გადაწყვიტა, დაფნისს ერთს ფიცს კიდევ ჩამოვართმევო. „დაფნის! — უთხრა, — შენი პანი ქალების მოყვარული ღმერთია და მოღალატე: უყვარდა პითია, უყვარდა სირინქსი. ტყის დრიადებს მუდამ მოსვენებას არ აძლევს, ჯოგების მფარველ ნიმფებს ფეხს არ ადგმევინებს. ფიცს თვითონ არ იცავს მტკიცედ და არც შენს დასჯას მოისურვებს, თუ ბევრი ქალი შეიყვარე, შენი სალამურის ლერწმებზე უფრო მეტი, უმჯობესია დამიფიცო ეს არვე და ის წალი, რომელმაც ძუძუ გაწოვა, რომ ქლოეს არ მიატოვებ, სანამ შენი ერთგული იქნება. თუ შენს მიმართ, ნიმფების მიმართ ცოდვას ჩაიდენს, გაექეცი, შეიძულე და მგელივით მოჰკალ“.

დაფნისი ქალიშვილის უნდობლობით კმაყოფილი იყო და თხების არვეში ჩადგა, ერთი ხელი წალს მოჰკიდა, მეორე — ვაცს და დაიფიცა: ქლოე მეყვარება, სანამ მას ვეყვარებიო; თუ ჩემზე უფრო სხვა მოეწონება, მას კი არა, თავს მოვიკლავო.

ქლოეს გაეხარდა და დაუჯერა — ძწყემსი-ქალი იყო და ფიქრობდა: თხები და ცხვრები ჩვენთვის, მწყემსებისათვის, ნამდვილი ღმერთებიაო.

ნაწილი მესამე

1. როცა მიტილენელებმა ათი გემის თავდასხმის ამბავი გაიგეს და ჩამოსულმა გლეხებმა უამბეს, სოფელი როგორ დაარბიეს, მათ თქვეს, მეთიმნელთა ასეთი თავხედობის ატანა შეუძლებელიაო, და გადაწყვიტეს, თვითონაც რაც შეიძლება მალე იარაღი აესხათ: შეარჩიეს სამი ათასი ჰოპლიტი და ხუთასი ცხენოსანი, ჯარი ჰიპიასის მეთაურობით ხმელეთით გაგზავნეს, ზამთარში ზღვით საშიშ მგზავრობას მოერიდნენ.

2. ჰიპიასი სალაშქროდ დაიძრა, მაგრამ მას არ დაუწყია მეთიმნელთა არც მინდვრების ძარცვა, არც ჯოგების გარეკვა, არც მიწისმუშებისა და მწყემსების ქონების დატაცება; იგი ფიქრობდა, ყველაფერი ეს უფრო ყაჩაღს შეჰფერის, ვიდრე მხედართმთავარსო; თავისი ჯარი სწრაფად წაიყვანა მტრის ქალაქის წინააღმდეგ, რათა მის დაუცველ ბჭეკარში შეჭრა მოესწრო და მოულოდნელად თავს დასხმოდა. როდესაც ქალაქამდე ას სტადიამდე დარჩა, ჯარს შემოეგება მაცნე, რომელმაც ზავი შესთავაზა. მეთიმნელებს ტყვეებისაგან გაუგიათ, რომ მიტილენელებს მომხდარ ამბავში ბრალი არ უდევთო, გლეხებს და მწყემსებს მხოლოდ თავგასული ჭაბუკები დაუსჯიათო. მაშინ მეთიმნაში გონს მოსულან და მიმხვდარან, რომ მეზობელ ქალაქ-

---

ლონგე
დაფნისი და ქლოე

ზე თავდასხმა დიდი თავხედობა და უგნური მოქმედება ყოფილა. აი, რატომ ჩქარობდნენ დატაცებული დაებრუნებინათ და კავშირი შეეკრათ, რათა ზღვახმელეთზე ერთმანეთს უშიშრად შეხვედროდნენ. ჰიპიასი თუმცა უფლებამოსილი მეთაური იყო, მაინც მიტილენეს გაგზავნა მაცნე, თვითონ კი ბანაკი დასცა მეთიმნის მახლობლად, ათ სტადიამდე დაშორებით, და თავისიანთა მითითებას ელოდა. ორი დღე გავიდა და მაცნემ ბრძანება მოიტანა: რაც დაიტაცეს, ჩამოართვით და ყოველგვარი ზიანის მიუყენებლად შინ დაბრუნდითო. როდესაც მიტილენელებს შესთავაზეს, რას აირჩევთ, ომსა თუ ზავსაო, მათ თქვეს, ზავი ჩვენთვის უფრო ხელსაყრელიაო.

3. მიტილენესა და მეთიმნას ომი, რომელიც მოულოდნელად დაიწყო, ასე უეცრად დამთავრდა.

დადგა ზამთარი, რაც დაფნისისა და ქლოესთვის თვით ომზე უმწარესი იყო. ერთბაშად დიდი თოვლი დასდო, გზები შეიკრა, ყოველი გლეხი სახლში ჩაიკეტა. ნიაღვრები შმაგად მოედინებოდა; წყალი ყინულით დაიფარა, გაიყინა; ხეები მოტეხილივით დაიხარა. მიწა თოვლით დაიფარა, მხოლოდ წყაროებთან და ნაკადულებთან მოჩანდა. საძოვრებზე ჯოგებს უკვე ვერვინ მირეკავდა, ცხვირს გარეთ ვერავინ ჰყოფდა, მაგრამ როგორც კი მამლები იყივლებდნენ, ცეცხლს გააჩაღებდნენ, ზოგი სელის რთვას დაიწყებდა, ზოგი თხის მატყლს ძახავდა, ზოგი ჩიტის კაკანათს აკეთებდა. ამ დროს მხოლოდ ერთი რამ ჰქონდათ საზრუნავი: ბაგებში ხარებს საკვებად ბზე არ გამოლეოდათ; ახორში თხა-ცხვარს — ჟვერი; საღორეში ღორებს — სხვადასხვა ჯიშის რკო.

4. უნებურად ყველა შინ იჯდა; მიწისმხვნელები და მწყემსები მოხარული იყვნენ, რომ ცოტა ხნით შრომას თავი დააღწიეს: დილაობით კარგად ჭამდნენ, დიდხანს და მაგრად ეძინათ, ასე რომ ზამთარი, მათი აზრით, ზაფხულზე, შემოდგომაზეც და თვით გაზაფხულზეც კი ტკბილი იყო. აი, დაფნისი და ქლოე იგონებდნენ წარსულ სიამოვნებას — როგორ ჰკოცნიდნენ, ეხვეოდნენ ერთმანეთს, როგორ სვამდნენ და ჭამდნენ ერთად, — ახლა კი უძილო ღამეებს მოწყენილად ატარებდნენ და გაზაფხულის მოლოდინში იყვნენ, მკვდრეთით აღდგომასავით ელოდებოდნენ. მოიწყენდნენ, თუ ჩანთას თვალს მოჰკრავდნენ. ჩანთიდან ხომ ერთად იღებდნენ საჭმელს; ან საწველელს — იმით ხომ ერთად სვამდნენ: ან უყურადღებოდ მიგდებულ სალამურს, სიყვარულის საჩუქარს. ნიმფებსა და პანს ევედრებოდნენ, ამ ტანჯვისაგან გვიხსენითო, ემუდარებოდნენ, ჩვენ და ჩვენს თხა-ცხვარს კვლავ დაგვანახვე მცხუნვარე მზეო. მაგრამ ვედრებასთან ერთად ახალგაზრდები ცდილობდნენ ერთმანეთთან კვლავ შესახვედრად რაიმე საშუალება გამოენახათ. მაგრამ ქლოე ვერავითარ გამოსავალს ვერ პოულობდა, ვერაფერი მოიფიქრა: იგი, ვისაც დედად სთვლიდა, განუყრელად მასთან იყო, ასწავლიდა მატყლის ჩეჩას, თითისტარის ტრიალს და ნიადაგ ქორწინებას ახსენებდა. დაფნისი კი თავისუფალი იყო და ქალიშვილზე უფრო მოსაზრებული; ამიტომ ქლოეს სანახავად ასეთ ეშმაკობას მიმართა.

5. დრიასის ეზოს წინ, ზედ ღობესთან, უკვე დიდი ხანია იზრდებოდა ორი დიდი მურტი და სურო. მურტები ერთიმეორესთან ახლოს იდგა, სურო კი ამ ხეებს შორის იყო და მათ ეხვეოდა; თავისი ყლორტები ვაზივით გაეშალა, მჭიდროდ გადახლართული თავისი ფოთლებით გამოქვაბულის მსგავსი რამ შეექმნა, და სუროზე მსხვილი კენკრები ეკიდა, თითქოს ყურძნის მტევნებიაო. ამიტომაც აქ თავს იყრიდა ბევრი მოზამთრე ფრინველი, — ზამთარში ხომ მათ საკვები აკლდათ; ბევრი იყო აქ შავი შაშვი და ჩხართვი, გარეული მტრედი, შოშია და ნაირ-ნაირი სხვა ფრინველი, სუროს კენკა რომ უყვართ. დაფნისმა ჩანთაში ჩაილაგა თაფლიანი კვერები, თან საჩიტე წებო და კაკანათები წაიღო, რათა ამით ყველა დაერწმუნე-

ბინა, აქ ფრინველებზე სანადიროდ ვარ მოსულიო. მანძილი დრიასის სახლამდე ათი სტადია თუ იქნებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ გაულხობელმა თოვლმა დიდი დაბრკოლება-საშრომი გაუჩინა; მაგრამ სიყვარულისთვის გაუვალი გზა არ არსებობს — თუ გინდ გზა წყალსა ან ცეცხლზე, ან სკვითების თოვლზე გადიოდეს.

6. დრიასის ეზომდე სირბილით მივიდა. ფეხებიდან თოვლი სულ დაიბერტყა, მახეები დააგო და გრძელ ტოტებს წებო წაუსვა. აქ დაჯდა, აღელვებული ელოდა ფრინველებსაც და ქლოესაც. უამრავზე უამრავი ფრინველი მოფრინდა, მათი დაჭერა ადვილი იყო, ასე რომ ცოტა შრომა კი არ დასჭირდა მათ ასაკრეფად, დასახოცად და გასაპუტავად. ეზოდან კი არავინ გამოსულა, არც კაცი, არც ქალი, არც შინაური ფრინველი. ცეცხლს არავინ შორდებოდა, შინ იჯდა, ასე რომ დაფნისი გასაჭირში ჩავარდა, არ იცოდა, რა ექნა, — აქ თითქოს ავის მომასწავებელ ფრინველებს მოუყვანიაო. გადაწყვიტა რაიმე საბაბით ბინაში შესულიყო. ფიქრობდა, ისეთი რამ ეთქვა, რომ ადვილი დასაჯერებელი ყოფილიყო. „მოვედი ნაკვერცხლისათვის". განა სხვა მეზობლები არ გყავდა, რომლებიც შენგან სულ ერთი სტადიით არიან დაშორებული? „მოვედი პურის სასესხებლად". მაგრამ ჩანთა საჭმლით აქვს სავსე. „ღვინო არა მაქვს". მაგრამ ეს-ეს არის რთველი დამთავრდა. „მგელი ამედევნა" — აბა, სად არის მგლის კვალი? „მოვედი ფრინველებზე სანადიროდ". და მერე ნადირობის შემდეგ რატომ შინ არ ბრუნდები? „ქლოეს სანახავად მოვედი". — მაგრამ ქალიშვილის დედამამას ამაში ვინ გამოუტყდება? საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი. სჯობს, ენა ჩავიგდო. ქლოეს გაზაფხულზე ვნახავ, თუ, როგორც ჩანს, მისი ნახვა ზამთარში არ მიწერია".

ასე გაიფიქრა, წყნარად აჰკრიფა ნანადირევი და წასვლა დააპირა. მაგრამ ეტყობა, ეროტს შეეცოდა, და აი, რა მოხდა.

7. დრიასი და მისი ჯალაბობა სუფრას მისხდომოდნენ. ხორცი უკვე დაინაწილეს, სუფრაზე პური დაალაგეს, წყალნარევი ღვინით თასი აავსეს. და აი, ერთ-ერთმა ეზოს ძაღლმა დრო იხელთა, ხორცის ნაჭერი მოიტაცა და კარისაკენ გაიქცა; დრიასი გაგულისდა (ეს სწორედ მისი კერძი იყო), ჯოხს ხელი დასტაცა და, თითქოს თვითონაც ძაღლიაო, ძაღლს დაედევნა, სუროს ჩაურბინა და ხედავს: დაფნისს ნანადირევი მხარზე ჰკიდია და ჩქარობს აქაურობას გაეცალოს. დრიასს მაშინვე დაავიწყდა ხორციც, ძაღლიც და ხმამაღლა დაიძახა: „გამარჯობა, შვილო!", გადაეხვია, გადაჰკოცნა, ხელზე ხელი მოჰკიდა და შინ წაიყვანა. დაფნისმა და ქლოემ ერთმანეთი რომ დაინახეს, კინაღამ მიწაზე დაეცნენ. თავი ძლივს შეიმაგრეს, რომ არ წაქცეულიყვნენ. ერთმანეთს მიესალმენ, აკოცეს და თავის შესამაგრებლად დასაყრდენი თითქოს ამაში ჰპოვეს.

8. დაფნისმა მოულოდნელად ქლოეც ნახა და მისი კოცნაც იგემა. იგი ცეცხლის პირას დაჯდა, მტრედები და შაშვები მხრიდან ჩამოიღო, სუფრაზე დაწყო და ამბის მოყოლა დაიწყო: შინ ჯდომა მომწყინდა და სანადიროდ გამოვედიო, ფრინველები ზოგი კაკანათით, ზოგი წებოთი დავიჭირე, მურტებისა და სუროს კენკრებს ხარბად რომ კენკავდნენო. რომ შინ გულხელდაკრეფილი არ იჯდა, ყველამ შეაქო, და ის კერძი გაუნაწილეს, რის გატაცებაც ძაღლმა ვერ მოასწრო; ღვინის დასხმა კი ქლოეს უბრძანეს. ყველას სიხარულით დაუსხა, დაფნისს კი ყველაზე ბოლოს; ქლოეს ხუმრობით თავი ისე ეჭირა, თითქოს იმის გამოა გულმოსული, რომ აქ მოსულ დაფნისს მის უნახავად წასვლა უნდოდა. მაგრამ სანამ დაფნისს ღვინოს მიუტანდა, თვითონ მოსვა და მერე მიაწოდა. ვაჟს თუმცა წყურვილი ჰკლავდა, ღვინის წრუპვას ნელა შეუდგა. ასე დაყოვნებით რომ სვამდა,

ამით თავის ნეტარებას ახანგრძლივებდა.

9. სუფრა მალე დაცარიელდა, აღარ დარჩა არც ხორცი, არც პური. მაშინ ყველამ, ვინც სუფრას უჯდა, მირტალი და ლამონი მოიკითხეს, როგორ ცხოვრობენო, რა ბედნიერი ყოფილან, ბედმა სიბერეში შენისთანა მარჩენალი რომ მისცაო. დაფნისს ეს ქება ახარებდა — ამას ხომ ქლოეც უსმენდა. როცა შინ არ გაუშვეს: ხვალ დიონისეს მსხვერპლი უნდა შევწიროთო, გახარებულმა დაფნისმა დიონისეს კი არა, კინაღამ მათ სცა თაყვანი. მაშინვე ამოიღო ჩანთიდან ფალუსტაკები, ნანადირევი ფრინველები და დიდებული ვახშამი მოამზადეს. ღვინიანი კრატერი ისევ ჩამოდგეს და ცეცხლი გააჩაღეს. მალე დაღამდა და მოლხენა განახლდა; მერე კი სხვადასხვა თქმულებას უყვებოდნენ ერთმანეთს, სიმღერაც წამოიწყეს და ბოლოს მოსასვენებლად წავიდნენ — ქლოე დედასთან ერთად, დრიასი კი დაფნისთან ერთად. ქლოე მთლად სიხარულს შეეპყრო, რომ ხვალ დილას ისევ დაფნისს ნახავდა...

10. გათენდა. გარეთ საშინლად ციოდა, ჩრდილოეთის ქარი ყველაფერს ყინავდა. გაიღვიძეს, ადგნენ, დიონისეს მსხვერპლად შიშაქი შესწირეს, დიდი ცეცხლი გააჩაღეს და საჭმლის კეთებას შეუდგნენ. სანამ ნაპა პურებს აცხობდა, დრიასი კი ერკემალს წვავდა, დაფნისმა და ქლოემ დრო იხელთეს და ეზოდან იქ გაიქცნენ, სადაც სურო იზრდებოდა. ისევ დააგეს მახეები, ტოტებს წებო წაუსვეს და ფრინველი კვლავ ბლომად დაიჭირეს. განუწყვეტელი კოცნით ნეტარებდნენ და ერთმანეთთან საუბრით ტკბებოდნენ. „აქ ხომ შენს სანახავად მოვედი, ქლოე“. — „ეს ვიცი, დაფნის“.— „მე ხომ შენი გულისთვის ვღუპავ ამ საცოდავ შაშვებს“. — „შენთვის მე რაღა უნდა გავაკეთო?“ — „მუდამ გახსოვდე“ — „მახსოვხარ, ნიმფებს გეფიცები, რომლებიც ჩვენს გამოქვაბულში დავიფიცე; როგორც კი თოვლი დადნება, მაშინვე იქ დავბრუნდებით“. — „მაგრამ თოვლი ისე ბევრია, ქლოე! ვშიშობ, თოვლზე უფრო ადრე მე თვითონ არ დავდნე“. — „გამხნევდი, დაფნის, მზე უკვე ძლიერ აცხუნებს“. — „ოჰ, ნეტავ იმ ცეცხლივით მხურვალე იყოს, ჩემს გულს რომ წვავს“ — „შენ სულ ასე ხუმრობ და გინდა მომატყუო“. — „არა, არასოდეს, იმ თხებს გეფიცები, რომლებიც შენ თვითონ დამაფიცე“.

11. ქლოე დაფნისის სიტყვებს ისე ეხმიანებოდა, თითქოს ექოაო. ამ დროს ნაპამ ახალგაზრდებს დაუძახა, მიირბინეს და ნანადირევი გუშინდელზე უფრო უხვად მიიტანეს. და დიონისეს თასით ღვინო შესწირეს მსხვერპლად, თავი სუროთი შეიმკეს და სუფრას მიუსხდნენ; და როცა დადგა ჟამი, იაკხს ხოტბა შეასხეს, წამოიძახეს: „ევოე!“ და დაფნისი შინ გაუშვეს, ჩანთა ხორცითა და პურით გაუვსეს, ლამონთან და მირტალთან მტრედებიცა და შაშვებიც გაატანეს; უთხრეს, ჩვენთვის ჩვენ თვითონ დავიჭერთ, ზამთარი ჯერ ხომ კიდევ გრძელდება და კენკრები სუროზე უხვადაა; და დაფნისმა ყველა გადაჰკოცნა, ქლოე კი სულ ბოლოს შემოიტოვა, ტუჩებზე რომ მისი უმანკო კოცნა შერჩენოდა.

და დაფნისი კიდევ არაერთხელ მივიდა ამ გზით, სხვადასხვა საბაბს მოიგონებდა. ასე რომ მათთვის არც ზამთარი აღმოჩნდა სიყვარულს მოკლებული.

12. გაზაფხული დგებოდა და თოვლი დნებოდა. მიწა აქა-იქ გამოჩნდა, ბალახმა თავი ამოჰყო და მწყემსებმაც პირუტყვი გარეკეს საძოვრებზე; ყველაზე უმალ კი დაფნისმა და ქლოემ,— ისინი ხომ უებრო ძლიერების მწყემსს ემსახურებოდნენ. მაშინვე სირბილით მიაშურეს ნიმფებს გამოქვაბულში, მერე პანს, ფიჭვებს, ბოლოს კი მუხას. მის ქვეშ ისხდნენ, თხა-ცხვარს მწყემსავდ-

ნენ და ერთმანეთს ჰკოცნიდნენ. ყვავილების ძებნას შეუდგნენ, ღმერთთა ქანდაკებები რომ გვირგვინებით შეემკოთ. ყვავილები ის-ის იყო იშლებოდა, — ნიავი მათ ლალაობდა, მზე კი ათბობდა. მაინც იპოვეს იებიც, ნარგიზებიც, ბაიებიც, და ყველაფერი, რასაც ადრეულ გაზაფხულზე მიწა გვაძლევს. ქლოემ და დაფნისმა ღმერთების ქანდაკებანი გვირგვინებით შეამკეს, თხისა და ცხვრის ახალმოწველილი რძე მსხვერპლად შესწირეს და სალამურების დაკვრა განაახლეს, თითქოს ბულბულებს ეჯიბრებიანო. დაბურული ტყიდან ბულბულებიც გამოეხმაურნენ. და მალე ახალგაზრდებმა თანდათან უკეთესად ააწყვეს სიმღერა იტისზე, თითქოს ხანგრძლივი დუმილის შემდეგ თავიანთი წინანდელი სიმღერა გაიხსენესო.

13. ცხვრის ფარა ბღაოდა; ბატკნები ხტოდნენ, ნერბებს ჯიქანქვეშ უძვრებოდნენ და კერტებს წოვდნენ. ტარიგებს ყოჩები დასდევდნენ, უკან ზურგზე ახტებოდნენ. ყოველი ყოჩი ერთ ნერბს ირჩევდა. ვაცებიც წალებს დასდევდნენ, ვნებით შეპყრობილნი ეძგერებოდნენ და იბრძოდნენ წალებისათვის; ყოველ ვაცს თავისი წალი ჰყავდა და მას იცავდა...

14. აი, ვაჟმა ქლოეს ხვეწნა დაუწყო, რომ დაეთმო და მისი წადილი შეესრულებინა: უფრო დიდხანს წოლილიყვნენ ერთად, ვიდრე წინათ ამის ნებას ქლოე აძლევდა. „ფილეტასის რჩევა-დარიგება ხომ შევასრულეთ, მხოლოდ ესღა დაგვრჩა, რაც არ შეგვისრულებია, — ეუბნებოდა ვაჟი. — ერთადერთი საშუალება, რაც ჩვენ სიყვარულს დაამშვიდებს, ალბათ ეს არის“.

15. მის მეზობლად ცხოვრობდა მემამულე, სახელად ქრომისი, უკვე ხანში შესული კაცი; თავისთვის ქალაქიდან დიაცი მოიყვანა, ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე, გლეხის ქალებზე უფრო კოპწია. მას ლიკაინიონს ეძახდნენ. იგი ხედავდა, ყოველ დილას დაფნისი თხებს საძოვარზე როგორ მიერეკებოდა, საღამოს კი საძოვრებიდან შინ ბრუნდებოდა. ქალი აინთო სურვილით, ჭაბუკი თავის საყვარლად გაეხადა და საჩუქრებით შეეცდინა. და აი, ერთხელ მარტოკას დაუდარაჯდა, აჩუქა სალამური, გოლეული და ირმის ტყავის ჩანთაც. მაგრამ პირდაპირ ვერაფრის თქმა ვერ გაუბედა, შიშობდა; მიმხვდარი იყო, რომ ჭაბუკს ქლოე უყვარდა: შენიშნა, ქალიშვილს რომ ეკვროდა. ეს ლიკაინიონისათვის თავიდანვე ნათელი გახდა, როცა დაინახა, ახალგაზრდები ერთმანეთს როგორ მიესალმებოდნენ და უღიმოდნენ; მერე კი ერთხელ დილაადრიან ქმარს უთხრა თვალის ასახვევად, თითქოს მოსალოგინებელ მეზობელთან მიდიოდა. ახალგაზრდებს შეუმჩნევლად კვალდაკვალ გაჰყვა და უღრან ტყეში დაიმალა, რომ არ დაენახათ. ყველაფერი გაიგონა, რასაც ლაპარაკობდნენ, ყველაფერი იხილა, რასაც აკეთებდნენ. შეუნიშნავი არც დაფნისის ცრემლები დარჩენია. ეს უბედურები შეეცოდა და გადაწყვიტა, ხელსაყრელი შემთხვევა მომეცა, ერთბაშად ორ საქმეს გავაკეთებ — მათ წვალებისაგან ვიხსნი და ჩემ ჟინსაც მოვიკლავო, და ასეთ ხრიკს მიმართა:

16. მეორე დღეს, თითქოს იმავე მოსალოგინებელ ქალთან მიეშურებაო, ლიკაინიონი პირდაპირ მუხასთან მიდის, სადაც დაფნისი და ქლოე სხედან. მათთან თავს ისე მოხერხებულად დაიჭერს, თითქოს დაღონებულიაო. ამბობს: „მიშველე, დაფნის, მე ბედკრულს. ჩემი ოცი ბატიდან არწივმა ყველაზე უკეთესი მომტაცა. მაგრამ რომ აფრინდა, მისთვის ტვირთი მეტად მძიმე აღმოჩნდა; არწივმა ვერ შესძლო აი იმ მაღალ კლდეზე ბატის აყვანა; და აი, აქ, ბუჩქჯაგნარში დაეშვა. პანსა და ნიმფებს გაფიცებ, წამომყევი, მარტო წასვლა მეშინია; ჩემი ბატი გადამირჩინე, ჩემი ბატების დანაკლისს უყურადღებოდ ნუ დატოვებ. იქნებ არწივიც მოჰკლა. და მაშინ იგი ვერც თქვენ მოგტაცებს ბატკნებსა და თიკნებს. შენს არვეს ქლოე

ლონგე
დაფნისი და ქლოე

მიხედავს. შენი თხები მას კარგად იცნობენ; თქვენ ხომ ყოველთვის ერთად აძოვებთ".

17. დაფნისს ეჭვიც კი არ შეჰპარვია, თუ მერე რა მოხდებოდა, მაშინვე წამოდგა, კომბალი აიღო და ლიკაინიონს თან გაჰყვა. ქალი დაფნისს გაუძღვა, ქლოეს დიდი მანძილით დააშორა, როგორც კი შეეძლო; როცა დაბურულ ტყეში ნაკადულის პირას აღმოჩნდნენ, ლიკაინიონმა უბრძანა, დაჯექიო და უთხრა: „დაფნის, შენ ქლოე გიყვარს: ეს ღამით ნიმფებმა გამაგებინეს; სიზმარში გამომეცხადნენ, გუშინდელ შენს ცრემლებზე მიამბეს და მიბრძანეს, უშველე, სიყვარულის საქმე ასწავლეო. ეს საქმე კი მარტო ხვევნა-კოცნა კი არაა, ეს სულ სხვანაირი ალერსია და ბევრად უფრო ტკბილი, ეს ხომ უფრო ხანგრძლივი სიამოვნებით გვაჯილდოებს. აი ასე, თუ გინდა ამ წვალებას გადარჩე და ის სიტკბოება განიცადო, რასაც დაეძებ, დამნებდი; მე კი ნიმფების საამებლად ყველაფერს გასწავლი".

18. დაფნისს, გულმართალს, სოფლელ თხის მწყემსს, ამასთანავე კიდევ შეყვარებულსა და ჭაბუკს, ძალა აღარ ეყო თავისი აღტაცება დაეფარა. და იგი ლიკაინიონს ფეხებში ჩაუვარდა, ემუდარებოდა, რაც შეიძლება მალე მასწავლე ეს ხერხი, რომელიც დამეხმარება ქლოესთან გავაკეთო ის, რაც ასე მწადიაო. თითქოს რაღაც ჭეშმარიტად დიდებულს, თვით ღმერთების მიერ ბოძებულს უნდა ჩასწვდესო, ვაჟი ქალს პირდებოდა მსუქან თიკანს, ნაღებიან ჭყინტ ყველს და წალსაც კი. ლიკაინიონი ასეთ მწყემსურ მიამიტობას სრულიად არ მოელოდა, გაუკვირდა და დაუწყო დაფნისს სიყვარულის საქმის სწავლება.

19. როგორც კი სიყვარულის გაკვეთილი დამთავრდა, დაფნისი, როგორც ნამდვილი გულმართალი მწყემსი, ქლოესკენ გაეშურა, რომ მასთან ერთად გაეკეთებინა ის, რაც აქ ისწავლა. თითქოს შიშობდა, თუ დავაყოვნე, მაშინ ყველაფერი დამავიწყდებაო. მაგრამ ლიკაინიონმა შეაჩერა და უთხრა: „დაფნის, აი შენ კიდევ რა უნდა იცოდე. მე ხომ ქალი ვარ და ახლა ყოველივე ამით არ დავჩაგრულვარ; უკვე დიდი ხანია, რაც ყველაფერი ეს სხვა მამაკაცმა მასწავლა, ჯილდოდ ჩემი უმანკოება მიიღო. ქლოე კი ყვირილს მორთავს, ტირილს დაიწყებს, მაგრამ ამან არ შეგაშინოს.აქ მოიყვანე: აქ თუ ყვირილს დაიწყებს, ვერავინ გაიგონებს; თუ ატირდება, ვერავინ დაინახავს; გახსოვდეს, რომ მე, პირველმა, ქლოეზე ადრე, ვაჟკაცად გაქციე".

20. ასე რომ დაარიგა, ლიკაინიონი ტყის მეორე მხარეს წავიდა, თითქოს ისევ ბატებს დაეძებსო. დაფნისი ქალის ნათქვამმა ჩააფიქრა, პირველი აღტყინება დაუცხრა, შეყოყმანდა. ჭაბუკს არ უნდოდა, რომ ქლოეს ეყვირა, თითქოს მტრებს ხელში ჩაუვარდაო, ან ტკივილისაგან ატირებულიყო. ბოლოს დაფნისმა გადაწყვიტა, ქლოესთან ჩვეულებრივი ალერსით დამტკბარიყო და ტყეს გაეცალა. როცა იქ მივიდა, სადაც ქლოე იჯდა და იებისაგან პატარა გვირგვინს წნავდა, ვაჟმა ქალს ტყუილი უთხრა: არწივს კლანჭებიდან ბატი გამოვგლიჯეო, ქლოეს მაგრად ჩაეკონა და ისე დაუწყო კოცნა, როგორც ლიკაინიონს ჰკოცნიდა დიდი სიამოვნების დროს: ამის გაკეთება ხომ საშიში არ იყო. ქლოემ კი ვაჟს თავისი ხელით გაკეთებული გვირგვინით თავი შეუმკო და კულულებს უკოცნიდა, რომლებსაც იებს ამჯობინებდა. ჩანთიდან ტკბილის კვერი და რამდენიმე პატარა პური ამოიღო და მიაწოდა. ვაჟი რომ ჭამდა, ქალი პირიდან სტაცებდა პატარა ლუკმებს და თვითონ ბარტყივით ყლაპავდა.

21. ერთმანეთს რომ საჭმელს სთავაზობდნენ, უფრო კი კოცნით ერთობოდნენ, ვიდრე ჭამდნენ, მეთევზეთა ნავი გამოჩნდა, ნაპირს მიჰყვებოდა. ქარი არ ჰქროდა, ზღვა არ ირხეოდა, საჭირო იყო ხოფვა და მეთევზეები ნიჩბებს ღონივრად უსვამდნენ. ქალაქისკენ მიეჩქარებოდათ, რომ ერთი მდიდრის სუფრაზე ცოცხალი თევზები მიეტანათ. დაღლილობის დასავიწყებლად მეხოფეები

ისევე მოიქცნენ, როგორც მეზღვაურები. ერთი მათგანი, უფროსი, საზღვაო სიმღერებს წამოიწყებდა, სხვები კი, ყველა ერთად, ხმაშეწყობილად აჰყვებოდნენ. როცა გაშლილ ზღვაში მღეროდნენ, მაშინ მათი ხმა უსაზღვრო სივრცეში იკარგებოდა, როცა კონცხს შემოუარეს და ნამგალა მთვარის მსგავსად მოღუნულ ღრმა ყურეში შევიდნენ, სიმღერა უფრო მკაფიოდ მოესმათ, მოძახილი ნაპირამდე გარკვევით აღწევდა. ვაკეს ღრმა ნაპრალი ეკრა და, თითქოს ფლეიტის ცარიელი მილიაო, ხმას იზიდავდა, ყველა ხმას ბაძავდა, ყველაფერს ეხმაურებოდა. ნიჩბების დარტყმის, თქაფუნი და მეხოფეთა ლაპარაკი კარგად ისმოდა. ყველაფერი ეს სმენას ატკბობდა. მერე კი მიწაზე წარმოშობილი ხმა იმდენად უფრო გვიან წყდებოდა, რამდენადაც გვიან წარმოიშობოდა.

22. დაფნისისთვის ყველაფერი ეს უკვე ნაცნობი იყო და მისი ყურადღება მხოლოდ ზღვას მიეპყრო; ცქერით ტკბებოდა, გემი რომ ფრინველზე ჩქარა მიჰქროდა და ვაკე უკან მოიტოვა, დაფნისი ცდილობდა ეს სიმღერები დაემახსოკრებინა, რომ მერე სალამურზე დაეკრა. ქლოემ კი მაშინ პირველად გაიგონა ის, რასაც ექოს ეძახიან. ქალიშვილი ხან ზღვას გასცქეროდა, ზღვაოსნები რომ სიმღერას დაიწყებდნენ, ხან ხმელეთისკენ მიტრიალდებოდა, დაეძებდა, მოძახილს ვინ ამბობსო. როცა გემმა ჩაიარა და ნაპრალში სიჩუმე ჩამოვარდა, ქლოემ დაფნისს ჰკითხა, კონცხს გადაღმა სხვა ზღვა ხომ არაა და იქ სხვა გემი ხომ არ მოძრაობსო, სხვა ზღვაოსნები იმავე სიმღერას ხომ არ მღეროდნენ, მერე რომ ერთბაშად დადუმდნენო? დაფნისს ნაზად ჩაეცინა, კიდევ უფრო ნაზად ქლოეს ჰკოცნიდა, შემდეგ იისაგან დაწნული გვირგვინით შეამკო და უამბო თქმულება ექოზე. ამისათვის წინასწარ ათიოდე კოცნა გამოსთხოვა.

23. „ქალიშვილო, იფნარშიც, მუხნარშიც, ჭაობებშიც ბევრი სხვადასხვანაირი ნიმფა ცხოვრობს. ყველა მშვენიერი და ყველა მომღერალია. ერთ მათგანს ჰყავდა ქალიშვილი ექო; ის მოკვდავი იყო,—რადგან მამამისი იყო მოკვდავი, — სილამაზე კი დედის გამოჰყვა: ნიმფებმა აღზარდეს, მუზებმა ასწავლეს სალამურის და ფლეიტის დაკვრა, ლირასა და კითარაზე ყოველნაირი ჰანგის დამღერება. როდესაც გაიფურჩქნა, ნიმფებთან ერთად ფერხულს ცეკვავდა და მუზებთან ერთად მღეროდა. მაგრამ ყველა მამაკაცს თავს არიდებდა — ადამიანებსაც და ღმერთებსაც; თავისი ქალწულური ცხოვრება უყვარდა. პანი გაწყრა — ექოს სიმღერები შურდა, მისი სილამაზე კი პანისთვის მიუღწეველი იყო, — და პანმა გააგიჟა მწყემსები, რომლებიც თხებსა და ცხვრებს მწყემსავდნენ. როგორც ავმა ძაღლებმა თუ მგლებმა, ქალიშვილი დაფლითეს — მისი სხეული კი ისევ მღეროდა — და მთელ დედამიწაზე მიმოფანტეს. მაგრამ მიწამ ექოს სიმღერები ნიმფების საამებლად თავის წიაღში დამალა, ჰანგი შეინახა; და მუზების ნებისამებრ მიწა ხმიანობს, ყველაფერს ჰბაძავს, როგორც ოდესღაც ქალიშვილი შვრებოდა: ღმერთებსა და ადამიანებს, საკრავებსა და მხეცებს, — პანსაც კი, როდესაც იგი სალამურის დაკვრას დაიწყებს და ამის გამგონე პანი წამოხტება და მთებში დიდხანს დარბის, თუმცა ექოს დაჭერის იმედი არა აქვს, მაგრამ სურს გაიგოს, მისი ფარული მოწაფე ვინ არის“.

დაფნისმა ასეთი თქმულება რომ უამბო, ქალიშვილმა ათიოდე კოცნა კი აღარ აკმარა, არამედ დაუსრულებლად ჰკოცნიდა: და ექოც ხომ იმავეს იმეორებდა თითქმის ქლოესთან ერთად, თითქოს იმას ადასტურებდა, დაფნისს არც ერთი სიტყვაც ტყუილი არ უთქვამსო.

24. დღითიდღე მზე უფრო თბილი ხდებოდა: გაზაფხული ილეოდა, ზაფხული დგებოდა. ზაფხულში კი მათ კვლავ ახალ-ახალი სიხარული მოელოდათ. ჭაბუკი მდინარეებში ცურავდა, ქალი-

შვილი ნაკადულებში ბანაობდა, ვაჟი სალამურს უკრავდა, ფიჭვებს სიმღერაში ეჯიბრებოდა, ქალიშვილი კი ბულბულებს. მოლაქლაქე ჭრიჭინობელას დასდევდნენ, კუტკალიებს იჭერდნენ, ყვავილებს ჰკრეფდნენ, ხეებს არხევდნენ, ხილს შეექცეოდნენ; ტიტვლად ერთად წვებოდნენ, თხის ერთ ტყავს იხურავდნენ. და ქლოე დაქალებას ადვილად შესძლებდა, დაფნისი რაღაც ფიქრს რომ არ შეეშინებინა. დაფნისი ფრთხილობდა, რომ ვნებამორეულს გონიერი გადაწყვეტილება არ დაერღვია და ქლოეს სულ გატიტვლების ნებას არ აძლევდა; ქალიშვილს ეს აოცებდა, მაგრამ მიზეზის კითხვა რცხვენოდა.

25. ამ ზაფხულს ქლოეს ბევრი საქმრო გამოუჩნდა და ყოველი მხრიდან აუარებელი ხალხი მოდიოდა დრიასთან თხოვნით, ქალიშვილი მოგვათხოვეო; ზოგს უკვე საჩუქრებიც მოჰქონდა, ზოგი კი ქალის მითხოვებისათვის მდიდრულ ძღვენს პირდებოდა. ასეთი შეპირებით დაიმედებულ ნაპას უნდოდა, ქლოე მალე გაეთხოვებინა, შეღერებული ქალიშვილის ოჯახში გაჩერება აღარ სურდა; აგერ-აგერ (ამბობდა ნაპა) ქალიშვილი ფარის მწყემსვის დროს თავს წააგებს და რამდენიმე ვაშლისა ან ვარდის გულისთვის ცოლად მწყემსს წაყვებაო. ჯობს, ქლოე საკუთარ სახლში გავხადოთ ქალბატონად, ჩვენ კი დიდ საჩუქრებს მივიღებთ, ეს ღვიძლი შვილისთვის გამოგვადგებაო — ამას წინათ მათ ბიჭი შეეძინათ. ზოგჯერ ასეთი ლაპარაკი დრიასს მომხიბლავად ეჩვენებოდა, ყოველი საქმრო პირდებოდა საჩუქარს, იმაზე უკეთესს, რასაც მწყემსის უბრალო ქალიშვილისთვის გაიმეტებდნენ. მაგრამ ხან ფიქრობდა, ქალიშვილი უბრალო საქმროებზე — მიწის მუშებზე უფრო ძვირფასია და უეცრად თუ ნამდვილი მშობლები იპოვნა, მაშინ მე და ჩემს ცოლს სიმდიდრით აგვავსებსო; დრიასი პასუხის გაცემას აგვიანებდა, დროს აჭიანურებდა, ამასობაში ცოტა საჩუქარი კი არ მოსდიოდა. ქლოეს ეს რომ ესმოდა, ძალიან დარდობდა და დაფნისს ამ ამბავს დიდხანს უმალავდა, მის წყენას ერიდებოდა. დაფნისი სულ ეკითხებოდა, აღარ ეშვებოდა, რა დაგემართაო. მაშინ ქლოე მიხვდა, რომ ვაჟს პასუხის გაუცემლობა უფრო აღონებდა, ვიდრე ნამდვილი ამბის გაგება შეაწუხებდა, და ყველაფერი უამბო: დრიასი გადაჭრით უარს არავის ეუბნება, მაგრამ საქმის გადაწყვეტა გადასდო, რთველის დამთავრებას ელოდებაო.

26. დაფნისმა ეს ამბავი რომ მოისმინა, შეწუხდა, დაჯდა და ატირდა; თქვა, მოკვდები, თუ ქლოე ჩემთან ერთად ფარას აღარ მომწყემსავსო; და მარტო მე კი აღარ დავიღუპები, არამედ ცხვრებიც, ასეთი მწყემსი რომ აღარ ეყოლებათო. მერე გონება მოიკრიბა, გამხნევდა და იმედი მიეცა, მამის დარწმუნებას შეეძლებო, თავის თავს უკვე სთვლიდა საქმროთა რიცხვში და იმედოვნებდა, სხვებს, ყველას, ადვილად ვაჯობებო. ერთი რამ აღელვებდა: ლამონი მდიდარი არ იყო, და ეს იმედს უქარწყლებდა. მაინც გადაწყვიტა მაჭანკლის მიგზავნა. ეს აზრი ქლოემაც მოუწონა. ლამონისთვის ამის თქმა ვერ მოახერხა. გამბედაობა მოიკრიბა და თავისი სიყვარული მირტალს გაანდო, ქორწინებაზეც ლაპარაკი ჩამოუგდო. მირტალმა ეს ამბავი ღამით ლამონს უამბო. ქმარი ამ ამბავს ცივად შეხვდა და ცოლს ლანძღვა დაუწყო, უბრალო მწყემსების ქალიშვილი გინდა შერთო ცოლად ჭაბუკს, რომელიც თავისი საჩინო ნიშნებით ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულაო: თუ მან თავისი მშობლები იპოვნა, დაფნისი ხომ ჩვენ, ვინც იგი შევიფარეთ, გაგვათავისუფლებს და მიწის უფრო დიდ ნაკვეთს მოგვცემსო. მირტალი შიშობდა, დაფნისს დაქორწინების იმედი სულ რომ გავუქარწყლო, სიყვარულის გამო თავი არ მოიკლასო და სხვა მიზეზი უთხრა, თუ ლამონი რატომ იყო წინააღმდეგი: „ჩვენ ხომ ღარიბი ვართ, შვილო, და ჩვენ გვინდა სარძლო უფრო დიდი მზითევით; ისინი კი მდიდრები არიან და

მდიდარ სასიძოებსაც დაეძებენ. დაარწმუნე ქლოე, მან კი მამა დაარწმუნოს, რომ ბევრი არ მოგთხოვოს და ქალი მოგათხოვოს. ქლოეს, ალბათ, უყვარხარ და ცხადია, ურჩევნია ღარიბ ლამაზთან დაიძინოს, ვიდრე მდიდარ მაიმუნთან".

27. მირტალს იმედი სულ არ ჰქონდა, რომ დრიასს დაითანხმებდნენ,— უფრო მდიდარი სასიძოები ეგულებოდა. მირტალი ფიქრობდა, ქორწინების ჩასაშლელად შესანიშნავი საბაბი გამოვნახეო. დაფნისმა ამის საწინააღმდეგო ვერაფერი თქვა. როცა დაინახა, თავის წადილს რა შორი მანძილით იყო დაშორებული, ისე მოიქცა, როგორც იქცევა უბედურებაში ჩავარდნილი ყველა შეყვარებული: ტირილი მორთო და კვლავ ნიმფებს შეევედრა, დამეხმარეთო. და ისინი ღამით მძინარეს მოევლინენ ისე, როგორც ამას წინათ გამოეცხადნენ, და ისევ უხუცესმა დაიწყო ლაპარაკი: „შენი და ქლოეს ქორწინებისთვის ზრუნვა სხვა ღმერთს ეკითხება; ძღვენს კი, რითაც შენ დრიასის გულს მოინადირებ, ჩვენ მოგცემთ. ახალგაზრდა მეთიმნელთა გემი, რომლის საბელი ოდესღაც შენმა თხებმა შეჭამეს, იმ დღეს ქარმა ნაპირიდან შორს გაიტაცა. ღამით კი, როცა ქარმა ზღვიდან დაუბერა, ზღვა აღელდა და გემი ამ კონცხის კლდეებზე ამოაგდო. თვით გემი და ბევრი სხვა რამ, რაც შიგ იყო, დაიღუპა; მაგრამ ქისა და შიგ მოთავსებული სამი ათასი დრაქმა ტალღამ ნაპირზე გამორიყა, ახლა იქა დევს, ზღვის ბალახით დაფარული, დელფინის მძორის გვერდით, იქ გამვლელი ამ ადგილს არავინ ეკარება, ცდილობს მალე გაშორდეს დამპალი მძორის სიმყრალეს. შენ კი მიუახლოვდი; რომ მიხვალ, აიღე, რომ აიღებ, მიეცი. საკმარისია, შენ თუ ახლა ღარიბად არ ჩაგთვლიან, მერე კი შენ მდიდარი გახდები".

28. ასე უთხრეს და ღამის სიბნელესთან ერთად გაუჩინარდნენ. როგორც კი ირიჟრაჟა, გახარებული დაფნისი წამოხტა და წკრიალა სტვენით თავისი თხები საძოვარზე გარეკა. ქლოეს აკოცა, ნიმფებს ეახლა, თაყვანი სცა, ზღვას მიაშურა, თითქოს ბანაობა მოეხალისაო; და იქ სილაზე, ტალღის ქაფის მახლობლად სეირნობდა, სამი ათას დრაქმას დაეძებდა. ძებნაში დაიქანცა: მალე ცხვირში მოხვდა ქარიშხლისაგან ნაპირზე გამორიყული დელფინის არც თუ ძალიან სასიამოვნო სუნი: მეგზურად სწორედ ეს საზიზღარი სუნი გამოადგა; სწრაფად მიირბინა, წყალმცენარე გაქექა და ფულით სავსე ქისა იპოვა. მაშინვე ხელი დასტაცა და ჩანთაში ჩაიდო, მაგრამ მანამდე არ წასულა, სანამ ნიმფებსა და ზღვას მადლი არ შესწირა. თუმცა მწყემსი იყო, მაგრამ ახლა ზღვას უფრო საყვარლად სთვლიდა, ვიდრე მიწას,—ზღვა ეხმარებოდა, რომ ქლოე შეერთო.

29. სამი ათასი დრაქმის პატრონი რომ გახდა, იგი უკვე აღარ აყოვნებდა, თავის თავს ყველაზე მდიდარ ადამიანად სთვლიდა არა მარტო იმ სოფლის არემარეში, არამედ მთელ ქვეყანაზე. ქლოესთან რომ მივიდა, თავისი სიზმარი უამბო, ქისა უჩვენა და დაავალა, ჩემს დაბრუნებამდე თხა-ცხვარი მომწყემსეო, თვითონ კი ჩქარი ნაბიჯით დრიასისაკენ გაეშურა. იგი კალოზე იპოვა, ნაპასთან ერთად პურს ლეწავდა. დაფნისმა ქორწინებაზე თამამად დაუწყო ლაპარაკი. „მომათხოვე ქლოე ცოლად: მე კარგი მკა ვიცი, ვენახის მოვლა, ხეების დარგვაც კარგად შემიძლია; ხვნაც ვიცი, ლეწვაცა და განიავებაც. თუ არვეს როგორ ვმწყემსავ, — ამის მოწმეა ქლოე; ნახევარი ასეული თხა ჩამაბარეს, მათი რიცხვი გავაორკეცე; დიდი და ლამაზი ვაცები გამოვზარდე, წინათ კი წალებს სხვისი ვაცებით ვაგრილებდით. ამას გარდა ახალგაზრდა ვარ, თქვენი მეზობელი, და ჩემზე ცუდს ვერავინ იტყვის; მე წალმა ისე გამომკვება, როგორც ქლოე ნერბმა. რამდენადაც სხვებზე უკეთესი ვარ, იმდენადვე არ მინდა

ლონგე
დაფნისი და ქლოე

სხვებს საჩუქრებითაც ჩამოვრჩე. ისინი თუ გთავაზობენ მხოლოდ წალებსა და ნერბებს, ქეციან უღელ ხარსა და იმდენ მარცვალს, რაც საკენკად ქათმებსაც არ ეყოფა, ჩემგან აი, თქვენ სამი ათასი დრაქმა. მხოლოდ ეს არავინ იცოდეს, მამაჩემმა ლამონმაც კი". ეს უთხრა და ფული მისცა, გადაეხვია და კოცნა დაუწყო.

30. ამდენი ფული რომ დაინახეს, რაც სიზმრადაც კი არასოდეს უნახავთ, მაშინვე აღუთქვეს, ქლოეს მოგათხოვებთო და დაარწმუნეს, ლამონსაც დავითანხმებთო. ნაპა დაფნისთან ერთად განაგრძობდა მუშაობას, კევრში შებმულ ხარებს ერეკებოდა და ხორბალს ლეწავდა. დრიასმა კი დიდი ქისა დამალა იქ, სადაც ქლოეს საჩინო ნიშნები ინახებოდა, სწრაფად გასწია ლამონთან და მირტალთან, რომ ეთხოვა — გაუგონარი ამბავია — დაფნისმა ქლოე ცოლად შეირთოსო. იმ დროს მიუსწრო მათ, როცა განიავების შემდეგ ქერის არწყვა დაეწყოთ. ისინი სასოწარკვეთილებას მისცემოდნენ, რადგან მარცვლეული მოსვლოდათ თითქმის იმაზე ნაკლები, რაც დაეთესათ. დრიასმა ცოლ-ქმარი ანუგეშა, ყველა ამას ჩივისო, მერე კი ხვეწნა დაუწყო, დაფნისმა ქლოე ითხოვოსო. ასე ეუბნებოდა: თუმცა სხვები ბევრ რამეს მთავაზობენ, მაგრამ თქვენ, ლამონსა და მირტალს, არაფერს გამოგართმევთო; მეტსაც ვიზამ, სართად მე თვითონ რაიმეს მოგცემთო. დაფნისი და ქლოე ახალგაზრდებია,—ამბობდა დრიასი, — ერთად გაიზარდნენ, თხა-ცხვარს ერთად აძოვებდნენ და ისეთი მეგობრობით არიან დაკავშირებულნი, რომ მათი დაშორება არც ისე იოლიაო. ასაკიც ისეთი აქვთ, რომ უკვე დროა, ერთად იძინებდნენო. აი, ასე ლაპარაკობდა და კიდევ ბევრი რამ თქვა. ჯილდოდ ხომ სამი ათასი დრაქმა მიიღო, რათა ისინი დაერწმუნებინა. ახლა ლამონს აღარ შეეძლო თავისი სიღარიბე მოემიზეზებინა—ისინი ხომ სიმდიდრით თავს არ იწონებდნენ, არც დაფნისის ახალგაზრდობა — იგი უკვე ჯანმაგარი ჭაბუკი იყო. ნამდვილი მიზეზის თქმა კი— დაფნისს უკეთესი საცოლე შეეფერებაო — არასგზით არ უნდოდა და აი, მცირე დუმილის შემდეგ დრიასს ასე უპასუხა:

31. „თქვენ სწორად მოიქეცით, რომ უცხო ადამიანებს მეზობლები ამჯობინეთ და პატიოსან სიღარიბეზე მაღლა სიმდიდრე არ დააყენეთ. დაე, პანი და ნიმფები გწყალობდეთ ამისათვის! მე თვითონ ვჩქარობ, მინდა ეს ქორწილი მალე გადავიხადო. მე ხომ მაშინ სულ მთლად გამოთაყვანებული ვიქნებოდი, რომ უკვე მოხუცს, რომელსაც ზედმეტი მუშახელი მჭირდება, თქვენს ოჯახთან დამეგობრება დიდ სიკეთედ არ ჩამეთვალა. ქლოეს მსურველიც ვინ არ იქნება? ლამაზი ქალიშვილია, ყველაფრით შემკობილი, ახლა იფურჩქნება, მაგრამ მე ხომ მონა ვარ და არაფერი გამაჩნია; საჭიროა, რომ ეს ჩემმა ბატონმა გაიგოს და თანხმობა მოგვცეს. მოდი და ეს ქორწილი შემოდგომამდე გადავდოთ. ჩვენთან ქალაქიდან ჩამოვიდნენ და ასე გვითხრეს: ამ დროისთვის თქვენთან ჩამოსვლას თვითონ ბატონი აპირებსო. ახალგაზრდები მაშინ გახდებიან ცოლ-ქმარი. ახლა კი დაე, ერთმანეთი, როგორც და-ძმას, ისე უყვარდეთ. მხოლოდ ერთი რამ იცოდე, დრიას: შენ სიძედ ისურვე ჭაბუკი, რომელიც წარმოშობით ჩვენზე უფრო ბევრად მაღლა დგას". ეს რომ უთხრა, დრიასი გადაჰკოცნა და სასმელი მიაწოდა, რადგან სწორედ შუადღე იყო; მერე გააცილა, პატივისცემისა და მეგობრობის გამოხატვა არ დაიშურა.

32. დრიასს ლამონის ბოლოს ნათქვამი უყურადღებოდ არ დაუტოვებია. შინ რომ ბრუნდებოდა, თავისთვის ასე ფიქრობდა: „ვინღაა ეს დაფნისი? იგი წალმა გამოჰკვება: ჩანს, მისთვის ღმერთები ზრუნავენ. ძალიან ლამაზია, სრულიად არა ჰგავს პაჭუა ლამონს, არც მის მელოტ დედაკაცს. ერთბაშად დაფნისს სამი ათასი დრაქმა აღმოაჩნდა, უბრალო მწყემსს შინ ამდენი პანტაც ხომ არ მოეპოება. ისიც ქლოესავით მშობლებს ხომ არ მიუტოვებიათ? ისიც ხომ არ უპოვნია ლამონს ისე, როგორც მე ქლოე

ვიპოვე? მასთანაც ხომ არ ყოფილა იმისი მსგავსი საჩინო ნიშნები, როგორიც ქლოეს ჰქონდა; ოჰ, ეს რომ ასე იყოს, მეუფე პანო და საყვარელო ნიმფებო, შეიძლება ქლოეს საიდუმლოებასაც ფარდა აეხადოს, თუ ჭაბუკი თავის მშობლებს აღმოაჩენს".

დრიასი კალოსთან მისვლამდე ასე ფიქრობდა თავისთვის, ოცნებას მიეცა. იქ რომ მივიდა, დაფნისი დაინახა, — გაფაციცებით ელოდა, რა ამბავს მომიტანსო; დრიასმა გაამხნევა, სიძეო, დაუძახა და აღუთქვა: ქორწილს შემოდგომაზე გადავიხდითო. მარჯვენა ხელი გაუწოდა იმის ნიშნად, ქლოე დაფნისს გარდა არავის წაჰყვებაო.

33. დაფნისი, უჭმელ-უსმელი, ქლოესკენ გაფრინდა ფიქრზე უსწრაფესად. ქლოე მუშაობდა: ცხვრებს წველიდა და ყველი ამოჰყავდა. ქორწინების ამბავი ახარა; მას მერე დაუფარავად ჰკოცნიდა, როგორც ცოლს, და მასთან ერთად შრომობდა: საწველეში რძეს წველიდა, ყველი ამოჰყავდა, ბატკნები და თიკნები დედებთან მიჰყავდა, ჯიქანქვეშ შეუსვამდა. ყველა საქმეს რომ მოილევდნენ, ხელპირს დაიბანდნენ. შიმშილსა და წყურვილს რომ მოიკლავდნენ, მწიფე ხილის საძებრად წავიდოდნენ. ყველაფერი ულევად იყო: წლის ეს დრო უხვია, ტყეშიც, ბაღშიც ბევრი მსხალი და ვაშლიც მოიპოვება; ზოგი უკვე მიწაზე ეყარა, ზოგი ტოტებს შერჩენოდა — ჩამოცვენილი უფრო სურნელოვანია, ტოტებზე ჩამოკიდებული კი უფრო ნაირფერი; ჩამოცვენილებს ღვინის სუნი ჰქონდა, ხეზე შერჩენილი კი ოქროსფრად ბრწყინავდა. ერთ ხეზე ყველა ვაშლი დაეკრიფათ. იდგა უფოთლო და უნაყოფო, ყველა ტოტი გაეტიტვლებინათ. მაგრამ სულ მაღლა კენწეროზე ერთი ვაშლიღა შერჩენოდა, დიდი, მშვენიერი, თავისი საუცხოო ფერით ყველა დანარჩენი დაეჩრდილა. ხილის მკრეფავს მაღლა ასვლა შეშინებია, მის მოსაწყვეტად თავი არ შეუწუხებია. ან იქნებ ეს კარგი ვაშლი სწორედ შეყვარებული მწყემსისთვის გადარჩენილა.

34. როგორც კი დაფნისმა ეს ვაშლი შენიშნა, მაშინვე გადაწყვიტა ზედ კენწეროზე მოეწყვიტა, თუმცა ქლოემ დაუშალა; ვაჟმა რომ არ დაუჯერა, გულმოსული ქალიშვილი ფარისაკენ წავიდა, დაფნისი კი ხეზე სწრაფად აცოცდა, ვაშლი მარდად მოსწყვიტა და ქლოეს აჩუქა; ქალიშვილი ჯერ კიდევ გულმოსული იყო და ვაჟმა მას ასეთი სიტყვებით მიმართა:

„საყვარელო ქალიშვილო! ეს ვაშლი მშვენიერმა ქალღმერთებმა — ჰორებმა შობეს, და მშვენიერმა ვაშლის ხემ აღზარდა, მზემ დაამწიფა, ბედმა კი მე მარგუნა. თვალს ხომ არ მაკლია და მისი მიტოვება არ შემეძლო, რომ მიწაზე ჩამოვარდნილიყო და ბალახობის დროს ჯოგს გაესრისა, ან მცოცავ გველს თავისი შხამით გაეჟღინთა. ანდა ასეთი მშვენიერი ცოტა ხნის შემდეგ დამჭკნარიყო. აფროდიტეს ხომ სწორედ ვაშლი მიართვეს სილამაზის ჯილდოდ; ვაშლს შენ გთავაზობ ნიშნად შენი გამარჯვებისა. თქვენი მ'ა'ჯულნი ერთმანეთს გვანან: იგი ცხვრებს მწყემსავდა, მე კი თხებს ვმწყემსავ".

ასე უთხრა და ვაშლი უბეში ჩაუდო; როცა ვაჟი მისკენ დაიხარა, ქალიშვილმა ისე აკოცა, რომ დაფნისი ხეზე ასე მაღლა ასვლ ს სრულიადაც აღარ ნანობდა: მან მიიღო კოცნა, რაც ოქროს ვაშლზე უფრო ძვირფასი იყო.

წიგნი მეოთხე

1. მიტილენიდან ლამონის ბატონის მიერ გამოგზავნილი მონა ჩამოვიდა და აცნობა, ბატონს უნდა რთველის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდეს, ნახოს, მეთიმნელთა თავდასხმამ მინდვრები ხომ არ დააზიანაო. უკვე ზაფხულის მიწურული იყო, შემოდგომა ახლოვდებოდა და ლამონს სურდა ბატო-

ლოხვე

ნის შესახვედრად ისე მომზადებულიყო, რომ მისი გული მოეგო. ნაკადულებს ასუფთავებდა, ანკარა წყალი რომ დაეხვედრებინა, ეზოდან ნაკელი გაიტანა, რომ მძიმე სუნს არ შეეწუხებინა, ბაღსაც უვლიდა, მშვენიერი სანახავი რომ ყოფილიყო.

2. და ბაღი მართლაც მშვენიერი ჰქონდა, მეფურსა ჰგავდა. მთელი სტადია ეჭირა, მაღალ ადგილას მდებარეობდა, სიგანე ოთხ პლეთრონს აღწევდა. ფართო მდელოს მოგაგონებდა. იქ ყოველნაირი ხილი ხარობდა: ვაშლი, მურტი, მსხალი, ბროწეული და ზეთისხილის ხეები, ვაზები მსხლისა და ვაშლის ხეებს შემოხვეოდა და მაღლა ტოტებში მწიფე მტევნები შავად მოჩანდა, თითქოს სხვა ხეების ნაყოფს ეჯიბრებაო. იქ, აი ასეთი ხეხილი იყო, მაგრამ ხარობდა კვიპაროსი და დაფნაც, ჭადარი და ფიჭვიც; მათ ვაზი კი არა, სურო შემოხვეოდა. მისი მუქი ფერის კენკრების დიდი კონები ყურძნის მტევნებს ჰგავდა. ხეხილს უნაყოფო ხეები შემორტყმოდა, თითქოს მის საფარად ადამიანს გალავანი აუგიაო.

მთელ ამ ადგილს კვირინჩხის სხლტე ჰქონდა შემოვლებული. ყველაფერი ზუსტად გაზომილი და გაყოფილი იყო, ღერო ღეროს თანაბრად დაშორებული, მაღლა კი ტოტები ერთმანეთს დაახლოებოდნენ, ფოთლები გადაეხლართათ. და ეს, რაც ბუნებას უწყალობებია, ხელოვნების ქმნილება გეგონებოდა. აქ იყო ყვავილთა კვლები; ერთი წყება ყვავილებისა თუ მიწას წარმოეშვა, მეორე — ადამიანის ხელს შეექმნა. ვარდები, შროშანები, სუმბულები ადამიანს გაეშენებინა; ფურუსულებს, იებს, ნარგიზებს თვითონ მიწა ზრდიდა. ზაფხულში აქ ჩრდილი იყო, გაზაფხულზე — ყვავილები, შემოდგომაზე — ხილი, და წელიწადის ყოველ დროს აქ ყველაფერი ნეტარებით ივსებოდა.

3. აქედან კარგად მოჩანდა ველი და შეგეძლო დაგენახა მწყემსები, რომლებიც ჯოგებს აძოვებდნენ; ზღვაც კარგად ჩანდა, ზღვაოსნებიც, რომლებიც ნაპირს ახლო ჩაუვლიდნენ, ბაღს ესეც მშვენებას ჰმატებდა; სწორედ ბაღის შუაგულში, სადაც მისი სიგრძე-სიგანე შუაზე იყოფოდა, დიონისეს ტაძარი და მისდამი მიძღვნილი საკურთხეველი იყო. საკურთხეველს სურო შემოხვეოდა, თვით ტაძარს კი — ვაზი. ტაძარი ღვთის ცხოვრების სურათებით მოეხატათ: მშობიარე სემელე, მთვლემარე არიადნა, ბორკილდადებული ლიკურგოსი, ნაკუწ-ნაკუწად დაგლეჯილი პენთევსი. აქ იყვნენ დამარცხებული ინდოელებიც, თევზებად გადაქცეული ტირენელებიც, და ყველგან: სატირები, საწნახელებში ყურძნის მწურავნი, ყველგან ბახუსის მოცეკვავე ქურუმი ქალები. არც პანი დავიწყნოდათ: კლდეზე იჯდა და სალამურს უკრავდა.

4. ასეთი იყო ბაღი, რომელსაც ლამონი დიდი გულმოდგინებით უვლიდა; ხმელ ტოტებს ჭრიდა, ვაზებს ხეებზე უშვებდა: დიონისეს მარმარილოს ქანდაკებას გვირგვინებით ამკობდა; ნაკადულის წყალი ყვავილებთან მიეყვანა; აქ ყვავილების მოსარწყავად იყო წყარო, რომელიც დაფნისმა აღმოაჩინა; თუმცა ეს წყარო ყვავილებს ჰკვებავდა, მას ყველა „დაფნისის წყაროს“ ეძახდა. ლამონი დაფნისს ყოველთვის ურჩევდა, რაც კი შეიძლება შენი თხები გაასუქე. ბატონი დიდი ხანია, რაც აქ არ ყოფილა და არვეს ნახვას ხომ მოისურვებსო. თვითონ დაფნისი დარწმუნებული იყო, თხების მოვლისათვის ქებას დავიმსახურებო. მგელს ერთიც კი არ მოუტაცნია, თხებიც ცხვრებზე უფრო დასუქდნენ. უნდოდა, ბატონს უფრო ხალისიანად მიეცა მისთვის დაქორწინების ნება და არვეს ზრუნვას არ აკლებდა. ირიჟრაჟებდა თუ არა, თხებს საძოვრებზე მიერეკებოდა, შინ გვიან საღამოს ბრუნდებოდა. დღეში ორჯერ არწყულებდა. აქაურ არემარეში საუკეთესო საძოვარს გამოძებნიდა; ცდილობდა, რომ რძის ჯამები ყოველთვის ახალი ჰქონოდა, საწველელები მოზრდილი, წნულებიც ყველისათვის უფრო ტევადი. და ისეთ მზრუნველობას იჩენდა, რომ თხებს რქებზე ერბოს უსვამდა და მატყლს უვარცხნიდა. იტყოდი, პანის საღმრთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არვეს ვხედავო. ჭაბუკთან ერთად ქლოეც უვლიდა თხებს. თავის ცხვრებს ივიწყებდა და სულ თხებზე იყო გადაგებული; ასე რომ დაფნისი ფიქრობდა, მხოლოდ ქლოეს წყალობით გახდა თხები ასე მშვენიერიო.

5. როდესაც ისინი ასე იყვნენ გართულნი, ქალაქიდან კიდევ ერთი მაცნე ჩამოვიდა, ბრძანა, ყურძენი რაც შეიძლება მალე დაჰკრიფეთო, მეც აქ დავრჩები, სანამ დაწურავთ და ტკბილი დამაჭრდებაო, მერე, რთველი რომ დამთავრდება, ქალაქს დავბრუნდები და ბატონს ჩამოვიყვანო. მაცნეს ევდრომი ერქვა, ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ სწრაფად დარბოდა. მისთვის პატივისცემა არ დაუკლიათ და მაშინვე ყურძნის კრეფას შეუდგნენ, ყურძნის მტევნებს საწნახელებში ყრიდნენ, ყურძნის წვენს კასრებში ასხამდნენ; ყველაზე მწიფე მტევნების აკიდოებს ინახავდნენ, რათა ქალაქიდან ჩამოსულებს ჰგონებოდათ, რთველში ვართ და ვხარობთო.

6. როცა ევდრომი უკვე ქალაქს დაბრუნებას აპირებდა, დაფნისმა უხვი ძღვენი მიართვა; აჩუქა, რის ჩუქებაც მწყემსს შეუძლია: გამოსული ყველი, პატარა თიკანი, თხის ბანჯგვლიანი თეთრი ტყავი, ზამთარში მგზავრობის დროს რომ მოეხურა. ევდრომი ძალიან კმაყოფილი დარჩა, დაფნისი გადაჰკოცნა და შეჰპირდა, ბატონთან სიტყვას შეგაწევო. ასე წავიდა მათდამი მეგობრულად განწყობილი; დაფნისი კი ძალიან ღელავდა და განაგრძობდა ქლოესთან ერთად თხა-ცხვარის მწყემსვას. ქალიშვილიც წუხდა დაფნისის გამო: ჭაბუკი, რომელიც მხოლოდ თხებს, ცხვრებს, მიწისმუშებსა და ქლოეს ხედავდა, ახლა ბატონს პირველად უნდა შეხვედროდა, მისი მხოლოდ სახელი იცოდა. ქალიშვილს ის აღელვებდა, დაფნისი ბატონთან თავს როგორ დაიჭერსო? ქლოე ქორწინების გამოც წუხდა, — ამაზე ამაოდ ხომ არ ვოცნებობთო. ამასობაში კი ერთმანეთს მუდამ ჰკოცნიდნენ და მაგრად ეხვეოდნენ, თითქოს უნდათ ერთმანეთს შეეზარდნენო. მაგრამ მათი კოცნა იყო მფრთხალი, ხვევნა კი ნაღვლიანი, თითქოს ბატონი უკვე ჩამოსულა და შეშინებულნი მას ემალებიანო. ყოველივე ამას კიდევ ერთი ამაღელვებელი ამბავი დაერთო.

7. იყო ერთი ვინმე ლამპისი, უხეში მწყემსი, რომელიც ძროხებს მწყემსავდა. ქლოეს ცოლად შერთვა მასაც მოუნდა, ქორწინების დასაჩქარებლად დრიასს უკვე ბევრი ძღვენი მიართვა. მიხვდა, რომ ქლოეს დაფნისი შეირთავდა, თუ ბატონი ამის ნებას მისცემდა, ამიტომ სულ იმას ფიქრობდა, ისეთი რა მოვახერხო, რომ დაფნისსა და ლამონს ბატონი გაურისხდეს. ლამპისმა იცოდა, რომ ბატონს ბაღი განსაკუთრებით უყვარდა, და გადაწყვიტა, რამდენადაც კი შეიძლებოდა, დაემახინჯებინა, გაეფუჭებინა. ხეები რომ მოეჭრა, კაკუნს გაიგონებდნენ და დაიჭერდნენ, ამიტომ ყვავილების მოსპობა განიზრახა. დაღამებას დაუცადა, ღობეზე გადაძვრა, ზოგი ყვავილი ამოგლიჯა, ზოგი მილეწ-მოლეწა, სხვა კი ფეხებით გათელა, როგორც გარეულმა ტახმა და შეუმჩნევლად მიიმალა. დილით ლამონი ბაღში მივიდა, წყაროს წყლით რომ ყვავილები მოერწყა; ყველაფერი გაფუჭებული რომ ნახა, მიხვდა, ეს მძარცველის კი არა, მტრის ნაქნარიაო, ტანზე კვართი შემოიფლითა და ხმამაღლა ყვირილი მორთო, ღმერთებს უხმობდა; მირტალმა ეს რომ გაიგონა, დაჰყარა, რაც ხელში ჰქონდა, სახლიდან გამოვარდა, დაფნისმაც თავისი თხები მიატოვა და მოირბინა. ნახეს, რაც მოხდა და წივილ-კივილი მორთეს, ცხარე ცრემლი ღვარეს.

8. კაცს უცნაურად მოეჩვენებოდა, ყვავილნარის განადგურებამ ასე რატომ შეაწუხათო. მაგრამ გულამოსკვნით ის ატირებდათ, რომ ბატონის რისხვისა ეშინოდათ. უცხო ადამიანიც ამის მნახველი მათთან ერთად ატირდებოდა. ეს დამახინჯებული ადგილი სულ ატალახებული იყო. განადგურებას გადარ-

ჩენილი ყვავილები ჯერ კიდევ ისევ ყვაოდნენ, კაშკაშა ფერით ბრწყინავდნენ, მიწაზე წაქცეულებსაც სილამაზე შერჩენოდათ; ფუტკრებიც ჯერ კიდევ ზედ სხდებოდნენ, გაუთავებლად, დაჟინებით ბზუოდნენ, თითქოს ქვითინებენო. თავზარდაცემულმა ლამონმა კი თქვა: „ვაიმე! ჩემი ვარდები დამტვრეულია. ვაიმე! ჩემი იები გათელილია. ვაიმე! ჩემი სუმბულები და ნარგიზები ავკაცის ხელით დათხრილია. გაზაფხული მოვა და ყვავილები აღარ გაიფურჩქნება. ზაფხული დადგება და ვეღარ დამშვენდება. შემოდგომაზე ამ ყვავილებით გვირგვინს ვერავინ დაიწნავს. ეს უბედური ყვავილები უფალმა დიონისემაც არ შეიბრალა! შენს გვერდით, შენს თვალწინ იზრდებოდნენ; ამ ყვავილთა გვირგვინებით ხშირად გამკობდი. ეს ბაღი ბატონს როგორ ვუჩვენო?! ამას რომ დაინახავს, რა დაემართება? ბრძანებს, მე, მოხუცი, მარსიასავით პირველსავე ფიჭვზე ჩამომკიდონ; ჩემთან ერთად დაფნისსაც ჩამოჰკიდებს, იფიქრებს, ეს ბაღი მისმა თხებმა გაანადგურესო“.

9. ეს რომ თქვა, ყველანი აქვითინდნენ, ახლა უკვე მწარედ დასტიროდნენ არა მარტო ყვავილებს, არამედ თავის თავსაც. ქლოეც გულამოსკვნით დასტიროდა დაფნისს, შიშით შეპყრობილი, ვაითუ ჩამოახრჩონო, და ღმერთს ევედრებოდა, ბატონი არ ჩამოიყვანოო; ქალიშვილმა მძიმე დღეები გაატარა, თითქოს უკვე ხედავს, დაფნისს როგორ ამათრახებენო. ღამდებოდა, როცა მათთან ევრდომი ჩამოვიდა და აცნობა: მოხუცი ბატონი სამ დღეში ჩამოვა, ხვალ კი მისი ვაჟიო. იმსჯელეს იმაზე, რაც მოხდა, ევდრომს თავიანთი შიში გაუზიარეს, მისი აზრის გაგება სურდათ; ევდრომმა, დაფნისის მწყალობელმა, ურჩია: ჯერ ყველაფერი ახალგაზრდა პატრონს უამბეთო, თან შეპირდა, ორიოდე სიტყვას მეც შეგაწევთო: ბატონის შვილის ძუძუმტე იყო და მას დიდ პატივში ჰყავდა. როცა გათენდა, ასეც მოიქცნენ.

10. ასტილოსი ცხენით ჩამოვიდა და მასთან ერთად პარაზიტიც, ისიც ცხენით. ასტილოს ნიკაპი ოდნავ ეღინღლებოდა, გნათონი კი — ასე ერქვა მეორეს — უკვე დიდი ხანია წვერს იპარსავდა. ლამონი, მირტალი და დაფნისი ასტილოსს ფეხებში ჩაუვარდნენ. სთხოვდნენ: უბედური მოხუცი შეიბრალე და მამაშენის რისხვისგან უდანაშაულო დაიფარეო. და მერე ყველაფერი დალაგებით უამბეს. ამ ვედრებამ ასტილოსს გული აუჩვილა, ბაღში განადგურებული ყვავილები ნახა და მათ შეპირდა: მამას თვითონ ვთხოვ პატიებას, დანაშაულს ჩემს ცხენებს დავაბრალებო; ვეტყვი: აქ მიბმული ცხენები აკუნტრუშდნენ, ნაწილი ყვავილებისა დალეწეს, ნაწილი გათელეს, მერე კი თავი აიხსნეს, ქაჩაჩებით მიწა გადათხარესო. ამის გამო ლამონი და მირტალი ღმერთებს ევედრებოდნენ: ასტილოსს ყოველივე სიკეთე მიეცითო; დაფნისმა კი ძღვნად მიართვა თიკნები, ყველის კვერეულები, ფრინველი ბარტყებით, ყურძნის აკიდოები, ვაშლები ტოტებიანად. ამ ძღვენთა შორის იყო აგრეთვე ლესბოსური სურნელოვანი ღვინო, ყველა ღვინოზე უკეთესი სასმელი.

11. ასტილოსმა ძღვენი მოიწონა და კურდღლებზე სანადიროდ წავიდა; მდიდარი ჭაბუკი იყო და სულ ფუფუნებაში ცხოვრობდა; სოფლად ახალი გასართობის საძებრად ჩამოვიდა. გნათონი ღორმუცელა იყო, ისე თვრებოდა, ჭკუა აღარ ეკითხებოდა და სიმთვრალეში ურცხვად იქცეოდა...

13. ... იმ დროს არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა, რადგან დიონისოფანე და კლეარისტა ჩამოვიდნენ და სასაპალნე ცხოველებმა, მონებმა, მამაკაცებმა და ქალებმა, ყველამ ერთად ძლიერი ხმაური ასტეხეს. მაგრამ ცოტა დრო რომ გავიდა, გნათონმა სიყვარულზე გრძელი სიტყვა მოამზადა. დიონისოფანე ტანადი, ლამაზი, უკვე ჭაღარაშერეული ვაჟკაცი იყო. ყოველ ახალგაზრდა კაცს შეეცილებოდა. მასავით მდიდარი ცოტა თუ ვინმე იქნებოდა, მასავით კეთილშობილი კი — არავინ. ჩამოსვლის პირველ დღესვე მსხვერპლი შესწირა ღმერთებს,

მინდორთა მფარველებს, დემეტრეს, დიონისეს, პანსა და ნიმფებს; ყველა დამსწრეს კი კრატერი ღვინო დაუდგა. მომდევნო დღეებში ლამონის ნაშრომის დათვალიერებას შეუდგა. და რომ ნახა კვალგავლებული, კარგად დახნული მინდვრები, გაღაღანებული ვენახი, ბაღი მთელი თავისი მშვენებით — ყვავილების განადგურება ასტილოსმა დაიბრალა — დიონისოფანე კმაყოფილი დარჩა, ლამონი შეაქო და გათავისუფლება აღუთქვა. მერე არვე მოინახულა, რომ თხები და მისი მწყემსი ენახა.

14. ქლოეს ამდენი ხალხის შერცხვა, შეეშინდა და ტყეში გაიქცა. დაფნისი კი იდგა წელგაძართული: თეძოებზე თხის ხშირბეწვიანი ტყავი შემოეხვია, მხარზე ახალთახალი ჩანთა ეკიდა, ერთ ხელში ჭყინტი ყველი ეჭირა, მეორეში ძუძუთა თიკნები. თუ ოდესმე აპოლონი ლაომედონტთან სამსახურის დროს მის ჯოგს მწყემსავდა, ისიც ისეთივე იქნებოდა, როგორიც მაშინ მათ წინ მდგომი დაფნისი იყო. არაფერი არ უთქვამს, მაგრამ ლოყები აუღაჟღაჟდა, თვალები დახარა და ბატონს ძღვენი მიართვა. ლამონმა კი თქვა: „ბატონო! აი, ახალი მწყემსი. შენ მიბრძანე ორმოცდაათი წალი და ორი ერკემალი მემწყემსა. ახლა კი მისი შრომით ასი წალი და ათი ერკემალი გყავს. ხედავ, რა მსუქანია, რა სქელმატყლიანი, რქებიც ყველას მთელი აქვს. თხები მუსიკით ისე გაწვრთნილი ჰყავს, რომ სალამურის ხმაზე ყველაფერს აკეთებინებს, რაც თვითონ მოესურვება“.

15. იქვე მდგომმა კლეარისტამ ეს რომ მოისმინა, ნათქვამის შემოწმება მოიწადინა და დაფნისს უბრძანა: დაუკარ სალამური თხებისათვის, როგორც ამას ჩვეულებრივ შვრებიო; შეჰპირდა, დაკვრისათვის კვართს, ქლამინდს და ფეხსაცმელს გაჩუქებო. მაშინ დაფნისმა დასვა სტუმრები, როგორც თეატრში მაყურებლები, თვითონ წიფლის ქვეშ დადგა და ჩანთიდან სალამური ამოიღო; ჯერ მშვიდი სიმღერა დაუკრა — და ყველა თხა გაჩერდა, თავი მაღლა ასწია; მერე ბალახობის სიმღერა დაუკრა — თხებმა თავი დახარეს და ძოვა დაიწყეს; შემდეგ ნაზად კეთილხმოვანი სიმღერა დაუკრა — ყველა თხა მაშინვე დაწვა; მაგრამ აი ყურთასმენის წამღები ჰანგი დაუკრა — თხები, თითქოს მგელი მოიპარებაო, ტყეში გაიქცნენ. ცოტა ხნის შემდეგ მოსახმობი სიმღერა დაუკრა — მწყემსს მოაშურეს ტყიდან გამოსულებმა, მის ფეხთან შექუჩდნენ. მსახურსაც ვერ ნახავ ასეთს, ბატონის ბრძანებას ასე რომ ასრულებდეს. ყველა გაოცდა, ყველაზე უფრო კი კლეარისტა; დაიფიცა, რომ მწყემსს — ასეთ ლამაზს, ამასთანავე მუსიკოსს, ბევრ საჩუქარს გამოვუგზავნიო. მერე ისინი შინ დაბრუნდნენ და სუფრას მოუსხდნენ და ყველა კერძი, რასაც ჭამდნენ, დაფნისს უხვად გაუნაწილეს. ჭაბუკი ქლოეესთან ერთად შეექცეოდა ძღვენს, ტკბებოდა, ქალაქურ საჭმელებს რომ სინჯავდა; დიდი იმედი ჰქონდა, რომ ბატონი თხოვნას შეუსრულებდა და ქორწინების ნებას მისცემდა...

19. ... ასტილოსმა კი, როგორც შენიშნა, რომ მამა ისვენებდა, სწრაფად მივიდა მასთან და თხოვა, დაფნისს ჩემთან ერთად ქალაქს წამოვიყვანო, ძალიან ლამაზია და ყველას სჯობს, ვინც სოფელში ცხოვრობსო, მოკლე ხანში გნათონი მას ყველა ქალაქურ საქმეს შეასწავლისო. მამა ხალისით დასტურს აძლევს და ბრძანებს: ლამონი და მირტალი აქ მომგვარეთო; სურს გაახაროს ისინი და ეუბნება: ამიერიდან დაფნისი ასტილოსს მოუვლის და არა თხებსაო; ლამონს კი პირდება, დაფნისის ნაცვლად ორ მწყემსს მოგცემო. და აი, როცა ყველა მსახურმა თავი მოიყარა და კმაყოფილება გამოთქვა, რომ ასეთი ლამაზი ვაჟკაცი მათთან ერთად მონობას გაიზიარებდა, ლამონმა სიტყვა ითხოვა და ასე დაიწყო. „მოისმინე. ოი ბატონო, ჩემგან, მოხუცისაგან, მართალი ამბავი: პანსა და ნიმფებს გეფიცები, რომ ერთ სიტყვასაც ტყუილს არ ვიტყვი. მე არა

ვარ დაფნისის მამა, მირტალს ბედმა არ უწყალობა, რომ დედა გამხდარიყო. დაფნისი სხვა მშობლებმა მიატოვეს, ალბათ, ჰყავდათ უფრო მოზრდილი შვილები და ახლების ყოლა არ ისურვეს; მე კი იგი ვიპოვე მიტოვებული და ჩემი წალის მიერ გამოკვებილი; და როცა წალი მოკვდა, ბაღის მახლობლად დავმარხე — მიყვარდა იმიტომ, რომ ბავშვს დედობა გაუწია. ბალღთან ერთად ვნახე მის გვერდით დაწყობილი საჩინო ნიშნებიც, — ამას, ბატონო, ახლა ვაღიარებ, — რაც შენახული მაქვს; ეს ნიშნები იმის მაჩვენებელია, რომ დაფნისს უკეთესი ბედი მოელის"...

20. ლამონმა ყველაფერი ეს თქვა და დადუმდა, ცრემლად დაიღვარა; მოსმენილი ამბით გაოცებულმა დიონისოფანემ შუბლი მრისხანედ შეიკრა, გნათონს, უბრძანა: გაჩუმდიო, და ლამონს ხელახლა დაუწყო გამოკითხვა. უბრძანა: მხოლოდ სიმართლე ილაპარაკე და ზღაპრები არ მოჩმახო იმისათვის, რომ ოჯახში ვაჟიშვილი დაიტოვოო. მაგრამ ლამონი თავის ნათქვამზე მტკიცედ იდგა, ყველა ღმერთს ფიცულობდა, როგორც უნდათ, ისე მაწამონ, თუ ვტყუივარო. მაშინ დიონისოფანე ლამონის ნათქვამმა ჩააფიქრა და იქვე მყოფ კლეარისტას მიმართა: „ლამონმა ტყუილი რატომ უნდა თქვას, როცა ერთის მაგიერ ორი მწყემსის მიღება შეეძლო? და უბრალო გლეხი როგორ შესძლებდა ასეთი ეშმაკური ამბის მოგონებას? და განა თავიდანვე უცნაურად არ მოგეჩვენა, რომ მას, მოხუცს და ძალიან შეუხედავ დედას ასეთი ლამაზი ბიჭი შესძენიათ?"

21. და გადაწყვიტეს მარჩიელობაზე ხელი აეღოთ და საჩინო ნიშნები ახლავე გაესინჯათ: ნუთუ მართლა ისინი უფრო დიდებული, ბრწყინვალე ბედის ნიშნებია?! მირტალი წავიდა, რომ ყველაფერი მოეტანა, რაც ძველ ჩანთაში ჰქონდა შენახული. როდესაც მოიტანა, მათ გასინჯვას პირველად დიონისოფანე შეუდგა და, მეწამული პერანგი, ნაჭედი ოქროს ბალთა, სპილოს ძვლის ტარიანი პატარა დანა რომ დაინახა, წამოიძახა: „ზევსო მეუფეო", მაშინვე ცოლს დაუძახა, ნახეო; მან კი ნახვისთანავე იკივლა: „ოი, კეთილო მოირებო! ეს ხომ ის ნივთებია, რომლებიც ჩვენს მიტოვებულ ვაჟიშვილს თან გავატანეთ? სოფროსინა ბავშვის წასაყვანად ამ ადგილებში ხომ არ გაგვიგზავნია! დიახ, ეს სწორედ ის ნიშნებია! ჩემო საყვარელო ქმარო, ეს ჩვენი შვილია, დაფნისი შენი ვაჟია, ის კი მამის თხებს მწყემსავდა!"

22. სანამ კლეარისტა ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, დიონისოფანე კი საჩინო ნიშნებს ჰკოცნიდა და უზომო სიხარულისაგან ტიროდა, ასტილოსმა რომ გაიგო, დაფნისი მისი ძმა იყო, ლაბადა იქვე დააგდო და ადგილს მოსწყდა, ბაღი გადაირბინა, სურდა ძმის კოცნა ყველასთვის დაესწრო. დაფნისმა რომ დაინახა, ასტილოსი მისკენ მირბოდა, ხმამაღლა ეძახდა და მას მთელი ბრბო ასდევნებოდა, იფიქრა, ჩემი დაჭერა უნდაო, თავისი ჩანთა და სალამური დაჭყარა და ზღვისკენ გაიქცა, მაღალი ციცაბო კლდიდან რომ გადაჩეხილიყო; სრულიად უცნაური ბედისწერა იქნებოდა, რომ ეს-ეს არის მშობლების მიერ ნაპოვნი დაფნისი დაღუპულიყო. მაგრამ ასტილოსი განზრახვას მიუხვდა და ისევ დაუძახა: „შესდექ, დაფნის! ნურაფრის გეშინია; მე შენი ძმა ვარ, მშობლები კი ისინი არიან, ვინც დღემდე შენი ბატონები იყვნენ. ეს-ეს არის ლამონმა წალზე გვიამბო და შენი საჩინო ნიშნები გვიჩვენა; მობრუნდი, შემოგვხედე; ყველა მოლხენილი, გახარებული, მომცინარი აქეთ მოეშურება. მაგრამ პირველად მე მაკოცე. ნიმფებს გეფიცები, არა ვტყუი".

23. ასეთი ფიცით ძლივსძლივობით შესძლეს დაფნისის შეჩერება; იგი შედგა, ასტილოსს მოუცადა; როცა მოირბინა, დაფნისმა იგი მკერდში ჩაიკრა და გადაჰკოცნა; სანამ ჰკოცნიდა, სხვებიც მოიჭრნენ, მოახლე ქალები, მსახურნი, თვით მშობლებიც მოვიდნენ. ყველა ეხვეოდა, ჰკოცნიდა, სიხარულისაგან ტიროდა. დაფნისი დედ-მამას უფრო ეალერსებოდა, ვიდრე სხვებს. თითქოს მშობლებს დიდი ხანია იცნობსო, მკერდს

ეკვროდა, ჩახვეული ვეღარ შორდებოდა: ბუნების ხმა ასე სწრაფად გაიძულებს, რომ ერწმუნო. ცოტა ხნით ქლოეც კი გადაავიწყდა. შინ რომ დაბრუნდა, ძვირფასი ტანისამოსი ჩაიცვა, მშობელი მამის გვერდით დაჯდა და მისგან ასეთი ამბავი მოისმინა:

24. „შვილებო, ოჯახს ძალიან ადრე მოვეკიდე და მალე გავხდი, როგორც ვფიქრობდი, ბედნიერი მამა. პირველად ვაჟი შემეძინა, მერე გოგონა, მესამე კი დაფნისი იყო. ვიფიქრე, უკვე საკმაოდ მყავს შვილები-მეთქი და გადავწყვიტე, აი ამ ჩვილზე, რომელიც ამქვეყნად ბოლოს გაჩნდა, ხელი ამეღო. აი ეს ნივთები დავუწყე, — არა როგორც საჩინო ნიშნები, არამედ უფრო როგორც სამგლოვიარო შესაწირავი. მაგრამ ბედმა სხვანაირად ინება. ჩემი ქალ-ვაჟი ერთი და იმავე სნეულებით ერთ დღეს დამეხოცა; შენი თავი კი ღმერთთა განგებამ გადამირჩინა, სიბერეში მარტო ერთი ბურჯი რომ არ გვყოლოდა. მკაცრ მსჯავრს ნუ დამდებ იმისათვის, რომ მიგატოვე: ეს გულარხეინად არ გადამიწყვეტია? შენ კი, ასტილოს, არ იდარდო, მხოლოდ ნახევარს და არა მთელ ჩემს ქონებას რომ მიიღებ. გონიერი ადამიანისათვის ძმის შეძენაზე უკეთესი არაფერია; გიყვარდეთ ერთმანეთი, რაც შეეხება სიმდიდრეს, თქვენ შეგიძლიათ მეფეებს გაეჯიბროთ, ბევრ მიწა-წყალს გიტოვებთ, ბევრ გაწაფულ მონას, ოქროსა და ვერცხლს, უამრავ სხვა ყველაფერს, რაც მდიდარ ადამიანებს გააჩნიათ; აი, დაფნისს ვაძლევ მხოლოდ განსაკუთრებით ამ მამულს, თან ლამონს, მირტალს და იმ თხებს, რომლებსაც მწყემსავდა“.

25. დიონისოფანე ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, რომ დაფნისი წამოხტა და თქვა: „დროზე მომაგონე, მამავ, ახლავე წავალ და თხებს სარწყულებად წავიყვან: ახლა წყურიათ და ჩემს სალამურს ელოდებინ, მე კი აქა ვზივარ“. ყველას მხიარულად გაეცინა — ბატონი გახდა და კიდევ თხების მწყემსობა უნდაო. თხების მისახედად სხვა გაგზავნეს, თვითონ კი ზევსს მსხვერპლი შესწირეს და ლხინზე ყველა მიიპატიჟეს. ამ ლხინს მხოლოდ გნათონი დააკლდა, შიშით შეპყრობილმა მთელი დღე და ღამე დიონისეს ტაძარში გაატარა, ღმერთს ევედრებოდა, დამიფარეო. მთელ მხარეს სწრაფად მოედო ამბავი, დიონისოფანემ ვაჟიშვილი იპოვა, დაფნისი, თხის მწყემსიო; და დილიდანვე ყოველი მხრიდან ხალხი მოეშურებოდა, ჭაბუკის ბედი ახარებდათ და მამასთან ძღვენი მიჰქონდათ. მათს შორის პირველი იყო დრიასი, რომელმაც ქლოე აღზარდა.

26. დიონისოფანემ არავინ გაუშვა, ამ ბედნიერი ამბის მოწმე ყველა მიიპატიჟა, რომ დღესასწაულში მონაწილეობა მიეღოთ. ბევრი ღვინო და პური მოიმარაგეს, ჭაობის ფრინველები, ძუძუს გოჭები, თაფლიანი სხვადასხვანაირი ნამცხვარი. ადგილობრივ ღმერთებს უხვი მსხვერპლი შესწირეს. მაშინ დაფნისმა მთელი თავისი სამწყემსო ქონება შეაგროვა და ღმერთებს შესწირა: დიონისეს — ჩანთა და თხის ტყავი, პანს— სალამური და მრუდი ფლეიტა, ნიმფებს კი თავისი კომბალი და საწველელები: ყოველივე ეს მისი გაკეთებული იყო. ყველაფერი, რასაც შეეჩვია, რამდენად უფრო საყვარელი იყო ჯერ კიდევ უცნობ სიმდიდრეზე! და აი, თვითეულ ამ თავის ნივთს რომ შორდებოდა, დაფნისი მწარედ ტიროდა; თავისი საწველელები უკანასკნელი მოწველის შემდეგ შესწირა, თხის ტყავითაც უკანასკნელად შეიმოსა, თავისი სალამური ჯერ დაუკრა და მერე შესწირა; ყველა ეს ნივთი დაჰკოცნა, თავის წალებს გამოეთხოვა და ყოველ ვაცს შერქმეული სახელი დაუძახა. და იმ წყაროს წყალი დალია, რომელსაც ქლოესთან ერთად სვამდა. თავისი სიყვარულის გამომჟღავნებას კი ჯერ ვერ ბედავდა, ხელსაყრელ შემთხვევას ელოდებოდა.

27. მაშინ, როდესაც დაფნისი ღმერთებს მსხვერპლს სწირავდა, აი, ქლოეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შეემთხვა. მარტო იჯდა და, რასაკვირველია, ტიროდა; თავის ცხვრებს რომ მწყემსავდა, ამბობდა: „დაფნისმა დამივიწყა, მდიდარ საცოლეებზე ოცნებობს. რატომ ვუბრძანე, რომ ნიმფების ნაცვლად წალები დაეფიცნა? ისინი ისევე მიატოვა, როგორც ქლოე. მაშინაც კი, როცა პანსა და ნიმფებს მსხვერპლს სწირავდა, ქლოეს ნახვა არ მოისურვა. ალბათ დედასთან ჩემზე უკეთესი მხევალნი იპოვა. დაე, ბედნიერი იყოს! მე კი სიცოცხლე აღარ მინდა“.

28. აი რას ლაპარაკობდა, აი რა განიზრახა. ამ დროს კი მწყემსი ლამპისი, რომელიც ძროხებს მწყემსავდა, აქ გლეხებთან ერთად მოვიდა და ქლოე მოიტაცა. ლამპისი ფიქრობდა, დაფნისი ახლა მას აღარ შეირთავს და დრიასი მე აღარ დამიწუნებსო. ქლოე რომ მიჰყავდათ, შესაბრალისად გაჰკიოდა. ერთ-ერთმა, ვინც ეს დაინახა, ნაპას აცნობა, მან დრიასს, დრიასმა კი დაფნისს. ჭაბუკი კინაღამ ჭკუაზე შეიშალა: მამას თქმას ვერ უბედავდა და არც ძალა შესწევდა, რომ ეს დარდი გადაეტანა. ბაღში წავიდა, ხმამაღლა კვნესოდა და ასე ლაპარაკობდა: „ვაიმე, რომ მიცნეს! ჩემთვის ჯობდა, რომ მწყემსად დავრჩენილიყავი! რა ბედნიერი ვიყავი მონად ყოფნის დროს! მაშინ... ქლოეს შევცქეროდი, მაშინ... ახლა კი ლამპისმა მომტაცა და თან მიჰყავს; როგორც დაღამდება, მასთან დაწვება. მე კი ვსვამ, ვტკბები. ამაოდ დამიფიცნია პანიც, წალებიც, ნიმფებიც“.

29. დაფნისის ამ სიტყვებს მოჰკრა ყური გნათონმა, რომელიც ბაღში იმალებოდა; გადაწყვიტა, ახლა ხელსაყრელი შემთხვევა მეძლევა, რომ დაფნისს კვლავ შევურიგდეო; ასტილოსის რამდენიმე ახალგაზრდა მსახური წაიყვანა, დრიასს მიაშურა, უბრძანა, ლამპისის ბინისკენ გზა მიჩვენეო და მოჰკურცხლა დასაწევად; სწორედ მაშინ მიუსწრო, როცა ქლოე თავის სახლში შეჰყავდა; ქალიშვილი ხელიდან გამოსტაცა, მასთან მყოფი გლეხები მაგრად მიბეგვა. ლამპისის გაკოჭვა და ომში ჩაგდებულ ტყვესავით თან წამოყვანა უნდოდა. მაგრამ მან გაქცევა მოასწრო. გნათონი რომ დაბრუნდა, დიონისოფანეს უკვე ეძინა, დაფნისს კი თვალი არ დაუხუჭავს, ჯერ კიდევ ბაღში ტიროდა. გნათონი ქლოეს მიუყვანს, ჩააბარებს და ყველაფერს უამბობს, რაც მოხდა; თხოვს, ჩემი ცუდი არ დაიხსომო, მე კი, გნათონი, თან მიყოლიე, უსარგებლო მონა არ ვიქნები, შენს სუფრას ნუ მომაშორებ, თორემ შიმშილით მოვკვდებიო. დაფნისმა თავისი ქლოე რომ დაინახა, გულში ჩაიკრა, გნათონს შეურიგდა, — მან ხომ ასეთი დიდი სამსახური გაუწია, — ქლოეს კი ემუდარებოდა, ჩემი უყურადღებობა მაპატიეო.

30. ერთმანეთს შორის მოითათბირეს და გადაწყვიტეს განზრახული ქორწინების ამბავი ჯერჯერობით არ გაემხილათ. ქლოე სადმე აქ დაემალათ და მხოლოდ დედისთვის გაენდოთ ერთმანეთის სიყვარული. მაგრამ დრიასი ახალგაზრდებს არ დაეთანხმა; მოითხოვდა მამისთვის ყველაფერი ეთქვათ, თან შეპირდა: მამაშენს დავარწმუნებ, რომ ქორწინების ნება მოგცესო. გათენდა თუ არა, დრიასმა ქლოეს საჩინო ნიშნები წაიღო, მივიდა დიონისოფანესთან და კლეარისტასთან, რომლებიც ბაღში ისხდნენ. ასტილოსიცა და დაფნისიც აქვე იყვნენ. როცა სიჩუმე ჩამოვარდა, დრიასმა ასე დაიწყო ლაპარაკი: ისეთივე საიდუმლოება, როგორიც ლამონს ჰქონდა, მაიძულებს ვილაპარაკო იმაზე, რასაც დღემდე საიდუმლოდ ვინახავდი: ეს ქლოე ჩემი ღვიძლი შვილი არ არის, მე არ გამომიკვეთია; სხვა ოჯახში დაიბადა, ნიმფების გამოქვაბულში მწოლიარე ჩვილი ნერბმა გამოჰკვეთა. ეს თვითონ ვნახე, ნახულმა გამაოცა, და აღვზარდე. ამას დამიმოწმებს ეოკონას სილამაზეც, — ჩვენ ხომ ქალიშვილი სრულიად არა გვგავს; ამას დაამოწმებს საჩინო ნიშნებიც, რაც მწყემსებისათვის მეტად ძვირფასია, ამ ნიშნებს დახედეთ და ამ ქალიშვილის მშობლები იპოვეთ; შეიძლება, ქლოე დაფნისის ღირსი აღმოჩნდეს“.

31. დრიასმა ეს განზრახ თქვა; დიონისოფანემაც რომ მოუსმინა, მისი ნათქვამი უყურადღებოდ არ დაუტოვებია, მაგრამ დაფნისს რომ შეხედა და დაინახა, როგორ გაფითრდა იგი და მალულად ცრემლი მოიწმინდა, მაშინვე მიხვდა, რომ შეყვარებული იყო; და მამა, რომელიც, რასაკვირველია, უფრო ღვიძლი ვაჟისათვის ზრუნავდა, ვიდრე უცხო ქალიშვილისათვის, დიდი გულმოდგინებით შეუდგა დრიასის ნათქვამის შემოწმებას. როდესაც საჩინო ნიშნებიც იხილა — დრიასმა ისინი თან მოიტანა — მოოქრული ფაჩუჩები, სამაჯური, თავსაბური, მაშინ ქლოე მოიხმო და უბრძანა: გული არ გაიტეხოო; ისიც უთხრა: ქმარი უკვე გყავს, დედ-მამასაც მალე იპოვიო. კლეარისტამაც ტკბილად მიიღო ქლოე და მორთვა დაუწყო, თითქოს უკვე თავისი ვაჟის ცოლიაო. დიონისოფანე კი დაფნისთან მარტო რომ დარჩა, ჰკითხა: ქლოემ ქალწულობა თუ შეინარჩუნაო და როდესაც დაფნისმა ფიცით დაარწმუნა, ჩვენს შორის კოცნისა და ერთგულების ფიცის მეტი არაფერი ყოფილაო, დიონისოფანეს მათ საშინელ ფიცზე გაეცინა და სუფრასთან მხართეძოზე წამოწოლა უბრძანა.

32. და ახლა აქ შეგეძლო გაგეგო, რა არის შემკობილი სილამაზე. მდიდრულად ჩაცმული, კოხტად თმადავარცხნილი, პირდაბანილი ქლოე ყველას, მის წინათ მნახველსაც, იმდენად უფრო ლამაზი მოეჩვენა, რომ მისი ცნობა თვით დაფნისსაც კი გაუჭირდა. ყოველი კაცი, საჩინო ნიშნებიც რომ არ ენახა, დაიფიცებდა, დრიასი ქლოეს მამა არააო. ამისდა მიუხედავად, იგი და ნაპა ლამონთან და მირტალთან ერთად მხართეძოზე წამოწოლილნი ნადიმობდნენ. მომდევნო დღეებშიც მსხვერპლის შეწირვა კვლავ გრძელდებოდა და სუფრას ღვინიანი ფიალებით ამკობდნენ; თავის მხრივ ქლოემ ღმერთებს შესწირა საკუთარი ნივთები — სალამური, ჩანთა, ცხვრის ტყავი, საწველელები; ღვინო შესწირეს მსხვერპლად იმ ნაკადულს, გამოქვაბულში რომ იყო, — ქლოე ხომ მის ნაპირას იქნა გამოკვებილი და შიგ ხშირად ბანაობდა. გვირგვინებით შეამკო იმ ცხვრის საფლავი, რომელიც ძუძუს აწოვებდა, — ეს ადგილი დრიასმა უჩვენა. ქლოემ თავისი ცხვრებისთვის სალამური დაუკრა. დაკვრა რომ დაამთავრა, ქალღმერთებს შეევედრა, მაპოვნინეთ, ვინც მიმატოვაო, ისინი ღირსნი აღმოჩნდნენ ჩემი და დაფნისის ქორწინებისო.

33. როდესაც სოფელში დროსტარებით უკვე საკმაოდ დასტკბნენ, ქალაქს დაბრუნება გადაწყვიტეს, იქ რომ მშობლების ძებნას შესდგომოდნენ და არც ქორწინება გადაედოთ. დილას გასამგზავრებლად მოემზადნენ, დრიასს მეორე სამი ათასი დრაქმა აჩუქეს, ლამონს კი მინდვრებისა და ვენახების მოსავლის ნახევარი, თხები თხის მწყემსებთან ერთად მისცეს, ოთხუღელი ხარი, ზამთრის ტანისამოსი აჩუქეს, მასა და მის ცოლს აზატობა მისცეს. ამის შემდეგ დიდი ბრწყინვალეებით, ვინ ცხენით და ვინ ეტლით, შინ, მიტილენეს დაბრუნდნენ. ღამით ჩავიდნენ, ამიტომ მაშინ მათი ჩასვლა მოქალაქეებს არ გაუგიათ. როცა გათენდა, მათ სახლთან მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი. მამაკაცები დიონისოფანეს შვილის პოვნას ულოცავდნენ და კიდევ უფრო მხურვალედ დაუწყეს მილოცვა, როდესაც დაფნისის სილამაზე იხილეს; ქალები კი კლეარისტასთან ერთად ხარობდნენ, მან რომ ერთბაშად ვაჟიცა და რძალიც ჩამოიყვანა. ქლოემ თავისი უებრო სილამაზით ყველა გააოცა: ამ ჭაბუკისა და ქალიშვილის ხილვამ მთელი ქალაქი ააჩოჩქოლა, უკვე ბედნიერ ქორწინებას უსურვებდნენ. ნატრულობდნენ, რომ ქლოეს თავისი სილამაზის შესაფერი მშობლები ეპოვნა; და ბევრი მდიდარი ქალი ღმერთებს ევედრებოდა, რომ ასეთი მზეთუნახავი ქალიშვილის დედად აღიარებულნი ყოფილიყვნენ.

34. აი, დიონისოფანემ როგორი სიზმარი ნახა, როცა ხანგრძლივი ფიქრის

ლონგე
დაფნისი და ქლოე

შემდეგ ღრმა ძილს მიეცა. ესიზმრა, თითქოს ნიმფები თხოვენ ეროტს, ბოლოსდაბოლოს დაფნისი და ქლოე დააქორწინეო, და თითქოს ეროტმა თავისი მშვილდი მოუშვა, კაპარჭი გადასდო და უბრძანა დიონისოფანეს, მიტილენეს ყველა დიდგვაროვანი მოქალაქე ლხინზე მოიწვიეო; როცა საბოლოო თასი შეივსება, ყოველ სტუმარს ქლოეს საჩინო ნიშნები უჩვენე, მერე კი საქორწინო ჰიმნი იმღერეო. ასეთი სიზმარი რომ ნახა და ასეთი ბრძანება მოისმინა, დიონისოფანე დილას დგება და ბრძანებს, უხვი სუფრა გაშალეთ, არაფერი დაიშუროთ, რასაც მიწა, ზღვა, ჰაობი და მდინარე იძლევაო; მიტილენეს ყველაზე წარჩინებული მოქალაქეები სანადიმოდ მიიპატიჟა. როცა დაღამდა და თასი შეავსეს, რომლითაც ჰერმესს ჩვეულებრივ ღვინოს მსხვერპლად შესწირავენ ხოლმე, ერთ-ერთმა მსახურმა ლანგრით საჩინო ნიშნები შემოიტანა, სტუმრებს მარცხნიდან მარჯვნივ ჩამოუარა და ყველას უჩვენა.

35. ნიშნები თავისთავად ვერავინ იცნო, მხოლოდ სუფრის ზედა ბოლოში წამოწოლილმა მეგაკლემ — ის მოხუცი იყო — როგორც კი ნიშნებს შეხედა, იცნო და ხმამაღლა წამოიძახა, თითქოს ახალგაზრდობა დაუბრუნდაო. „ამას რას ვხედავ? რა დაგემართა, ჩემო გოგონავ? ნუთუ შენც უვნებელი ხარ, ან იქნებ ვინმე მწყემსმა ეს ნივთები შემთხვევით წაიღო? გემუდარები, დიონისოფანე, მითხარ, როგორ ჩაგივარდა ხელში ჩემი ქალიშვილის საჩინო ნიშნები? ნუ იქნები შურიანი, თვითონ დაფნისი ხომ იპოვე, შვილი მეც მაპოვნინე“. მაშინ დიონისოფანემ შესთავაზა, ჯერ მიამბე, ბავშვი როგორ მიატოვეო, და მეგაკლემ ისევ ხმამაღლა დაიწყო ამბის მოყოლა: „წინა ხანებში ღარიბი ვიყავი; რაც მქონდა, ყველაფერი მაშინ დავხარჯე ხალხისათვის ზეიმების მოსაწყობად, სამხედრო გემების ასაშენებლად. ასეთ მდგომარეობაში ვიყავი, როცა ქალიშვილი გამიჩნდა. სიღარიბეში მის აღზრდას შევუშინდი და თავიდან მოვიშორე, ამ საჩინო ნიშნებით შევამკე: მე ხომ ვიცოდი, რომ ბევრს უნდა ასე მაინც გახდეს მამა. და ბავშვი ნიმფების გამოქვაბულში დავტოვე, ღმერთებს ჩავაბარე. ამის შემდეგ სიმდიდრე ყოველდღე ჩემსკენ მოცურავდა, მემკვიდრე ვაჟი კი აღარ გამიჩნდა. კვლავ მამა ვეღარ გავხდი თუნდაც მეორე ქალიშვილისა. ღმერთები თითქოს დამცინოდნენ, ღამღამობით სიზმრებში მაუწყებდნენ, ნერბი კვლავ მამად გაგხდისო“.

36. დიონისოფანემ ხმამაღლა წამოიძახა, მეგაკლეზე უფრო ხმამაღლა; საწოლზე წამოიჭრა და საუცხოოდ მორთული ქლოე შემოიყვანა. მან თქვა: „აი, ეს ბავშვი მიატოვე შენ, მეგაკლე! ქალღმერთთა განგებით ეს ქალიშვილი ნერბმა გამოჰკვება ისე, როგორც წალმა დაფნისი. შენი საჩინო ნიშნები და ქალიშვილი ჩაიბარე. როცა ჩაიბარებ, დაფნისს მიათხოვე. ჩვენ ორივე მივატოვეთ, ჩვენ ორივე ვიპოვეთ. პანი და ნიმფები ორივესთვის ზრუნავდნენ“. მეგაკლეს მასპინძლის ნათქვამი მოეწონა, თავისი ცოლის როდას მოსაყვანად კაცი გაგზავნა და ქლოე მკერდში ჩაიკრა. ღამის გასათევად აქ დარჩნენ — დაფნისმა დაიფიცა, ახლა კი ქლოეს არავის გავატან, არც მის ღვიძლ მამასო.

37. როცა გათენდა, ახალგაზრდები ერთმანეთს შეუთანხმდნენ და ისევ სოფელში დაბრუნდნენ: ამისთვის დაფნისსა და ქლოეს დიდი მუდარა დაჭირდათ—ქალაქში ცხოვრება ვერ აიტანეს. მშობლებმა გადაწყვიტეს მათთვის მწყემსური ქორწილი გადაეხადათ. როცა ლამონთან ჩავიდნენ, მეგაკლეს დრიასი მიუყვანეს, როდა კი ნაპას გააცნეს და ბრწყინვალე ქორწილის სამზადისს შეუდგნენ. და აქ მამამ ქლოე კვლავ ნიმფებს ჩააბარა და სხვა მრავალ შეწირულებათა შორის საჩინო ნიშნებიც შესწირა, დრიასს კი დაუმატა ის, რაც ათი ათას დრაქმამდე აკლდა.

38. საუცხოო ამინდი იყო და დიონისოფანემ ბრძანა ნადიმისთვის მხართეძოზე წამოსაწოლად აქვე გამოქვაბულის წინ მწვანე ფოთლები დაეფინათ. ლხინ-

ზე ყველა ახლომახლო მოსახლე გლეხი დაპატიჟა და უხვად გაუმასპინძლდა. აქ იყვნენ ლამონი და მირტალი, დრიასი და ნაპა, დორკოს ნათესავები, ფილეტასი თავისი ვაჟიშვილებით; აქ იყო ლამპისიც კი, რომელსაც დანაშაული აპატიეს. და აქ ყველაფერი ისე იყო, როგორც ამგვარ ნადიმებზეა ხოლმე — უბრალოდ, სოფლურად, ზოგი მღეროდა, როგორც მკელნი მღერიან, ზოგი გამომწვევად ხუმრობდა, თითქოს საწნახელებში ყურძენს წურავენო; ფილეტასი სალამურს უკრავდა, დრიასი ლამონთან ერთად ცეკვავდა, დაფნისი და ქლოე ერთმანეთს ჰკოცნიდნენ; თხები აქვე მახლობლად ძოვდნენ, თითქოს ზეიმში ისინიც მონაწილეობენო. ქალაქელ სტუმრებს ეს არცთუ ძალიან მოსწონდათ, სამაგიეროდ დაფნისი ზოგიერთ წალს სახელს ეძახდა, მწვანე ფოთოლს აწოდებდა, რქებში ხელს სტაცებდა და ჰკოცნიდა.

39. და დროს ასე ატარებდნენ არა მხოლოდ იმ დღეს, — თავიანთი არსებობის უმეტესი ნაწილი მწყემსურად იცხოვრეს: თაყვანს სცემდნენ ღმერთებს — ნიმფებს, პანსა და ეროტს; შეიძინეს დიდძალი თხა-ცხვარი და ყველაზე გემრიელ საჭმელად მიაჩნდათ ხილი რძით. როცა ვაჟი შეეძინათ, იგი წალს გამოაკვებინეს, როდესაც მეორე ბავშვი გაუჩნდათ, ნერბს შეუსვეს ცურქვეშ. ვაჟს ფილემონი დაარქვეს, გოგონას კი აგელა. ასე იცხოვრეს მწყემსურად სიბერემდის, გამოქვაბული შეამკეს, სურათებით მორთეს და ეროტის — მწყემსის პატივსაცემად საკურთხეველი აღმართეს, პანისთვის კი სადგომი მოაწყვეს არა ფიჭვის ქვეშ, არამედ ტაძარში და ამ ტაძარს პანი-მეომრის ტაძარი უწოდეს.

40. მაგრამ ეს ყველაფერი მერე მოაწყვეს და ასეთი სახელებიც მერე შეარქვეს. იმ დღეს კი როცა შებინდდა, ახალგაზრდები ყველამ საქორწინო ოთახამდე მიაცილა, სალამურებს, ფლეიტებს უკრავდნენ, წინ უზარმაზარი ჩირაღდნებით მიუძღოდნენ. როცა გამცილებლები კარს მიუახლოვდნენ, ხრინწიანი, უხეში ხმებით ამღერდნენ, თითქოს ორთითით მიწას ფშვნიანო, საქორწინო სიმღერას აღარ მღეროდნენ. დაფნისი და ქლოე კი ერთმანეთს ჩაეხვევნენ, ჰკოცნიდნენ და უძილო ღამე გაატარეს — იმდენიც კი არ უძინიათ, რამდენიც ღამის ბუკიოტებს. და დაფნისმა ყველაფერი გააკეთა, რაც ლიკაინიონმა ასწავლა. და ქლოეც მაშინ პირველად მიხვდა, რომ ყველაფერი ის, რასაც ტყეში სჩადიოდნენ, მხოლოდ მწყემსური ხუმრობა იყო.

ლონგე
დაფნისი და ქლოე

აკაკი გენაძე

წუთისოფლის კალო

მიმოდიან წლები
და სიცოცხლე გალობს...
მზე დადის და ლეწავს
წუთისოფლის კალოს.
მიმოდიან წლები,
ჟამი იქნევს ცელს...
და ნადიმით ვხვდებით
ყოველ ახალ წელს.
დეკემბერი ნაძვის ხეებს
პატარძლებად რთავს.
თოვლის ფიფქი ღიმილივით
ეფინება მთას.
ჰა, ეს წლები, ბოლო წლები
არ ედრება სხვას:
კაცის ძე და მიწის შვილი
ცაში იკვლევს გზას.
არ უნახავს არასოდეს
ცას ამდენი რამ,
სხვანაირად გადმოხედა
დედამიწას ცამ.
მზე სიცოცხლის ბაირაღებს
უფრო მაღლა სწევს,
ზეცის ახალ კარებს ვაღებთ
ყოველ ახალ წელს.
ფოთლებივით სცვივა წლები
წუთისოფლის ხეს...
და ჩვენ ლხინით ვეგებებით
ყოველ ახალ წელს.
გზაზე ვუფენთ სიტყვის ვარდებს,
თაფლით ვუვსებთ პირს,
რომ სულ სიტკბო დაგვიბედოს,
აგვარიდოს ჭირს.
ხალხი ავსებს იმედებით
ყოველ ახალ დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიცოცხლის სადღეგრძელოდ
თასებს მაღლა სწევს.
მზე დადის და ლეწავს
წუთისოფლის კალოს...
მიდი-მოდის ხალხი
და სიცოცხლე გალობს.

☆ ———

სულში შრიალებს იმედის ოლე

ჰა, ოცზე მეტი გაფრინდა წელი,
მინდვრად ბალახი ბევრჯერ გადახმა.
ომში დაკარგულს მე ისევ გელი,
გელი, გეძახი: ძმაო, სადა ხარ?

იქნებ ვერ სძლიე სიკვდილის ლახვარს?
ვერც ის გავიგე, ცოცხალი თუ ხარ.
ნეტავ რა ცეცხლი უნთია ახლ'
მაგ შენი გულის იდუმალ ბუხარს?

შენს ზიარ კერას დღეს ისე ვუვლი,
თითქოს მშველოდეს შენი მარჯვენაც.
ვერ დავარწმუნე ვერაფრით გული,
შენი სიკვდილი, რა ვქნა, არ სჯერა.

ხან დავაქროლებ იმედის მერანს,
ხანაც სევდიანს ცრემლები მახრჩობს.
ვერ გავუკეთებ შენს სურათს, ვერა,
მწიფე მაყვლისფრად შეღებილ ჩარჩოს.

არა, შენ ჩემთვის არა ხარ მკვდარი,
თუმც უამბობა ხშირად მაშინებს.
თუ გზაზე უცხო შევნიშნე მგზავრი,
შენ მელანდები, ძმაო, მაშინვე.

როდესაც ძილში გიხილავ ხოლმე,
ვნატრობ: მიებას სიზმარს სიზმარი.
სულში შრიალებს იმედის ოლე,
ოლეს დანათის თავზე ცისკარი.

ჰა, ცოცხლად მხოლოდ სიზმრებში ვხ'ედავ
და ეჭვის გულჭრელ ღრუბლებთან ვდაობ.
ტყვიისფერ ნისლად მეხვევა სევდა
და ცას გავსძახი: სადა ხარ, ძმაო?

სულში ირხევა ნუგეშის ფარდა,
ტალღა ეხლება იმედის კიჩოს.
მოდიხარ სიზმრად, მოდიხარ ლანდად,
მაგრამ ნამდვილად სადა ხარ, პიჭო?

დრო-ჟამმა მთა-ბარს გადაუარა,
მზე ფანტავს ცაზე დაწოლილ ნისლებს...
ამ ქვეყანაზე სხვაგან თუ არა,
ჩემს გულში ხომ ხარ ცოცხალი ისევ!

ზეცა უძირო, ზეცა მოწყალე,
სავსეა ჩემი ფიქრთა ღრუბლებით...
ჩემს გულში მაინც ხომ ხარ ცოცხალი,
ჰოდა, ჩემს გულში გესაუბრები.

ჰა, ოცზე მეტი გავიდა წელი,
მინდვრად ბალახი ბევრჯერ გადახმა.
ომში დაკარგულს მე ისევ გელი,
გელი, გეძახი: ძმაო, სადა ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ნარკვევი მოგვითხრობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს სწავლების განყოფილების მოწინავე სტუდენტების ცხოვრებასა და შრომაზე.

სტუდენტები

ვალერიან ჩეკურიშვილი

ნარკვევი

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გახსნილია საღამოს სწავლების განყოფილება. ეს იმათთვის, ვინც ახლაც შრომობს, საკუთარი მარჯვენით ქმნის, აშენებს, თავისი წვლილი შეაქვს სახალხო დოვლათის შექმნაში, მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

ასეთები კი ბევრნი არიან.

ამ ნარკვევებით მკითხველი გაეცნობა მხოლოდ სამ სტუდენტს. ისინი საგანგებოდ არ ამოგვირჩევია. მათი ცხოვრება და საქმიანობაც დაახლოებით ისეთივეა, როგორიც დანარჩენებისა.

1. რომან პავლიაშვილი

დილით გაიღვიძებს თუ არა, ნამძინარევი თვალებით საათს შეხედავს. რა თქმა უნდა, შვიდის ნახევარია. შემოწმებაც არ უნდა, რომანს რომ გაეღვიძება, ეს იმას ნიშნავს, საათი შვიდის ნახევარს უჩვენებს. მაგრამ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, მაინც შეამოწმებს.

მერე წევს და ფიქრობს:

ამ ოჯახში იგი ერთადერთი მამაკაცია, რომლის იმედიც აქვთ ოჯახის დანარჩენ წევრებს.

1941 წლამდე კი სხვა კაცი იყო ამ ოჯახის იმედი. მასაც უყვარდა ოცნება სიცოცხლეზე, ცხოვრებაზე, მომავალ-

ზე... უხაროდა ერთადერთი ვაჟის, — რომანის ტიტინი. მაგრამ მას ტკბილი ოცნებები არ ახდომია. ადამიანების ბედნიერებაში ომი ჩაერია და იოსებ პავლიაშვილიც ქერჩის ქარცეცხლმა შთანთქა.

„თუ ვერ დავბრუნდი, რომანი უსწავლელი არ დამიტოვოო“, — დაიბარა ფრონტზე წასვლისას. რუსუდანს ყოველთვის ახსოვდა მეუღლის სიტყვები. მარტოხელა ქალს ძალიანაც უჭირდა, მაგრამ იოსებს მაინც შეუსრულა უკანასკნელი თხოვნა, — შვილს საშუალო დაამთავრებინა.

მერე რომანმა თვითონ დაიწყო ცხოვრებაში გზის გაკვლევა; საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს სწავლების განყოფილებაზე მოეწყო.

ცას შესწვდა დედა სიხარულით!

მალე მუშაობაც დაიწყო. დედის ხელფასს თავისი შრომითი შემოსავალიც მიუმატა და ოჯახიც მომძლავრდა.

პირველ კურსზე სწავლობდა, სამხედრო სამსახურში რომ გაიწვიეს. საშიში არაფერი იყო, რომანი მშვიდობის ჯარისკაცი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დედა მაინც ატირდა გაცილების დროს. თუ გაცილება მწარე და ცრემლიანი იყო, დახვედრა — ტკბილი და ღიმილით სავსე. დედის გული საგულეს ჩადგა. იმედებმა ისევ იწყეს აყვავება. ამ ზაფხულს კი ახალი სიხარული და ბედნიერება შეიტანა რომანმა ოჯახში, — დედას რძალი მიჰგვარა.

და აი, ახლა საკუთარ ჭერქვეშ წევს და გრძნობს, რომ მისი იმედი აქვთ ადამიანებს. ტკბილია ასეთი გრძნობა!

— ადექი, რომან, დაგაგვიანდება! — შეახსენა მეუღლემ.

ადგა. დრო ცოტაღა რჩებოდა და სწრაფად ისაუზმა. კარებში გასულს დედამ ისევ მიაძახა, ფრთხილად იარეო.

„საკვირველია, დედას როგორ არ ავიწყდება ამ ორი სიტყვის თქმა“, — ფიქრობდა ქუჩაზე მიმავალი რომანი. რაც თავი ახსოვდა, დედა ყოველთვის ასე აბარებდა სახლიდან გამოსვლისას.

ქალაქი მზის სხივებით იყო მოსირმული. მაღალი შენობები ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს ოქროსწყალში ყოფილიყვნენ გავლებულნი.

გრილი ნიავი მხიარულად აშრიალებდა ჭადრებს.

ჩქარობდნენ ქუჩაში გამოსული ადამიანები. ყველას სერიოზული და საქმიანი გამომეტყველება ჰქონდა. მერე ფაბრიკა-ქარხნების საყვირები მოედო მთელ ქალაქს. ისინი სხვადასხვა ხმაზე გუგუნებდნენ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მთელი ქალაქი მღეროდა.

სადგურთან, ლიანდაგებს ზემოდან გადაჭიმულ ხიდზე რომ გადადიოდა, რომანს მოეჩვენა, თითქოს მატარებლებიც ახალი გაღვიძებულები იყვნენ. ისინი ლიანდაგებზე ქოთქოთებდნენ, რკინის ფილტვებიდან ორთქლის ღრუბლებს უშვებდნენ და ჰკიოდნენ. შორ გზას ეპირებოდნენ წასვლას...

დიდუბისკენ მიმავალი ტრამვაი ხალხით იყო გაჭედილი.

წერეთლის პროსპექტს მუშები შესეოდნენ. ქუჩის რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა: ცვლიდნენ ტრამვაის რელსებს, ხელახლა აგებდნენ ასფალტს.

ვატმანი გაჩერებიდან გაჩერებამდე მხიარული წკრიალით მიაქროლებდა დახუნძლულ ვაგონებს.

რომანი კიბეზე იდგა და ნიავი თმებს უწეწავდა. უყურებდა ახალ აშენებულ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს და უხაროდა. უხაროდა იმიტომ, რომ იცოდა, ადრე თუ გვიან მასაც მოუწევდა ასეთ კეთილმოწყობილ ბინაში შესახლება.

კომბინატის შესასვლელთან ბიძია სანდროს მიესალმა.

— ჰაი გაგიმარჯოსო, — ხალისიანად უპასუხა ღამენათევმა კაცმა.

მექანიკურ საამქროში ზეინკალი ბიჭები შეკრებილიყვნენ, ზოგი იდგა, ზოგი იჯდა. რაღაც ამბებს ჰყვებოდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ. მათ ყოველთვის

ასე იციან მუშაობის დაწყებამდე. მით უმეტეს დღეს შაბათია. ყველას უყვარს ეს მოკლე სამუშაო დღე და უყვარს რომანსაც. საღამოს ინსტიტუტში ლექციები არა აქვთ. თან, რაც მთავარია, დილას მეუღლეს შეპირდა, სამუშაოდან რომ დავბრუნდები, ბიძაშენთან წავიდეთო.

აზას გაეხარდა.

გაეხარდებოდა აბა რა, ბიძამისი ყოველთვის ბუზღუნებს, რატომ არ მოდიხართო. ერთხელ შეპირდნენ, მაგრამ ისე მოხდა, იმ დღეს ვერ ესტუმრნენ. დღეს კი აუცილებლად წავიდეთო, — დათქვეს.

ეს სამუშაო დღეც ჩვეულებრივ დაიწყო; რომანმა იქვე მტკვრის ნაპირას ჩაირბინა და წყლის ტუმბოები ჩართო.

რომანი წყალს რომ გაუშვებს, მერე მთელი კომბინატი ვეებერთელა ცოცხალ ორგანიზმად წარმოუდგება. მილები თითქოს სისხლის ძარღვები იყოს, მიჩქეფს შიგ წყალი და მოძრაობაში მოჰყავს მთელი საწარმო.

კომბინატმა მუშაობა დაიწყო; რუსთავიდან მოსული ცემენტით დატვირთული მანქანები იცლებოდა, მზადდებოდა ქალაქის მშენებლობისათვის ბეტონის ხსნარი, ბლოკები, კიბეები...

ყველა უბანს თავისი სპეციალისტი და გულშემატკივარი ჰყავს. ზეინკალი ბიჭების საქმე კი სულ სხვაა. მექანიზმების ნორმალურ მუშაობას უნდა ადევნონ თვალყური.

თუ რამე დაზიანდება, მაშინვე გამოიძახებენ. ბიჭები იმ წუთშივე მოსპობენ შეფერხების საშიშროებას და მორჩა, ყველაფერი რიგზე იქნება.

მაგრამ სერიოზული შეფერხება? — დაგიფაროს! აქ რუსთავიდან მოსული ცემენტით დატვირთული მანქანები მოზღვავდება, იქ მშენებლებს შემოელევათ ბეტონი და ათასობით მუშა და მანქანა მოსცდება...

მაგრამ ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება.

როცა კომბინატი ნორმალურად მუშაობს, ზეინკლები მექანიკურ საამქროში თავისუფლად სხედან. ასეთ დროს რომანს ჩხირკედელაობა უყვარს. ახლაც არმატურის რკინისაგან მრგვალი სავარძლის კარკასის კეთებას განაგრძობდა.

ზეინკლები დიდხანს არ დარჩენილან უქმად. საამქროში ცვლის ოსტატი, ძია სერგო შემოვიდა და ბიჭებს უთხრა, პატარა ბეტონსარევის საგორავები ჩამოვარდა, არიქა, რამე მოუხერხეთო.

რომანმა და ვალოდია რევამ სამუშაო იარაღები აიღეს და ბეტონის ხმაურიან საამქროს მიაშურეს. ხმაური იქნება, აბა რა, ათასორასლიტრიანი ბეტონსარევები განუწყვეტლივ ტრიალებენ, დგას ბუღი და ორომტრიალი...

ბიჭებმა ნახევარ საათში თავის ადგილას დააყენეს საგორავები. ბეტონსარევმა კვლავ განაგრძო მუშაობა.

საამქროში არ იყვნენ მისულები, რომ ახლა ბრიგადირი მიტო გაბოშვილი დაეწიათ. ცემენტის ბუნკერებზე ვიბრატორის ქანჩებია მოშვებული, თუ არ დავამაგრეთ, ჩამოვარდებაო.

მიბრუნდნენ და ისიც შეაკეთეს.

შესვენებაზე რომანი წითელ კუთხეს მიაშურებს ჭადრაკის სათამაშოდ. მერე ისევ დაიწყება მუშაობა. ზეინკალი ბიჭები მთელ კვანძს ჩამოუვლიან, შეამოწმებენ. შემდეგ ისევ თავიანთ საამქროს მიაშურებენ და ასე ამოიწურება სამუშაო დრო.

იმ დღეს კი ბედმა უმტყუნა ბიჭებს. სამუშაო დღეს თითქმის დამთავრებულად სთვლიდნენ, რომ მოხდა ის, რასაც ყველაზე უფრო ერიდებოდნენ: ელევატორის ლენტი გაწყდა და ნაწილები ერთმანეთში გაიხლართა.

ელევატორი ქარხნის არტერიაა. ლენტზე დამაგრებული კოვზებით იგი სარდაფიდან ცემენტს ეზიდება და ოცდაათი მეტრის სიმაღლეზე ბუნკერებში ყრის. ლენტის გაწყვეტა მთელი საწარმოს გაჩერებას ნიშნავს. სად გინდა წაიღო რუსთავიდან მოტანილი ცემენტი? უკან ხომ ვერ გაატან, ან ქუჩა-

---

ვალერიან ჩეკურიშვილი

სტუდენტები

ში ხომ ვერ დააყრევინებ?! რა უნდა გაუგზავნო მშენებლებს ობიექტებზე?

ბიჭებს ხასიათი გაუფუჭდათ, მაგრამ რას იზამ?

სახლში წასვლაზე არავის უფიქრია, საამქროს უფროსმა კი მაინც თავისი თქვა, — ვიდრე არ გააკეთებთ, შინ ვერ წახვალთო. რომანს გული მოუვიდა საამქროს უფროსზე. ისე გამოდიოდა, თითქოს მარტო მას შესტკიოდა გული საქმეზე და მეტს არავის.

დაიწყეს მუშაობა. თოკი ჩააბეს ლენტს, ავიდნენ მაღლა, დაუწყეს ქაჩვა, მაგრამ ამაოდ. იგი მაგრად იყო გაჭედილი. ძნელი იყო მუშაობა. ირგვლივ ცემენტის მტვერი დადგა და ბიჭები თაბაშირის ქანდაკებებს დაემსგავსნენ.

ნერვების მომშლელად იყო ლენტი გაჭედილი. ვერაფერი მოუხერხეს. საჭირო იყო იმ ვიწრო ყელში ჩასვლა. მაგრამ ეს არ იყო ადვილი საქმე.

გივი კვანტალიანი ამხანაგებში ყველაზე პატარა ტანისაა. ტანით არის პატარა, თორემ საზეინკლო საქმის ცოდნაში არავის არ ჩამორჩება.

— მე ჩავალ, თორემ თქვენც შიგ გაიჭედებით და ახლა თქვენი ამოყვანა გამიჭირებს საქმეს! — იხუმრა გივიმ, დაღუნა თავი და როგორც იქნა ჩაძვრა.

მთავარი მექანიკოსი ზურაბ ნანიტაშვილი შეშფოთებული აფრთხილებდა, თუ ძმა ხარ, თავს არაფერი აუტეხოო. არა და კაცი გულშემოყრილი იყო. დრო გადიოდა, კომბინატთან ცემენტით დატვირთული მანქანების კოლონა იზრდებოდა.

საშინლად დაიღალნენ ბიჭები. არბოდნენ და ჩამორბოდნენ ოცდაათი მეტრის სიმაღლე კიბეზე. ექაჩებოდნენ ლენტს, ხსნიდნენ და ჭრიდნენ ირგვლივ ყველაფერს, რაც კი ხელს უშლიდათ. ეს ქარიც თითქოს მათ ჯიბრზე უბერავდა, — ცემენტს აბღვიერებდა.

როგორც იქნა, დაადგა საშველი, — დაამთავრეს საქმე, გაუშვეს ლენტი. ყველაფერი წესრიგში იყო. ისე მიმდინარეობდა მუშაობა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

დოინჯშემოყრილი ბიჭები იდგნენ და შეჰყურებდნენ, — ვეება კოვზებს როგორ აჰქონდათ ცემენტი ბუნკერებისაკენ. მერე რომანმა ამხანაგებს გადახედა. გივი კვანტალიანი, ალექსი ტიგიშვილი, ნორიკ ამიროვი, ვალოდია რევა ისეთი კარგები, ისეთი ვაჟკაცები ეჩვენებოდა, თითქოს მათზე უკეთესნი ამქვეყნად აღარ ყოფილიყვნენ.

თაბაშირის ქანდაკებებმა სიგარეტები გააბოლეს. რომანი საერთოდ არ ეწევა პაპიროსს, მაგრამ იმ წუთში მასაც მოუნდა გაბოლება.

ცხელი წყალი რომ გადაივლეს ტანზე, მაშინღა იგრძნეს ბიჭებმა ნამდვილი დაღლილობა...

გაწკეპილები, დავარცხნილები გამოვიდნენ ქუჩაში. პატარა ჯიხურთან შეუხვიეს და თითო ტოლჩა ლუდი დალიეს. მშიერზე და დაღლილზე ლუდიც ვაჟკაცი ყოფილა, — თავი გაუბრუა რომანს.

გზაში გაახსენდა, რომ აზას ბიძასთან უნდა წასულიყვნენ. „ეჰ, ერთხელ კიდევ მოვატყუეთ ის კაცი“, — ჩაილაპარაკა თავისთვის და საათს დახედა.

უკვე გვიანი იყო. ქალაქს ბინდი ეფინებოდა. აქა-იქ ელნათურები აინთო. ქუჩაში ადამიანები ნელი, დაღლილი ნაბიჯებით მიდიოდნენ.

„კიდევ კარგი, დღეს შაბათია, ინსტიტუტში მეცადინეობა არა გვაქვს, თორემ ალბათ ლექციაზე ყვინთვას დავიწყებდი. სხვა რომ არაფერი, უხერხულია. რას იტყოდა ლექტორი“... — ფიქრობდა სახლისაკენ მიმავალი.

მერე გაახსენდა: დეკანს — შალვა დობორჯგინიძეს როგორი მორიდებით მიუტანა განცხადება, — სამშენებლო ფაკულტეტიდან არქიტექტურულზე გადამიყვანეთო.

დეკანმა მიზეზი ჰკითხა.

რომანიც ადგა და გულწრფელად მოუყვა, ჯარში ყოფნის დროს უფროსებმა როგორ შენიშნეს მისი ნახატები.

მოეწონათ, შეაქეს და კლუბში გადაიყვანეს მხატვრად. კაფეს აშენებას ფიქრობდნენ და მისი ესკიზის შექმნა რომანს დაავალეს.

გააკეთა. მოიწონეს. ინჟინრებმა იმ ესკიზის მიხედვით შექმნეს პროექტი და ხორცი შეასხეს რომანის ნაფიქრალს.

კეთილი კაცია დეკანი. მიხვდა, ბიჭი არქიტექტურით იყო გატაცებული და უარი არ უთქვამს, ახლა ისევ მეორე კურსელია, მაგრამ რომანი არ დარდობს, წელი რომ დაეკარგა. სამაგიეროდ, საყვარელ პროფესიას ეუფლება.

შინ შეშფოთებული დახვდნენ.

რომანმა დაგვიანების ნამდვილი მიზეზი დამალა. ბიჭებმა ლუდზე დამპატიჟეს და იქ შევყევითო, — იცრუა. იღიმებოდა, არ უნდოდა დედას შეემჩნია დაღლილობა. იცოდა, გული ეტკინებოდა.

„ის კაცი მეორედაც მოვატყუეთ“,— ფიქრობდა ფანჯარასთან მიმჯდარი.

უკვე გვიანი იყო. ქალაქი ელნათურების ზღვაში ირწეოდა. ქალაქი თითქოს დაღლილი იყო და თვლემდა...

2. ჯიმშერ სოხაძე

ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცია. ფერი არ აკლია და ხორცი. ლაპარაკი დინჯი და დამაჯერებელი იცის. სოფელში ასეთ ჯეელს დაღვინებულ ვაჟკაცს ეძახიან.

დილით სახლიდან გამოსულს ნაცნობები უფრო ხშირად უბრალოდ ჩაცმულს ხედავენ. ყოველთვის ეტყობა, რომ სამუშაოზე მიეჩქარება.

— ჯიმშერ, იქვე მუშაობ? — შეეკითხებიან.

— დიახ, იქვე.

— მცხეთაში ძორჩით სამუშაოებს?

— ჯერ არა. ახლაც იქ მივდივარ.

მერე ერთმანეთს დაემშვიდობებიან და ჯიმშერი მცხეთისკენ მიმავალ მანქანას დაელოდება.

სულ ერთია, რომელ მანქანას გაყვება, — ავტობუსს, საბარგოს თუ თვითმცლელს. მთავარია, არ დააგვიანდეს.

— აქ გამიჩერე, — ეტყვის მძღოლს.

მანქანა ხიდთან მოსახვევში გაჩერდება.

ჯიმშერი მძღოლს მადლობას გადაუხდის. ავტობუსი თან გაიყოლებს ახალგაზრდების ბაქა-ბუქს სპორტსა და სპორტსმენებზე. თვითონ უკან დაბრუნდება, ოციოდე მეტრს გაივლის. ალმართს აუყვება. რკინიგზას გადაჭრის და ვასილ როსტიაშვილის ნასახლარს მიადგება.

გეგონებათ, სახლს ყუმბარა დასცემიაო, ნასახლარში ისე დგანან სანახევროდ დაშლილი კედლები. ქვა-ღორღზე ხავსი და ბალახი ამოსულა, კედლებზე შერჩენილი ბათქაში ქარ-წვიმას ჩამოურეცხია, კარ-ფანჯრის ჩარჩოები მიღრეცილ-მოღრეცილა...

ასეთი სურათის დანახვისას ომგადახდილთ ალბათ ძველი იარები აეშლებათ და ამოიოხრებენ: „ამ კედლებში ცხოვრობდნენ ადამიანები, იყვნენ ბედნიერნი, ახლა კი...“

ახლა ამ ნასახლარის პატრონი არც ოხრავს, არც გმინავს. თუ ესტუმრებით, ნანგრევებზე ჩამოჯდება და უდარდელი ღიმილით მოგიყვებათ სახლის აშენებისა და დანგრევის ისტორას.

ამბავი კი ყოველთვის ასე იწყება:

ვასილ როსტიაშვილს სახლის აშენება უნდოდა, ეზოც ჰქონდა და სასახლკარეც, მაგრამ იფიქრა, ეზოს უკანა მხარეს ბუჩქნარი გაეკაფა, გორა გადმოენგრია, მიწა გაესწორებინა და საძირკველი ისე ჩაედგა. ასე ჯობდა ვასილის აზრით; წინ უფრო მეტი ეზო დარჩებოდა.

ვალერიან ჩეკურიშვილი
სტუდენტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიხმარა მუშები, დაიწყეს მუშაობა. ნატრობდა, ბექობის გადმოთხრისას კლდე შეხვედროდათ. ეს სასარგებლო იქნებოდა, რადგან ქვა სამშენებლოდ გამოადგებოდა.

ამოძირკვეს ბუჩქნარი, დაიწყეს გადმოსწორება. აქა-იქ თუ აღმოჩნდებოდა პატარა ქვა, იმასაც გვერდზე გადაადებდნენ, დაგვჭირდებაო.

გასწორდა მიწა, დაიწყეს საძირკვლის გათხრა. მოქნეული წერაქვი ლოდს მოხვდა.

უცნაური ხმა გამოსცა ლოდმა და წერაქვმა.

ისევ დაეცა წერაქვი ლოდს, ისევ ყრუდ განმეორდა გუგუნი.

უკვირდათ, მაგრამ ვერაფერს მიხვდნენ.

ლოდი დიდი ჩანდა. მისი ამოგდება კი აუცილებელი იყო.

წერაქვის დარტყმისას მიწა ბუბუნებდა, თითქოს ჯავრობდა, ხელს ნუ მახლებთო.

გარშემო შემოაცალეს მიწა და ვასო ლოდს დაეჭიდა.

ვერ ამოაბრუნა. ორნი დაეჭიდნენ. მაინც ვერ დასძრეს. ოთხმა კეტებიც მოიშველიეს და ძლივს აჯობეს.

ლოდი ამობრუნდა და ნალოდარში მიწა ჩაზვავდა. გორახები სადღაც ქვესკნელში ცვიოდნენ და უცნაურ ხმას გამოსცემდნენ.

ჯოხი გამოსჭრეს და შიგ ჩააყუდეს. ორ მეტრზე მეტი სიღრმე ჰქონდა.

გაოცებულნი ერთმანეთს უყურებდნენ და არ იცოდნენ, რომ ორმობნელიდან ცხრამეტი საუკუნის საიდუმლოება იყურებოდა.

იმ დღეს ტელეფონმა ეს ამბავი ჯერ მილიციას აცნობა, მერე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას.

მოვიდა მილიცია.

მოვიდნენ მეცნიერები და სპეციალისტები. საქმეზე ხელი ააღებინეს ვასილს და თვითონ დაიწყეს გათხრითი სამუშაოები. ო, რა ფრთხილად, რა ფაქიზად ეპყრობოდნენ თვითეულ კენჭსაც კი.

ასე მუშაობდნენ კარგა ხანს. ბოლოს ყველაფერი გასაგები გახდა: აღმოჩენილი იქნა უძველესი და უიშვიათესი ქვის სამარხი: აკლდამაში ქალის ჩონჩხი და მცირეოდენიღა სამკაულები.

მეცნიერები გულისტკივილით ლაპარაკობდნენ სამარხის ამონგრეულ თაღზე. აქედან ჩასულან, სამარხი გაუძარცვიათ, მერე იმ ამონგრეულზე ეს უხეში ლოდი დაუფარებიათო, — ამბობდნენ.

რამდენი ავაზაკობა აქვთ ჩადენილი საქართველოს მტრებს! საუკუნეები გადის და მათი ნაავკაცარი, დღესაც გულისტკივილს იწვევს...

მეცნიერები საქმით იყვნენ გართულნი. ვასილმა კი გეგმა შეცვალა და სამარხიდან ცოტა მოშორებით გათხარა საძირკველი, ააშენა სახლი.

წლები გავიდა, მეცნიერთა ინტერესი კი არ შენელებულა აკლდამის მიმართ. მოდიოდნენ, მთელი დღეები დასტრიალებდნენ, ლაპარაკობდნენ, მსჯელობდნენ.

მერე გარშემოც გათხარეს და აღმოაჩინეს გალავანი, გალავანში კი — ცხენის ჩონჩხი.

დაიბარეს ვასილი და აუხსნეს: ეს აღმოჩენა დიდი ეროვნული საქმეა. აკლდამას საცავი პავილიონი უნდა ავუშენოთ, გზა უნდა გამოვიყვანოთ. თქვენი სახლი ახლოსაა, ხელს გვიშლის, ამიტომ უნდა გადადგაო.

კაცმა მართალი რომ თქვას, არც თვითონ ვასილ როსტიაშვილს ეპიტნავებოდა სახლის ახლოს საფლავი და სამარხი. ადგა, ძველი დაანგრია იმავე ეზოში უფრო მოხერხებულად ააშენა ლამაზი სახლი.

ამ ამბავს ისე ხალისიანად ჰყვება ჭაღარა კაცი, აშკარად ეტყობა, ეამაყება. ასე იყო თუ ისე, მისმა დაკრულმა წერაქვმა აღმოაჩინა ეს „ეროვნული საქმე“ და უფლება აქვს იამაყოს...

*

ეზოს ბოლოში პატარ-პატარა გორებად ჰყრია ქვიშა. იქვე, გადაფარებულში ცემენტია დახვავებული. ბიჭებს ბე-

ტონ-ცემენტის სარევი გაუმართავთ სახელდახელოდ, დგანან ახლა და საშენ მასალას ამზადებენ.

ოციოდე მეტრის აღმართზე ბეტონის გადასაზიდი ურიკისათვის ვიწრო ლიანდაგია დაგებული. როცა საშენ მასალას მოამზადებენ, ბიჭები დაუსტვენენ და ზემოდან ნელ-ნელა დაეშვება ურიკა. დატვირთავენ და ისევ დაუსტვენენ. ურიკა ახლა აღმართს აუყვება. ჯიმშერ სოხაძე დილით როსტიაშვილის ეზოს ბოლოში მოფუსფუსე ბიჭებთან მივა და მიესალმება, საქმე როგორ მიდისო, — შეეკითხება.

ბიჭები ღიმილით შეხვდებიან ოსტატს. ჩვენც კარგად ვართ და საქმეც კარგად მიდისო, — ახარებენ. კარგ ხასიათზე დადგება ჯიმშერი. ურიკის გზას აჰყვება, ხარაჩოებში ჩამჯდარ აკლდამას თვალს შეავლებს, ბიჭებს იქაც მიესალმება და საქმის ამბავსაც ჩვეულებისამებრ იკითხავს. მერე მივა და შეამოწმებს რკინის ხლართებში ჩასხმულ ბეტონს. ყველა კუთხე, კუნჭული კარგად უნდა ამოივსოს, თორემ სიცარიელეში წყალი ჩადგება და დროთა განმავლობაში შეიძლება კედელმა დაშლა დაიწყოს. ბიჭებმაც კარგად იციან ეს და ყოველთვის ცდილობენ ცარიელი ადგილი არსად დატოვონ. მაგრამ ოსტატმაც ხომ უნდა იცოდეს, რას აკეთებენ, როგორ აკეთებენ მუშები. გული საგულეს მაშინ ჩაუდგება, როცა დარწმუნდება, რომ საქმე უნაკლოდ კეთდება.

ასეთი ჩვევა აქვს ჯიმშერს.

ასეთი იყო არმიაშიც. დავალებებს თავის დროზე პირნათლად ასრულებდა, თოთხმეტი მადლობა დაიმსახურა.

იქიდან დაბრუნებულმა თბილისის მეტალურგიულ ტექნიკუმში განაგრძო სწავლა. მასწავლებლები სოხაძეზე ქების მეტს არაფერს ამბობდნენ. გამოცდებზე დამსახურებულ ხუთიანებს უწერდნენ და ჯიმშერი წარჩინების დიპლომით გამოისტუმრეს.

ახლა საქართველოს კულტურის სამინისტროს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოს სახელოსნოს ოსტატად მუშაობს. უყვარს თავისი პროფესია. იცის, რომ მისი საქმე საპატიოა. თავისი ხალხისა და ქვეყნის ისტორიასთან აქვს საქმე. უვლის, არემონტებს უძველეს ძეგლებს და აღმოჩენებს.

ჯიმშერმა ახალ კოლექტივშიც მალე მოიხვეჭა კარგი სახელი, ამხანაგების პატივისცემა. 1960 წელს გეგმების დროულად და მაღალხარისხოვანად შესრულებისათვის სამმართველომ მადლობა გამოუცხადა. 1962 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამრეწველო-სამოქალაქო სამშენებლო ფაკულტეტზე წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და სწავლა განაგრძო საღამოს განყოფილებაზე. ინსტიტუტშიც მალე დაინახეს ჯიმშერის ენერგიულობა და სტუდსაბჭოს წევრად აირჩიეს. ახლა დღისით მუშაობს, საღამოთი — სწავლობს. ერთსაც ასწრებს, მეორესაც. ხანდახან თავისი ეზოს კარს გააღებს ვასილ როსტიაშვილი და ბიჭებს მიესალმება.

— გაგიმარჯოს, ძია ვასო! — უპასუხებენ და თავიანთ საქმეს განაგრძობენ.

იცის ჯიმშერმა, ვასილს ლაპარაკი უნდა, მივა და ნანგრევებზე გვერდით მიუჯდება.

— როგორ მიდის მშენებლობა? — იკითხავს ნასახლარის პატრონი.

— კარგად, ძია ვასო.

— ააწყეთ საქმე?

— ავაწყეთ.

მერე ურიკაზე ანიშნებს:

— ვითომ კიდევ გადავარდება გზიდან?

— არა. გავასწორეთ. ახლა ყველაფერი წესრიგშია.

— მთავარია საქმის აწყობა. მერე ყველაფერი კარგად წავა, — იტყვის ძია ვასო და უხვად მოიყვანს მაგალითებს თავისი სახლის მშენებლობიდან.

ვალერიან ჩეკურიშვილი

სტუდენტები

ძია ვასოს რატომღაც ჰგონია, ახალგაზრდა ჯიმშერს გამოცდილება აკლია, საქმეში არაა ჩახედული. ამიტომ ხშირად ჭკუის სასწავლებელ ამბებს უყვება. ხანდახან ისეთი რამის სწავლებას დაუწყებს, რაც ბავშვებმაც კი იციან. ჯიმშერი მაინც არ ეტყვის — ვიცი. მშვიდად მოისმენს დარიგებებს. მერე, თუ კაცს სიტყვა გაუგრძელდება, ჯიმშერი ბოდიშს მოიხდის, — ახლა საქმეს უნდა მივხედოო და წამოდგება.

გამოცდილი მუშები კი საქმეს ყოველთვის ისე აკეთებენ, როგორც საჭიროა.

მიიწურა დღე. ბინდის პირს საქმეს ხელს აუშვებენ, ჯიმშერის ირგვლივ შეგროვდებიან და სახვალიო საქმეზე დაიწყებენ ლაპარაკს.

— ზეგისათვის წმინდა ქვიშა დაგვჭირდება.

— ჰო, დაგვჭირდება. ხვალ მოვატანინებ.

— ხრეშიც ცოტაღაა.

— ხრეშსაც მოვატანინებ.

— ცემენტი?

— ცემენტი ჯერ არის, მაგრამ რაკი მანქანებს გამოვიწერ, ბარემ ისიც მოვიმარაგოთ.

— ხვალ დილით ადრიანად დავიწყებთ მუშაობას.

— მეც ადრიანად ამოვალ! — შეპირდება სოხაძე.

ერთმანეთს დაემშვიდობებიან. ჯიმშერი ისევ ხიდთან მოუცდის თბილისისკენ მიმავალ მანქანას. სულ ერთია, რას გაჰყვება. მთავარია ლექციებზე არ დააგვიანდეს. წარამარა იყურება საათზე... გამოჩნდებიან რაიონებიდან უკან მობრუნებული ავტობუსები. ჯიმშერი ხელს ასწევს. გაუჩერებენ. პაპიროსის ნამწვავს გადააგდებს, ავტობუსში ავა და კარებთან გაჩერდება. მდუმარედ სხედან უცხო მგზავრები, ისინი დაღლილებს ჰგვანან. ავტობუსი მიჰქრის, საბურავები ასფალტზე ზუზუნებენ და უკანასკნელ კილომეტრებს ჰკეცავენ.

„მოვასწრებ თუ დაძინებულნი დამხვდებიან“, — ფიქრობს ჯიმშერი და ისევ საათს დაჰყურებს. დილით სახლიდან რომ გამოდის, ბავშვები ჯერ კიდევ ტკბილ სიზმრებში არიან. საღამოს, ლექციებიდან რომ მიბრუნდება, — ხან მიუსწრებს, ხან დაძინებულები დახვდებიან. ასე ხდება ჯერჯერობით. გავა სამი წელი და მერე ასე აღარ იქნება. სამ წელიწადში ბევრი რამ შეიცვლება; პატარა გოგი ოთხი წლისა იქნება. მარინა და თინიკო — მოსწავლეები. ექნებათ სამოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სწორედ იმ სახლში, რომელსაც ჯიმშერის ხელმძღვანელობით გორკოველთა მეთოდით ააშენებს სამმართველო, მშენებლობის დაწყებას კი მალე ფიქრობენ. მერე შინ გაბრუნებას და დასვენებას მეტი ლაზათი და მეტი ფასი ექნება...

ტკბილია ოჯახზე ფიქრი! სასიამოვნოა მომავალზე ოცნება! კაცი ვერ შეამჩნევს, როგორ დაიკეცება უკანასკნელი კილომეტრი თბილისამდე. ჯიმშერი ხან მოასწრებს სახლში შერბენას, ბავშვების ნახვას, ხან პირდაპირ ინსტიტუტში წავა.

ასეა ჯერჯერობით...

3. ალექსი იაქაშვილი

მზის ამოსვლას კოშკურა ამწის ჯიხურში შეხვდება ღიღინით. ხელის გულივითაა გადაშლილი მის თვალწინ მთელი ქალაქი. სახურავებს მზის სხივი რომ დაეცემა, ცაში აიჭრებიან თეთრი მტრედები და უძირო ლაჟვარდს ლაღად სერავენ. სახურავები მხიარულ ფერებს მიიღებენ. მრავალსართულიანი სახლის ფართო ფანჯრებზე ასხლეტილი მზის სხივები თვალებში მიანათებენ ჭაბუკს და ისიც ღიღინს მოუმატებს.

ქვემოთ კი ახალნაშენებ კედლებთან კალატოზები დგანან და აგურს აგურზე

აწყობენ. დურგლები ხარაჩოებს მართავენ, მუშები ცემენტის ხსნარს ამზადებენ, ზოგიც აგურს აწყობს კვადრატებად. რომ მერე კოშკურა ამწემ კალატოზებს მიართვას.

— ალე, აგური, აგური... — ქაფჩიანი ხელით ანიშნებენ კალატოზები.

„აგური? ახლავე. ორი წუთი მომითმინეთ მხოლოდ“ — გაიფიქრებს და მექანიზმს ჩართავს. კოშკურა ამწე ისე დაიწყებს ხორთუმის მობრუნებას, თითქოს ვეება ზღაპრული ჟირაფი უკან მოხედვას ცდილობსო.

„აგურს ახლავე მოგართმევ, შენ კი გენაცვალე, ჰეი და!

თუ დუღაბი გაგითავდა, ისიც მითხარ ბარემ, ჰეი და!“

— ბიჭოს, მგონი ლექსი გამომივიდა! — გაიღიმებს და ისევ ამოჩემებული მოტივის ღიღინს განაგრძობს. თან თვალს არ აცილებს ამწის ხორთუმზე დაკიდებულ ჩანგალს, რომელიც აგურის კვადრატს უნდა ამოსდონ მუშებმა.

„აბა ახლა დაეჭიდე, შენ კი გენაცვალე, ჰეი და!..“

აგურის კვადრატი ჰაერში დაიწყებს ქანაობას. ახალნაშენებ კედლებს მფრინავ ხალიჩასავით გადაუვლის და კალატოზების წინ დაეშვება.

— ალე, ცემენტის ხსნარი! — ისევ ქაფჩიანი ხელი ანიშნებს.

„გასაგებია! ახლავე, ჩემო ბატონო, შენ კი გენაცვალე, ჰეი და!“

ცემენტის ხსნარით სავსე ყუთიც კალატოზების წინ დაეშვება.

— ალე, ამ შეკრულ ფიცრებს ამოსდევი და ზევით აიტანე, — ახლა ნაჯახიანი ხელი ანიშნებს.

„მაგაზე გაწყენინებთ?! ახლავე! აჰა, ამოსდეთ ჩანგალი... თუ გინდა, თქვენც ზედ დაასხედით და თქვენც ამოგიყვანთ!..“

ალექსი კოშკურა ამწეს ხან მარჯვნივ მიაბრუნებინებს კისერს და ხან მარცხნივ. ხანდახან ათი-ხუთმეტი წუთი ისე გაივლის, რომ არავინ დაუძახებს. მაშინ ალექსი იაქაშვილი ცასა და დედამიწას შუა ზის თავის კოშკში, გადაჰყურებს ქალაქს და ღიღინებს. სახურავების თავზე დასხდებიან თეთრი მტრედები და დაიწყებენ ღუღუნს. ქუჩებში ერთმანეთს ხვდებიან ნაცნობები და არის სალამ-ქალამი... ალექსი თავისი კოშკიდან ვიწრო ქუჩებსაც კარგად ხედავს და მათ ცხოვრებასაც: აგერ იმ ვიწრო ქუჩის მოსახვევში ყოველდღე თორმეტ საათზე ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ბიჭი გამოჩნდება. პატარა სახლის კუთხესთან გაჩერდება. დგას და წარამარა დაჰყურებს საათს.

ცოტა ხნის შემდეგ მოპირდაპირე ქუჩაზე დიდი სახლის სადარბაზო შესასვლელიდან გამოვა პატარა, პალტოწამოსხმული, ბაფთიანი ქალიშვილი. გადმოჭრის დიდ ქუჩას, მერე მაღალ შენობებში გაუჩინარდება. ბოლოს პატარა ქუჩის მოსახვევში გამოჩნდება და ვაჟს შეხვდება...

მერე ალექსის აღარა სცალია მათ საცქერლად; დურგლები თავისას მოითხოვენ, კალატოზები თავისას. ამ უზარმაზარ მანქანას კი აგდებულად ვერ მოექცევი. როდესაც სამი-ოთხი ტონა ტვირთი აქვს წამოკიდებული, საკმარისია არასწორად შემობრუნება და შეიძლება ამწემ წონასწორობა დაკარგოს ან ტვირთი ქვევით ჩამოიყაროს. ამიტომ ალექსის არა სცალია ვიღაც გოგო-ბიჭების საყურებლად. ფიქრი კი ხელს არ უშლის მუშაობაში, მით უმეტეს, თუ ადამიანს ხელი მიჩვეული აქვს საქმეზე.

ახალგაზრდა კაცს ფიქრსა და ოცნებას რა გამოულევს?!

დილით სამსახურში რომ გამოცხადდება და ამწის კოშკურას მიაშურებს, მაშინვე მშენებლობაზე მოსვლის პირველი დღე გაახსენდება. ეს ოთხი წლის წინათ იყო. მანამდე ამწის ჯიხურიდან არასოდეს გადმოეხედა. მაგრამ გრძნობდა, მაღლიდან ლამაზი დასანახი იქნებოდა ქალაქი.

ვალერიან ჩეკურიშვილი
სტუდენტები

1959 წელს, საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, ახალი სკოლა-ინტერნატის მშენებლობაზე მივიდა ამწის მემანქანის მოწაფედ. პირველად აჰყვა რკინის კიბეს ჯიხურისაკენ. შენობათა სახურავებმა დადაბლება იწყეს და ბოლოს ნახატს დაემსგავსა ქალაქი. პირველ ხანებში ეშინოდა ამ უზარმაზარი მანქანის, ბოლოს დემირ ჭაჭიაშვილმა ყველა წვრილმანი აუხსნა, როგორ უნდა დაემორჩილებინა ამწე. სამ თვეში ხელიც გაიწაფა და ალღოც აუღო. დამოუკიდებელ სამუშაოზე გადაიყვანეს. ალექსიმ ნდობა გაამართლა, — კარგად გაართვა თავი საქმეს. ორი წელი იმუშავა, მერე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტის საღამოს განყოფილებაზე განაგრძო სწავლა. ახლა მეორე კურსის სტუდენტია, თან მუშაობს. საკუთარი წვლილი შეაქვს მშობლიური ქალაქის მშენებლობაში.

— ალე, დუღაბი და აგური! — ქაფჩიანი ხელით ანიშნებს კალატოზი.

— ალე, ხის მასალა, — ნაჯახიანი ხელით ანიშნებს დურგალი.

„კი ბატონო, ახლავე!“

ზანტად მოძრაობს რკინის ხორთუმი და მშენებლებს ამარაგებს მასალით.

გასწორდებიან კედლები. დამთავრდება სართული. დაიწყება ბეტონის ფილებით გადახურვა. ეს კი ყველაზე ძნელი და საპასუხისმგებლო სამუშაოა კოშკურა ამწის მემანქანისათვის. ბეტონის ფილები უნდა ამოიტანოს და ძალიან ზუსტად დააწყოს მითითებულ ადგილას. ამ საქმეს, რა თქმა უნდა, სიჩქარე არ უყვარს.

ალექსი სახელოებს დაიკაპიწებს, უფრო მოხერხებულად დაჯდება სკამზე და დაიწყება სამუშაოთა მწარმოებლის ძახილი:

— ცოტა მარჯვნივ... კიდევ... ოდნავ ჩემსკენ... კარგია!

იაქაშვილი ნელა დაუშვებს ტვირთს.

— ყოჩაღ! ახლა მეორე!

მეორესაც ასევე ზუსტად დაუშვებს, მესამესაც. ინჟინერი ყოველი ფილის დადებისას „ყოჩაღო“ იძახის. დამთავრდება გადახურვა. დაიწყება შემდეგი სართული. დაიწყება დურგლებისა და კალატოზების ძახილი:

— ალე, აგური!

— ალე, დუღაბი!

— ალე, ბეტონი!

— ხის მასალა!

„მასალას როგორ მოგაკლებთ, თქვენ კი გენაცვალეთ, ჰეი და!“..

ამოჩემებულ მოტივს ღიღინებს და თავის ჭკუაზე ატრიალებს ამოდენა მანქანას. ასე ამოიწურება სამუშაო დღე. მზე ჩავა და შენობათა სახურავები გამუქდება. დაიუქმებენ ოსტატები. ალექსი იაქაშვილიც რკინის კიბეს დაუყვება.

შენობები ამაღლებას დაიწყებენ. მერე გაახსენდება, რომ ინსტიტუტში ცნობა მოსთხოვეს სამუშაო ადგილიდან. „მთავართბილმშენის“ № 1 სამმართველოში შეირბენს. საქმეთა მმართველი მზად დაახვედრებს სასურველ საბუთს და ალექსი სახლისაკენ აიღებს გეზს.

დედამ იცის, როდის დაბრუნდება სამუშაოდან მისი ერთადერთი შვილი. სადილს მზად დაახვედრებს, ლექციების ჩასაწერ რვეულსაც სასადილო მაგიდაზე დადებს, არ დაავიწყდესო.

რა ქნას, ეჩქარება!..

მიხეილ ზავერინი

ეპოსისა და ლირიკის პროგლემისათვის

1. სპეციფიკა და კანონზომიერება

დღეს, როცა ამა თუ იმ მწერლის ხელწერის თავისებურებაზე ლაპარაკობენ, როგორც წესი, ამ თავისებურებად მიიჩნევენ მწერლის პროზაულ ნაწარმოებებში ლირიკის ელემენტების შეჭრას. ეს დაკვირვება საერთოდ არაა მცდარი. არც არაფერია ამაში ცუდი, მაგრამ სავალალო ისაა, რომ ამგვარ „შეჭრას“ **თითქმის ყველა** განსახილველ მოთხრობასა და რომანში პოულობენ და იმის ნაცვლად, რომ გამოარკვიონ პროზაში ლირიკული საწყისების გაძლიერების საერთო მიზეზები, გამოკვლევის სფეროს ავიწროებენ და მწერლის შემოქმედებით თავისებურებას ასე უბრალოდ განსაზღვრავენ.

ამგვარი ცთუნება მეტად დიდია.

ამაში საკუთარმა გამოცდილებამაც დაგვარწმუნა, როცა ახალგაზრდა ქართველი პროზაიკოსის ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენას“ ვკითხულობდით.

იოსელიანი თავის რომანში შეეცადა მოვლენათა შინაგანი აზრის შეცნობას, მიუხედავად ეპიგრაფისა, რომელსაც თითქოს ხაზი უნდა გაესვა, რომ ავტორის ამოცანა შეზღუდული იყო, რომ მას სურდა მხოლოდ ეჩვენებინა წარსული ომის ქარცეცხლი, რაც სამშობლოშიც მძვინვარებდა, და რომ საქართველო, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყანა, სრულიადაც არ ყოფილა ღრმა ზურგი. რომანში ეს ამოცანა მარტოოდენ სხვადასხვა მოვლენათა აღწერით რომ გადაწყვეტილიყო, ავტორს იმ შორეული წლების თუნდაც მხოლოდ ღირსშესანიშნავი ფაქტები რომ აეწერა, გვექნებოდა კიდევ ერთი წიგნი, რომელიც ისტორიკოსის ნამუშევარს უფრო ემგვანებოდა, ვიდრე მხატვრულ ნაწარმოებს. მაგრამ „ვარსკვლავთცვენის“ ავტორი გვიხატავს ხასიათებს და მათ მოქმედებაში (თუმცა, ზოგჯერ არათანმიმდევრულად), მათ გარდაქმნაში ეძებს ომის გამოძახილს და მის ზემოქმედებას ადამიანზე, და განა მოიძებნება ადამიანის სულის ბიოგრაფიაზე უფრო უტყუარი საბუთი?!

„ვარსკვლავთცვენის“ კითხვისას ძნელი არაა მწერლის თავისებურებათა დანახვა. რომანში ხალხის მორალური გმირობა მყვირალა და მკვეთრი ხერხებით არაა აღწერილი. იმ პატარა ნოველების ჯაჭვს, რომლებისგანაც შედგება ნაწარმოები, არა აქვს მასშტაბურობის პრეტენზია, თვითეული მათგანი ომის მძიმე წლების პატარა, თითქოსდა შეუმჩნეველი ეპიზოდია. თუმცა-ღა უბრალოება, მასალის ყოველდღიურობაც არ უშლის ხელს ღრმა აზრის გამოვლენას. როცა გოგიტა, რომანის ცამეტი წლის გმირი, ეკამათება ხნიერ კოლმეურნეს და არ ანებებს ხარს, რომლითაც ადრე, ფრონტზე წასვლამდე, მამამისი ხნავდა, ეს, რა თქმა უნდა, მარტო ბავშვური სიჯიუტე როდია. გაიღვიძა პასუხისმგებლობის გრძნობამ, მოვა-

ლეობის შეგნებამ. და ჩვენ გვესმის, რომ აქ უკვე სერიოზული და მნიშვნელოვანი საქმეები ხდება — გოგიტა თავის ნორჩ მხრებზე იკიდებს მძიმე ტვირთს. ომის პირველი დღე უზრუნველი ბავშვობის უკანასკნელ დღედ იქცა და თან წაიღო ბავშვობის თამაშობანი, სიცელქე, ოინები. ახლა აქ, საკოლმეურნეო მინდვრის ნაკვეთზე გოგიტასათვის ომის წინა ხაზია, რომელიც სიმამაცესაც მოითხოვს და ფიზიკურ ძალასაც. ასე დრამატულად იძაბება პატარა, თითქმის სახუმარო ეპიზოდი.

მაგრამ ომი ბავშვების მარტო მორალური ძალის გამოცდა როდია. იგი თავის ანაბეჭდს ტოვებს მათ ნორჩ, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ სულიერ სამყაროზე. მას მიუძღვის ბრალი გოგიტასა და გოგონას წმინდა, ნათელი სიყვარულის დარღვევაში. ომმა გამოიწვია ის ტრაგიკული კონფლიქტები, რამაც რომანის გმირთა ცხოვრებას მწუხრი მოჰფინა. ოტია იოსელიანი ამას შეურიგებელი პირდაპირობითა და გულახდილობით მოგვითხრობს, მაგრამ მწერალი რომანში წარმოქმნილი რთული კონფლიქტების გადაწყვეტას სიუჟეტში როდი ეძებს, მას ეს კონფლიქტები არ დაჰყავს ერთ საერთო მნიშვნელამდე. რომანში, ამბების განვითარებასთან ერთად, სულ უფრო მკაფიოდ ჟღერს ქვეტექსტი, სადაც ჭარბობს იმედი და რწმენა, — ადამიანები გადალახავენ ყოველგვარ სიძნელეებს და დიდ ადამიანურ ბედნიერებას დაიმკვიდრებენ.

ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენის“ წაკითხვისას შეამჩნევთ, რომ მთელი წიგნი გამსჭვალულია სწორედ იმ ლირიკული ინტონაციით, რაც მას მთლიანობას და შინაგან დაძაბულობას ანიჭებს. ახლა უკვე შეიძლება თეორიული დასკვნის გამოტანაც — რომანის თავისებურება მის ლირიკულ ჟღერადობაშია.

მაგრამ ეს ლირიკული ჟღერადობა საერთოდაა დამახასიათებელი ახალგაზრდა ქართველი პროზაიკოსების შემოქმედებისათვის.

მაგრამ მარტო ქართველი მწერლებისთვის როდია ეს დამახასიათებელი. მოვიტანოთ მაგალითი კრიტიკოს ა. მაკაროვის სტატიიდან, რომელიც დაბეჭდილი იყო „ლიტერატურნაია გაზეტაში“. მაკაროვი იხილავს იუსტინას მარცინკიავიჩუსის ნოველას „ფიჭვის ხე, რომელიც იცინოდა“. „იუსტინას მარცინკიავიჩუსი მხოლოდ იწყებს თავის გზას პროზაში. სხვადასხვა ჟანრში მუშაობა — დიდი ტალანტის ნიშანია და მაინც მინდა ვთქვა, რომ ავტორს, რომელმაც თამამად გადმოიტანა პოეზიის ხერხები პროზაში, არ შეუძლია დაივიწყოს, რომ პროზა თხოულობს „ზუსტ და შიშველ დეტალებს“. ციტატი ამტკიცებს, რომ „ლირიკის შეჭრა პროზაში“, რომელიც ოტია იოსელიანის ახალი რომანის თავისებურად მივიჩნიეთ, არა მარტო თანამედროვე ქართულ პროზას ახასიათებს, არამედ ჩვენი ქვეყნის სხვა მოძმე ლიტერატურებშიც ნათლად ჩენს. ე. ი. ეს სპეციფიკა კი არა, კანონზომიერება ყოფილა, რომელიც გამოიწვია და განსაზღვრა ლიტერატურის განვითარების ახლანდელი ეტაპის რომელიღაც თვისებამ, ლირიკისა და ეპოსის განვითარებამ. მაგრამ მაშინ, გინდა თუ არა, უნდა მოიკრიბო გამბედაობა და ახლებურად შეხედო ლიტერატურის ეპიკური და ლირიკული გვარების სპეციფიკურ ნიშნებს.

2. ორი გზით ერთი მიზნისკენ

ამას წინათ ი. სუროვცევმა თავის ნაშრომში — „თანამედროვე პოემების ლირიზმზე“ იერიში მიიტანა ფორმულაზე, რომელსაც ყველა სახელმძღვანელოებში შეხვდებით. აი, ეს ფორმულაც: „ეპოსი ობიექტია, ლირიკა —სუბიექტი“. ნათქვამია მოკლედ, მაგრამ გაუგებრად. ნუთუ ავტორი-ეპიკოსი, რომელიც არ ერევა პერსონაჟის ბედ-იღბალში, წერს არა თავის გრძნობებსა და აზრებზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ მხოლოდ გარე სამყაროზე, ხოლო ავტორი-ლირიკოსი აღწერს მხოლოდ თავისთავს, თავის შინაგან მდგომარეობას, თავის განცდებს? მაგრამ ყოველივე ამის მტკიცება ნიშნავს ხელოვნებასთან კავშირის გაწყვეტას, ვინაიდან ხელოვნება მხატვრისაგან განუყოფელია. ამ აზრით იგი ყოველთვის სუბიექტურია. ამ აზრით ფლობერის რომანები არანაკლებ სუბიექტურია, ვიდრე ჰიუგოს ოდები. ეპოსი იმდენადვეა „პირადული", რამდენადაც ლირიკა.

მაგრამ მივუბრუნდეთ ი. სუროვცევის მსჯელობის პოზიტიურ მხარეს. ის უპირველესად, რა თქმა უნდა, ცდილობს ეპოსისა და ლირიკის განსაზღვრას მათი შინაარსის მიხედვით. დასკვნა ასეთია: „ეპოსი, ჯერ ერთი,—ეს არის ლიტერატურული შემოქმედების ისტორიული სახეობა, „ეპოპეის", ეპიკური სიმღერის საგათა სინონიმი. ასეთ გაგებას მივყავართ უძველეს, „ჰომეროსისეულ" დრომდე". ასეთი ეპოსი მოგვითხრობს ეროვნული ცხოვრების გმირულ ამბებზე („სამყაროს გმირულ მდგომარეობაზე") და „ერის წარმომადგენელთა" გმირულ ხასიათებზე. ჯერჯერობით ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ იმას, რომ მოტანილ ციტატში ლაპარაკია არა საერთოდ ეპოსზე, არამედ გმირულ ეპოსზე, — შემთხვევით კი არ იწყება ბოლო წინადადება დაზუსტებით: „ასეთი ეპოსი მოგვითხრობს..." და ა. შ. დაზუსტება აუცილებელი იყო, ვინაიდან ავტორი ჩინებულად ხედავს ლიტერატურის ეპიკური სახეობის მრავალსაუკუნოვანი განვითარების პერსპექტივას, — გმირული შინაარსის მატარებელ „ილიადა" „და "ოდისეადან" დაწყებული, ვთქვათ, ფილდინგის და ბალზაკის რომანებამდე, რომლებიც წარმოქმნა უკვე სხვა „პროზაულმა" სინამდვილემ. მაგრამ მაშინ იბადება სამართლიანი კითხვა: მაშ რაა საერთო ჰომეროსსა და ფილდინგს შორის, რა ნიშნები გვაძლევს მათი ნაწარმოებების ეპიკურ შემოქმედებად გაერთიანების ნებას? ი. სუროვცევი პასუხობს, რომ საერთოა ფორმა და მხატვრულ თავისებურებათა სფერო. მხედველობაშია წარმოსახვის მთლიანობა, სიუჟეტურობა, თხრობა, როგორც განმსაზღვრელი ინტონაცია. „ამ ფორმის არსებითი თავისებურებანი, — ვკითხულობთ სტატიაში, — იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ „ჰომეროსისეულ" ეპოსის შინაარსის გაქრობასა და სამყაროს „გმირული მდგომარეობის" ღანგრევასთან ერთად არ გამქრალა. ამ თავისებურებებით თავი „შეიიარაღეს" ახალმა ჟანრებმა, — რომლებიც წარმოიშვნენ ცხოვრების ახალი შინაარსის მოთხოვნილებით, — რომანმა, ნოველამ, უფრო ნაკლებად მოთხრობამაც". აქ იბადება პირველი საწინააღმდეგო აზრი, — განა ასეთი სიცოცხლისუნარიანობა თვით არ მოითხოვს ახსნას?! როგორ შეეძლო ფორმას შეენარჩუნებინა თავისი ა რ ს ე ბ ი თ ი თავისებურებანი, როცა შეიცვალა შინაარსის ა რ ს ე ბ ი თ ი მხარეები („გმირული" იქცა „პროზაულად"?). მაშინ, ან ჰომეროსის მომდევნო ლიტერატურა მთლიანად ეპიგონური იყო და უბრალოდ იმეორებდა ჰომეროსის ნაწარმოებების ფორმას, ან კიდევ სხვადასხვა ეპოქის ეპიკურ ნაწარმოებებში მართლაც არის რაღაც არსებითი, საერთო თვისებები, რომელთა გამოვლენაც აუცილებელია. მაგრამ მაშინ ვერ შემოვისაზღვრებით მხოლოდ ჰეგელის ფორმულით ეპოსის გმირულ შინაარსზე და საჭიროა ახლებურად შევხედოთ მთელ მრავალსაუკუნოვან ლიტერატურულ გამოცდილებას. ფორმა რომ შინაარსს მოვწყვიტოთ, აუცილებლად მივალთ მთელი რიგი ნაწარმოებების ნების მიერ გაგებამდე, ან არა და დავეჭვდებოდით მთელი ეპოქების ლიტერატურაში, რომელთა ძეგლები ყველა ფორმალური ნიშნის მიხედვით ეპიკურია, მაგრამ მათ შინაარსში არაფერიც არ არის გმირული და არც გმირული ხასიათები ჩანს.

მიხეილ ზავერინი

ეპოსისა და ლირიკის პრობლემისათვის

ასე რომ ძალზე ძნელი იქნებოდა, მაგალითად, აგვეხსნა XIX საუკუნის მთელი რუსული რომანისტიკის ეპიკური სისრულე, სიუჟეტურობა, ინტონაციის თხრობითობა. ასევე ძნელი ამოცანა წამოიჭრებოდა, მეორე მხრივ, ფრანგული სამოქალაქო პოეზიის შესწავლისას, ვინაიდან აქ უნდა განვიხილოთ ლირიკული ფორმის ისეთი თვისებები, რ[illegible]გორიცაა მონოლოგი, სიუჟეტური, ყოფაცხოვრებითი, ფსიქოლოგიური „წვრილმანების“ უქონლობა.

რუჟე დე ლილის „მარსელიოზაში“, ჰიუგოს ლექსებში, ეჟენ პოტიეს „პარიზის კომუნაში“, რემბოს „პარიზის სამხედრო სიმღერაში“, არაგონისა და ელუარის ლექსებში — გმირული შინაარსის არსებობა უდავოა, მაგრამ მათი ფორმა მაინც ლირიკულია (თუ მხედველობაში მივიღებთ ლირიკული ფორმის თვისებებს, რომლებიც დაბეჭდითებითაა ჩამოყალიბებული სტატიაში „თანამედროვე პოემის ლირიზმზე“).

სუროვცევი ფორმას დამოუკიდებლობას ანიჭებს და იძულებულია ეპოსისა და ლირიკის განვითარება, ეპიკური თუ ლირიკული სახეობის ამა თუ იმ ნაწარმოებთა შექმნა, ასე ვთქვათ, მოწყვიტოს ისტორიის მთელ ლოგიკას. „შეიძლება შემედაონ, — წერს ავტორი, — თქვენი აზრით, ისე გამოდის, რომ განსხვავება ეპიკურსა და ლირიკულ ხასიათებს შორის ფორმალურია, მოისურვა მწერალმა — მოგვცა ეპოსი, მოისურვა — მოგვცა ლირიკაო! ჯერ-ერთი, „მოისურვა“ და „არ მოისურვა“ — ის კატეგორიები არაა, რომლებიც ხელოვნებაში იხმარება. არა „მოისურვა“ ან „არ მოისურვა“, არამედ „შესძლო“, ან „ვერ შესძლო“, „შესწევს უნარი“ თუ „არ შესწევს უნარი“, — აი, როგორ უნდა ვიმსჯელოთ. ერთი მეტი ნიჭიერებით ასახავს ცხოვრებისეულ წვრილმანებს, „იგონებს“ ამა თუ იმ ადამიანთათვის დამახასიათებელ „შემთხვევებს“, მეორეს მონოლოგური ფორმისაკენ „მიუწევს გული“. ერთი „იბადება“ ეპიკოსად, მეორე თავისი ბუნებით ლირიკოსია“. მაგრამ ეს ხომ მაინც ვერაფერს ვერ ხსნის. ჩვენ გვაინტერესებს სწორედ ის ისტორიული კანონზომიერებანი, რომლებიც ერთ ეპოქაში უპირატესობას ეპიკურ ლიტერატურას ანიჭებს, — მეორეში კი — ლირიკულს. ასეთი კანონზომიერებანი არსებობს და აუცილებელია მათი გამომჟღავნება და განსაზღვრა.

ყველა ეს კარდინალური და მთავარი საკითხი ახალი აღმოჩენილი არ არის. ჯერ კიდევ ჰეგელმა განიხილა ისინი თავის „ესთეტიკაში“ ყოველმხრივ, მაგრამ ყოველმხრივობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს პრობლემის ამოწურვას. ასე რომ არ ყოფილიყო, სუროვცევს არ მოუხდებოდა ჰეგელისეულ კლასიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ახალი გზებისა და დამატებითი ახსნა-განმარტებების ძიება. ჰეგელის კონცეფციაში ვერ თავსდება ლიტერატურული ფაქტების მთელი მრავალსახეობა. და არა მარტო დღეს, „ესთეტიკის“ შექმნიდან თითქმის საუკუნენახევრის შემდეგ, არამედ მაშინაც, თვით ჰეგელის დროსაც (ასეთ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, დიდი ფილოსოფოსი ფაქტებს ადანაშაულებდა).

ჰეგელის მიერ მე-18 საუკუნის რომანის უგულებელყოფა, რა თქმა უნდა, გამოწვეული არაა ფილოსოფოსის პირადი გემოვნებით. ეს ყველაფერი აიხსნება მისი კონცეფციით ეპოსსა და ლირიკაზე. ამ კონცეფციიდან გამომდინარე — ეპიკურ სახეობას არ შეუძლია არსებობა მოგვიანო ეპოქებში. მისი სიცოცხლე და განვითარება საბოლოოდ და გადაჭრით შეწყდა კაცობრიობის ბავშვობის ხანაში. ხოლო ყველაფერი დანარჩენი — ცოტად თუ ბევრად მარჯვე მინაბაძია. ეპოსის არსებობა, ჰეგელის აზრით, უშუალოდ დაკავშირებულია გმირული საუკუნის არსებობასთან, იმ ხანასთან როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა მტკიცე სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, როცა სიცოცხლისა და საკუთრების შენარჩუნე-

ბა ყოველი ცალკეული ადამიანის ძალასა და სისუსტეზე იყო დამოკიდებული. მხოლოდ ამ დროს იბადებიან, — ხაზს უსვამს ჰეგელი, — გმირები, «суть индивидуумы, которые по самостоятельности своего характера и руководствуясь своим произволом, берут на себя бремя и совершают весь поступок, и у них поэтому представляется делом индивидуального умопостроения, если они осуществляют то, что является требованием права и справедливости. Но в греческой добродетели имеется непосредственное единство субстанциального и индивидуальности, собственной склонности, влечений, воли, так что индивидуальность является сама для себя законом, не будучи подчинена никакому самостоятельно существующему закону, постановлению и суду».[1] ჰეგელის მსჯელობათა თანმიმდევრობა აშკარაა: ეპოსის გმირია ადამიანი, რომელიც მოქმედებს არა სახელმწიფოსა და კანონის ბრძანებით, არა მორალის იძულებით, არამედ საკუთარი სურვილების მიხედვით. ასეთი ადამიანი ცხოვრობდა მხოლოდ გმირულ ეპოქაში, როცა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი და სამართლის ორგანოები. ამიტომ ეპოსის დრო განსაზღვრულია ლიტერატურის განვითარების დაწყებითი ეტაპით (ბერძნული, აღმოსავლური).

ყველაფერი ძალზე თანმიმდევრულადაა. მაგრამ ამავე დროს ვერსად ვერ გავექცევით იმ ფაქტს, რომ ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, ფორმით ნათესაურია. ეპოქა სხვადასხვაა — XIX საუკუნის მეორე ნახევარი და შუასაუკუნეები (XII—XIII ს. ს.) სხვადასხვა ეროვნული ლიტერატურაა — რუსული და ქართული! მაგრამ იქაც და აქაც გვაქვს „წარმოსახვის სისრულე, მოქმედება, რომელშიც იხსნება გმირთა ხასიათი („სიუჟეტურობა“), თხრობა, როგორც განმსაზღვრელი ინტონაცია“. ე. ი. გვაქვს ეპიკური ფორმის ყველა ნიშანთვისება. მაშასადამე, ამ ნაწარმოებთა შინაარსშიც უნდა იყოს ზოგიერთი საერთო ეპიკური თვისებები, რომლებმაც განსაზღვრეს მათი ფორმების სიახლოვე.

ჰეგელი თავის „ესთეტიკაში“ ანსხვავებს „მორალსა“ და „პატიოსნებას“. პირველს მიაკუთვნებს ახალ დროს და აყენებს მას სახელმწიფოებისა და სამართლის გვერდით, ე. ი. იმ ინსტიტუტების გვერდით, რომლებიც, მისი აზრით, ზღუდავენ პიროვნების „თვითნებობას“. მეორე კი „გმირების საუკუნის“ კუთვნილებაა, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გამომხატველია.

მორალი განიხილება, როგორც ერთგვარი ლაგამი, რომელიც ესაჭიროება ადამიანის თვითნებურ მიისწრაფებებს, როგორც სახელმწიფოსა და სამართლის თანაშემწე, „პატიოსნება“ კი როგორც თავისუფალი აუცილებლობა, როგორც შინაგანი, თავდაპირველი მოთხოვნილება.

ანდრეი ბოლკონსკის, პიერ ბეზუხოვისა და „ომისა და მშვიდობის“ სხვა გმირების საქციელი ძნელად თუ ემორჩილება „თავისუფალ აუცილებლობას“. მაგრამ ნურც ნაჩქარევ დასკვნებს გამოვიტანთ. უკეთესია, გულდადინჯებით ჩავიხედოთ ლიტერატურის ისტორიის სიღრმეში. გავიხსენოთ თუნდაც ჰომეროსის პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“.

მრავალწლიან ომში, ტროელთა ერთ-ერთი ქალაქის აღებისას ბერძნებმა ტყვედ იგდეს ქრიზეიდა, აპოლონის ქურუმის ქრიზეს ქალიშვილი და აგამემნონს მიართვეს საპატიო ძღვნად. მამამ „უთვალავი“ გამოსასყიდი შეაძლია აგამემნონს, მაგრამ მან არამცთუ არ შეისმინა მისი თხოვნა, არამედ იგი შეურაცხყო და გააგდო კიდეც.

---

[1] Гегель, Сочинения, т. 12, стр. 189.

მიხეილ ზავერინი

ეპოსისა და ლირიკის პრობლემისათვის

ღმერთი აპოლონი განრისხდა და ბერძნებს ჟამი მოუვლინა. აქილევსმა უბედურების მიზეზის გასაგებად კრება მოიწვია. წინასწარმეტყველმა აგამემნონის დანაშაული გამოააშკარავა, ამასთან ურჩია, აუცილებლად დაეკმაყოფილებინათ ქრიზეს თხოვნა. ამან აგამემნონი გააბრაზა და მან განაცხადა, რომ თანახმაა დასთმოს ქრიზეიდა, მაგრამ სამაგიეროდ აქილევსს წაართმევს ბრიზეიდას, რომელიც მას ლაშქარმა საპატიო საჩუქრად მიართვა. მაშინ აქილევსმა თქვა, რომ ის მირმიდონიანელებთან ერთად აღარ იომებს. ამით ისარგებლეს ტროელებმა და ზედიზედ რამდენიმე გამარჯვება მოიპოვეს. ისინი სულ ახლოს მივიდნენ ბერძენთა ბანაკთან და აქილევსი იძულებულია ბრძოლაში მონაწილეობის ნება დართოს პატროკლესს. პატროკლესი იღუპება და აქილევსი იწყევლის თავს. აქილევსი ურიგდება აგამემნონს და ბრიზეიდას იბრუნებს. აქილევსი ამარცხებს ჰექტორს. მომაკვდავი ამაოდ ითხოვს, მისი ცხედარი მახლობლებს მისცენ დასამარხავად, — აქილევსი მკვდარს გამოაბამს საკუთარ ეტლს და მინდვრად მიათრევს. მაგრამ, როცა აქილევსის ბანაკში მოდის პრიამოსი, ჰექტორის მამა, და ითხოვს მისცენ შვილის ცხედარი, აქილევსი უთმობს.

ასეთია „პატიოსნება“, ასეთია „შინაგანი თავისუფლება“ „ილიადაში“. აღარაფერს ვამბობთ „ოდისეაზე“, სადაც გმირი იძულებულია ანძაზე მიიბას თავი, სირინოზებმა რომ არ მოხიბლონ!

ჰოდა, ახლა განსაჯეთ, შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ ჰომეროსის გმირები არ არიან „შეზღუდულნი“ ზნეობის ნორმებით? და საერთოდ, შეუძლია საზოგადოებას არსებობა მორალის გარეშე?!

პატიოსნება — ეს მორალის სინონიმია, და თუ შეიძლება იგი „ილიადის“ გმირებს მივაწეროთ, მით უფრო მეტი უფლება აქვთ მასზე „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს, ასევე მე-19 და მე-20 საუკუნეების ლიტერატურის ბევრ სხვა გმირსაც.

ტოლსტოის რომანის მოქმედება იწყება 1805 წლის ივლისში ანა პავლესასულ შერერის სალონში და მთავრდება 1820 წელს ცხარე კამათით პიერსა და ნიკოლოზ როსტოვს შორის; ამ კამათიდან უკვე ნათლად ჩანს ქარიშხლის მოახლოება. ამ მშფოთვარე თხუთმეტ წელში ცხოვრობენ და მოქმედებენ „ომისა და მშვიდობის“ გმირები, ეძებენ თავიანთ ადგილს საზოგადოებაში, არკვევენ საკუთარ შეხედულებებს კეთილსა და ბოროტზე, სამართლიანობასა და უსამართლობაზე, პატიოსნებასა და უპატიოსნობაზე (დოლოხოვთან დუელის შემდეგ პიერ ბეზუხოვს ყველაფერი შედარებითად ეჩვენებოდა, მისთვის აღარ არსებობდა ერთიანი მორალური შეფასება: „რა არის ცუდი? რა არის კარგი? რა უნდა გიყვარდეს, რა უნდა გძულდეს? რისთვის უნდა იცხოვრო, და რა ვარ მე? რა არის სიცოცხლე, რაა სიკვდილი? რა ძალა ამოქმედებს ყველას?“ — ეკითხებოდა ის საკუთარ თავს).

ტოლსტოის გმირები მტანჯველი, რთული ზნეობრივი ძიების გზით მიდიან და მაშინ პოულობენ დასაყრდენს ცხოვრებაში, როცა იგრძნობენ საკუთარი ბედის ურღვევ კავშირს ხალხის ბედთან, პოულობენ იმ შეურყეველ მორალურ საფუძვლებს, რომელიც ეხმარება მათ, არ იგრძნონ თავი საზოგადოების ზედმეტ ნაწილად.

ახლა ჩვენ ზნეობრივი ნორმების ანალიზი როდი გვაინტერესებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია სხვა — ანდრეი ბოლკონსკი, პიერ ბეზუხოვი, როგორც ეპიკური გმირები, თავიანთ ბედ-იღბალს ხალხის ბედ-იღბალს უკავშირებენ, ხოლო ტოლსტოი, როგორც ეპიკოსი-მწერალი, ხალხისათვის ეძებს ზნეობრივ სისტემას, რომელმაც, მისი აზრით, უნდა შეარიგოს სინამდვილის წინააღმდეგობანი და უზრუნველყოს მთელი საზოგადოების არსებობა.

„ილიადაში“ აქილევსიცა და ჰექტორიც ერთიანი ზნეობრივი ნორმების მიხედვით მოქმედებენ. ზემოთ

ჩვენ დავრწმუნდით, რომ აქილევსს სრულიადაც არ ჰქონდა აბსოლუტური შინაგანი თავისუფლება, მაგრამ „ცხოვრებისეული ცდებისა და შეცდომების“ გამოცდილებას, ჰომეროსის აზრით, იგი მიჰყავდა ჭეშმარიტ მორალურ ნორმებთან, რომლის საფუძველზეც შეეძლო არსებობა ძველ ბერძნულ სამყაროს.

ახლა კი შეგვიძლია დავასკვნათ: ეპოსი ზნეობრივი ნორმების ერთიანობით ხასიათდება. იქ ადამიანის ბედნიერება დამოკიდებულია მის უნარზე ჩაებას ამ ჭეშმარიტ ზნეობრივ სისტემაში. იქ პიროვნება ცხოვრობს მთელი საზოგადოების კანონებით, ამიტომ მისი ბედი ეპიკოსი-მწერლის ყურადღებისა და ინტერესის ცენტრშია. ლირიკაში კი საქმე უფრო სხვაგვარადაა. აქ პიროვნება ეწინააღმდეგება საზოგადოების მორალს. ლირიკოსი მწერლის ყურადღებისა და ინტერესის ცენტრში პიროვნებაა, რომელიც ცდილობს გადააფასოს გაბატონებული შეხედულებები სიკეთესა და ბოროტებაზე, პატიოსნებასა და უპატიოსნობაზე.

ეს კი გამოვარკვიეთ, მაგრამ ამით გადავწყვიტეთ მხოლოდ ნაწილი ამოცანისა, უფრო სწორედ, სამი პრობლემიდან მხოლოდ ერთს შევეხეთ. ახლა გამოსარკვევია კანონზომიერებანი, რომელიც ეპოსისა და ლირიკის განვითარებას, მათს შეცვლასა და ურთიერთკავშირს უდევს საფუძვლად, მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვცადოთ ეპოსისა და ლირიკის შემდგომი განვითარების შესაძლებლობათა განსაზღვრა.

ჯერ ამ კანონზომიერებაზე ვიმსჯელოთ.

3. ლიტერატურა და სოციალური პროგრესი

მე-15 საუკუნის დასასრულს ფეოდალიზმი მიმართავს აშკარა და პირდაპირ ზედდაწოლას, სულ უფრო გამწარებული ებღაუჭება თავის პოზიციებს პოლიტიკურ, მორალურ და მხატვრულ სფეროებში. ამ გზით ცდილობს იგი აიცილოს თავიდან შემდგომი უკანდახევა ეკონომიკაში. მაგრამ ლიტერატურას, ისევე როგორც მხატვრული შემეცნების სხვა დარგს, უბრალოდ ვერაფერს უბრძანებ, მას არ შეეძლო, რა თქმა უნდა, თ ა ვ ი ს ებ უ რ ა დ არ გამოეხატა ახალი სოციალური ძალების წარმოშობა.

უკვე მე-14 საუკ. მიწურულში შექმნილი ჩოსერის „კენტერბერული მოთხრობები“ გამოხატავენ აღსასრულის გარდუვალობას. აქ ნათლად ჩანს ახალი გმირის თვისებები, რომელიც წყვეტს ოდესღაც ჩვეული, მაგრამ ახლა უკვე მისი შემბოჭავი მორალური ნორმების ჯაჭვს და გამოდის საკუთარი პიროვნების თავისუფალი გამოვლინების გზაზე. წმინდა ეპოსში პირდაპირ წარმოუდგენელი იყო კონფლიქტი, რომელიც წარმოიშვა ახლა, ჩოსერის გმირებს, არსიტსა და პალამონს შორის. გუშინ რაინდული ღირსების წარმოდგენებით შებოჭილთ, დღეს აღარ ძალუძთ იმ სიძულვილის დაფარვა, რასაც ერთიმეორისადმი გრძნობენ. ეს კი მშვენიერი ემილიასადმი ტრფობამ გამოიწვია. და ჩოსერის გმირებიც დაუფიქრებლად ეძლევიან ადამიანისათვის ბუნებრივ გრძნობას. ძველი ეპოსის ჰეროიკა ახალი ცხოვრების გავლენით უკან იხევს, — და მისი უკანდახევა იმდენად თვალსაჩინოა, რომ ჩოსერი აღიარებს:

А тот его любил с таким же жаром
И даже (если верить книгам старым),
Когда один изведал смертный хлад,
Другой его искать спустился в ад.
Рассказывать о том охоты нет.

ახლა ავტორს სხვა ინტერესები აქვს... ამ რამდენიმე საუკუნეს, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიც ვითარდებოდა ინგლისის შუასაუკუნეების ლიტერატურა, ამაოდ არ ჩაუვლია. მათ ავანსცენაზე ახალი გმირი გამოიყვანეს და ეპოსს გაუჩინეს ბზარი, რომლის დაფარვა ახლა არ შეეძლო არც ტრადიციულ სიუჟეტს, არც მითოლოგიის მოშველიებას. გმირი წყვეტს იმ უკანასკნელ ძაფებს, რაც მას აკავშირებდა შუასაუკუნეების პირველი წლების მორალთან, მთელ ფეოდალურ საზოგადოებასთან. მწერალს უკვე აინტერესებს არა თავად ძველი საზოგადოება, არამედ ახალი გმირი, ამ საზოგადოების მესაფლავე.

მე-15 საუკუნის ბოლოსთვის ახალი გმირი ძალების სრულ გაფურჩქვნას იწყებს. მას შეუძლია უშიშრად გამოეთხოვოს დრომოჭმულ, რღვევის პირად მისულ ძველ სამყაროს და შეუდგეს თავისუფალ, მხიარულ ცხოვრებას, რომელიც არაფრით არ ავიწროებს მის სულიერ ძალებს. ეს ცხადი გახდა მაშინვე, მე-15 საუკუნის ბოლოს. დღეს ჩვენ კიდევ უფრო მეტი ვიცით: ფეოდალურმა საზოგადოებამ ამოსწურა თავისი თავი და იმ რაოდენობრივმა ცვლილებებმა, რომლებიც განუწყვეტლივ გროვდებოდნენ, მიიყვანეს საზოგადოება თვისობრივ ცვლილებამდე, — ძველის ადგილს იკავებს ახალი, ბურჟუაზიული წყობილება. მთავრდება რღვევის პროცესი, იწყება შემოქმედების ეტაპი და ეს დიდი რევოლუცია, ეს, პირობითად რომ ვთქვათ, კრიტიკული შემობრუნების წერტილი, აღნიშნა ახალმა გმირმა— პიროვნებამ, ინდივიდმა, რომელიც ბრძოლას უცხადებს საზოვადოებას, და ლირიკამ, რომელმაც განდევნა ეპოსი და მისი ადგილი დაიკავა.

მაგრამ აქ გამოირკვა ერთი არც თუ ისე უმნიშვნელო დეტალი: გმირი ცხოვრობდა ძველ და საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ პლანეტაზე. ის მარტო არ იყო ამქვეყნად — და მისი დაუოკებელი ლტოლვა ცოდნისაკენ, მისი სურვილები და მისწრაფებანი უთუოდ უნდა შეჯახებოდა მილიონ სხვა სურვილსა და მისწრაფებას. თავდაპირველად ახალი გმირის აბსოლუტურ სიმართლეში ეჭვი ეპარებოდათ. მაგრამ ეს ეჭვები მეტად გაუბედავი და ფრთხილი იყო. ახალი გმირი მომხიბვლელი იყო თავისი სიძლიერით, მომავლისადმი სწრაფვით. იგი ბატონობდა ათეული წლების განმავლობაში...

მისი ყოველმხრივი გამოკვლევა და შემოწმება თავს იდო რენესანსის ლიტერატურამ, როგორც ენგელსი უწოდებდა, „სიცოცხლის მოყვარული თავისუფალი აზროვნების“ ეპოქამ. აღორძინების ხანის მწერლებმა შექმნეს შესანიშნავი ნაწარმოებები, რომლის ცენტრშიც იდგა ძლიერი პიროვნება; მას ახასიათებდა დაუოკებელი შინაგანი სწრაფვა თვითდაკმაყოფილებისაკენ. მაგრამ ეს სწრაფვა უსაზღვრო არ ყოფილა. მას ზღვარი დაუდო ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებამ, რომელიც ძალას იკრებდა, იმუშავებდა მორალური ცხოვრების ნორმებსა და ადამიანებისა და კლასების ურთიერთობის კანონებს.

ქრისტოფერ მარლოს ტრაგედიაში „თემურ დიდი“ (დაახ. 1587 წ.) აღწერილია ცნობილი შუაზიელი დამპყრობლის მთელი ცხოვრება, დაწყებული იმ დღეებიდან, როცა ის უბრალო მწყემსი იყო და გათავებული მისი — მთელი აღმოსავლეთ სამყაროს მბრძანებლის—სიკვდილით. პიესაში თემურლენგი აღსავსეა გაბედულებით, საკუთარი ძალების რწმენით. იგი აბუჩად იგდებს ათასწლობით დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებს. ტრაგედიის პირველი ნაწილის შესავალში მარლოს საჭიროდ მიაჩნია აუწყოს მაყურებლებს:

От песен плясовых и острословья,
От выходок фигляров балаганных,
Мы уведем вас в скифские шатры.
Там перед вами Тамерлан предстанет,
Чьи речи шлют надменный вызов миру...

თემურ-ლენგის სამ მონოლოგში — ადამიანის დაუოკებელ სულზე, სილამაზეზე და სიკვდილის წინა მონოლოგში მსოფლიოს რუკასთან — ისმის ცოდნის დაუცხრომელი ხმა, ისმის ოცნება გიგანტურ მეცნიერულ და ტექნიკურ გარდაქმნებზე, ადამიანის პიროვნების

განუსაზღვრელი ძალების რწმენა. მაგრამ თემურ-ლენგი ტრაგიკული გმირია. და თუმცა მარლოს ამ პიესაში ტრაგიკული კონფლიქტი არსებითად გამოტანილია პიროვნების შინაგანი ცხოვრების გარეთ, ეს კონფლიქტი მაინც არსებობს და ეპოსის სტიქიაზე და საზოგადოებით, როგორც მთლიანი სოციალური ორგანიზმით, დაინტერესებაზე მიუთითებს.

თემურ-ლენგის გამარჯვებებს ზღვარს უდებს სიკვდილი, სამაგიეროდ უკვე მარლოს მეორე პიესაში — „დოქტორ ფაუსტის ტრაგიკული ისტორია“ — კონფლიქტი გადატანილია გმირის შინაგან ცხოვრებაში. ფაუსტი ეშმაკს სულს მიჰყიდის ცოდნის, ამქვეყნიური ბედნიერებისა და ძალაუფლების საფასურად:

Итак, свой разум, Фауст изощряй,
Стремясь божественной достигнуть власти.

ის ოცნებობს ყველაფრის ცოდნაზე, შესაძლებლობაზე „გახდეს დიდი მეფე“, „ააგოს ხიდი სივრცეში და ლაშქართან ერთად ოკეანე გადაიაროს“, გააერთიანოს აფრიკა და ესპანეთი ერთ ქვეყნად, შეისწავლოს მეცნიერების ყველა დარგი და სიდიადით გაუტოლდეს თავად ღმერთს. ფაუსტმა შეიძინა ასეთი ძალა, მაგრამ ამას მისთვის ბედნიერება არ მოუტანია. ის სულ უფრო შორდება ადამიანებს, „ეწევა ძალზე განმარტოებულ ცხოვრებას.“ მისი დაღუპვა ბედის დაცინვა კი არა, შინაგანი სულიერი უთანხმოების კანონზომიერი გამოხატულებაა. ამ უთანხმოების გადალახვა არავითარ ძალას არ შეუძლია:

Побег, взраставший гордо, отсечен,
И сожжена ветвь лавра аполлона —
Пал в бездну ада сей ученый муж!
На гибель Фауста взирайте все!
Его судьба да отвратит разумных
От области познанья заповедной,
Чья глубина отважные умы
Введет в соблазн — творить деянья тьмы.

„დოქტორ ფაუსტის ტრაგიკული ისტორია“ — მარლოს უკანასკნელი პიესა არ არის, მას მოჰყვა ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, როგორიცაა „მალთელი ებრაელი“ და „ედუარდ II“. ამ პიესებზე დაწვრილებით ვერ შევჩერდებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ეპიკური ელემენტების შეჭრა დრამატურგის შემოქმედებაში სულ უფრო და უფრო ძლიერდება. ასე მაგალითად, ზეადამიანური თვისებებით აღჭურვილი მალთელი ებრაელი უკვე აშკარა ბოროტმოქმედი და მტაცებელია, რომელიც საზარელი ღალატითა და მუხანათობით ებრძვის მთელ ქვეყანას.

აღორძინების ხანის ინგლისურ ლიტერატურაში მარლო შეცვალა ისეთმა გენიოსმა, როგორიცაა შექსპირი. შექსპირმა თავის შემოქმედებაში მთელი სისრულით ასახა არა მარტო წარსულის გამოცდილება, არამედ წინასწარ განჭვრიტა კიდეც ბევრი მისი უმცროსი თანამედროვისა და განმგრძობის იდეები და ლიტერატურული სახეები. შექსპირზე როცა ლაპარაკობ, ეს ნიშნავს ილაპარაკო აღორძინების ხანის მთელ ინგლისურ ლიტერატურაზე, ისევე როგორც ქრისტოფერ მარლოსა და ბენ ჯონსონზე. შესაძლოა ასეთი მსჯელობა სახიფათოც იყოს, მაგრამ ჩვენ მაინც დავსძენთ, რომ შექსპირის შემოქმედების პირველი ეტაპი, დაწყებული „რიჩარდ მესამითა“ და „რომეო და ჯულიეტათი“ და დამთავრებული კომედიით „მეთორმეტე ღამე“ — არის ეტაპი, რომელმაც თავის შინაარსში, იდეებსა და პრობლემატიკაში საუცხოოდ მოათავსა აღორძინების ხანის საწყისი პერიოდის ყველა მეტნაკლებად ნათელი და თვითმყოფადი მხარე. სიცოცხლის მოყვარული, ოპტიმიზმით, მამაცობითა და გმირისადმი ნდობით აღსავსე პიროვნება — აი, ვინ დგას ამ პიესების ცენტრში. მან შეისისხლხორცა თომას მორის იმედიანი სულისკვეთება და ჯერ კიდევ არ იცის ის განხეთქილება, რომელმაც ტრაგიკულად სძლია მარლოს ფაუსტს.

მიხეილ ზავერინი

ეპოსისა და ლირიკის პრობლემისათვის

სულ სხვანაირად გამოიყურებიან მეორე პერიოდის გმირთა სახეები. მაკბეტის მსგავსი მკაცრი ტირანები, იაგოსნაირი ბოროტმოქმედნი — აი, მეორე პერიოდის დიად ქმნილებათა ძლიერი პიროვნებანი. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ისინი „მალთელი ებრაელის“ მხოლოდ თავისებური გამეორება იყოს. შექსპირის გმირები უფრო რთული და ისტორიულნი არიან. დრამატურგი თავის თანამედროვეებზე გაცილებით შორს მიდის. ხანდახან მისი აღმოჩენები გასაოცარია. გაიხსენეთ თუნდაც კორიოლანოსი. ის ქვეყნის მოძულე პატარა კაცუნა როდია. კორიოლანოსი არაჩვეულებრივად მამაცი და მტკიცე ნებისყოფის ადამიანია. მას ახასიათებს საგმირო საქმეების დაუცხრომელი წყურვილი და საშიშროებას არად აგდებს. უყვარს სამშობლო და მზადაა ბოლომდე ემსახუროს მას, მაგრამ კორიოლანოსი დაიღუპა იმიტომ, რომ დიდი რომის იდეათა მატარებლად დრომოჭმული პატრიციები მიაჩნდა და სიმკაცრით დაბრმავებული ვერ ხვდებოდა, რომ სამშობლო, მისი მომავალი — ეს უბრალო მშრომელი ხალხია. შექსპირის თანამედროვეთაგან ასეთ სოციალურ სიღრმეს არავინ არ ჩაწვდომია და შესაძლოა, არც აღორძინების ეპოქის მომდევნო პოეტებს, პროზაიკოსებსა და დრამატურგებს შორის მოიძებნებოდეს ვინმე.

შექსპირმა, როგორც აღორძინების ხანის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ადამიანის თავისუფალი სულის მომღერალმა, დრამატურგმა, ვის შემოქმედებაშიც ჭარბობდა ლირიკული ნიშნები, ძესამე პერიოდის პიესებში „ზამთრის ზღაპარი“ და „ქარიშხალი“, — მიგვანიშნა აღორძინების დასასრულსა და ლიტერატურის სხვა ეტაპის მოახლოებაზე. ეს იყო ეპოსის ეტაპი, როცა მწერლები ინტერესდებოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებით. ამ დრამებში შეგვიძლია დავინახოთ იმ ლიტერატურის ნიშნები, რომელმაც გაიარა მილტონი, 1640 — 1660 წ. წ. რევოლუცია და თავი იჩინა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დეფოს, სვიფტისა და ფილდინგის ნაწარმოებებში. შექსპირი ინგლისური აღორძინების კონდენსირებული ისტორიაა, ხოლო ვიწრო ფარგლებში — ლირიკულ-ეპიკური აღმავლობის ისტორია, მე-15 საუკ. ლირიკიდან, მე-18 საუკ. ეპოსამდე.

ლიტერატურის ამგვარი განვითარების პროცესს თავისი ახსნაცა აქვს და გამართლებაც. ის შეესაბამება ახალი, ბურჟუაზიული წარმოების წესსა და ბურჟუაზიული საზოგადოების ჩამოყალიბების პერიოდს. მარქსის განსაზღვრით, ადგილი ჰქონდა „ბანკოკრატების, ფინანსისტების, რანტიეს, მაკლერების, სპეკულანტებისა და ბირჟის მგლების ხროვის“ სწრაფ აღზევებას. ისინი რამდენიმე საუკუნის ბრძოლის შემდეგ, მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში მჭიდროდ შეუკავშირდნენ თავადაზნაურული არისტოკრატიის ზედა ფენას. და როცა მზის ქვეშ ადგილი დაისაკუთრეს, შეეცადნენ საზოგადოების სტაბილიზაციას, ცხოვრების ბურჟუაზიული კანონებისა და მათ მიერ წარმოქმნილი მგლური მორალის განმტკიცებას. არც გასაკვირია, რომ საზოგადოებრივი ყოფის პრობლემა მწერლებისა და პუბლიცისტების ყურადღების ცენტრში მოექცა. ეპოსი ლიტერატურის მოწინავე ხაზზე გამოვიდა და ხელი მოჰკიდა მთელი საზოგადოებრივი ორგანიზმის გამოკვლევას. მან იმთავითვე შეუწყნარებლობა გამოიჩინა არსებული წყობისადმი, გამოამჟღავნა ადამიანის საწინააღმდეგო რაობა და ვაჭრუკანა ბანკირსა და მიწათმოქმედ არისტოკრატს შორის დათაფლულ კავშირს მიღმა მშრომელი ხალხის ახალი ძალით აფეთქებული კლასობრივი შეურიგებლობა დაინახა. ამიტომ მე-18 საუკ. ეპოსს, ისევე როგორც წინამორბედ კლასობრივ ფორმაციათა ეპოსს, მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს ეპოსი. იგი შეიძლება განიმარტოს, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების ეპოქის ეპიკური შემოქმედების უმაღლესი აღმაფრენა!

ახალი ეპოსი უმთავრესად სატირული იყო, უმოწყალოდ ამათრახებდა არსებული წესწყობილების უსამართლობას და მოუწოდებდა სხვა საზოგადოებრივი წყობისაკენ. ამაშია დეფოს, სვიფტის, ფილდინგისა და მე-18 საუკ. პირველი ნახევრის სხვა დიდ მწერალთა მოღვაწეობის პროგრესული და ჰუმანური აზრი. ძლიერმა პიროვნებამ მათთვის დაკარგა მთელი თავისი მომხიბვლელობა, — და განა შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო, როცა ბურჟუა თავის „სულიერ ძალებს“ მხოლოდ და მხოლოდ გამორჩენისა და გამდიდრების კულტს ახმარდა?! ჰუმანისტმა მხატვრებმა ზურგი შეაქციეს „ძლიერ პიროვნებას“ და თავიანთი მოღვაწეობა მოანდომეს საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა თავისებურებათა გამოკვლევას, რომელიც, მათი ღრმა რწმენით, არ ეთანხმება გონების კანონებსა და ადამიანურ ღირსებას. ბურჟუასადმი სიძულვილმა, ჩაგრულებისა და დამონებულების მდგომარეობამ იძულებული გახადა ისინი ნიღაბი ჩამოეხსნათ უზენაეს ხელისუფალთათვის, მაგრამ თავიანთ ქადაგებაში ისევ მათ მიმართავენ, ისწრაფვიან, „ამა ქვეყნის ძლიერებს“ ჩაუნერგონ წარმოდგენები ზომიერებასა და საღ აზრზე. მშრომელი ხალხისთვის ცდილობენ ადგილის პოვნას საზოგადოებაში.

დეფომ რობინზონ კრუზოს ღრმაზროვნად ათქმევინა: „ბუნებამ, გამოცდილებამ და დიდი ხნის ფიქრმა დამარწმუნა, რომ ამქვეყნიური სიამენი ჩვენთვის იმდენადაა ძვირფასი, რამდენადაც ჩვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლიათ, რამდენი სიმდიდრეც არ უნდა დააგროვო, მისგან მხოლოდ იმდენ სიამოვნებას მიიღებ, რამდენის გამოყენებაც შეგიძლია, მაგრამ მეტს კი არა. ყველაზე გამოუსწორებელი ძუნწიც კი, ჩემს ადგილზე რომ მოხვედრილიყო და არ ცოდნოდა სად წაეღო თავისი ქონება, სიძუნწეს თავს დაანებებდა. მე ახლა ფიზიკურად და სულიერად გაცილებით უკეთ ვცხოვრობდი, ვიდრე წინათ. სუფრას რომ მივუჯდებოდი, ხშირად ღრმა მადლიერების გრძნობით ვიმსჭვალებოდი განგებისადმი, რომელმაც აქ, უდაბნოში სადილ-ვახშამით დამასაჩუქრა. ვისწავლე ჩემი ცხოვრების უფრო ნათელი, ვიდრე ბნელი მხარეების დანახვა, ვისწავლე — მახსოვდეს უფრო მეტად ის, რაც მაქვს და არა ის, რასაც მოკლებული ვარ. და ყველაფერი ეს ენით აუწერელ სიამოვნებას მანიჭებდა. მე ამას ვამბობ იმ უბედური ადამიანების გასაგონად, რომლებიც არასდროს, არაფრით კმაყოფილნი არ არიან, რომლებსაც არ შეუძლიათ მშვიდად დატკბნენ მონიჭებული კეთილდღეობით იმიტომ, რომ ყოველთვის ისეთი რამ სურთ, რაც არ გააჩნიათ“. ასეთი ქადაგების უტოპიზმი აშკარაა, მაგრამ ცხადია ისიც, რომ იგი მიმართულია სამყაროს მგლური კანონების წინააღმდეგ. ეს ქადაგება გაჩნდა, როგორც რეაქცია იმ „ძლიერი პიროვნების კულტზე“, რომელიც ახლა აშკარად დაწვრილმანდა. წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით კი ასეთმა რეაქციამ ლირიკული განსაკუთრებულობის პრინციპი შეცვალა ეპიკური საერთო-საყოველთაო პრინციპით. „გუიგნგნომების მთავარი სათნოება — მეგობრობა და მოკეთეობაა, — ვკითხულობთ სვიფტის „გულივერის მოგზაურობის“ მეოთხე ნაწილში, — და იგი ვრცელდება არა მარტო ცალკეულ პირებზე, არამედ მთელ რასაზე“. მეორე ნაწილში ვპოულობთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან შენიშვნას: „რამდენიმე საუკუნის მანძილზე ეს ქვეყანა ადამიანთა მოდგმის საერთო ავადმყოფობით იტანჯებოდა: თავად-აზნაურობა ხშირად იბრძოდა ხელისუფლებისათვის, ხალხი — თავისუფლებისათვის, ხოლო ხელმწიფე — აბსოლუტური ბატონობისათვის. ეს ძალები, რომლებსაც ბედნიერად მართავდა სახელმწიფოს კანონები, ხანდახან გამოდიოდნენ წონასწორობიდან და იწყებოდა სამოქალაქო ომი. ამდაგვარი

ომი უკანასკნელად მოხდა ამჟამად მმართველი მონარქის პაპის დროს და მშვიდობიანად დამთავრდა. პარტიები ერთმანეთს შეუთანხმდნენ და ერთმანეთს ბევრი რამ დაუთმეს". ასეთია, სვიფტის აზრით, გზა ერთ ქვეყანაში მექანიკურად, უწესოდ შეკავშირებული ურიცხვ ეგოისტ იეხებიდან — საძაგელ მაიმუნისმაგვარ არსებებიდან — ნორმალურ, გონიერ ადამიანთა საზოგადოებისაკენ.

მისი იეხები მაზებს, ე. ი. ფილდინგის ქურდებს ენათესავებიან. „ჯონათან უაილდ დიდის ცხოვრების ისტორიაში" ფილდინგი მიდის დასკვნამდე, რომ მთელი საზოგადოება შეიძლება გაიყოს ორ ძირითად კლასად — ისინი, ვინც თავისი ხელებით შრომობენ და ისინი, ვინც სხვის ხელებს იყენებენ. ფილდინგი ამ უკანასკნელთა შესახებ ირონიით ამბობს: „ეს კაცობრიობის ის დიდი და კეთილშობილი ნაწილია, სადაც ჩვეულებისამებრ არჩევენ დამპყრობლებს, აბსოლუტურ მონარქებს, სახელმწიფო მოღვაწეებს და მაზებს. ისინი ერთმანეთს ენათესავებიან მხოლოდ სიდიადის ხარისხით — ზოგს ბევრი ხელი ჰყავს დაკავებული და ზოგს — ნაკლები. ალექსანდრე მაკედონელიც კი უფრო დიდი იმით იყო რომელიმე თათრული ან არაბული ურდოს წინამძღოლზე, რომ სათავეში ედგა ხალხის უფრო მეტ მასას... რა უნდა გავაკეთო მე სიდიადის მისაღწევად? უნდა შევაგროვო ბრბო, და თავად გავხდე ის ცენტრი, სადაც თავს იყრის მთელი მოგება. ბრბო დაიწყებს ძარცვა-გლეჯას მხოლოდ ჩემთვის, გასამრჯელოდ კი ძალზე ცოტა რაიმეს მიიღებს. ამ ბრბოში ჩემს წყალობას ვუძღვნი ყველაზე მამაცსა და ყველაზე დიდ ბოროტმოქმედებს (როგორც მდაბიო ხალხი ამბობს), დანარჩენებს დროდადრო, როდესაც შემთხვევა მომეცემა, საკუთარი სურვილისამებრ სახრჩობელაზე ან კატორღაში გავგზავნი და ამგვარად (ამაშია. მე მგონი, მაზის დიდი უპირატესობა), ჩემს სასარგებლოდ გამოვიყენებ იმ კანონებს, რომლებიც საზოგადოების დასაცავად და მისი კეთილდღეობისთვის არის შექმნილი". ამგვარად, ახალ ისტორიულ პირობებში ლირიკული გმირის განსაკუთრებულობა უზენაეს ხელისუფალთა ეგოისტური მოქმედებებისა და განზრახვების მამოძრავებელი ძალაა. ამას რომ ხაზი გაუსვან, განმანათლებელთა საუკუნის **ეპიკური** მწერლები ადამიანთა ტიპების უიდიდრეს გალერეას ქმნიან, რთულ სიუჟეტებს თხზავენ, ცდილობენ თხრობაში მრავალი პერსონაჟის ჩაბმას და ადამიანთა, კლასებისა და წოდებების უფრო და უფრო ახალ ურთიერთობებს აღწერენ. და ყველაფერი ეს, ვიმეორებ, ერთი მიზნით კეთდება — გამოააშკარაონ არსებულ საზოგადოებაში გამეფებული კანონების საყოველთაობა და უჩვენონ მათი ძალა ცალკეულ ადამიანებსა და მთელ საზოგადოებაზე.

მე-18 საუკ. მეორე ნახევრის ინგლისში დაიწყო სამრეწველო გადატრიალება, ამას არა მარტო ტექნიკური, არამედ დიდი სოციალური მნიშვნელობაც ჰქონდა. მან გამოიწვია ახალი კლასის — პროლეტარიატის ჩამოყალიბება. ისტორიის ავანსცენაზე გამოდიოდა ახალი ძალა, აღსავსე ახალგაზრდობით, რევოლუციური ენერგიით, ძალა, რომელიც მზად იყო სასტიკ შეტაკებებში დაეცვა თავისი უფლებები. ლიტერატურა, რა თქმა უნდა, ვერ დატოვებდა უყურადღებოდ საზოგადოების წიაღში მომხდარ ცვლილებებს. გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებებში ისმის ლირიკის ჯერ მხოლოდ სუსტი ნოტები, ჩნდება სახეები, რომლებიც თავისებურად აცხადებენ ახალი ბრძოლის დასაწყისს. თავდაპირველად ესაა ხასიათები ოლივერ გოლდსმიტისა და სტერნის ნაწარმოებებში: „ვენსფილდელი მღვდელი" და „ცხოვრება და აზრები ტრისტან შენდიასა ჯენტლმენისა". ისინი ამოეფარენ ახირებულებას, „შენდიზმს", — დანარჩენ სამყაროსა და ბურჟუაზიული პრაქტიციზმის კანონებს კი ემალებიან. ავტორები ჯერ კიდევ გაუბედავად უპირისპირებენ მათ საზოგადოებას, — ისინი წყვეტენ ჯერ მხოლოდ პირველ, ყვე-

ლაზე სუსტ ძაფებს, რომლებიც ბურჟუაზიულ მორალთან აკავშირებთ. მათი ახირებულება, ამოჩემებული საგანი, როგორც სტერნი ხსნის, — „ესაა, მხიარული, ცვალებადი ქმნილება, ციცინათელა, პეპელა, უმნიშვნელო რამ, რაღაც, რასაც ეჭიდება ადამიანი, ცხოვრების ჩვეულებრივ მსვლელობას რომ გაექცეს, ერთი საათით მოშორდეს ცხოვრების მღელვარებასა და საზრუნავს". მაგრამ სწორედ ეს ახალი გმირები არიან გოლდსმიტისა და სტერნის გამოკვლევისა და ყურადღების ცენტრში.

ლირიკულ-ეპიკური ლიტერატურის ნიშან-თვისებანი, სადაც შესამჩნევია ლირიკული საწყისის ზრდა, უფრო საგრძნობი ხდება, როდესაც ვიხილავთ მე-18 საუკ. უკანასკნელი წარმომადგენლების, გოდვინისა და ბერნსის შემოქმედებას. ახალი გმირი, რომელიც სულ უფრო მტკიცედ წყვეტს კავშირს უსამართლო სამყაროსთან (ციხიდან გაქცეული კალებ ვილიამსი, გოდვინის ამავე სახელწოდების რომანის გმირი, ყაჩაღებს უვარდება ხელთ და მხოლოდ აქ, ამ ადამიანთა ბრბოში, რომლებიც კანონებს დასცინიან და სახელმწიფო წესრიგს არღვევენ, პოულობს კეთილშობილებას, ენერგიას, ცხოვრების სიხარულს და ეს შემთხვევითი არაა), ბერნსის შემოქმედებაში იძენს მებრძოლის ძალას, სიმტკიცესა და გამბედაობას. ისტორიულ-ლიტერატურული აზრით ბერნსის გმირებს სკოტის, განსაკუთრებით კი ბაირონისა და შელის გმირთა მამები და უფროსი ძმები შეიძლება ვუწოდოთ. „ჩაილდ-ჰაროლდის მოგზაურობა", ლექსების ციკლი, აღმოსავლური პოემები, „მანფრედი" და „კაინი"—ერთი შეხედვითვე ჩანს რაღაც ახალი ამ ნაწარმოებების თვით გარეგნულ წყობაში. რამდენადაც აქ მთელი ყურადღება ეთმობა გმირის სულიერ განცდებსა და ძიებებს, რამდენადაც განმანათლებელთა ლიტერატურისთვის მეტად მახლობელი იდეის ნაცვლად, რომელიც ადამიანთა საზოგადოების რაც შეიძლება რაციონალურად მოწყობას ქადაგებდა, აქ წამოყენებულია პრობლემა „პიროვნება და სხვა დანარჩენი სამყარო" — ამდენად, გასაგებია, აღარ იყო საჭირო დაკვირვება მრავალ ადამიანურ ურთიერთობებზე და მაშასადამე, მოიხსნა აუცილებლობა ერთმანეთთან დაპირისპირებული ხასიათების შექმნისა.

„მანფრედში" — ბაირონის ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ ნაწარმოებში არსებითად ერთი გმირია, რომლის სახელსაც პოემა ატარებს. და განა შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო? მანფრედს ხომ სძულს სამყარო, სადაც ის

Кто хочет
Повелевать — тот служит, льстит и клянчит,
И сторожит, высматривает все,
Живет ходячей ложью, чтобы стать
На первом месте средь толпы ничтожеств.

ამ „მოარული სიცრუის" სამყაროსთან მანფრედს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე ურთიერთობა. თუმცა, ოდესღაც, ახალგაზრდობაში, ის სხვა ხვედრზე ოცნებობდა.

Знал светлые мечты и вдохновенья,
Хотел усвоить ум других людей,
И просвещать народы, и подняться —
Куда, не знаю, —и упасть, быть может,
Но так упасть, как горный водопад,
Что, прянув с ослепительной вершины,
В самой вспененной бездне, восходящей
Туманными столпами в облака,
Чтобы оттуда вновь дождем пролиться, —
Лежит, вовек могуч...

მით უფრო მწარე იყო გულის გატეხვა. სიყალბესა და ცრუავტორიტეტებზე დაფუძნებული ეს სამყარო უარყოფას მოითხოვდა. მისი თვისებები შიშსა და ზიზღს ბადებდნენ. სიმახინჯე ავადმყოფობის ნიშანი კი არ იყო, რომლის განკურნებაც შეიძლებოდა, არამედ მოახლოებული სიკვდილისა, რომლის გადადება არც შეიძლება და არცაა საჭირო.

მიხეილ ზავერინი

ეპოსისა და ლირიკის პრობლემისათვის

ბაირონმაც და შელიმაც, — იქნება ეს ლექსები: „ისლამის აჯანყება“, „გათავისუფლებული პრომეთე“ თუ „ჩენჩი“ — გენიალურად ასახეს იმდროინდელი სამყარო, მისი ზნეობა და მორალი. და ამ დროს ლირიკა აღმოჩნდა ლიტერატურის ის ყოვლისმომცველი სახეობა, რომელმაც შესძლო გამოევლინებინა მომხდარ ცვლილებათა მთელი სიღრმე და მნიშვნელობა: არენაზე სულ უფრო მტკიცედ გამოდიოდა თავისი სამყაროს აშენების სურვილით შეპყრობილი ახალი კლასი, რომელსაც შეგნებული ჰქონდა თავისი მიზნები. მის წინ ჯერ კიდევ გრძელი და ძნელი გზა იყო. ხოლო უფრო იქით უკვე ციცაბო მაგრამ იმედის მომცემი აღმართი იწყებოდა — გზა ახალი ეპოსისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ბაქრაძე

მივხედოთ ქართულ ესტრადას

როცა ქართული ესტრადის ლიტერატურულ მასალას ვეცნობოდი, ერთი ძველი ანეგდოტი გამახსენდა.

რუსეთის დედოფალ ანას იტალიელი ხუმარა პედრილო ჰყოლია. ერთხელ მასთან ვიღაც იტალიელი მისულა. ეს კაცი პოეტობას იჩემებდა და ხუმარასთანაც საკუთარი პოემის წასაკითხად მისულიყო. პოეტს იქ, სადაც საფანელი შემოჰკლებოდა, დანტეს ტერცინები ჩაეკერებინა. პოემის კითხვისას თურმე პედრილო წამოდგებოდა, ჩაჩს იხდიდა და თავს მძიმედ ხრიდა.

— რას აკეთებთ, ბ-ნო პედრილო?— უკითხავს გაოცებულ პოეტს.

— არაფერს, ძველ ნაცნობებს ვესალმები, — უპასუხნია ხუმარას.

ძველი ნაცნობები ქართული ესტრადის ლიტერატურულ მასალაშიაც ხშირად მხვდებოდნენ. ეს, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, არც იმათთვის არის უცნობი, ვინც ესტრადისათვის წერს: საესტრადო წარმოდგენაში „დანაშაულის კვალდაკვალ“ დაუფარავად არის ნათქვამი, ამ ბოლო დროს ესტრადას ხშირად აკრიტიკებენ ერთფეროვნებისა და ერთიდაიგივეს მრავალგზისი გადამღერებისათვისო. ჩვენი ესტრადის ამავე ნაკლის გამოა ლაპარაკი მეორე საესტრადო წარმოდგენაშიც — „ვისაუბროთ გულახდილად“. ასე რომ ქართული ესტრადის მუშაკებს ბრალს ვერ დავდებთ — თვითკრიტიკას არ ეწევიანო. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ თვითკრიტიკაში თავისმართლების ცდაც შეიმჩნევა (ოფიციანტის, მენავთის, მელუდის, ტაქსის შოფრის, ნოქარის, სპეკულანტის გარდა, „სხვისი კრიტიკა არ შეიძლება და აბა, რა ვქნათ?“), მიუხედავად იმისა, რომ იგი მოკლებულია დამაჯერებელ არგუმენტაციას, რადგან არავის აუკრძალავს და ვერც ვერავინ აკრძალავს უარყოფითი მოვლენების კრიტიკას. სად და ვინ თქვა, რომ არ შეიძლება ბოროტების, სიხარბის, მატყუარობის, ორპირობის, მექრთამეობის, ღორმუცელობის, მლიქვნელობის, ფლიდობის, ჭორიკანობის, უხამსობის, უნამუსობის, სილაჩრის, გაუტანლობის, გამცემლობის, ბაქიაობის, ყოყოჩობის, გამფლანგველობის, მძარცველობის, პედანტიზმის, ბიუროკრატიზმის, კარიერიზმის, ცრუმეცნიერების, ცრუხელოვნებისა და სხვა გონჯი მოვლენების კრიტიკა? რა თქმა უნდა, შეიძლება და აუცილებელიც არის.

გარდა ამისა, მთავარი ის კი არაა, კონკრეტულად ვის აკრიტიკებენ, უბრალო ნოქარსა თუ დიდბრალიან მინისტრს, არამედ ის, თუ რა უარყოფით მოვლენას, რა ბოროტებას ამხელენ. მთავარია, მხატვრული ანალიზის საშუალებით თავად უარყოფითი მოვლენის არსის გახსნა, მისი ნამდვილი ბუნების ჩვენება, დამახასიათებელი თვისებების გამოვლენა და ულმობელი დაცინვა-გამათრახება. კონკრეტულ მისამართებს კი მაყურებელიც კარგად მოძებნის. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაყურებელიც არის და მაყურებელიც. ამოცანა ისაა, რომ მა-

ღალი გემოვნების მაყურებელს ესთეტიკური სიამოვნება მივანიჭოთ, ხოლო დაბალი გემოვნების მაყურებელი კი მაღალ ესთეტიკურ იდეალებს ვაზიაროთ. ამ ამოცანის გადასაწყვეტად, როგორც ცნობილია, სულ მცირე ორი რამ არის საჭირო — ნიჭი და დახვეწილი პროფესიული ოსტატობა. რაც შეეხება ნიჭიერებას, შოლომ ალეიხემის მოხდენილი თქმის არ იყოს, „ნიჭი ფულივით არის. ვისაც აქვს — აქვს, ვისაც არა აქვს — არა აქვს"; ხოლო პროფესიული ოსტატობისა და ესთეტიკური კულტურის შეძენა-აღზრდა შეიძლება. ამისათვის ქართული ესტრადის მუშაკებმა ძალ-ღონე არ უნდა დაიშურონ, თორემ აღარ შეიძლება ასეთი პრიმიტიული და პროვინციული ხუმრობებით ვუმასპინძლდებოდეთ მაყურებელს:

„—...ბაბუაშენი ძალიან სიმპათიური კაცი იყო, თეთრი წვერებით...

— არა, ბაბუაჩემს არა ჰქონია წვერები.

— ვაჰ! შემეშალა... ის აკაკი წერეთელს ჰქონდა წვერები"... (საესტრადო მიმოხილვა — **„ვისაუბროთ გულახდილად")**.

ამ დიალოგში არავითარი აზრი არაა, გარდა ავტორების დაუოკებელი სურვილისა — რადაც არ უნდა დაუჯდეთ, გააცინონ მაყურებელი. უაზრო სიცილს ილია ჭავჭავაძე ლაზღანდარობას უწოდებდა. სიცილის აღსაძვრელად ყოველგვარი საშუალება არ გამოდგება. როგორც სიცილის საგანს, ისე სიცილის გამომწვევ საშუალებებს ფრთხილად, გააზრებულად და გონივრულად უნდა მოვეკიდეთ, რადგან სიცილს შეუძლია აჩვენოს და გახსნას მთელი საზოგადოების ბუნება და სახე. გავიხსენოთ ძველი ამბავი. გადმოგვცემენ, რომ ძველი რომაელები, გართობის მიზნით, მონას აძლევდნენ კვერცხს, რომელიც მას უნდა მიეტანა ცირკის არენაზე და გამძვინვარებული მხეცების წინ დაედო. შიშისაგან აცახცახებული მონის ყურებისას რომაელები თურმე სიცილით იხოცებოდნენ. ისინი იცინოდნენ აგრეთვე ხეიბრების, ავადმყოფების, თვალახვეულთა ბრძოლის ცქერის დროსაც. როგორც ვხედავთ, რომაელების სიცილი კარგად ლაპარაკობს მონათმფლობელური საზოგადოების ბუნებასა და ხასიათზე. სიცილის ასეთი თვისება იძლევა საშუალებას გავაკეთოთ ერთი ცნობილი აფორიზმის პერიფრაზა: მითხარი, რატომ იცინი და გეტყვი, ვინ ხარ შენ.

იშვიათი არაა შემთხვევა, როცა სიცილი ბუმერანგივით უკან ბრუნდება და ფაქტიურად მისი მამხილებელი ძალა მიიმართება არა იმის წინააღმდეგ, ვისაც დასცინიან, არამედ იმის წინააღმდეგ, ვინც დასცინის. ე. ი. ნებით თუ უნებლიეთ აირევა მისამართები და სიცილის საგანი და სიცილის გამომწვევი საშუალება — ხერხები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ერთმანეთს გამორიცხავს. მისამართების ასეთი არევის ნიმუშია მუსიკალური ბუფონადა **„ფერმის გამგის გასაჭირი ანუ ისმაილა ლაილა"**. ბუფონადის ავტორის მიზანია დასცინოს ლოთ, უქნარა და ზარმაც ფერმის გამგეს. მაგრამ ავტორის სურვილი განუხორციელებელი რჩება, რადგან ფერმის გამგე არაფრით არ იწვევს სიცილს და არც სასაცილო მდგომარეობაში ვარდება უკვე ხსენებული უარყოფითი თვისებების გამო. სიცილს იწვევს ბუფონადის სულ სხვა პერსონაჟი — ენაბლუ ბაჭია (ბიჭის სახელია), რადგან მისი ენაბლუობა ავტორს გამოყენებული აქვს სიცილის გამომწვევ საშუალებად. ბაჭიას უჭირს სწრაფი ლაპარაკი, რის გამოც კოლმეურნე თათამურა და ფერმის გამგე ისმაილა დასცინიან მას (მათთან ერთად მაყურებელიც) და ბუფონადის ავტორის დავალებით „ხან პროზით ალაპარაკებენ, ხან ოპერულად". აქ ავტორს სულ მცირე სამი შეცდომა აქვს დაშვებული:

პირველი: სიცილის საგანია და სიცილს იწვევს არა ფერმის გამგის უქნარობა და ლოთობა, არამედ ადამიანის ფიზიკური ნაკლი — ენაბლუობა. ე. ი. **მხატვრულ ამოცანასა** (უქნარობისა და

ლოთობის გამასხარავება) **და ბუფონადის რეალურ შინაარსს შორის წინააღმდეგობაა,** რის გამოც ავტორის მიზანი მიღწეული არაა და ამიტომ სიცილი თვითმიზნად არის ქცეული (ვიცინეთ, მაგრამ ბოროტებას ვერ დავცინეთ).

მეორე: თვითმიზ. ურმა სიცილმა მიგვიყვანა მხატვრულ-ა ირობრივ შეცდომამდე. დავცინეთ ადა .ენს, რომელსაც არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, რომლის არც ერთი უარყოფითი თვისება ბუფონადის ავტორს მითითებული არა .აქვს და, რაც მხატვრულად მთავარია, ვისი დაცინვაც თავად ავტორის მიზანსაც არ წარმოადგენდა.

მესამე: ადამიანის ფიზიკური ნაკლი (ამ შემთხვევაში ენაბლუობა), არ შეიძლება იყოს სიცილის საგანი. ასეთი სიცილი უსამართლო და არაჰუმანურია. ჩვეულებრივ ადამიანის ფიზიკური ნაკლი იწვევს თანაგრძნობასა და სიბრალულს. სტენდალი წერდა, რომ პეწენიკად ჩაცმული კაცის ტლაპოში ჩავარდნა სიცილს იწვევს (სიცილი გამოწვეულია უპირატესობის შეგრძნებით — ტლაპოში ჩავარდა და დაისვარა სხვა და არა ჩვენ), მაგრამ საკმარისია დავინახოთ, რომ ჩავარდნისას მან ხელი ან ფეხი იტკინა და დაცინვა თანაგრძნობით შეიცვლებაო. ტკივილი უკვე აღარ არის კულტურული ადამიანისათვის სიცილის საგანი. სკლეროზით დაავადებულ ადამიანებს დასცინიან მეორე საესტრადო წარმოდგენაში **„მხოლოდ სიცილით“.** ამ შემთხვევაშიც დაშვებულია შეცდომა, რასაც შეიძლება ვუწოდოთ სიცილის საგნის ბუნებისა და შინაარსის გაუთვალისწინებლობა.

როგორც ჩანს, მაყურებლის გაცინების სურვილი იმდენად დიდია, რომ ყურადღება არ ექცევა იმას, თუ ამა თუ იმ საესტრადო წარმოდგენის ნახვისა და მოსმენის შემდეგ მაყურებელმა ან მსმენელმა რა ლოგიკური დასკვნა შეიძლება გააკეთოს. უფრო ნათელი რომ გახდეს, რაზეა ლაპარაკი, ერთი კონკრეტული მაგალითი მოვიტანოთ საესტრადო წარმოდგენიდან **„დანაშაულის კვალდაკვალ“** და გავაანალიზოთ. ერთერთ სცენაში ავტორებს სურთ ქარაგმულად დასცინონ ახალგაზრდებს, რომელთაც უმაღლესი სასწავლებელი დამთავრეს, სოფლად სამუშაოდ არ მიდიან და ქალაქში უქმად ყოფნას არჩევენ. ფელეტონში ავტორებს აღუწერიათ თავისებური გარემო და შეუქმნიათ დღევანდელი სიტუაციის საპირისპირო სიტუაცია (არავინ რჩება ქალაქად, ყველა მიდის სოფელში). მაგრამ ერთი უარყოფითი მოვლენის დაგმობის მიზნით დაგვიხატეს მეორე არანაკლებ უარყოფითი მოვლენა. სოფელში აღარ იქნება საჭირო არც ექიმი, არც ვეტექიმი (მას მხოლოდ 10 კვერცხს ჩააბარებენ ინკუბატორში მოსავლელად, რადგან სხვა დანიშნულება უკვე აღარ ექნება), არც აგრონომი, მეველეებად იურისტები იმუშავებენ და ა. შ. ერთი სიტყვით, მომავლის მეტად არასახარბიელო სურათია დახატული. თუ დღეს სოფელს უჭირს უახალგაზრდებოდ, ასი წლის შემდეგ ახალგაზრდობა ჩავარდება გასაჭირში უსოფლოდ. აქედან დასკვნა ასეთია: ერთი არანორმალური მდგომარეობა შეიცვლება მეორეთი. ჩვენ კი ამიტომ თურმე უნდა ვიცინოთ და ვიხარხაროთ.

ულოგიკობამ ორგვარი დასკვნის გამოტანის საშუალება მოგვცა და ემოციურადაც ორივე მოვლენის წინააღმდეგ აღგვძრა. ამან კი დღევანდელი უარყოფითი მოვლენის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკის სიმწვავე შეამცირა და დამცინავად შეგვახედინა მომავლისათვის, რაც ალბათ სრულიადაც არ შეადგენდა ავტორების მიზანს.

ასევე ორგვარი დასკვნის გამოტანა შეიძლება მუსიკალური ფელეტონიდან **„ოცნება და სინამდვილე“.** ავტორი გვარწმუნებს, რომ 1975 წელს ტელეფონით დაგვირეკავენ შინ და გვეტყვიან — რიგიდან ძვირფასი ავეჯი ჩამოგიტანეთო (ე. ი. ქარაგმულად ნათქვამია — ახლანდელი მდგომარეობა არ

ღალი გემოვნების მაყურებელს ესთეტიკური სიამოვნება მივანიჭოთ, ხოლო დაბალი გემოვნების მაყურებელი კი მაღალ ესთეტიკურ იდეალებს ვაზიაროთ. ამ ამოცანის გადასაწყვეტად, როგორც ცნობილია, სულ მცირე ორი რამ არის საჭირო — ნიჭი და დახვეწილი პროფესიული ოსტატობა. რაც შეეხება ნიჭიერებას, შოლომ ალეიხემის მოხდენილი თქმის არ იყოს, „ნიჭი ფულივით არის. ვისაც აქვს — აქვს, ვისაც არა აქვს — არა აქვს"; ხოლო პროფესიული ოსტატობისა და ესთეტიკური კულტურის შეძენა-აღზრდა შეიძლება. ამისათვის ქართული ესტრადის მუშაკებმა ძალ-ღონე არ უნდა დაიშურონ, თორემ აღარ შეიძლება ასეთი პრიმიტიული და პროვინციული ხუმრობებით ვუმასპინძლდებოდეთ მაყურებელს:

„—...ბაბუაშენი ძალიან სიმპათიური კაცი იყო, თეთრი წვერებით...

— არა, ბაბუაჩემს არა ჰქონია წვერები.

— ვაჰ! შემეშალა... ის აკაკი წერეთელს ჰქონდა წვერები"... (საესტრადო მიმოხილვა — **„ვისაუბროთ გულახდილად")**.

ამ დიალოგში არავითარი აზრი არაა, გარდა ავტორების დაუოკებელი სურვილისა — რადაც არ უნდა დაუჯდეთ, გააცინონ მაყურებელი. უაზრო სიცილს ილია ჭავჭავაძე ლაზღანდარობას უწოდებდა. სიცილის აღსაძვრელად ყოველგვარი საშუალება არ გამოდგება. როგორც სიცილის საგანს, ისე სიცილის გამომწვევ საშუალებებს ფრთხილად, გააზრებულად და გონივრულად უნდა მოვეჭიცეთ, რადგან სიცილს შეუძლია აჩვენოს და გახსნას მთელი საზოგადოების ბუნება და სახე. გავიხსენოთ ძველი ამბავი. გადმოგვცემენ, რომ ძველი რომაელები, გართობის მიზნით, მონას აძლევდნენ კვერცხს, რომელიც მას უნდა მიეტანა ცირკის არენაზე და გამძვინვარებული მხეცების წინ დაედო. შიშისაგან აცახცახებული მონის ყურებისას რომაელები თურმე სიცილით იხოცებოდნენ. ისინი იცინოდნენ აგრეთვე ხეიბრების, ავადმყოფების, თვალახვეულთა ბრძოლის ცქერის დროსაც. როგორც ვხედავთ, რომაელების სიცილი კარგად ლაპარაკობს მონათმფლობელური საზოგადოების ბუნებასა და ხასიათზე. სიცილის ასეთი თვისება იძლევა საშუალებას გავაკეთოთ ერთი ცნობილი აფორიზმის პერიფრაზა: მითხარი, რატომ იცინი და გეტყვი, ვინ ხარ შენ.

იშვიათი არაა შემთხვევა, როცა სიცილი ბუმერანგივით უკან ბრუნდება და ფაქტიურად მისი მამხილებელი ძალა მიიმართება არა იმის წინააღმდეგ, ვისაც დასცინიან, არამედ იმის წინააღმდეგ, ვინც დასცინის. ე. ი. ნებით თუ უნებლიეთ აირევა მისამართები და სიცილის საგანი და სიცილის გამომწვევი საშუალება — ხერხები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ერთმანეთს გამორიცხავს. მისამართების ასეთი არევის ნიმუშია მუსიკალური ბუფონადა **„ფერმის გამგის გასაჭირი ანუ ისმაილა ლაილა"**. ბუფონადის ავტორის მიზანია დასცინოს ლოთ, უქნარა და ზარმაც ფერმის გამგეს. მაგრამ ავტორის სურვილი განუხორციელებელი რჩება, რადგან ფერმის გამგე არაფრით არ იწვევს სიცილს და არც სასაცილო მდგომარეობაში ვარდება უკვე ხსენებული უარყოფითი თვისებების გამო. სიცილს იწვევს ბუფონადის სულ სხვა პერსონაჟი — ენაბლუ ბაჭია (ბიჭის სახელია), რადგან მისი ენაბლუობა ავტორს გამოყენებული აქვს სიცილის გამომწვევ საშუალებად. ბაჭიას უჭირს სწრაფი ლაპარაკი, რის გამოც კოლმეურნე თათამურა და ფერმის გამგე ისმაილა დასცინიან მას (მათთან ერთად მაყურებელიც) და ბუფონადის ავტორის დავალებით „ხან პროზით ალაპარაკებენ, ხან ოპერულად". აქ ავტორს სულ მცირე სამი შეცდომა აქვს დაშვებული:

პირველი: სიცილის საგანია და სიცილს იწვევს არა ფერმის გამგის უქნარობა და ლოთობა, არამედ ადამიანის ფიზიკური ნაკლი — ენაბლუობა. ე. ი. **მხატვრულ ამოცანასა** (უქნარობისა და

იქნება და სპეკულანტები არ დაგვჭირდება კარგი ლატვიური ავეჯის შესაძენადო). მაგრამ ავტორმა უყურადღებოდ დატოვა მეორე დასკვნა, რომელიც შეიძლება გააკეთოს კაცმა: თუ 1975 წელსაც რიგიდან მოგვიხდება ავეჯის ზიდვა და თბილისის ავეჯის ფაბრიკები ვერაფერს დაამზადებენ სახეიროს, მაშინ აღარ ყოფილა საშველი და ესაა. ამისი თქმა კი ავტორს მიზნად არ ჰქონია. იგი უნებლიეთ დაბადა არალოგიკურად დაწერილმა ფელეტონმა. ასეთი შეცდომის მიზეზი კი ისაა, რომ უმთავრესი ზრუნვის საგანს წარმოადგენს რაგინდარა საშუალებებით გამოწვეული სიცილი, ხოლო უყურადღებოდ არის დატოვებული აზრი, რომელიც უნდა დაბადოს სიცილმა. მათი (სიცილისა და აზრის) ერთმანეთისაგან გათიშვა კი არ შეიძლება, თუ არ გვინდა გონივრული სიცილი ლაზღანდარობად გვექცეს.

სასაცილო ჟანრის არც ერთი ჭეშმარიტი ნაწარმოები, იქნება იგი დიდი სატირული კომედია, თუ პატარა ფელეტონი, არ იძლევა ორგვარი დასკვნის გამოტანის საშუალებას, რადგან სიცილს ეკარგება მთლიანობა, ეკარგება კონკრეტული მისამართი და მამხილებელი ძალაც. ხშირად კი განზრახულის საპირისპირო შედეგიც შეიძლება მოგვცეს — დავცინოთ იმას, რის დაცინვაც მიზნად არ გვქონია.

ხშირად არალოგიკურობა არღვევს პერსონაჟის ხასიათის მთლიანობას, რაც თავის მხრივ დამაჯერებლობას უკარგავს ავტორისეულ კონცეფციას. ამ დებულების საილუსტრაციოდ ერთი მაგალითი მოვიტანოთ. საესტრადო წარმოდგენის **„მხოლოდ სიცილით“** ავტორები გვარწმუნებენ, რომ კბილის ექიმი ავადმყოფ ოფიციანტს უხეშად და უზრდელად იმიტომ მოექცა, რომ დილით ექიმს მაღაზიაში აწყენინეს და ცუდ გუნებაზე დააყენესო. სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანის სულიერი მდგომარეობა განსაზღვრა გარემომ, სიტუაციამ (თავაზიანი კაცი მოთმინებიდან გამოიყვანეს და ელემენტარული ეთიკის ნორმები დაარღვევინეს). მაგრამ ბუნებით თავაზიანი ადამიანი, რომელსაც ზრდილობა დაავიწყა შემთხვევითმა გარემო-სიტუაციამ, ერთდროულად ვერ იქნება უზრდელი და უხეში ერთის მიმართ, ხოლო თავაზიანი და ზრდილი მეორის მიმართ. ჩვენი კბილის ექიმი კი ერთდროულად ამჟღავნებს სწორედ ორგვარ ხასიათს: ემუქრება და უხეშად ელაპარაკება ოფიციანტს („შენ ენას კბილი დააჭირე, თორემ დაგაძრობ მაგ კბილებს“) და იმავე დროს გულმშვიდად და თავაზიანად საუბრობს ტელეფონით ძმაკაცთან თბილისელი ფეხბურთელების თამაშზე. აქ დარღვეულია ფსიქოლოგიური სიმართლე და ხასიათის მთლიანობა. ამიტომ, ავტორთა სურვილის წინააღმდეგ, მივიღეთ ბუნებით უზრდელი კაცის სახე და ხასიათი, რამაც გამორიცხა გარემოსა და მდგომარეობის კრიტიკა. ავტორების შეცდომა განსაზღვრა სურვილმა — როგორმე გაეცინებინათ მაყურებელი. მართლაც, მხოლოდ სიტუაციას თუ წარმოვიდგენთ, გარეგნულად იგი სასაცილოა: პირდაღებული კაცი, რომელსაც უზომოდ სტკივა კბილი და ექიმი, რომელსაც სულ არ ენაღვლება ავადმყოფი და ტელეფონით წყნარად მსჯელობს „დინამოს“ თამაშზე კიევში. მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორები ემპირიული მასალის ტყვეობაში მოექცნენ და მისი გააზრება ვერ მოახერხეს, ანუ, როგორც ამბობენ, ხეებს იქით ვერ დაინახეს ტყე.

დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ საესტრადო წარმოდგენების ავტორები ვერ ახერხებენ პერსონაჟის მეტყველების საშუალებით დახატონ მისი (პერსონაჟის) პიროვნება, ხასიათი, ბუნება. მართალია, ეს მეტად რთული საქმეა, რადგან ერთმა მოსწრებულმა ფრაზამ უნდა გახსნას პერსონაჟის ბუნებაც და აღძრას სიცილიც. ესტრადისათვის წერა ძნელია, რადგან იგი განსაკუთრებულ გონებამახვილობას, ლაკონურობასა და სისხარტეს მოითხოვს. რაკი ამ სიძნელისათვის თავის გართმევა უჭირთ, მიმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავენ მოძველებულ და გაცვეთილ ხერხებს. ძირითადად ოთხი საშუალებაა გამოყენებული: 1. თბილისელი ქურთების ქართული (ჯერ კიდევ გ. ერისთავი და ა. ცაგარელი მიმართავდნენ სიცილის გამოწვევის მიზნით თბილისელი სომხების დამახინჯებულ ქართულს. მიუხედავად მათი დიდი დამსახურებისა ჩვენი კულტურის წინაშე, ეს ტრადიცია დასაგმობი და უარსაყოფია), 2. მეგრული აქცენტი, 3. გურული დიალექტი (ეს უკანასკნელი ბოლო წლების „მიღწევაა") და 4. რუსული სიტყვებით აჭრელებული ქართული ფრაზები. ჯერ ერთი ხსენებული „მხატვრული ხერხების" გამოყენება ურჯულოდ ამახინჯებს ქართულ ენას; მეორეც, ისინი არ იძლევიან პერსონაჟში სასაცილოს (სასაცილოში უსათუოდ იგულისხმება სოციალურად, პოლიტიკურად და მორალურ-ეთიკურად უარყოფითი მოვლენა) გახსნა-ჩვენების საშუალებას. როცა ა. ჩეხოვის უნტერი პრიშიბეევი წამდაუწუმ სამხედრო ტერმინებს ხმარობს, მბრძანებლობს, ეს იმაზე ლაპარაკობს, რომ სამხედრო მუშტრამ და დისციპლინამ მასში ადამიანი ჩაკლა. სოციალური წყობა, რომელიც ადამიანში კლავს ადამიანს, დასაგმობია. აი, რას გვეუბნება პრიშიბეევის სალაპარაკო ენა. ხოლო, რაც შეეხება ქურთს, რომელიც ჩინებული მოქართულე ვერაა, რატომ უნდა იყოს სიცილის საგანი? არა მგონია, ჩვენი საესტრადო წარმოდგენების ავტორებმა ქურთული იცოდნენ თუნდაც ავად, მაგრამ ამისათვის ქურთული ხელოვნება მათ სიცილის საგნად ვერ გახდის. საერთოდ, თუკი უცხო კაცის მიერ კოჭლი ქართულით ლაპარაკი დაცინვის საგანია, მაშინ რატომ არ დავცინით, ვთქვათ, იმ უკრაინელებს, რომლებიც ქართულად ცუდად ლაპარაკობენ? ერთი სიტყვით, ნებით თუ უნებლიეთ, ხელოვნების პრინციპი შეცვლილია მოარული ანეგდოტის პრინციპით. ასევეა აქცენტისა და დიალექტის გამოყენების დროსაც (თორემ ეგ. ნინოშვილი ხშირად მიმართავდა გურულ დიალექტს, მაგრამ საეჭვოა, მისი მოთხრობების კითხვისას ვინმე იცინოდეს).

ქართული ენის ბედის მიმართ გულგრილი დამოკიდებულების შედეგია საესტრადო წარმოდგენების პერსონაჟთა სამეტყველო ენის აჭრელება ასეთი სიტყვებით: **„რაზდევალკა", „სპასატელნი კრუგი", „ბრონი"** („დარტყმა, არის!"), **„ლიუნი ბატინკები", „ლევი საქონელი", „ზაუიგალკა"** (აქ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ ადგილას ავტორები მორცხვად „უსწორებენ" პერსონაჟს ქართულს და წერენ: „ხელით ანიშნებს — **ზაუიგატელიო"), „სპიჩკა", „ვენოკი"** („ვისაუბროთ გულახდილად"), **„სკვაზნიაკი", „პრახადნოი დვორი", „აფშესტვენნაია ნაგრუზკა"** („სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად") და ა. შ. ასეთი აჭრელებული ქართულით სიცილის გამოწვევა ჩვენი ესტრადის დაბალ მხატვრულ კულტურასა და პროვინციალიზმზე ლაპარაკობს. ასეთსავე დასკვნამდე მივყავართ კიდევ ერთ დასაგმობ ტრადიციას: სიცილის გამოწვევის ცდას ხელოვნურად გამოგონილი სახელებითა და გვარებით. მაგალითად, სლოკინაშვილი, ბოყინაძე (სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს ლიტერატურული ეთიკის დარღვევაა), გრამაფონა, დოლგარმონაშვილი **(„შევხვდეთ ერთმანეთს")**, დასჯაძე, სამართლიშვილი, ეკრანიშვილი **(„სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად")** და ა. შ.

სხვათაშორის, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ერთ ფაქტს: ჩვენი ესტრადა თავად გამოდის ქართული ენის ქომაგის როლში **(„საქმე, რომელიც უნდა მოგვარდეს")** მაშინ, როცა სწორედ საესტრადო წარმოდგენებში შეხვდებით იმის საუკეთესო ნიმუშებს, თუ როგორ არ უნდა წერდეს და ლაპარაკობდეს კაცი. აჰა, მაგალითებიც (ავტორების ორ-

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოგრაფია, პუნქტუაცია, სტილი დაცულია):

საქმის მცოდნე გამრჯე არის
ქალაქშიც და უამირზეც,
არამცოდნე თავს დაიძვრენს,
ოღონდ საქმე არ მისცე.

წარმოიდგინეთ, რა ძალა უნდა დაატანოს მკითხველმა თავს, რომ გაიგოს, რისი თქმა სურს ავტორს.

ზოგი კიდევ სამსახურში
ძნელ საქმეს ცვლის ადვილზე.
ასე ხდება როცა კაცი
არ ზის თავის ადგილზე.
ნერგები ზეზეულად კვდებიან

ან კიდევ:

ყველას რომ ხოტბას ასხამენ,
ხეებს, ტალანტებს, დუპლეტებს,
კაცს ვეღარ გაგირჩევია
პავლეს აქებენ, თუ პეტრეს.
მოკეთეს პირში ვუძრახოთ

უნდა გულწრფელად ვუთხრათ ამ ლექსის ავტორს — ქართული პოეზიისა და ესტრადის საკეთილდღეოდ უკეთესია ლექსად არ წეროს.

მაგრამ აზრს ჩემში ვერ ჰკლავდნენ,
ვერც არა ტყვიით ხვრეტამდნენ
და მაინც მკლავდნენ ყოველდღე
თუმც არ ვკვდებოდი, ხედავდნენ.
ვაჟა იტყოდა საყვედურს

როგორ გგონია, მკითხველო, ვაჟას რომ ეს სტრიქონები წაეკითხა, ვითომ მარტო საყვედურით დაკმაყოფილდებოდა?

ქალს უხდება გაცინება
და თუ მიეცი ნება,
ზოგიერთს ვერ გააჩერებ,
როცა გაეცინა.

. . .

ზოგიერთები „ოტელოს“
უცქერიან, ეძინებათ,
დეზდემონას რომ ახრჩობენ
მაშინ გაეცინებათ.
მხოლოდ სიცილით

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

მსგავსი მაგალითების მოტანა დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია ნათქვამის ნათელსაყოფად.

ამხანაგებო, მივხედოთ ქართულ ესტრადას! იგი ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია და ღირსია მეტი პატივისცემის, მეტი სიყვარულის, მეტი ყურადღებისა როგორც თავად ესტრადის მუშაკების, ისე მწერლობის მხრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნების ჩვენება

„ბჰაგავატგიტა“ ქართულად

ბჰაგავატგიტა. თარგმანი თამაზ ჩხენკელისა, წინასიტყვა რევაზ თვარაძისა, რედაქტორი ე. ალექსიძე, მხატვარი შ.დოლიძე, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1963 წ. გვ. 106, ფასი 17 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა ინდური და მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი შედევრის — „ბჰაგავატგიტას“ ქართული თარგმანი, რომელიც თამაზ ჩხენკელს ეკუთვნის.

აღმოსავლური ლიტერატურის თარგმნას ჩვენში დიდი ტრადიციები აქვს. მიუხედავად ამისა, მრავალი ღირსშესანიშნავი აღმოსავლური თხზულება დღემდე არ გვაქვს თარგმნილი. თამაზ ჩხენკელის აღნიშნული თარგმანი ნაწილობრივ ავსებს ამ ხარვეზს.

„ბჰაგავატგიტა“ ამ სამი ათასი წლის წინ შექმნილი დიდი ინდური ეპოსის — „მაჰაბჰარატას“ ერთ-ერთი ნაწილია, რომელშიც უშუალოდ და ნათლად ჩანს ინდოელების ეროვნული ფილოსოფია; ინდური მეტაფიზიკისა და კოსმოგონიის შორეული საწყისები, რომელთა ანარეკლს ბერძნულ ფილოსოფიაში ვხედავთ; იოგების მოძღვრება და თავის წვრთნა, მათი ფიზიკური ვარჯიშები და სხვ. ამავე დროს „ბჰაგავატგიტა“ შესანიშნავია, როგორც მაღალმხატვრული სახეებითა და ალეგორიებით მდიდარი პოეტური ქმნილება. მკითხველს ხიბლავს ეთიკური მოძღვრების სიღრმე და მრავალმხრივობა, დიდი ჰუმანიზმი.

„ბჰაგავატგიტას“ ქართულად თარგმნა საპატიო და ძნელი საქმეა. მის თარგმნას აადვილებს ის გარემოება, რომ ქართულ ენაზე არსებობს უმდიდრესი ძველი და ახალი პოეზია და პროზა, რომელიც ისეთსავე მაღალ ეთიკურ თემებს ეხება, როგორსაც „ბჰაგავატგიტა“. ორიგინალის ფაქიზი ნიუანსების გადმოსაცემად ქართულ ენას შესაბამისი ლექსიკა გააჩნია. რაც მთავარია, მთარგმნელმა სრულყოფილად იცის ქართული პოეტური ენა, შესანიშნავად იყენებს პოეტურ ტრადიციას და თარგმანისთვის არჩევს ყველაზე ზუსტსა და გამომხატველ სიტყვებს. ენის თანამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროვე ნორმების გვერდით მთარგმნელი ხშირად და მეტწილად წარმატებით ხმარობს ძველი ქართულის ცალკეულ სიტყვებს, გამოთქმებს თუ სინტაქსურ კონსტრუქციებს. უდავოა ისიც, რომ მთარგმნელს დიდი დახმარება გაუწია სხვა აღმოსავლური თხზულებების — ბო ძიუ-ის ლირიკისა და თაგორის „გიტანჯალის“ თარგმნით მიღებულმა გამოცდილებამ.

თარგმანს ახასიათებს დიდი მოქნილობა და სტილის ნაირობა, მთარგმნელი სათუთად გრძნობს ავტორის განწყობილებათა მიმოხრას და მით ქართულ ტექსტს მრავალფეროვნებასა და ჭეშმარიტ პოეტურობას ანიჭებს. თ. ჩხენკელის უდავო დამსახურება არის ის, რომ აღნიშნული თარგმანი სტილისტურად და ინტონაციებით დიდად განსხვავდება მის მიერვე შესრულებული სხვა თარგმანებისგან, კერძოდ რაბინდრანად თაგორის თარგმანისგან, რომელიც აგრეთვე ინდურ პოეტურ სამყაროს ეკუთვნის.

ინდური პოეზიის თარგმნა მეტად რთული საქმეა და არ შეიძლება აქ ზოგი რამ სადავო არ იყოს. „ბჰაგავატგიტაში“ ტექსტის გაგებას და მისი პოეტური ღირსების აღქმას აძნელებს ის, რომ მრავალი ინდური ეპითეტი თუ ტერმინი ფრჩხილების გაუხსნელად, უთარგმნელად სწერია. მაგალითად:

„ამ სპათა შორის დაადგინე ჩემი ეტლი, ო, აჩიუტა“ (შენიშვნებში ახსნილია: **„აჩიუტა“** — კრიშნას ეპითეტია. **„შეუმუსვრელი“, „უქცეველი“**);

„მათი ცნობა მსურს, დრითარაშტრას ვეარაგი ძის ნების დასტურად ერთმანეთზე საომრად ვინც აღმდგარა, მადჰუსაღანა“ (შენიშვნაში სწერია: **„მადჰუსაღანა“** — კრიშნას ეპითეტია: **„მადჰუს“** — ბოროტი სულის მკვლელი);

„როგორ გავიმირო ისრებით ჩემგან ღირმესი თაყვანისცემის ღირსი ბჰიშმა და დრონა, არისუდანა?“ (შენიშვნაშია: **არისუდანა**—კრიშნას ეპითეტია. **„მტერთა მმუსვრელი“**).

უმჯობესი იქნებოდა ქართული თარგმანი ტექსტში მოგვეთავსებინა, ხოლო განმარტება, რომ ეს კრიშნას ერთ-ერთი ეპითეტია, შენიშვნებში ყოფილიყო ჩამოტანილი. ეს თუნდაც იმიტომ არის საჭირო, რომ ინდური სახელები წოდებით ბრუნვაში არ ისმება და მკითხველი ვერ არჩევს, ვის ახსენებს გმირი და ვის მიმართავს.

ჩვენი აზრით, მთარგმნელი უნდა მორიდებოდა იმ გამოთქმების განმეორებას, რომელსაც ჩვენ მხოლოდ ერთი თხზულებიდან — „ვეფხისტყაოსნიდან“ ვიცნობთ და ამიტომ ამ პოემას გვაგონებს. „ცხრო და თრთოლა“, „მაღალი და მაღლად მხედი“ და ზოგი სხვა შოთა რუსთაველის გამოთქმებია და სხვა ავტორის თხზულებაში უადგილოდ გამოიყურება.

მთარგმნელი ხშირად იყენებს ძველი ქართულის სიტყვებს და კონსტრუქციებს, მაგრამ ეს ექსპერიმენტები ყოველთვის როდი უმართლებს. მაგ., მკითხველისთვის, რომელსაც ძველი ქართული ენა საგანგებოდ არ შეუსწავლია, გაუგებარი დარჩება:

„უჩინოა არსი დასაბამად, საჩინოა საშუალს შორის“ („შორის“ თანდებული ძველ ქართულში **„ში“-ს** უდრის). „ცნობა“ „გონებას“ მხოლოდ ძველ ქართულში ნიშნავს და ახლა შეიძლება მკითხველი დააბნიოს. მთარგმნელი კავშირებით კილოს ხმარობს მომავლის მნიშვნელობით, როგორც ეს ძველ ქართულშია და ამით რელიგიური თხზულებების სტილს ბაძავს (**„შევიწყნარო იგინი“, „ხოლო რომელნი მე შემომიდგენ — გაგლიჯონ იგი“** და სხვ.). თანამედროვე მკითხველისთვის ეს უთუოდ გაუგებარია — კავშირებით კილოში დასმული ზმნა მისთვის ბრძა-

ნების გამომხატველია და არა მომავალი დროისა. ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ახდენს ფორმები — „მეცნავი“, „მეცნაური“ „არგულშეძრული“. თუმცა იმ შემოქმედებითი ექსპერიმენტების ფონზე, რაც თარგმანში ძირითადად წარმატებით არის განხორციელებული, ასეთი მცირე უზუსტობები გარდუვალია.

წიგნს წამძღვარებული აქვს რევაზ თვარაძის წინასიტყვაობა, სადაც ძალიან მოკლედ, მაგრამ ყველა ძირითადი მომენტის გათვალისწინებით დახასიათებულია „ბჰაგავატგიტას“ ადგილი ინდურ და მსოფლიო ლიტერატურაში და გადმოცემულია „მაჰაბჰარატას“ ფაბულა.

ნოდარ ნათაძე

„საყოველთაო სიმღერა“



პაბლო ნერუდა. საყოველთაო სიმღერა. თარგმანი მუხრან მაჭავარიანის, გივი ძნელაძის და არჩილ სულაკაურისა. რედაქტორი ე. უბილავა, მხატვარი გ. გორდელაძე; გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1963 წ. გვ. 116, ფასი 21 კაპ.

ნესტიან საკანში გამომწყვდეული იულიუს ფუჩიკი დახვრეტის წინ წერდა: იან ნერუდა დიდი მწერალია და სათანადო დაფასება სჭირდებაო. სწორედ ამ მწერლის პატივსაცემად დაარქვა „ნერუდა“ ჩილიელმა პოეტმა ნეფტალი რიკარდო რეიესმა.

პაბლო ნერუდა დაიბადა 1904 წელს ჩილის ქალაქ პარალში, რკინიგზელის ოჯახში. ლექსების წერა ათი წლისამ დაიწყო. ნერუდას შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა მისმა მასწავლებელმა ცნობილმა პოეტმა ქალმა, შემდგომში ნობელის პრემიის ლაურეატმა გაბრიელა მისტრალმა.

1921 წელს ნერუდა გადასახლდა ჩილის დედაქალაქ სანტ-იაგოში და მთელი გატაცებით ჩაება ლიტერატურულ საქმიანობაში. ამავე წელს გამოვიდა მისი პირველი წიგნი, პოემა „სადღესასწაულო სიმღერები“.

პაბლო ნერუდა რამდენიმე წელს დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში; ხოლო 1934 წელს იგი მადრიდში არის ჩილის კონსულის თანამდებობაზე. პაბლო ნერუდა ამ დროისათვის უკვე აღიარებულ პოეტად ითვლება, როგორც ლათინურ ამერიკაში, ასევე ესპანეთში.

ესპანეთში ყოფნისას ნერუდა დაუახლოვდა პროგრესულად მოაზროვნე მხატვრებს, მუსიკოსებს, მწერლებს, პოეტებს; განსაკუთრებით კი ფედერიკო გარსია ლორკას.

ესპანეთის სამოქალაქო ომის დღეებში პოეტი მტკიცედ დადგა რესპუბლიკელთა მხარეზე, მაგრამ ეს არ გამოჰპარვია ჩილის მთავრობას და იგი ესპანეთიდან გაიწვია. სამშობლოში დაბრუნებულმა პაბლო ნერუდამ დაწერა ლექსების წიგნი „ესპანეთი გულში," რომელიც ჩილიში გამოვიდა. მალე ეს წიგნი ამერიკასა და ევროპაშიაც ითარგმნა; ესპანეთში იგი გამოვიდა 1938 წლის 7 ნოემბერს, მადრიდის დაცვის მესამე წლისთავზე. წიგნი ააწყვეს და დასტამბეს თვით მადრიდის დამცველებმა, რაც თავისთავად მეტყველებს პოეტის მებრძოლ სულზე, მის დიდ თანაგრძნობაზე უბრალო ადამიანების მიმართ.

1940 წლიდან პაბლო ნერუდა ჩილის კონსულია მექსიკაში. იგი ინტერესით ადევნებს თვალს ევროპის ამბებს და შემდეგ ისტორიულ ბრძოლას ვოლგაზე. გამოდის სიტყვებით და მოწოდებებით საბჭოთა ხალხის, საბჭოთა მიწა-წყლის დასაცავად.

1943 წელს ნერუდა ისევ სამშობლოში ბრუნდება. მას ირჩევენ სენატში; იმ ხანებში კომუნისტურ პარტიაშიც შედის და უფრო ინტენსიურად მუშაობს ადრე ჩაფიქრებულ „საყოველთაო სიმღერაზე".

ნერუდა პრეზიდენტის არჩევნებში კომუნისტურ პარტიასთან ერთად მხარს უჭერს გონსალეს ვიდელას კანდიდატურას, რომელიც ხალხს მიწის რეფორმას, სიტყვის თავისუფლებას და ათასგვარ სიკეთეს ჰპირდება, მაგრამ არჩევის შემდეგ ყველაფერ ამას ივიწყებს და რეპრესიებს ახორციელებს კომუნისტების მიმართ.

პაბლო ნერუდამ სააშკარაოზე გამოიტანა პრეზიდენტის საქციელი; ღია ბარათები დაუგზავნა ყველა ცნობილ პიროვნებას დედამიწის ყოველ კუთხეში, თუმც იცოდა, რომ ამ ამბავს პრეზიდენტი უყურადღებოდ არ დატოვებდა.

პრეზიდენტის აგენტებმა ცეცხლი წაუკიდეს პოეტის სახლს და მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ გადაარჩინა შენობა და ძვირფასეულობა — წიგნები და სურათების იშვიათი კოლექცია.

მთავრობამ პაბლო ნერუდას სამშობლოს ღალატი დააბრალა და იგი სასამართლოს გადასცა. მთელი ჩილი აღსდგა პოეტის დასაცავად; მოსახლეობა დღედაღამ იცავდა მის სახლს პოლიციის აგენტებისაგან. 1948 წლის 6 იანვარს პაბლო ნერუდა გამოვიდა სენატში. მან არა მარტო თავი გაიმართლა, არამედ მთავრობასაც და პრეზიდენტსაც დაუმტკიცა, რომ თვითონ ისინი იყვნენ სამშობლოს მოღალატენი. ამის შემდეგ პაბლო ნერუდა არალეგალურ ცხოვრებას იწყებს. 1949 წელს ტოვებს სამშობლოს; მოგზაურობს ევროპაში, ჩამოდის საბჭოთა კავშირში. ამავე წლიდან აქტიურად მონაწილეობს მშვიდობის დაცვის საერთაშორისო მოძრაობაში. მხოლოდ 1952 წელს ეძლევა სამშობლოში დაბრუნების საშუალება.

„საყოველთაო სიმღერის" სრული ტექსტი გამოიცა 1950 წელს, მექსიკაში.

1954 წელს ჩილიში აღინიშნა მისი დაბადების 50 წლისთავი; ეს თარიღი ეროვნულ დღესასწაულად იქცა.

პაბლო ნერუდას იცნობენ ყველგან, როგორც დიდ პოეტსა და ძლიერ პიროვნებას. იგი მშვიდობის საერთაშორისო პრემიისა და „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" ლენინური პრემიის ლაურეატია.

პოეტის პირველი წიგნი ქართულ ენაზე ამ რამდენიმე წლის წინ გამოვიდა. ახლახან გამომცემლობა „ნაკადულმა" გამოსცა მისი მეორე წიგნი, რომელიც ძირითადად პირველის განმეორებაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკანასკნელ ხანებში თავისუფალ კუბაზე დაწერილ ლექსებს.

პოეტი აღფრთოვანებულ სტრიქონებს უძღვნის იმ ადამიანს, რომელმაც „თვით ზეცამდე აამაღლა პატარა კუბა":

ფიდელ!
ცეცხლოვანი სიტყვისათვის,
გმირული ნაბიჯებისათვის,
დიდი, თბილი გულისათვის —

ხალხს უყვარხარ შენ,
ქვეყანა მადლიერია შენი...

თარგმანი **გ. ძნელაძისა**

პაბლო ნერუდა გულთბილ სტრიქონებს უძღვნის ხოსე მარტის, პოეტსა და რევოლუციონერს, რომელმაც თავისუფლებისათვ-ს ბრძოლას შესწირა თავი.

„საყოველთაო სიმღერის“ დაწერას ავტორი ათ წელზე მეტ ხანს მოუნდა. ამ წიგნიდან ქართულ კრებულში შეტანილია ორი პოემა, მეცხრე თავი: „დაე, გაიღვიძოს ტყისმჭრელმა“ (თარგმანი მ. მაჭავარიანის და გ. ძნელაძისა) და მეათე თავი — „ლტოლვილი“ (თარგმანი ა. სულაკაურისა).

„დაე, გაიღვიძოს ტყისმჭრელმა“ — ეს არის სიმფონია სიცოცხლის სიყვარულზე, ეს არის სამშობლოს მონატრული ადამიანის წუხილი და ომებით მოქანცული ადამიანის გოდება:

მშვიდობა ხნულში ჩათესილ ხორბალს.
მშვიდობა აკვნებს,
მშვიდობა ჩიტებს,
მდინარეს,
მიწას,
ადამიანს,
ყველას მშვიდობა!

პოემა „ლტოლვილი“ დაახლოებით იმავე თემას ეხება, თუმცა განსხვავება მაინც საგრძნობია.

სარეცენზიო წიგნში საუკეთესო ლექსია „ევროპის ვენახები“ (ციკლიდან „ვენახები და ქარები“. თარგმანი მ. მაჭავარიანისა). ლექსში უხვად გვხვდება მძაფრი, ენერგიული მოწოდებები მშვიდობის დასაცავად:

არ დამანახოთ ელვარება სიკვდილის
ცელის,
არ დამანახოთ სახრჩობელა — გაწვდილი
ხელით,
მე განგმირული ჯარისკაცის არ მინდა
ნახვა...

შემდეგ:

მე დამანახეთ კომბაინი, მეურმის სახრე,
მე დამანახეთ გუთნით ხელში თეთრი
აპრილი...

საერთოდ, წიგნი კარგი ქართულით არის თარგმნილი. ლექსები დალაგებულია გემოვნებით; მკითხველს სწორი შთაბეჭდილება ექმნება დიდი ჩილიელი პოეტის შემოქმედებაზე. დასასრულ შეიძლებოდა მოგვეყვანა პაბლო ნერუდას სტრიქონები მისი ლექსიდან „ფინალი“:

არის შექმნილი ეს გულწრფელი სიტყვები
ჩემგან.
შექმნა ესენი სისხლმა ჩემმა და ხორცმა
ჩემმა.
ცხადზე ცხადია, მეგობრებო, ეს ჩემთვის
ახლა...
სიმღერას თქვენსას შეუერთდა სიმღერა
ჩემი.

კარლო კობერიძე

გივი გამრეკელი

კორიფეთა გაღერება

1. ფილიდორი

დღეს, როდესაც ჭადრაკმა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში შეაღწია, მოჭადრაკეები გათამამებულნი არიან სხვადასხვა ორგანიზაციების, მრავალრიცხოვანი ყურნალ-გაზეთებისა და გულშემატკივრების დიდი ყურადღებით. ორი საუკუნის წინ კი მოჭადრაკეთა ერთადერთი თავშესაყარი ადგილი კაფეები იყო. განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობდა XVIII ს. დასაწყისში პარიზის კაფე „რეჟანსი".

დენი დიდრო „რამოს ძმიშვილში" წერდა:

„როდესაც ძლიერ ცივა ან ძლიერ წვიმს, მე თავს ვაფარებ კაფე „დე ლა რეჟანსს". აქ მე თავს ვიქცევ ჭადრაკის თამაშის ყურებით. პარიზი — ესაა ადგილი მსოფლიოში, კაფე „რეჟანსი" კი ადგილი პარიზში, სადაც ჭადრაკს თამაშობენ". ამ კაფეში თავს იყრიდნენ პარიზის უძლიერესი მოჭადრაკეები. ამასთან საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის წინ „რეჟანსი" ერთადერთი ადგილი იყო პარიზში, სადაც ერთმანეთისაგან არ არჩევდნენ „არისტოკრატიისა და „მესამე წოდების" წარმომადგენლებს და სადაც მთავარი იყო საჭადრაკო კვალიფიკაცია.

„რეჟანსში" სხვადასხვა დროს დადიოდნენ ვოლტერი, დ'ალამბერი, დიდრო, რუსო, რობესპიერი, ნაპოლეონი. ნაპოლეონი საკმაოდ სუსტად თამაშობდა, მაგრამ ჭადრაკი მეტად უყვარდა. უკვე წმ. ელენეს კუნძულზე გადასახლებული, იგი ბევრს ეთამაშებოდა მარშალ ბერტრანს და წაგების შემთხვევაში ყოველთვის გული მოსდიოდა. ამიტომ მარშალი ხშირად განზრახ აგებდა მასთან.

ამ ეპოქის უძლიერესმა მოჭადრაკემ ფრანსუა ანდრე დანიკან ფილიდორმაც სწორედ კაფე „რეჟანსში" გამოიჩინა თავი.

ფილიდორი დაიბადა 1726 წელს, დრიოში, პარიზის ახლოს. მისი წინაპრები მუსიკოსები იყვნენ. ექვსი წლიდან თვით ფილიდორიც სამეფო კაპელაში მღეროდა. აქ მუსიკოსები ჭადრაკის თამაშით ერთობოდნენ და პატარა ბავშვმაც შეიყვარა იგი. შემდგომში ფილიდორი სახელგანთქმული კომპოზიტორი გახდა. მან დაწერა ოცდაათამდე ოპერა, რომელთა შორის დიდი წარმატება ხვდა „ტომ ჯონსს", „ჯადოქარს" და განსაკუთრებით „მჭედელს". ფილიდორი თვალსაჩინო მომღერალიც იყო და მუსიკას თავისი ცხოვრების მთავარ მიზნად თვლიდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ზოგიერთი ნაწარმოები დღემდე სრულდება, იგი მაინც უფრო მოჭადრაკედ არის ცნობილი.

ჭაბუკი ფილიდორი ყოველ საღამოს კაფე „რეჟანსში" ატარებდა და თვალს ადევნებდა პარიზის ცნობილი ოსტატების თამაშს. ჯერ მისი საჭადრაკო წარმატებები უმნიშვნელო იყო და ასე გასინჯეთ, კაფეს (და პარიზის) უძლიერესი მოჭადრაკე ლეგალი მას წინასწარ ეტლსაც კი აძლევდა. მაგრამ ფილიდორი თანდათან ეუფლებოდა თამაშის ხელოვნებას და ლეგალს სულ უფრო და უფრო უჭირდა უეტლოდ თამაში. უკვე სამი წლის შემდეგ ლეგალმა უარი

განაცხადა ფილიდორთან წინასწარ რაიმეს, თუნდაც პაიკის დათმობაზე და თანაბარი ძალებით შეება მას. ცოტა ხნის შემდეგ კი ლეგალი თანაბარი ძალებითაც ვერ უმკლავდებოდა ფილიდორს — მოწაფემ სძლია მასწავლებელს და საფრანგეთის უძლიერესი მოჭადრაკე გახდა.

ახალგაზრდა ფილიდორი ბევრს მოგზაურობდა. იგი მართავდა კონცერტებს — მღეროდა, ასრულებდა საკუთარ ნაწარმოებებს. ამასთან ფილიდორი ყოველ ქვეყანაში ჭადრაკს ეთამაშებოდა ადგილობრივ გამოჩენილ ოსტატებს და ჩვეულებრივ იმარჯვებდა.

1747 წელს ფილიდორი ლონდონს ესტუმრა. აქ გაიმართა მისი მატჩი იმ დროისათვის ცნობილ მოჭადრაკესთან, სირიელ ფილიპ სტამასთან, რომელიც ლონდონში ცხოვრობდა. ფრანგი მოჭადრაკე უკეთესად თამაშობდა. წინასწარი პირობის თანახმად, სტამა ყველა პარტიაში თეთრებით თამაშობდა. ეს, რა თქმა უნდა, ფილიდორის დიდ უპირატესობაზე მეტყველებდა. ამითვე უნდა აიხსნას დებულების ერთი უცნაური პუნქტიც — ყაიმი სტამას მოგებად ეთვლებოდა. მაგრამ ასეთმა დათმობებმაც ვერ იხსნეს სტამა, რომელმაც რვა პარტია წააგო, ერთი ყაიმით დაამთავრა და ერთი მოიგო. სტამას დამარცხების შემდეგ ფილიდორი მატჩში შეხვდა ლონდონის უძლიერეს ოსტატ იანსენს და იოლად დაამარცხა იგი (ოთხი პარტია მოიგო ფილიდორმა, ერთი — იანსენმა).

1751 წელს ფილიდორმა ასევე დიდი წარმატებით იმოგზაურა გერმანიაში და დაამტკიცა, რომ მას ევროპაში ბადალი არ ჰყავდა. 1755 წელს პარიზში იოლად მოუგო ლეგალს, თავის ყოფილ მასწავლებელს. იმდროინდელი გაზეთები მას „ყველა დროის პირველ მოჭადრაკეს" უწოდებდნენ.

ფილიდორს თავისი თანამემამულეები აღტაცებაში მოჰყავდა დაფაზე დაუხედავად თამაშითაც. მას შეეძლო ერთდროულად სამ მეტოქესთან ეთამაშა ასე: რა თქმა უნდა, ეს რეკორდი მომდევნო ეპოქაში ბევრმა ოსტატმა მოხსნა, მაგრამ მეთვრამეტე საუკუნეში სამ მეტოქესთან დაფაზე დაუხედავად თამაში სასწაულად მიაჩნდათ. საყურადღებოა, რომ ფილიდორის თამაშს დაფაზე დაუხედავად თავიანთ ცნობილ „ენციკლოპედიაში" ახსენებენ დ'ალამბერი და დიდრო.

ჩვენამდე ფილიდორის პარტიების მცირე რაოდენობამ მოაღწია, ამასთან მათი უმეტესობა თანაბარი ძალით არ არის ნათამაშევი. ფილიდორს ღირსეული მეტოქეები არა ჰყავდა, ამიტომ ძალების გასათანაბრებლად მეტოქეებს წინასწარი შეთანხმებით ფიგურებს უთმობდა.

1772 წლიდან ფილიდორი ხშირად მოგზაურობდა ლონდონში. იგი აქვე გარდაიცვალა 1792 წელს.

ფილიდორმა დიდად შეუწყო ხელი ჭადრაკის განვითარებას, არა მარტო როგორც იმდროინდელი მსოფლიოს უძლიერესმა ოსტატმა, არამედ როგორც თეორეტიკოსმაც. ფილიდორამდე ძალზე გავრცელებული იყო ფილიპ სტამას წიგნი „ჭადრაკის თამაშის საიდუმლოებანი, გამოაშკარავებულნი სტამას მიერ". 1748 წელს ფილიდორმა გამოაქვეყნა წიგნი „ჭადრაკის თამაშის ანალიზი". ეს წიგნი დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მრავალ ენაზე ითარგმნა. საკმარისია აღინიშნოს, რომ წიგნით მოვაჭრე სანსონი ამ წიგნის 1871 წლის გამოცემას სამოცდამეათე გამოცემად სთვლიდა. „ჭადრაკის თამაშის ანალიზი" იმდროინდელი საჭადრაკო ლიტერატურის ძვირფასი შენაძენი იყო.

„ჭადრაკის თამაშის ანალიზში" ფილიდორმა ჩამოაყალიბა თამაშის საკუთარი თეორია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პოზიციურ თამაშს, რომელიც საფუძვლიანად განსხვავდებოდა მანამდე მიღებული დოგმებისაგან. ფილიდორმა თავისი გამოკვლევებით ბიძგი მისცა ახალი საჭადრაკო თეორიის განვითარებას, უფრო შინაარსიანი და მრავალფეროვანი გახადა ჭადრაკი.

ფილიდორამდე თამაშის მთავარი მიზნისაკენ — მეტოქის მეფის დატყვევებისაკენ — ყოველგვარი მომზადების გარეშე მიისწრაფოდნენ. მოჭადრაკეები არ ერიდებოდნენ მატერიალურ მსხვერპლს და თამაშის ერთადერთ მიზნად შეტევა მიაჩნდათ. რა თქმა უნდა, ოსტატები ასე თუ ისე უფრთხილდებოდნენ საკუთარ ფიგურებს, მაგრამ პაიკებს „არაფრად აგდებდნენ".

ფილიდორი პირველი მოჭადრაკე იყო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პოზიციურ თამაშს, შეეცადა შეექმნა ჭადრაკის ზოგადი თეორია. „პაიკი საჭადრაკო პარტიის სულია, — წერდა იგი — მათ ხელსაყრელ ან უხერხულ განლაგებაზეა დამოკიდებული იერიშისა თუ თავდაცვის წარმატების ბედი. პაიკებით თამაშის ხელოვნება წყვეტს პარტიის ბედს".

თავის წინამორბედთაგან განსხვავებით ფილიდორი არ მიისწრაფოდა ფიგურული იერიშისაკენ, არამედ მთელ ყურადღებას ძალების (პირველ რიგში პაიკების) ჰარმონიულ განვითარებას უთმობდა.

ამჟამად ფილიდორის ზოგიერთი გამონათქვამი შეიძლება გულუბრყვილოდაც მოგვეჩვენოს, მაგრამ თავის დროზე მათ ნამდვილი გადატრიალება მოახდინეს საჭადრაკო ხელოვნებაში.

რა თქმა უნდა, ფილიდორი, როგორც სრულიად ახალი თეორიის ავტორი, ერთხმად როდი აღიარეს საჭადრაკო სამყაროში. მის თეორიას დიდი მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა; ისინი ფილიდორის თამაშს „მდორედ" სთვლიდნენ და უპირატესობას ძველ კომბინაციურ სკოლას ანიჭებდნენ. მაგრამ თანდათან ფილიდორის თეორიულმა ნაშრომებმა პოპულარობა მოიპო-

---

ვეს და მათ გატაცებით სწავლობდნენ მოჭადრაკეთა ახალი თაობები. აქ გარკვეული როლი იმ ფაქტმაც ითამაშა, რომ ფილიდორმა პრაქტიკულად დაამტკიცა თავისი დიდი უპირატესობა ყველა იმდროინდელ ოსტატთან შედარებით. მას ხომ 50 წლის მანძილზე ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოში. შემდგომში ფილიდორის იდეებს ისეთი დიდი პროპაგანდისტი და მიმდევარი გამოუჩნდა, როგორიც ვილჰელმ სტეინიცი იყო.

ფრანსუა ანდრე დანიკან ფილიდორი ახალი ჭადრაკის კარიბჭესთან დგას. დიდია ფრანგი დიდოსტატის ღვაწლი საჭადრაკო ხელოვნების საქმეში. ვიქტორ ჰიუგო ამბობდა: „ვოლტერა მხოლოდ ადამიანი როდია, იგი მთელი საუკუნეა". ასევე „მთელი საუკუნეა" საჭადრაკო ხელოვნებაში ფილიდორი, იმდროინდელი საჭადრაკო სამყაროს „უგვირგვინო მეფე" და სწორუპოვარი თეორეტიკოსი.

მოგვყავს ფილიდორის შემოქმედების ერთ-ერთი ნიმუში. ფილიდორს მეფე, მხედარი და პაიკი აქვს შავების მეფისა და ორი პაიკის წინააღმდეგ. მაგრამ შავების გამსვლელი პაიკები მეტად სახიფათოდ ემუქრებიან თეთრებს. ფილიდორი საინტერესო გზით ახერხებს თავისი ინგლისელი მეტოქის ბოუდლერის მუქარების უვნებელყოფას:

თეთრები: ფილიდორი—მფd6, მf1, პ.e6
შავები: ბოუდლერი—მფe8, პ.a4, f2

1. მe3 a3 2. მd5! (აქ აგებდა 2.e7 f1 ლ3. მ:f1a2 და შავები იგებდნენ) 2... f1ლ 3.მc7+ მფf8 (არ ვარგოდა 3... მფd8 4e7 მფc8 5.e8 ლ+ მფb7 6. ლa8+ მფb6 7. მd5 მფb5 8.ლc6+ მფa5 8. ლb6+ და 10 ლb4 შ.მ.თ.) 4. e7+ მფq7 5. e8ლ ლf8 6.ლ.f8+ მფ:f8 7. მe6+ მფf7 8. მd4 და თეთრები აკეთებენ გამსვლელ პაიკს რითაც აღწევენ ყაიმს.

ალჟირი

კინემატოგრაფიის პირველი ნაბიჯი

ალჟირის კინემატოგრაფიამ ეს-ესაა ფეხი აიდგა. კინოცენტრს, სადაც იღებენ ფილმებს (ჯერჯერობით მოკლემეტრაჟიანს) და ასწავლიან კინომექანიკოსებსა და ოპერატორებს, ამჟამად სათავეში უდგას რეჟისორი რენე ვოტიე, ავტორი ფილმებისა — „50-იანი წლების აფრიკა“ და „ალჟირი ცეცხლშია გახვეული“. მთელს ალჟირში ეწყობა კინოკლუბები, სადაც აჩვენებენ არაბულ ენაზე გახმოვანებულ საბჭოთა ფილმებს („ჯავშნოსანი პოტიომკინი“, „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ“, „მოწმენდილი ცა“ და სხვ.), ეწყობა სპეციალური სეანსები ქალებისათვის, ახალგაზრდებისათვის და ა. შ. ამ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 80% წერა-კითხვის უცოდინარია, კინოს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

ა შ შ

დრამატურგების ბოიკოტი

ორმოცდარვა ინგლისელმა და ამერიკელმა დრამატურგმა აკრძალეს თავიანთი პიესების დადგმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყველა იმ თეატრში, სადაც მაყურებლები რასობრივ დისკრიმინაციას განიცდიან. განცხადებაში მათ დაწერეს, რომ ამიერიდან პიესების დადგმის თაობაზე დადებულ ხელშეკრულებაში შეიტანენ საგანგებო პუნქტს, რომლითაც პიესის დადგმის უფლება ავტომატურად წაერთმევა იმ თეატრს, სადაც მიღებულია რასობრივი დისკრიმინაცია. ეს პუნქტი შეეხება არა მხოლოდ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, არამედ დედამიწაზე არსებულ ყველა თეატრს;

ეს განცხადება დაეგზავნა 200 ცნობილ დრამატურგს, ჯერჯერობით ხელი მოაწერეს გრემ გრინმა, არტურ მილერმა, ჯ. ბ. პრისტლიმ, ჯონ ოსბორნმა, სემიუელ ბეკეტმა, კ. პ. სნოუმ, არნოლდ უესკერმა, შეილა დელანეიმ, დაფნა დიუ-მორიემ, ენგეს უილსონმა და სხვ.

იქნება თუ არა დიურენმატის ფილმი?

ამერიკელმა კინოკომპანიამ „თვენტის სენჩური ფოკს“ ჯერ კიდევ ამ ორი წლის უკან შეისყიდა უოლრიხ დიურენმატის ცნობილი პიესის „მოხუცი მანდილოსნის ვიზიტის“ ეკრანიზაციის უფლება. პრესაში გამოცხადდა, რომ იწყება ფილმის გადაღება და რომ მოწვეული არიან ინგრიდ ბერგმანი და ანტონ კუინი. მაგრამ ამას წინათ ფირმამ მატერიალური მიზეზების გამო გააუქმა მათთან დადებული ხელშეკრულება. გამოირკვა, რომ მის ორ უკანასკნელ გრანდიოზულ ფილმს — „კლეოპატრას“ ელიზაბეტ ტეილორის მონაწილეობით და „უგრძეს დღეს“ (მეორე მსოფლიო ომის დროს მოკავშირეების შეჭრა საფრანგეთში) დღემდე არ აუნაზღაურებია ის უზომოდ დიდი თანხა, რაც მათს გადაღებაზე დაიხარჯა.

ხმები დადის, რომ იუგოსლავიის კინოსტუდია „ავალამ“ ფოკსის კომპანიას შესთავაზა ამ ფილმის ერთობლივი გადაღება დასავლეთ-გერმანელი რეჟისორის ბერნჰარდ ვიკის ხელმძღვანელობით.

რას კითხულობენ ნიუ-იორკელები

ამერიკული ჟურნალის „მაკლინზ მეგეზინ“ რედაქტორებმა შეადგინეს ცხრილი, საიდანაც ჩანს, თუ რა თანმიმდევრობით კითხულობენ ნიუ-იორკელები თავიანთ გაზეთებს: 1. კროსვორდები, 2. კომიკსები, 3. სპორტის ახალი ამბები, 4. შემთხვევათა ქრონიკა, 5. რადიოსა და ტელევიზიის პროგრამა, 6. ბირჟის ცნობები, 7. დანარჩენი.

ბრაზილია

მემორიალური გამოფენა

ამას წინათ ბრაზილიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ მოაწყო ცნობილი ბრაზილიელი კომუნისტი მწერლის გრასილიანო რამოსის გარდაცვალების 10 წლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალური გამოფენა. კინომუშაკები იღებენ ახალ ფილმს მწერლის ყვე-

ლაზე უფრო პოპულარული, 12 ენაზე თარგმნილი რომანის „დაღლილი ადამიანების“ მიხედვით. სხვათა შორის, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გრასილიანო რამოსი ეწვია საქართველოს, როგორც ბრაზილიიდან საბჭოთა კავშირში ჩამოსული პირველი დელეგაციის წევრი.

გერმანია

ბანაკის სიმღერათა კრებული

ხელოვნებათა აკადემია ამზადებს ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში შექმნილი სიმღერების კრებულს. ამ ბანაკების ყოფილ პატიმრებს დაეგზავნათ თხოვნა — მოაწოდონ კრებულისათვის თვით მათ მიერ შექმნილი ან მათთვის ცნობილი სიმღერები.

5 წელიწადში — ნახევარი მილიარდი

„ნეიე დეიჩე ლიტერატურ“-ის ცნობით უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე გდრ-ში გამოსული წიგნების ტირაჟმა ნახევარ მილიარდ ეგზემპლარს მიაღწია. ყველაზე დიდი ტირაჟი — 1 მილიონ ეგზემპლარზე მეტი — ჰქონდა ბერთოლდ ბრეხტის ნაწარმოებებს. მილიონიან ტირაჟს უახლოვდება აგრეთვე ფრიდრიხ ვოლფის, ანა ზეგერსის, ლიუდვიგ რენის და ვილი ბრედელის წიგნები.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

ბეკეტის ახალი პიესა

დასავლეთ-გერმანულ ქალაქ ულმაში დაიდგა ირლანდიელ-ფრანგი დრამატურგის სემიუელ ბეკეტის უკანასკნელი პიესა. დასავლეთის დეკადანსის ამ ყველაზე უკიდურესი წარმომადგენლის ახალ პიესას ჰქვია „თამაში“. მისი წინა პიესის გმირი იყო ქვიშაში ჩაფლული ქალი, ამ ახალი პიესის სამი გმირი კი ჩაფლულია სამ ურნაში, მოუჩანთ მხოლოდ თავი და მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებენ. ეს სამნი არიან ქმარი, ცოლი და ცოლის საყვარელი. მათ სახელი არა აქვთ. როცა ცდილობენ გაიხსენონ, რაც რამ თავს გადახდენიათ, მაშინ ერთმანეთს იხსენებენ სახელებით: მ., ფ-1 და ფ-2. მათი საუბარი არაა დიალოგი, რადგან, კაცმა რომ თქვას, ყოველი მათგანი მხოლოდ თავის თავს ელაპარაკება. როგორც ყოველთვის, აქაც ბეკეტის პიესის ლეიტმოტივია — ადამიანის სრული მარტოობა.

ახალი ოპერები

დასავლეთ-გერმანელმა კომპოზიტორმა გიზელხერ კლებმა დაწერა ახალი ოპერა — „ფიგაროს განქორწინება“, რომელსაც დგამს ოპერის სახელმწიფო თეატრი ჰამბურგში. თემატურად ოპერა დაკავშირებულია ბომარშეს კომედიასთან.

ინგლისი

მსოფლიოს კულტურის ისტორია

იუნესკო-ს ორგანიზაცია გახდა ინიციატორი და გამომცემელი უნიკალური გამოცემისა — „კაცობრიობის ზოგადი და კულტურული განვითარების ისტორია“. ეს ისტორია არ შეიცავს პოლიტიკური მოვლენების, ომებისა და ა. შ. ჩამოთვლას; ესაა აზროვნების, კულტურის და მეცნიერების განვითარების ისტორია, თანაც ასახულია არა ერთი ავტორის ან ერთი ფილოსოფიური კონცეფციის თვალსაზრისი, არამედ სხვადასხვაგვარი შეხედულებები. პირველი ტომი — „წინა ისტორია და ცივილიზაციის დასაწყისი“ უკვე გამოვიდა ინგლისურ ენაზე და ითარგმნება ფრანგულად და ესპანურად. წიგნი დაწერეს ინგლისელმა ავტორებმა, მაგრამ მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საბჭოთა კავშირის, ამერიკის, გერმანიის, იაპონიის, ესპანეთის, მექსიკისა და ინდოეთის მეცნიერებმა. აქაა განყოფილებები — გონება; ხელოვნება და რელიგია; ენა; დამწერლობა; სწავლება; მეცნიერებანი; საზოგადოების ჩამოყალიბება და ა. შ. შემდეგ 5 ტომში, რომლებიც მზადდება დასაბეჭდად, შევა უძველესი იმპერიები და კულტურა, ქვეყნიერება 1200-1775 წლებში, XIX საუკუნე, XX საუკუნე.

ეროვნული თეატრის აღდგენა

ინგლისის თეატრალური საზოგადოებრიობის მრავალწლიანი შეუნელებელი ცდისა და დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ წელს ლონდონში იხსნება ინგლისის ეროვნული თეატრი. მთავრობამ, როგორც იქნა, გაიღო ასეთი კულტურული დაწესებულებისათვის საჭირო თანხა.

ახალი თეატრი შეიქმნება ინგლისის უძველესი თეატრის ოლდ-ვიკის საფუძველზე, მხატვრულ ხელმძღვანელად მიწვეულია სახელგანთქმული რეჟისორი და მსახიობი ლოურენს ოლივიე. ლონდონის ჟურნალ „ობსერვერის“ ცნობილი თეატრალური კრიტიკოსი კენეტ ტაინენი მიწვეულია თეატრის მუდმივი დრამატურგის თანამდებობაზე. დღემდე ინგლისში არ არსებობდა თეატრალური დრამატურგის თანამდებობა.

„წითელი ჯვრის“ კანტატა

ცნობილმა ინგლისელმა კომპოზიტორმა ბენჯამინ ბრიტენმა საერთაშორისო წითელი ჯვრის 100 წლისთავისათვის დაწერა კანტატა „Cantata miseri cordium“ ტენორის, ბარი-

ტონის, გუნდისა და ორკესტრისათვის. კანტატა პირველად ჟენევაში შესრულდა.

„ნათხოვარი წიგნის დღე“

ინგლისში ეწყობა „ნათხოვარი წიგნის დღე“. ამ დღეს ინგლისის ყველა მოქალაქემ უნდა გადაათვალიეროს თავისი ბიბლიოთეკა და რაც კი ნათხოვარი წიგნი აღმოაჩნდება, პატრონს დაუბრუნოს. ინგლისის ფოსტამ უკვე გამოაცხადა, რომ ასეთი წიგნების ამანათებს განახევრებული ტარიფით მიიღებს.

იტალია

გუტუზოს ილუსტრაციები

4 წელია, რაც რენატო გუტუზო ხატავს დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ილუსტრაციებს. იტალიური გაზეთების ცნობით, სახელგანთქმულმა მხატვარმა ამას წინათ დაასრულა მუშაობა — მან შექმნა 100 ფერადი ილუსტრაცია დანტეს ნაწარმოებისთვის. პრესა დიდად აქებს გუტუზოს ახალ ნამუშევრებს, ხოლო თვით მხატვარმა განაცხადა: „მე შევეცადე, რომ „ღვთაებრივი კომედიის“ ამბებს აესახათ დღევანდელი ვნებები. თვითონ დანტეც ხომ თავისი ეპოქის თვალსაზრისით გვხედავდა ჩვენ“.

„რომის იმპერიის აღსასრული“

საზღვარგარეთული ჟურნალები განსაკუთრებული გულმხურვალებით ასხამენ ხოტბას სოფია ლორენს ახალ ფილმში — „რომის იმპერიის აღსასრული“. ფილმი გრანდიოზული ხატოვანებით მოგვითხრობს ლიუცილასა (მარკ ავრელიუსის ქალიშვილის) და ლივიუს გაიუს მეტელუსის სიყვარულის ამბავს. მეტელუსის როლს ასრულებს სტვინ ბაიდი.

„ევროპა ლეტერარია“

გამოვიდა ევროპელ მწერალთა ასოციაციის ჟურნალი „ევროპა ლეტერარია“ (მთავარი რედაქტორი ჟანკარლო ვიგორელი). ამ ახალ ნომერში მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა გარდა მოთავსებულია ბევრი საინტერესო სტატია და ნარკვევი.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: უნგრელი კინოკრიტიკოსის ერვინ დიერტიანის სტატია უნგრული კინემატოგრაფიის შესახებ, ფედერიკო გარსია ლორკას 1918-20 წლებში დაწერილი გამოუქვეყნებელი ლექსები, საბჭოთა პოეტის ბორის სლუცკის ოთხი პოემა (ვიტორიო სტრადას თარგმანი), მუსა ჯალილის სამი ლექსი (ჯუზეპე მარიანოს თარგმანი). წარმოდგენილია აგრეთვე იუგოსლავური პოეზია, ამასთან დაბეჭდილია სლოვაკი, ხორვატი და მაკედონელი ახალგაზრდა პოეტების თითო ლექსი. მებრძოლი გერმანული პოეზია წარმოდგენილია იოჰანეს ბეხერის ლექსებით და სტატიით ამ ლექსების თაობაზე. იტალიური ლიტერატურიდან აქაა იტალო კალვინის „კლინიკური დღიური“ და ელიო პალიარანის ლექსები „მესამე ქაოსი“. ჟურნალში მოთავსებულია როჟე კეიუას საინტერესო ნარკვევი სამეცნიერო ფანტასტიკური ლიტერატურის შესახებ.

სახვითი ხელოვნების დარგი წარმოდგენილია კონსტანტინე პაუსტოვსკის სტატიით ნიკო ფიროსმანზე.

მზადება დანტეს იუბილესათვის

დანტეს დაბადების 700 წლისთავის ზეიმის სამზადისი სულ უფრო და უფრო გაცხოველებული ხასიათისა ხდება. მეცნიერთა მთელი არმია დაეძებს „ღვთაებრივი კომედიის“ დედანს; ასევე რამდენიმე საუკუნე დაეძებდნენ დანტეს სამარეს და ბოლოს, მისი დაბადების 600 წლისთავისთვის, რავენის ერთ-ერთ მონასტერში იპოვნეს.

საიუბილეო კომიტეტმა მიმართა ყველა ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიებსა და სამეცნიერო საზოგადოებებს და თხოვა კომიტეტს გაუგზავნონ თითო ეგზემპლარი დანტეს ნაწარმოებებისა, რომელიც კი გამოსულა ამა თუ იმ ქვეყანაში. 1965 წელს, პოეტის დაბადების 700 წლისთავის დღეს, მოეწყობა ყველა ამ წიგნის გამოფენა.

იტალიის მთავრობა დანტეს დღეებში მოაწყობს საგანგებო ზეიმთა სერიას. იუნესკოს ხელს შეუწყობს ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღნიშვნას მთელს მსოფლიოში. ბევრი ქვეყანა გამოსცემს დანტესადმი მიძღვნილ საფოსტო მარკებს.

იტალიელი ტერეშკოვა

იტალიურმა ტელეხედვამ მოამზადა პირველი კოსმონავტი ქალის ვალენტინა ტერეშკოვას ცხოვრებისადმი მიძღვნილი ფილმი. მთავარ როლს ასრულებს იტალიელი მსახიობი ქალი ანჯელა კავო.

პრატოლინის ახალი რომანი

მილანში გამოვიდა ვასკო პრატოლინის ახალი რომანი — „გონების უცვლელობა“. მწერლის ადრინდელ ნაწარმოებთა მსგავსად აქაც დახატულია ცხოვრება ფლორენციის უბრალო ადამიანებისა, რომლებიც ეძებენ თავიანთ ადგილს იტალიის 60-იანი წლების საზოგადოებაში. მათი საღი გონება სძლევს ყოველგვარ სიბნელეს მაშინაც კი, როცა ირგ-

ვლივ თითქოს ყველაფერი ინ-
გრევა. გარდა ამისა, რომანში
დახატულია მშვენიერი სიყვა-
რული. ავტორი ერთხელ კი-
დეგ ვაჩვენებს თავისი საყვა-
რელი ქალაქის ახალ-ახალ
თვისებებსა და მხარეებს.

მექსიკა

სიკეიროსის „მახე"

ამას წინათ გამოვიდა ცნო-
ბილი იტალიელი მხატვრის
დავიდ ალფეირო სიკეიროსის
„მახე". ეს წიგნი ავტორმა და-
წერა ციხეში, სასამართლო
პროცესის მოლოდინში; პრო-
ცესზე მას 8 წლის პატიმრობა
მიუსაჯეს პოლიტიკურ შეხე-
დულებათა და „მეამბოხის"
მოქმედებათათვის.

მექსიკური გაზეთი „პოლი-
ტიკა" თავის რეცენზიაში ამ-
ბობს, რომ ეს წიგნი წარმო-
ადგენს სიკეიროსის ავტობიო-
გრაფიას, ხოლო ვინაიდან ავ-
ტორის ცხოვრება მჭიდროდაა
დაკავშირებული მექსიკაში
პროგრესული მოძრაობის გან-
ვითარებასთან, ეს ნაწარმოები
ამავე დროს წარმოადგენს
1910-1945 წლების ეპოქის ის-
ტორიულ დოკუმენტს.

პოლონეთი

ახალი ფილმები

რეჟისორმა სტანისლავ ბა-
რეიმ გადაიღო ახალი ფილმი—
„ჩემი ცოლის ქმარი". ესაა
კომედია პოლონელ ქალიშვილ-
სა და ავსტრიაში გაზრდილ
პოლონელ ყმაწვილზე. მთავარ
როლებს ასრულებენ ალექსან-
დრა ზავერდშანსკა და ვესლავ
გოლოსი.

ახალგაზრდა რეჟისორების
ჯგუფმა გდანის ოპერის თე-
ატრის ახალგაზრდა მოცეკვა-
ვეთა დახმარებით შექმნა
ექსპერიმენტული სამალეტო
ფილმი „ეტიუდები". ფილმი
ეხება სიყვარულის პრობლე-
მებს.

პოლონეთის ტელევიზია
ოთხშაბათობით გადასცემს სა-
ინტერესო სერიულ ფილმს
დეტექტიურ თემაზე „ბანდის
წევრები".

კანის კინოფესტივალზე დი-
დი წარმატება ხვდა პოლონურ
ფილმს — „ის, ვინც მე მიყ-
ვარს" (რეჟისორი ი. ჰასი).
მთავარ როლს ასრულებს ბარ-
ბარა კრაფტოვნა, რომელმაც
ამას წინათ ითამაშა ფილმში—
„მესამე ზარი".

კოსტიუშკოს გული

ვარშავის ეროვნულ მუზე-
უმში საზეიმო ცერემონიალით
გადაიტანეს ურნა, რომელშიც
მოთავსებულია ეროვნული
გმირის, პოლონეთის გათავი-
სუფლებისათვის მებრძოლი
ტადეუშ კოსტიუშკოს გული.
ომის დროს ურნა ინახებოდა
ვარშავის ერთ-ერთი ტაძრის
საკურთხეველში. გერმანელებმა
დაანგრიეს ტაძარი, მაგრამ ნან-
გრევების ალაგებისას ურნა
მთელი აღმოჩნდა. რესტავრა-
ციის შემდეგ ეს ეროვნული
რელიქვია ეროვნულ მუზეუმ-
ში გადაიტანეს.

რუმინეთი

უდიდესი წარმატება

პარიზის ოპერის თეატრში
დიდი მოწონებით მიიღეს
ცნობილი რუმინელი კომ-
პოზიტორის ჯორჯ ენესკუს
ოპერა — „ოიდიპოსი". ამ
ოპერას, რომელიც ენესკუს
შემოქმედების მწვერვალს
წარმოადგენს, მან 22 წელზე
მეტი მოანდომა. ოპერაში სა-
უცხოოდაა გამოყენებული რე-
ჩიტატივი და გუნდი, რაც
ოპერას ანტიკურ სიდიადეს ანი-
ჭებს.

საბერძნეთი

მინოსის სასახლე

კუნძულ კრიტოსზე აღმოჩნ-
და მეფე მინოსის სასახლის
ნანგრევები. მეცნიერთა ვარა-
უდით სასახლე მიწისძვრას და-
უნგრევია ჩვენს წელთაღრიცხ-
ვამდე 1500 წელს.

საფრანგეთი

900 წლის იუბილე

პარიზი გაცხოველებით ემ-
ზადება გოტიკური ხელოვნების
ერთ-ერთი უძვირფასესი ძეგ-
ლის, ვიქტორ ჰიუგოს რომანის
„გმირის", პარიზის ღვთიშობ-
ლის ტაძრის 900 წლის იუბი-
ლესთვის. ტაძარი სულ ერთიან-
ად ხარაჩოებშია: წმენდენ
წმიდანთა და დემონთა ფიგურ-
ებს, ორიგინალურ ნიღბებს.

იუბილეს მოსაწყობად შექმ-
ნილია კომიტეტი, რომლის
სათავეშია აკადემიკოსი ანდრე
შამსონი. ორი დიდი გამოფენა
მნახველს გააცნობს ტაძრის
900-წლიან ისტორიას, საფრან-
გეთის აკადემია აწყობს საზეი-
მო სხდომას, სორბონის პრო-
ფესორები კითხულობენ ლექ-
ციებს, გაიმართება საზეიმო
ილუმინაცია, კონცერტები, თე-
ატრალური წარმოდგენები.

ამ საზეიმო მზადებას თან
ერთვის შეშფოთებაც: პარიზის
გაზეთები აღშფოთებით იუწყე-
ბიან, რომ ნოტრ-დამის ახლოს
განზრახულია აიგოს ახალი
შენობა, რომელიც ხელს შე-
უშლის ხელოვნების ამ ნიმუშის
ცქერით დატკბობას.

ძმობის პრემია

1955 წლიდან შემოღებულია
ძმობის პრემია ისეთი მნიშვ-
ნელოვანი მხატვრული ნაწარ-
მოებისათვის, რომელიც იბრ-
ძვის რასობრივი დისკრიმინა-
ციის სხვადასხვა ფორმის წი-
ააღმდეგ. წელს ძმობის პრე-
მია მიეკუთვნა კინორეჟისორ
ჟან შმიდტს ბოშათა ცხოვრე-
ბის ამსახველი ფილმისათვის.
ფილმი ჰუმანური პოზიციები-
დან ასახავს 80 000 ფრანგი
მოხეტიალე ბოშის მძიმე
ხვედრს — მათ არა აქვთ არა-
ვითარი უფლება, არ აძლევენ
საფრანგეთის ქალაქებსა თუ
სოფლებში დასახლებისა და
მუშაობის საშუალებას, არა
აქვთ განათლება და საექიმო
მომსახურეობა.

კუბიზმის ფუძემდებლის სიკვდილი

პარიზში გარდაიცვალა 81 წლის ჟორჟ ბრაკი, კუბური ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებელი და თავდადებული მიმდევარი. ამ ორი წლის უკანლუვრში მოეწყო მხატვრის შემოქმედების გამოფენა — ეს იყო მისი ნახატების პირველი გამოფენა ამ მუზეუმში. ბრაკს თითქმის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ შეუწყვეტია მუშაობა. ბოლო დროს ის მთელ თავის დროს ანდომებდა ილუსტრაციებსა და აქვარელს.

ბალზაკის ბიოგრაფია

ანდრე მორუა, ცნობილი ფრანგი მწერალი, რომელმაც შექმნა ბევრი მეტად გახმაურებული რომანი-ბიოგრაფია („სამი დიუმა“ და სხვ.), ამჟამად მუშაობს ბალზაკის ბიოგრაფიაზე. როგორც „ფიგარო-ლიტერერის“ კორესპონდენტი იუწყება, მორუა დღეში ათ საათს მუშაობს და იმედი აქვს, რომ 2 წელიწადში დაამთავრებს ამ ბიოგრაფიული რომანის წერას.

პიკასოს ახალი ნამუშევარი

პაბლო პიკასო, რომელიც უკვე რამდენიმე კვირაა კარჩაკეტილი ცხოვრობს თავის მამულ მულენში, ხატავს 50 ტილოსგან შემდგარ სერიას — „ოჯახური ცხოვრების სცენები“. მხატვარმა განაცხადა, რომ ეს ნამუშევრები იქნება სულ სხვა ხასიათისა, ვიდრე ყოველივე, რაც მას დღემდე შეუქმნია. პიკასო თავის ამ ნამუშევრებს უწოდებს „მთელი თავისი ცხოვრების საქმეს“ და ხანამ ცოცხალია, არ უნდა მათი გამოფენა ან გაყიდვა.

გადაცემა ეიფელის კოშკიდან

პარიზის ტელეხედვამ ეიფელის კოშკის მეოთხე სართულიდან გადმოსცა ბალეტი „პარიზის გულში“; ბალეტში მონაწილეობდნენ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ისეთი მოცეკვავეები, როგორიცაა მორის შევალიე, ზიზი ჟანმერი და მარსელ მარსო.

სენეგალი

შავი აფრიკის ფილმები

მეორე მსოფლიო ომის დროს რამდენიმე ნიჭიერი სენეგალელი ახალგაზრდა პარიზის კინემატოგრაფიის აკადემიაში მოხვდა. 50-იანი წლების დასაწყისში ამ დაკარელმა ჯგუფმა პარიზში დაიწყო გადაღება მოკლემეტრაჟიანი ფილმისა — „აფრიკელები სენას ნაპირზე“, რომელშიც უნდოდათ ეჩვენებინათ ზანგი სტუდენტებისა და მუშების ცხოვრება პარიზში. უსახსრობის გამო ეს ფილმი დაუმთავრებელი დარჩა.

50-იან წლებში დაკარელმა ზანგმა კინორეჟისორმა პოლენ ვიიერმა საკუთარი სცენარით დაიწყო გადაღება ფილმისა „ერთი ადამიანი, ერთი იდეალი, ერთი სიცოცხლე“, რომელშიც ნაჩვენები იყო სენეგალის ზანგი მეთევზის ცხოვრება, მაგრამ უსახსრობის გამო არც ამ ფილმს ეღირსა დამთავრება და ეკრანის ხილვა.

დამოუკიდებელი აფრიკელი ეროვნული კინემატოგრაფიის პირველ ნაბიჯად ჩაითვლება შარშან კანის კინოფესტივალზე დაჯილდოებული საფრანგეთ-სენეგალის ერთობლივი ფილმი — „თავისუფლება № 1“; ამ ფილმში ყველა მთავარ როლს აფრიკელები ასრულებენ.

პრეზიდენტი-ლაურეატი

საფრანგეთის პოეტთა კავშირისა და ჟურნალ „ხელოვნების“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში პოეზიისათვის დიდი საერთაშორისო პრემია მიეკუთვნა ლეოპოლდ სეუარ სენგარს, აფრიკელ პოეტს, სენეგალის რესპუბლიკის პრეზიდენტს. კონკურსში მონაწილეობდა 300-ზე მეტი პოეტი. სენგარს პრემია გადაეცა ფრანგ პოეტთა ყრილობაზე რუანში.

უნგრეთი

„ევროპის“ გეგმები

გამომცემლობა „ევროპამ“, რომელიც უნგრულ ენაზე სცემს მსოფლიო ლიტერატურის ნაწარმოებებს, შეიმუშავა ვრცელი და მდიდარი გეგმა. პოეზიის დარგში, უკვე გამოცემულ „ფრანგული პოეზიის ანთოლოგიასთან“ ერთად, ორ ტომად მზადდება „რუსული პოეზიის ანთოლოგია“, რომლის ლექსთა უმეტესობა პირველად იბეჭდება უნგრულ ენაზე. მალე გამოვა არაგონის ნაწარმოებთა თითქმის სრული ტომი და ბოდლერის ნაწარმოებთა სრული კრებული. რჩეულის სახით გამოდის ცვეტაევას, პუშკინის და სუინბერნის ლექსები და ანთოლოგია — „თანამედროვე ამერიკელი პოეტები“. დრამატურგიის დარგში წარმოდგენილია გოეთეს „ფაუსტი“, თანამედროვე ინგლისელი დრამატურგების ოსბორნის, უესკერის, ბალტის და სხვათა პიესების კრებული, აგრეთვე ფრ. დიურენმატის ორი პიესა. შარშან გამოცემული იუჯინ ო'ნეილისა და არტურ მილერის პიესების შემდეგ წელს გეგმაშია მესამე გამოჩენილი ინგლისელი დრამატურგის ტენესი უილიამსის კრებული. შექსპირის 400 წლისთავისათვის გამოვა მისი პიესების სრული თხზულებანი, აგრეთვე მოლიერის, ბომარშესა და სხვ. კრებულები.

ფინეთი

ეიფელის კოშკზე მაღალი

ფინეთის სატელევიზიო კომპანია ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აგებს სატე-

ლევიზიო კოშკს, რომლის სიმაღლეა 320 მ, ე. ი. 20 მ-ით მაღალია ეიფელის კოშკზე.

ჩეხოსლოვაკია

გალეტი ტერეშკოვას ეძღვნება

ჩეხოსლოვაკელმა კომპოზიტორმა ვ. კოლარუმა ა. რეჩკის ლიბრეტოზე დაწერა საბალეტო ფანტაზია, რომელიც ხოტბას ასხამს მამაკაცთა და ქალთა ერთობლივ გაფრენას უცნობ პლანეტაზე. ავტორებმა თავისი ნაწარმოები უძღვნეს პირველ კოსმონავტ ქალს ვალენტინა ტერეშკოვას.

კიბერნეტული ბებია

თოჯინების თეატრის ცნობილი ჩეხოსლოვაკი ოსტატის ირჟი ტრნკას ახალი პიესა „კიბერნეტული ბებია" წარმოადგენს სატირას ზემექანიზაციაზე. თემა არაა ახალი, მაგრამ ტრნკას უამრავი ახალი იდეა პიესას ორიგინალურს ხდის. მოქმედება ხდება შორეულ მომავალში. მაღალი მთის მწვერვალზე, ყვავილებში ჩაფლულ სახლში ცხოვრობს ნამდვილი ბებია თავისი შვილიშვილით. ბიჭუნას მამა კოსმოსში ცხოვრობს და წერილით „შინ" უხმობს თავის ვაუს. იქ, ვარსკვლავთა სამყაროში, ბიჭუნას უვლის კიბერნეტული ბებია, რომელიც კბილის სამკურნალო სავარძელს წააგავს და მაგნიტის ვეება თვალები აქვს. კიბერნეტული ბებია ბავშვს ბურთს ეთამაშება, მაგრამ მეტისმეტად ჩქარა ისვრის ხოლმე ბურთს. ბიჭუნას არც მისი ზღაპრები მოსწონს, რადგან კიბერნეტული ბებია კი არ უამბობს, არამედ ფილმივით აჩვენებს ზღაპარს. დასასრულ, ბავშვი კვლავ ნამდვილ ბებიასთან გარბის.

ძველი პრაღა

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის ძველი რაიონები — სტარე მიესტო (ძველი ქალაქი), მალა მიესტა (მცირე ქალაქი) და ჰროდჩანი (კრემლი) ამიერიდან ისტორიულ მუზეუმად გადაკეთდება. მასში შევა 70 სასახლე, 30 ძვირფასი საეკლესიო შენობა და 370 საცხოვრებელი სახლი. ძველი ქალაქის ქუჩების ქსელი X საუკუნიდანაა შემორჩენილი. შემორჩენილია რომანული სტილის ეკლესიების ნანგრევები, ხოლო 40 სახლში კარგადაა შემონახული რომანული სარდაფები და პირველი სართულები, რომლებზეც შემდეგში დააშენეს გოთური სტილის სახლები.

აქაა მეფე ვაცლავ I-ის (XIII ს.) და იმპერატორ კარლოს IV-ის (XIV ს.) დროის ნაგებობები.

პაემანი კოსმოსში

ჩეხმა კომპოზიტორე ბ მ ა გრამფირფიტაზე ჩაწერეს და ვალენტინა ტერეშკოვას გადასცეს ახალი ჩეხოსლოვაკური სიმღერა — „პაემანი კოსმოსში", რომელიც მიეძღვნა მის გაფრენას.

„შვიდნი განთიადზე"

პრაღაში დაიწყო გადაღება ერთობლივი ინგლისურ-დასავლეთგერმანული ფილმისა — „შვიდნი განთიადზე". ფილმი ეხება იმას, თუ როგორ მოჰკლეს ჩეხმა პატრიოტებმა 1942 წელს ესესელი ჰეიდრიხი. მთავარ როლებში არიან ინგლისელი, ამერიკელი და ჩეხი მსახიობები.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/XII-63 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 1075. უე 12251 ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 6400.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата, Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

შეხვედრა ჭითელარმიელებთან
მხატვარი ხამსონ ნადარეიშვილი

რუსთავი
მხატვარი ედმუნდ კალანდაძე

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО
„ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“
ИНДЕКС 76236

11

ახალგაზრდული

მუსიკა — მერი დავითაშვილისა
ტექსტი — გივი გეგეჭკორისა



სულში სინათლის სვეტები
ცისარტყელებად იღვრება,
თაღებში აღარ ეტევა
ახალგაზრდული სიმღერა.

ცასთან გმირულად ვიდავეთ,
სიმღერა ისმის ფიცივით
და ეფინება მიდამოს
ჩვენი დროშების სიცილი.

მღერის სამშობლოს დიდებას
ამაღლებული თბილისი
და დგას სიცოცხლის, მშვიდობის
და სიყვარულის ღიმილში.

ფართოდ გახელილ გუგებში
მზე ალერსივით იღვრება,
ზეცის თაღებში გუგუნებს
ახალგაზრდული სიმღერა.